

პეპსი



№16 19/4/2018 ფასი 1.5 ლ



ნინო ბადურაშვილის სავლიანი მოგონებები

„ის ჩემთვის
ნათელი წერტილი
იყო, რომელიც
სამწუხაროდ,
ჩაქრა“
გვ. 23

რა აკრძალავს უკან ნიშარაძეს

„ბაბუჩაჩემის
პერანგობით
არაჩვეულად ბრძოლი
სამთხის
შევიპყრე“
გვ. 26

ლიზა ყენია: „ფაისბუკი“ ცხოვრებას ვერ დამინგრავს“

„მშობლებს ამ საკითხის მიმართ
ირონიული დამოკიდებულება ჰქონდათ“
გვ. 23



საბედისწერო ექსკურსია

გვ. 30

„შვილი იკუთვნებოდა, დაღა,
> ნებავ, მე მომსვლოდა
ეგ ბრავმა და შენ არაო...“



„სიყვარულშიც კი ტყვეობა უნდა შეინარჩუნო...“

გვ. 22

ცნობილების ემოციური ინტერვიუ



მემანულების ტყვეთა ბანაკში ნამყოფი ქართველის სულიწამებრალი ჩანაწერები

გვ. 76

> რა არ აპატივს საბჭოთა რეჟიმის
პოპულარულ მხედრულ მიხეილ ნატროშვილს
> „მომწყვდობოდა ლავა, ჩაიტანდა 20-30 კაცს
და ცხედრების გამოძახის პრაქტიკა იყო...“

ISSN 1987 - 5029



9 771987 502009



ენის მარია ჩაბარაძე

მოთხოვნილი ტომი IV

შპს-ი
მიხეილ და უნაუნო
მოთხოვნილი



იკოთაქური სესხი

ლარში 2% -დან
ეფექტური 26,84% -დან

დოლარში 1% -დან
ეფექტური 12,7% -დან

229 29 29
www.rico.ge

ლომბარდი 2% -დან
ლარში ეფექტური 26,84% -დან

Rico Credit რიკო კრედიტი
მოგვინონეთ და დაგვიმეგობრდით!



24/7
ფულადი
გზავნილები

კომფორტი
გზავნილი
შეიქმენი კომფორტით!



ოჯახის მკურნალი

ჟურნალი ჯანსაღი სხოვნებისთვის



გამოქვეყნდა
ფასი 3 ლ

ხელსაქმე – შემეცნებისა და განტვირთვის საუკეთესო საშუალება



ჩვენთან, თქვენი პატარები ისწავლიან
სხვადასხვა საინტერესო და ლამაზი
ნივთის დაზადებას!



„ბიბლუსი გალერეაში“ იკოვით ხელსაქმისთვის საჭირო მრავალფეროვან მასალებს და დაზადებთ
საინტერესო ნივთებს.

კრავების სპეციალისტები, სრულიად უფასოდ, ადგილზე დაგეგმვაშიან თქვენთვის სასურველი
ხელნაკეთი ნივთების შექმნაში.

მის.: ქ. თბილისი, კანდელაკის №7, ჭავჭავაძის №7 / ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით, ტელ.: 597 74 74 01 / ელ. ფოსტა: info@biblusni.ge



„რა დახმარებაზეა ლაპარაკი, ზოგს გიჟი ვგონებარ...“

„მიკვირს, ვილაც რომ უდიერად ეპყრობა ბუნებას. შემომჩნევია, გაივლიან და ნერგს ისე ნაატებენ ტოტს, ვითომც არაფერიო... ყვავილს მონყევებენ და ორიოდ ნაბიჯში ძირს დააგდებენ. არა უშავს, მე კიდევ დავრგავ, მაგრამ ცოტა მეტად გულისხმიერები რომ ვიყოთ, ხომ შეიძლება?“

15



შვებულებაში გაშვებული მკვდრები და კორუფცია არც ისე შორეულ წარსულში...

„ნ წელი ვიმუშავე ამ თანამდებობაზე. მეუბნებოდნენ, რაზე დაიღუპე თავი, აქ გაფუჭდებიო, რადგან კორუფცია იყო გამეფებული. საერთოდ, კორუფციამ დაშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც, რასაც ვუყურებ, სწორედ იმ კორუფციული სქემებით მუშაობს ყველაფერი...“

32



16 წლის გოგონას აქტიური ცხოვრება

„სახლში რეპეტიციას ნაკლებ დროს ვუთმობ, რადგან ოჯახიც წუხდება; და ან ძმა რომ მეცადინეობს, ხელს ვუშლი, მეზობლის ბავშვს ვაღვიძებ... სხვათა შორის, ჩემს მეზობლად, ქვედა სართულზე 1 მოსწავლე მყავს. ის რომ დაუკრავს, მე ჩემი ბინიდან ბანს ვაძლევ...“

36

- **მინიატიურები** 5
ლოცვა ტრამპისადმი
- **პერსონა** 9
რიმა ბერაძის პირადი ცხოვრება
- **კრიმინალი** 12
ოჯახური ძალადობა — დაუძლეველი პრობლემა
- **მათქმევიანეთ!** 18
„ქართველები ჩვენს ენას უდიერად და უსულგულოდ ვექცევით“
- **დაუმიწყარი ადამიანი** 22
„ის ჩემთვის ნათელი წერტილი იყო, რომელიც სამწუხაროდ, ჩაქრა“
- **შოუბიზნესი** 28
„ქვემეხი“ — რევოლუცია თუ ევოლუცია?
- **სულის სიმტკიცე** 30
„შვილი მეუბნებოდა, დედა, ნეტავ, მე მომსვლოდა ეგ ტრავმა და შენ არაო...“
- **ადამიანი** 38
წუთებში შექმნილი მარადიულობა
- **მხატვარი** 51
შემოდგომის სიყვარული



ერის მარია რემარკი
ოთხტომეულში შედის:

- I **ლისაბონის ღამე**
- II **სიცოცხლის ნაპერწკალი**
- III-IV **აჩრდილები სამოთხეში**



საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
ამოღის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით. გაზეთი „კვირის პალიტრის“ დაბადებაა
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი **ლიკა ქაჯაია**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი **თათია ფირცხელავა**

დიზაინი და კომპიუტერული
უზრუნველყოფა:
ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი



დაიბეჭდა
სტამბა
კოლორში

„პალიტრამედის“ ცხელი ხაზი: (+995 32) 219 60 13; (+995 32) 219 60 53
ელ.ფოსტა: contact@palitra.ge
მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. 49; ელ.ფოსტა: gza@palitra.ge
სარეკლამო განყოფილება: (+995 32) 237 78 07

შელავათიანი სამგზავრო ბარათების უკანონოდ გამოყენებისთვის დაჯარიმდებით!

თბილისის მერიის ინფორმაციით, შელავათიანი სამგზავრო ბარათების უკანონოდ გამოყენებაზე კონტროლი მკაცრდება. ცვლილებები შევიდა თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებაში, რომელიც მუნიციპალურ ტრანსპორტში შელავათიანი ტარიფით სარგებლობის წესებს არეგულირებს.

„ცვლილება შელავათიანი სამგზავრო ბარათების არაკეთილსინდისიერად გამოყენების გახშირებულმა შემთხვევებმა განაპირობა და შეტანილი ცვლილების შედეგად, სამგზავრო ბარათის არაბენეფიციარის მიერ გამოყენების შემთხვევაში, თბილისის სატრანსპორტო კომპანიის უფლებამოსილ პირს უფლება აქვს,

დააჯარიმოს დამრღვევი და არასწორად გამოყენებული ბარათი ავტომატურად დაბლოკოს 6 თვის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ბარათი ექვემდებარება ავტომატურ, უფასო განბლოკვას. იმ შემთხვევაში, თუ ჯარიმა გასაჩივრების შემდეგ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაუქმდება, ბარათის კანონიერ მფლობელს შეუძლია მიმართოს მერიის შესაბამის სტრუქტურას განცხადებით, მოითხოვოს ბარათის განბლოკვა და მასზე სამგზავრო ფუნქციის აღდგენა, რაც განცხადების დარეგისტრირებიდან არაუგვიანეს 4 სამუშაო დღეში განხორციელდება“, — ნათქვამია მერიის განცხადებაში.

აჭარის შესახებ რეკლამა „ევრონიუსის“ ეთერით გადაიცემა

BBC-ის შემდეგ აჭარის რეკლამა უკვე „ევრონიუსზე“ ტრიალებს, — ამის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტიდან გვაცნობს. მათივე ცნობით, ტელეკომპანიის ეთერით აჭარის ტურისტულ პროდუქტებს 195 ქვეყანაში ეცნობიან.


„სატელევიზიო რეკლამის გარდა, წელს ტელეკომპანია „ევრონიუსის“ მაყურებელი აჭარის ტურისტული ღირსშესანიშნაობების შესახებ მომზადებულ გადაცემებსა და ბლოგებს გაეცნობა. ჟურნალისტები აჭარას აპრილის დასაწყისში სტუმრობდნენ. „ევრონიუსის“ ჟურნალისტები რეგიონს განმეორებით ზაფხულსა და უკვე შემოდგომაზე, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის (აღნიშნული ოლიმპიადის შესახებ

მასალა იხილეთ ჟურნალ „გზის“ ამავე ნომრის 74-ე გვერდზე) გასაშუქებლად ეწვევიან. პარალელურად, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი მოლაპარაკებებს აგრძელებს ტელეკომპანიებთან „დოიჩე ველე“ და CNN, სადაც ასევე იგეგმება რეგიონის საიმიჯო ვიდეორგოლების გაშვება“, — აღნიშნულია ინფორმაციაში.

„ჩვენ დავინყეით აქტიური სატელევიზიო რეკლამა BBC-სა და უკვე „ევრონიუსის“ ეთერით, რაც ჩვენი ქვეყნისა და რეგიონის ცნობადობის გაზრდას ემსახურება. პარალელურად ვგეგმავთ აჭარის საიმიჯო ვიდეორგოლების გაშვებას საერთაშორისო ტელეკომპანიების დოიჩე ველესა და CNN-ის ეთერით. ამას დაემატება სატელევიზიო რეკლამა უკვე სამიზნე ქვეყნების ადგილობრივ ტელევიზიებში. მაგალითად, პოლონეთში, ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში. გარდა ამისა, ვინცებთ აქტიურ ინტერნეტრეკლამასა და გარერეკლამას 16 სამიზნე ქვეყანაში. ჩვენი სარეკლამო აქტივობები არის კომპლექსური და მისი მთავარი მიზანია, რაც შეიძლება ბევრ ადამიანს გავაცნოთ ჩვენი ქვეყანა და რეგიონი“, — განაცხადა აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, სულხან ლლონტმა.

აჭარის საიმიჯო ვიდეორგოლის განახლებულ ვერსიაზე „ევრონიუსმა“ იმუშავა.

ყოფილი მენაქარის მტკიცებით, მერაია ქერი მას სექსუალურად ავიწროებდა



მერაია ქერის ყოფილი მენეჯერი ირწმუნება, რომ მომღერალი მასზე სექსუალურ ზენოლას ახორციელებდა. ინფორმაციას Radar Online ავრცელებს.

სტელა სტოპლერის თქმით, ქერი ბიპოლარული აშლილობების სამკურნალოდ, რომელიც 2001 წელს დაუდგინეს, საჭირო მედიკამენტებს არ იღებს.

ყოფილი მენეჯერი აცხადებს, რომ მომღერალმა მას რამდენიმე მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს, რადგან სამწლიანი კონტრაქტი მოულოდნელად შეუწყვიტა. სტოპლერი იმედოვნებს, რომ საქმე სასამართლომდე არ მივა და 48 წლის ვარსკვლავს კიდევ ერთ შანსს აძლევს, პრობლემები თავად გადააჭრან.

მერაია ქერი ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს.



ლოცვა ტრამპისადმი



შესავლის მადიერ ყველა უბედურების სათავე გაუნათლებლობაა, მაგრამ გვინდა განათლება? გვინდა განვითარება? რაღაც არ ჩანს ის მისწრაფება, ყველა პატარა ერის გადარჩენის უალტერნატივო საშუალებად რომაა მიჩნეული.


განათლება, ისეთი გაგებით, როგორც მსოფლიოს პროგრესულ ნაწილს ესმის და არა ჩვენს „კარდონო-ვილურ“ მოსახლეობას, ჯერ კიდევ შორსაა ჩვენგან. წინა პროგნოზიკაციაში ვწერდი, რა მოხდა დედაუნივერსიტეტში! ადამიანი, რომელიც რამდენიმე წელი „პატრონობდა“ საუნივერსიტეტო განათლების ხარისხს, სახლში დასვენს და ისეთი ვინმე მოიყვანეს საქმის გასაკეთებლად, გაფუჭების მეტი რომ ვერაფერი შეძლო და ეს ახალიც შინ გაუშვეს მშვიდად! დაწუნებულმა თუ „რეორგანიზებულმა“ ნატალია ბარათელმა ახლახან თქვა: „თსუ-მა 19 მოქმედი პროფესიული პროგრამიდან ერთზეც კი ვერ შეძლო მიღების გამოცხადება“.

175.000 ლარი დახარჯა სახელმწიფომ მოდულური პროგრამებისათვის ალტურვილობის შესაძენად. დადგება დრო და ვინმე მოიკითხავს შედეგებს. ვინ იღებს პასუხისმგებლობას ან უკვე ყოფილი „ხარისხის დედა“ თუ „კონსულტანტი“, 2017 წლის სექტემბერში მიწოდებული მასალა და ინფორმაცია, უცოდინარობის გამო, რეაგირების გარეშე რომ დატოვეს და დაუმტკიცებელი პროგრამებით სწავლა გააგრძელეს. თვითშეფასება ვერ დანერგეს, კონტინგენტი ვერ განსაზღვრეს, რა მოცულობის დოკუმენტიც გაგზავნეს, თითქმის ორი იმდენი ხარვეზით უკან დაუბრუნდათ. ვის ეცალა საქმისთვის, რა საქმე, რის პროფესიონალიზმი, მერე ვინ იცუნცულებდა კაბინეტიდან კაბინეტში ან ვინ გააკონტროლებდა მთავარ კორიდორს დაწყებული ადმინისტრაციის უფროსიდან, დამთავრებული რექტორამდე? თვალი და ყური პატარა ამბავია? თსუ-ს მოუწევს პასუხისმგებლობის აღება და ვის ხარჯზე? სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურიდან...

ახლა უნდა ველოდოთ, როდის მოვა ახალი ხელი-სუფლება, რომ მერე ჩამოანეროს ცოდვები და დანაშაული უნივერსიტეტის „ინტელექტუალურ რესურსებს“? პროკურატურისა გამკვირვებია, სასამართლოსიც, პარლამენტისაც, პრეზიდენტისა და მინისტრთა კაბინეტისაც, ოდესმე ავტონომიურობისა და თავისუფლების შეგრძნებით, კანონმორჩილების ფარგლებში არ უნდათ, რომ იმოქმედონ? წესით, არაფერი უნდა მიკვირდეს, მაგრამ ბოლშევიკური სულისკვეთებით რატომ უნდა ლაპარაკობდეს ნომერ პირველი კანონმდებელი ქვეყანაში, — პარტიული დისციპლინა გასატარებელი?

გედევან ფოფხაძის მიერ გამოცხადებული პროტესტი ცხადად აჩვენებს, რომ „ქართული ოცნება“ იდეოლოგიური გაერთიანება არაა. ამაზე ადრე ყოფილმა პარლამენტარმა, ნიშნაინიძემ მიგვანიშნა, ქოჩრიანებმა ძველი თაობის ხალხის მიჩრონება დაიწყეს და ეს ბიჭბუჭობა

კარგს არაფერს დამართებს საქართველოსო. კობახიძე მდინარაძესა და „ნეოქოცურ“ ფრთას უსმენს მხოლოდ, ესეც „პალეოქოცური“ და წყალშეყენებული 41-იანელე-ბისგან გვესმის ჯერ მოკრძალებულად, მაგრამ სხვისი ჯერ სად ვართ, საპრეზიდენტო „ქოცკანდიდატის“ შერჩევისას აუცილებლად გამოამყვანებენ თავს ამბიციური კანონშემოქმედები და გედევანივით განაწყენებულები ცალკე მკვდრადშობილ ოპოზიციას შექმნიან ან სულაც „პერსპექტიულ“ პარტიებს შეეხიზნებიან. მე თქვენ გეტყვით და რენეგატიზმი გაგვიკვირდება ვინმესგან...



P.S. მინდოდა, ბელიაშვილის ქუჩის საფეხბურთო შეხვედრაზე დამეწერა, მაგრამ ისევ წინია კაკაბაძის ხელით გადანერილ ტექსტზე შევჩერე ყურადღება. მინდა, რომ წინამ ისევ 41-გზის 5-ჯერ გადანეროს ლურჯ ფურცელზე წითელი „პასკით“ ასეთი ლოცვა და დაურთოს პოლიტიკურ პარტიებს: ტრამპო ჩვენო, რომელი ხარ თეთრ სახლსა შინა, დონალდ იყავნ სახელი შენი, მოვედინ შემფოთება შენი, იყავნ ნატო შენი, ვითარცა აშშ-სა შინა, ეგრეცა ევროკავშირისა ზედა, პოლიტიკა ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს და მომიტევენ ჩვენ გაურკვევლობა ჩვენი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ „ნაციონალებსა“ მათ ჩვენთა და ნუ შემიყვანებ ჩვენ ევრაზიულ კავშირში, არამედ მისსენ ჩვენ პუტინისგან.

პროპოკატორი



ქვეყანა

ხატუნა ბახტურიძე

ხატუნა ჩიბოგიძე

ქართველებს ამ საკითხთან ერთად ისიც გვაინტერესებს, თუ რა გავლენას მოახდენს ტრამპისა და პუტინის ჭიდილი ჩვენს ქვეყანაზე როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. ვიდრე ამ საკითხებზე საქმეში ჩახედული ადამიანების კომენტარებს შემოგთავაზებთ, მკითხველს შევასვენებ, თუ რატომ დაიწყო სამოქალაქო ომი სირიაში და რაზე ვერ თანხმდებიან მსოფლიო ლიდერები.

შეიარაღებული კონფლიქტი სირიაში ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლების ერთგულ ძალებსა და მათ მონინალმდგეგმა შორის 2011 წელს დაიწყო. ოპოზიციური ძალების მოთხოვნა პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის (რომლის ოჯახიც 1971 წლიდან მართავს სირიას) გადადგომა იყო. 2013 წელს სირიის ომში, მმართველი ძალის მხარდასაჭერად ჰეზბოლაც ჩაერთო. დღეისთვის ბაშარ ალ-ასადი ხელისუფლებას რუსეთისა და ირანის სამხედრო მხარდაჭერის წყალობით ინარჩუნებს, ამბოხებულებს კი კა-

მესამე მსოფლიო ომის საშიშროებამ ჩაიარა

რას უნდა ველოდოთ?

„მესამე მსოფლიო ომს გადავურჩით, თუმცა საინტერესოა, როგორ შეიცვლება ახლა სამხედრო წესრიგი მსოფლიოში“ — ასეთი კითხვა საზოგადოებაში მას შემდეგ გაჩნდა, რაც საერთაშორისო კოალიციის წევრებმა — (ამერიკა, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი) სირიაში ქიმიური იარაღის ლაბორატორია ისე გაანადგურეს, რომ მსხვერპლი არ მოჰყოლია. სულ ცოტა ხნის წინ, ამერიკის პრეზიდენტის მიერ „ტვიტერში“ გაკეთებულმა განცხადებამ — „რუსეთო, მოეზადე სირიაში ჭკვიანი რაკეტების მისაღებად“, — მთელი მსოფლიო დაზაფრა და მესამე მსოფლიო ომის დაწყების საფრთხეზე ააღაპარა კა. თუმცა, მას შემდეგ, რაც ნატოს სამხედრო ოპერაცია მსხვერპლის გარეშე დასრულდა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჟან-ივლე დრიანმა განაცხადა, — სირიაზე დარტყმების მეორე ფაზა არ იქნება, ვინაიდან მიზანი მიღწეულიაო, პუტინი კი აშშ-სა და მისი მოკავშირეების „აგრესიული ქმედებებს“ განსახილველად გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომის მოწვევით შემოიფარგლა, ომის თემა დღის წესრიგიდან მოიხსნა. ახლა მსოფლიო საზოგადოება იმითაა დაინტერესებული, თუ რით დასრულდება სირიაში რუსულ-ამერიკული საქმის გარჩევა.

ტარი და საუდის არაბეთი ამარაგებს იარაღით.

საერთაშორისო ორგანიზაციები როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის ძალებს ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევებში ადანაშაულებენ. გაეროსა და საერთაშორისო ამნისტის კვლევის მიხედვით, ადამიანის უფლებებს ძირითადად სირიის ხელისუფლება არღვევს — მან საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ ქიმიური იარაღი უკვე არაერთხელ გამოიყენა, რის გამოც ქვეყანაში არსებულ დაპირისპირებაში ამერიკის შეერთებული შტატები და ნატოს სხვა წევრებიც ჩაერთვნენ.

— ბატონო ამირან, მოსკოვი ამტკიცებს, რომ სირიის ხელისუფლება საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ ქიმიურ იარაღს არ იყენებს და ეს ამერიკელების მოგონილია. თქვენ რას ფიქრობთ, ამის შესახებ?

ამირან სულშეშაძე, ანალიტიკოსი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში, გენერალი:

— რუსეთი და სირია მართლაც უარყოფენ ქიმიური იარაღის გამოყენებას, მაგრამ ჩვენ რუსეთთან ერთიერთობის საკმაოდ დიდი გამოცდილება გვაქვს და ისიც გვახსოვს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ როგორ ირწმუნებოდა რუსეთის ელჩი, თითქოს ქართველების მიერ გახსნილი საარტილერიო ცეცხლის შედეგად ცხინვალში 2000 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა. რაც შეეხება სირიაში გამოყენებულ ქიმიურ იარაღს, რუსები ამბობენ: ქიმიური იარაღი როგორ არის გამოყენებული, როდესაც ამერიკელების მიერ გავრცელებულ კადრებში ნათლად ჩანს, რომ ადამიანები სპეციალური კომბინეზონების გარეშე უკეთებენ დეზინფექციას ვითომდა დაზარალებულებსო. სირიაში, დაბომბილ დასახლებებში კი არა, საქართველოშიც არ აქვთ სათანადო რაოდენობის დამცავი კომბინეზონები. ასე რომ, ეს საკმაოდ სუსტი არგუმენტია.

— მსოფლიო ომი, რისი მოლოდინიც ბევრს ჰქონდა, არ დაიწყო, მაგრამ პუტინმა ამერიკა და მისი მოკავშირე ქვეყნები სუვერენული



საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ ქიმიური იარაღი უკვე არაერთხელ გამოიყენა

სახელმწიფოს წინააღმდეგ აგრესიაში, გაეროს წესდებისა და საერთაშორისო სამართლის დარღვევაში დაადანაშაულა. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?

— არათუ მესამე მსოფლიო ომის, რეგიონული ომის მოლოდინიც არ მქონია. სუფთა სამხედრო თვალსაზრისით, ეს იერიში ბევრს ვერაფერს შეცვლის. უბრალოდ, ნატომ ასადის რეჟიმის უმსგავსობისადმი სადამსჯელო, პოლიტიკური აქცია განახორციელა. კარგი იქნება, თუ დასავლეთი ცოტა მეტად გააქტიურდება და ამ დაუსრულებელ ომს ნერტილი დაესმება.

ბიან სუსაშვილი, ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში:

— ბოლო პერიოდში რუსეთი და ამერიკა ფსონებს ძალიან ზრდიდნენ, ამიტომაც დაიზაფრა მსოფლიო და დრამატული მოლოდინი გაჩნდა. საბედნიეროდ, ეს მოლოდინი არ გამართლდა. მივიღეთ რაღაც შუალედური ვარიანტი, რამაც ახალი კითხვები გააჩინა...

— მაგალითად?

— მაგალითად, მე გამიჩნდა კითხვა: როგორ მოხდა, რომ ასი რაკეტა გაისროლეს და მსხვერპლი საერთოდ არ იყო? ეს ფაქტი ერთი მხრივ ძალიან კარგია, მაგრამ უცნაურია, რომ ამხელა ობიექტები განადგურდა და ერთი კაციც კი არ დაზარალებულა. როგორ, ახლომახლო დარაჯიც არსად იყო? ფანტასტიკის სფეროა.

ამირან სალუშვაძე:

— დიდი გულისყურით ვადევნებდი თვალყურს იმ 2-3-დღედიან შუალედს, რომელიც ტრამპის განცხადების შემდეგ იყო. როგორც პოლიციის ფილმებში ხდება, ზუსტად ისე ვითარდებოდა მოვლენები თეთრ სახლში, პენტაგონსა და სპეცსამსახურებში. პრეზიდენტი სხვა ამერიკელ მაღალჩინოსნებთან ერთად დღე და ღამე გეგმავდა ოპერაციის დეტალებს. ის ფაქტი, რომ სამხედრო ოპერაციას მსხვერპლი არ მოჰყოლია, იმით იყო განპირობებული, რომ პენტაგონმა რუსეთს, ცხელი ხაზის საშუალებით, წინასწარ შეატყობინა რაკეტების გაშვების შესახებ. შესაბამისად, მოსახლეობა და სამხედრო ძალა გაიყვანეს ობიექტებიდან. საგულისხმოა ისიც, რომ ტომპავეკები ერთ-ერთი ყველაზე მაღალი სიზუსტის იარაღია. მისი გამოყენებისას მიზანში ცდომილება თითქმის არ არსებობს.

— გერმანიის კანცლერმა, ანგელა მერკელმა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის სამხედრო ოპერაცია „აუცილებელ და გამართლებულ“ ქმედებად შეაფასა, მაგრამ ოპერაციაში იტალია და გერმანია არ მონაწილეობდნენ. თქვენი აზრით, რით იყო ეს განპირობებული?

— ჩემი აზრით, გერმანიას ობიექტური მიზეზები ჰქონდა, რის გამოც სამხედრო ოპერაციაში ვერ მიიღო მონაწილეობა. ვფიქრობ, ამ ქვეყანას შიდა პრობლემები აქვს. თუ ნატოს რომელიმე სახელმწიფომ თავი შეიკავა, ეს იმას ნიშნავს, რომ კოალიციაში განხეთქილებაა. შეგახსენებთ, რომ ავღანეთში, სადაც მთელი მსოფლიო საერთაშორისო ტერორიზმს ებრძვის, ნატოს წევრ ძალიან ბევრ სახელმწიფოს საკმაოდ მოკრძალებული რაოდენობის კონტინგენტი ჰყავს წარმოდგენილი.

— ტრამპმა განაცხადა, რომ რუსეთის მიმართ პასუხი იქნება როგორც სამხედრო, ისე ეკონომიური თვალსაზრისითაც. უკვე ამოქმედებულია სასანქციო პოლიტიკა, სხვას რას შეიძლება გულისხმობდეს?

ბიან სუსაშვილი:

— მართლაც, სასანქციო პოლიტიკა ახალი თემა აღარ არის. ალბათ შეეცდება, ზენოლა კიდევ უფრო გააძლიეროს. რამდენად კარგად გამოვა, ეს ცალკე საკითხია. სიმართლე რომ გითხრათ, სანქციების ეფექტიანობის არ მჯერა. ჩემი აზრით, დასავლეთი ცუდად იცნობს რუსეთის სახელმწიფოს ფუნდამენტს.

...პენტაგონმა რუსეთს, ცხელი ხაზის საშუალებით, წინასწარ შეატყობინა რაკეტების გაშვების შესახებ

დასავლეთის მთავარი ფასეულობა თავისუფლება და კეთილდღეობაა და ჰგონია, რომ რუსეთისთვისაც ესაა მთავარი. სინამდვილეში, რუსეთისთვის თავისუფლება და კეთილდღეობა მეორეხარისხოვანია, ამ ქვეყნის ფუნდამენტი „ველიკო დერჟავაზე“ აგებული. პროცესი გვიჩვენებს, რომ დასავლეთი რაც უფრო მეტად ცდილობს რუსეთის კეთილდღეობა დააზიანოს, ქვეყანაში მით უფრო ძლიერდება „ველიკოდერჟავული“ განწყობა. ანუ საპირისპირო შედეგს იღებენ, მაგრამ მაინც იმავეს აგრ-

ძელებენ. რატომ? არ ვიცი, ამას ვერ ვხვდები. ე.ი. რუსებს კი არ ათვინიერებენ, აბრაზებენ. აი, ამ გაბრაზებაზე თუ რაიმე გეგმა აქვთ დასახული, ეს აღარ ვიცი. საბჭოთა კავშირი მაშინ



ტრამპს გარკვეული პრობლემები აქვს პუტინთან კომუნიკაციის თვალსაზრისით

დაინგრა, როდესაც დასავლეთთან ურთიერთობები დაათბო. ფაქტია, რომ საბჭოთა კავშირს ცივი ომი და დასავლეთის იზოლაცია უფრო აძლიერებდა. ახლაც ასეა, პუტინს ეს სანქციები უფრო აძლიერებს. ამაზე მიანიშნებს რეიტინგებიც. ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებზე, როდესაც დასავლეთისგან სასანქციო პოლიტიკა პიკზე იყო, პუტინმა მოსახლეობის უპრეცედენტოდ მაღალი მხარდაჭერა მიიღო.

— იყო ასეთი მოსაზრებაც, რომ ტრამპმა, როგორც ბიზნესმენმა,

მაქსიმალურად ზევით ასწია ფსონები, რომ საბოლოოდ, პუტინთან მოლაპარაკებას მიაღწიოს. თქვენი პოზიცია როგორია ამ საკითხთან მიმართებაში?

— ეს მოსაზრება ლოგიკურია. ტრამპს გარკვეული პრობლემები აქვს პუტინთან კომუნიკაციის თვალსაზრისით, რადგან ის რუსეთის მიმართ კეთილგანწყობაშია ეჭვმიტანილი. აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გამორიცხული, რომ ტრამპმა ეს უცნაური ექსკალაცია პუტინთან შეხვედრის მოსამზადებ-

ლად ნამონიყო. შეგახსენებთ ჩრდილოეთ კორეას მაგალითს. ამერიკასა და კორეას შორის უთანხმოება აგრესიულ რიტორიკაში გადაიზარდა. პირველი პირები შეურაცხყოფასაც კი აყენებდნენ ერთმანეთს. იქაც ყველა ელოდებოდა დიდი ომის დაწყებას. დღეის მდგომარეობით კი ვიცით, რომ მიმდინარეობს ტრამპსა და კიმ ჩენ ინს შეხვედრისთვის კონსულტაციები. არ გამოვრიცხავ, რომ იგი

აღმოვჩნდებით, მაგრამ ამის გამორიცხვაც არ შეიძლება.

— ე. ი. რუსეთის მხრიდან, ამ ეტაპზე რაიმე ტიპის სამხედრო აგრესიას არ უნდა ველოდოთ? ამირან სალუქვაძე:

— ვფიქრობ, რომ რუსეთის გააქტიურება მოსალოდნელია სხვა მიმართულებით, მაგრამ არა ამ უახლოეს დღეებში. მათ ჩასატარებელი აქვთ საკმაოდ სერიოზული სპორტუ-

კონფლიქტის განახლება: ეს კონფლიქტი თუ განახლდება, რუსეთი და ირანი სომხეთს მიემხრობიან, ხოლო თურქეთი — აზერბაიჯანს, ჩვენ კი, პირდაპირ ჩართული ვიქნებით ამ დაპირისპირებაში. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში დასავლეთი ჩვენი ტერიტორიისა და რესურსების გამოყენებას მოინდომებს.

სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი:

— ამ დღეებში ბევრი მესამე მსოფლიო ომის დაწყებას პროგნოზირებდა. მე ამ საფრთხეს ვერ ვხედავ, რადგან არც ერთ ნამყვან სახელმწიფოს ეს ხელს არ აძლევს. ალბათ ამის გამო, ტრამპი ჯერ „ჭკვიანი“ და ლამაზი რაკეტებით დაიშუქრა, მერე კი გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობის დაძაბვის მიზეზი არ არსებობს. სწორედ ამიტომ, აშშ-ის დარტყმები სირიაში უფრო სიმბოლური დატვირთვისა იყო. მე არც იმ მოსაზრებას ვეთანხმები, რომ სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში საქართველო პოლიგონად გადაიქცევა. დღეს ტექნოლოგიები ისეა განვითარებული, რომ მონინავე სახელმწიფოებს შეუძლიათ თავიანთი რაკეტები ასეული კილომეტრის სიშორეზე გაუშვან და უკონტაქტო ბრძოლა აწარმოონ — ამ დროს მონინაალმდეგეები ერთმანეთს ვერც კი ხედავენ, ისე ანადგურებენ. მესამე მსოფლიო ომის დაწყებას მხარეთა ეკონომიკური ინტერესებიც ხელს უშლის. მაგალითად: ამ დღეებში „ფორბსის“ ავტორიტეტული ექსპერტების კვლევა ნავიკითხე, სადაც ნათქვამია, რომ პუტინის ქონება 40 მილიარდ დოლარს აღწევს. როგორ ფიქრობთ, ის ყველას დაუპირისპირდება და ამ 40 მილიარდს სასწორზე დადებს? ავიღოთ თუნდაც მილიარდები, რომლებსაც ოჯახები ევროპაში ჰყავთ, იქ ცხოვრობენ, რუსეთში კი ფულს შოულობენ, რომ მერე ეს ფული ევროპაში ლამაზად დახარჯონ. ისინი თავიანთ კეთილდღეობას სასწორზე დადებენ? ამიტომ, ასეთი დაპირისპირების დროს მუშაობენ დიპლომატები, რომ არ მოხდეს უარესი. რუსეთსა და დასავლეთს შორის დაძაბულობა მოგვარდება თუნდაც იმის გამო, რომ რუსეთის ეკონომიკა დღეს უსუსტესია და ხანგრძლივი ომის თავი არა აქვს. აპოკალიფსისა და მესამე მსოფლიო ომის საფრთხე კი — არ არსებობს.

რუსეთის გენერალურ შტაბსა და სხვა შესაბამის სტრუქტურებში უამრავი სცენარი იწერება. ამიტომ ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს

ასეთი ექსტრავაგანტური ფორმით ამზადებდეს პუტინთან შეხვედრასაც. მან მაქსიმალურად დაზაფრანის ადამიანები, ვინც მას რუსეთთან კავშირში სდებს ბრალს. ახლა სულაც არაა გამორიცხული, რომ მათ თავად სთხოვონ ტრამპს, დაელაპარაკოს პუტინს, ვინაიდან ომი არავის უნდა. საერთო ჯამში ეს ცუდი არ არის.

— ხომ არ არის შესაძლებელი, რომ გარკვეული შეთანხმებების საწინააღმდეგო ამერიკამ საქართველოში თავისი პოზიციები დათმოს?

— არ არის გამორიცხული, რომ პუტინისა და ტრამპის მოლაპარაკებები ჩვენთვის უსამოვნო იყოს. რეალურად, დიდი ქვეყნების ნაციონალურ ინტერესებს ხშირად ეწირება პატარა ქვეყნების ინტერესები. საქართველოს მსგავსი ქვეყნები ხშირად სავაჭრო დახლზეც კი აღმოჩნდებიან ხოლმე. მე არ ვამბობ, რომ ჩვენ აუცილებლად ამ დახლზე

ლი ფორუმი, მსოფლიო ჩემპიონატში. ამიტომ შეეცდებიან, რაც შეიძლება ნაკლები ბოიკოტი მიიღონ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. ბრიტანეთმა უკვე განაცხადა, რომ ამ ჩემპიონატს ინგლისის პოლიტიკური ხელმძღვანელობა არ დაესწრება. არ არის გამორიცხული, რომ მათ სხვა სახელმწიფოებიც შეუერთდნენ. ერთი სიტყვით, უახლოეს მომავალში არაფერს უნდა ველოდოთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის გენერალურ შტაბსა და სხვა შესაბამის სტრუქტურებში უამრავი სცენარი იწერება. ამიტომ ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს.

მამუკა არაშვიძე, ექსპერტი კავკასიის საკითხებში:

— სირიელი ხალხის უბედურება ის არის, რომ იქ რამდენიმე ძლიერი სახელმწიფოს ინტერესი იკვეთება. რუსეთი და აშშ მაქსიმუმს გააკეთებენ, ეს კონფლიქტი რომ მესამე მსოფლიო ომში არ გადაიზარდოს, მაგრამ ჩვენთვის უფრო საშიში პატარ-პატარა კონფლიქტებია, რადგან ირიბად თუ პირდაპირ, ეს დაძაბულობა მაინც გველის. მხარეთა შორის კონფლიქტში ჩვენი მტრებიც არიან ჩართული და მეგობრებიც, თითოეული მათგანი შეეცდება, სამხრეთ კავკასიის სივრცე გამოიყენოს. ყველაზე რეალური საშიშროება კი, ამჟამად ყარაბაღის კონფლიქტის განახლებაა. დასავლეთში ძალიან არ მოსწონთ პოლიტიკური ტრიუმფირატი — ირანის, რუსეთისა და თურქეთის შემადგენლობით. ამიტომ, ყველაფერს გააკეთებენ, რომ ეს ტრიუმფირატი დაშალონ. ამის ერთ-ერთი მეთოდი ყარაბაღის



რუსებს კი არ ათვინიერებენ, აბრაზებენ

თავითა დაღეპული

— ამომრჩეველი რომ მეორე ვადით მენდო, ჩემთვის ეს უმნიშვნელოვანესია. მოსახლეობასთან შეხვედრისას როცა მათ სიყვარულს ვგრძნობ, ამით ბედნიერი ვარ, ეს პასუხისმგებლობას მმატებს და დიდ სტიმულს მაძლევს, რომ უფრო მეტი საქმე გავაკეთო. პრობლემურ საკითხებს ხალხთან ერთად განვიხილავ. პირველი მოწვევისას, ჩემი მთავარი ამოცანა იყო, ჩუღურეთის რაიონისთვის ხელწერა დამეტოვებინა, ერთ-ერთი განახლებული აღმაშენებლის შესანიშნავი პროექტი იყო, რომელიც განვახორციელეთ. ჩემს რაიონში ბევრი სოციალურად შეჭირვებული ადამიანი ცხოვრობს და მათ არსებული ვითარება უნდა შევეუმსუბუქო. ჩვენთვის მთავარია, ადამიანებს იმედი არ გავუცრუოთ. ვაშენებთ ახალ საბავშვო ბაღებს, სკვერებს, სტადიონებს. ბევრ სოციალურ პროექტს ვახორციელებთ, რომლებიც მრავალშვილიან დედებსა და სოციალურად დაუცველებს ეხება.

მიხარია, ქალბატონები რომ აქტიურობენ, ბევრი შემომიერთდა და ჩამოვაყალიბეთ ქალთა კლუბები, რომლებშიც ვაწყობთ — პაემანი ჩაიხე: შევდივართ ეზოებში, სადაც მიმდებარე სახლის 10-15 წარმომადგენელი ვსხდებით და იმ პრობლემებზე ვსაუბრობთ, რაც აწუხებთ. უშუალო შეხვედრებისას ბევრი საინტერესო საკითხი წამოჭრეს. ვერავინ იტყვის, რომ მე ვინმეს პოლიტიკური ნიშნით ვასხვავებ, ყველას ერთნაირად ვეხმარებით, ჩვენივე ხელფასებიდან თანხებს ვკრებთ და შეძლებისდაგვარად, რაღაცებს ვყიდულობთ. პრობაციონერ ქალბატონებს რესოციალიზაციის თვალსაზრისით ვეხმარებით, მათ ოჯახებთან გვაქვს კონტაქტი. მართოხელა პენსიონერებსაც ვსტუმრობთ ხოლმე. მინდა, ჩუღურეთში სოციალური სახლი ავაშენოთ, სადაც ასეთი კონტინგენტი მოიყრის თავს და იგრძნობენ, რომ სახელმწიფო მართლაც ზრუნავს მათზე. ახლა ამ პროექტის განსახორციელებლად ინვესტორს ვეძებ.

— წარმატებებს გისურვებთ! ახლა თქვენ შესახებ გვიამბეთ. როგორია არასაქმიანი რიმა ბერაძე?

— დავიბადე და გავიზარდე ოზურგეთის რაიონში. 25 წელია, თბილისში ვცხოვრობ. მყავს მეუღლე და ქა-

რიმა ბერაძის პირადი ცხოვრება

„ბიბლიოთეკასთან სპეცრაზმელმა ისე ჩამარტყა, იმდროინდელი ნიშანი დღესაც მატყვია“

თბილისის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს წევრი, ჩუღურეთის რაიონის მეორე მოწვევის მაჟორიტარი დეპუტატი — რიმა ბერაძე თავისი საქმიანობისა და ყოველდღიური ცხოვრების, ოჯახის, ამომრჩეველთან ურთიერთობისა და პოლიტიკური წარსულის შესახებ გვესაუბრა.



თუ რამ დადებითი გამაჩნია, დედის დამსახურებაა

ლიშვილი. მრავალშვილიან ოჯახში დავიბადე — ოთხი და და ერთი ძმა ვართ. თუ რამ დადებითი გამაჩნია, დედის დამსახურებაა. სკოლაში კარგად ვსწავლობდი და ოჯახში ჩვენი მოვალეობები გადანაწილებული გვქონდა. ყველაზე მთავარი იყო ის, რომ სამსახურიდან დაბრუნებული, დაღლილი დედა გავგვებარებინა. უმაღლესი სასწავლებელი ხუთივემ

ცნობილი კლინიკის მენეჯერია. **— თქვენი ქალიშვილი სწავლობს?** — ქეთი კავკასიის უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტია, პირველი საჯარო სკოლაც წარჩინებით დაამთავრა, ამით ვამაყობ. მიხარია, კარგი მოქალაქე და კარგი ახალგაზრდა რომ არის, ქართულ ტრადიციებზე გაზრდილი, მორწმუნე გოგონა. მისი მთავარი ამოცანა

■ მინდა, ჩუღურეთში სოციალური სახლი ავაშენოთ, სადაც ასეთი კონტინგენტი მოიყრის თავს და იგრძნობენ, რომ სახელმწიფო მართლაც ზრუნავს მათზე

დავამთავრეთ. სამწუხაროდ, ერთი და გარდაგვეცვალა... ოზურგეთში მოხუცებული დედა მყავს, ამჟამად ცოტა შეუძლოდა და უფალს ვთხოვ, მალე გამოჯანმრთელდეს. ჩემი ძმა და რძალი ამერიკაში ცხოვრობენ, წარმატებული ექიმები არიან ნიუ-იორკში. ჩემი რძალი ერთ-ერთი

საქმეა — ბიზნესი აირჩია. ჩემი მთავარი ამოცანა კი ქეთია, მეორე — ჩემი სამსახურია, ის ამომრჩეველი, რომელიც მეორედ მენდო. **— ოჯახსა და სამსახურს როგორ უთავსებთ ერთმანეთს? მეუღლე თუ ხელს არ გინწყობთ, რთულია.** — ნამდვილად. ჰარმონიული

სიტუაცია გვაქვს, ოჯახი სიყვარულით შევქმნით, ქართულ ტრადიციასა და ჩემს ოჯახურ ტრადიციებს დიდ პატივს ვცემ. ჩემი მეუღლეც ოზურგეთელია. ყოველთვის ვფიქრობ, რით ვარგო ქვეყანას და მიხარია, რომ



ზოგჯერ ქეთი მეხმარება, მაგრამ სტუდენტს სხვაც ბევრი საზრუნავი აქვს

ღირსეული გუნდის წევრი ვარ, ღირსეულ მერთან მიწევს მუშაობა. ჩემმა რაიონმა ბატონ კახი კალაძეს ძალიან მაღალი პროცენტით დაუჭირა მხარი და ეს ჩემი გამარჯვებაცაა, რადგან ამ რაიონში „ქართულ ოცნებას“ მე წარმოვადგენდი. მინდა, რომ ჩუღურეთი სიცოცხლით სავსე ქალაქის ერთ-ერთი გამორჩეული რაიონი იყოს.

— **პროფესიით ეკონომისტი და პოლიტოლოგი ხართ. ადრე ოზურგეთშიც არაერთი თანამდებობა გეკავათ. როგორ ვითარდებოდა თქვენი კარიერა?**



ზოგჯერ ამბობენ, თუ ვინმე არ გყავს, ვერაფერს მიაღწევო

— სხვათა შორის, გეოლოგობა მინდოდა. ოზურგეთში არსებობდა მაღაროთა სამმართველო, სადაც ბუნებრივრესურსებითწიალისეულს იღებდნენ და გეოლოგი ქალბატონები მუშაობდნენ. ისინი რუკებით რომ დადიოდნენ, ჩემში დიდ ინტერესს იწვევდა. დედას მეგობრები იყვნენ, მან კი კარგად იცოდა, როგორი შრომატევადი საქმე იყო და ეკონომისტობა მიჩნია. თუმცა, 2006 წლიდან, შეიძლება ითქვას, ქუჩაში ვარ, ყველა აქციაში ვმონაწილეობდი და განსაკუთრებით მძიმედ 7 ნოემბრის პროტესტი მახსოვს. ბიბლიოთეკასთან სპეცრაზმელმა ისე ჩამარტყა, იმდროინდელი ნიშანი დღესაც მატყვია...

ბავშვობიდანვე ძალიან აქტიური ვიყავი, მერვე კლასში თანატოლები შევეკრიბე და თამარ მეფის ციხეზე ავედი, იქაურობა გავასუფთავეთ ეკალ-ბარდებისგან. არადა, მაშინ ქვეყანაში ათეიზმი მძვინვარებდა... ჩემთვის მთავარი იყო, ვილაცას მხარში ამოვდგომოდი და დაეხმარებოდი. ქუჩაში ასაკოვან ქალს რომ დავინახავდი, ჩანთებით დატვირთულს, გავიქცეოდი, ჩამოვართმევდი და სახლამდე მივატანინებდი. ჩემი მეზობელი ხუმრობით გამცილებელსაც მეძახდა (იციინის).

„თეთრი მანდილის“ წევრიც ვიყავი და იმ მატარებელში ვიჯექი, გალამდე რომ ჩავედით და მერე აღარ გაგვიშვეს. მატარებელი 25 სექტემბერს უკან მობრუნდა, 27-ში კი სოხუმი დაეცა... ბედნიერი ვიყავი, როცა გასულ წელს ომბუდსმენმა „ყველაზე ტოლერანტის“ სტატუსი მომანიჭა.

— **„ქართულ ოცნებას“ როგორ დაუქვემდებარდით?**

— 2011 წელს, როცა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გამოაცხადა, რომ ახალ პარტიას ქმნიდა, საერთოდ არ ვიცოდი, ის ვინ იყო, მაგრამ მისი პოლიტიკური გზავნილები მომწონდა. მოქალაქეობა რომ წაართვეს, მოხალისეები ავიყოლიე და დავდიოდი — ხელმონერებს ვაგროვებდი, მოქალაქეობა რომ დაებრუნებინა... ოზურგეთში გარკვეული წლების განმავლობაში ვმუშაობდი, რაიკომის მდივანიც ვიყავი და პატარა გოგოს ხალხი მენდობოდა. როცა ჩავდივარ, ბევრი ადამიანი მაღლობას მეუბნება, ეს ჩემთვის ყველაზე მთავარია... ზოგჯერ ამბობენ, თუ ვინმე არ გყავს, ვერაფერს მიაღწევო. სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ჩემ უკან, ცოდნის გარდა, არას-

დროს არავინ მდგარა, ეს ცოდნა კი დამიფასდა და ადამიანები მიცნობენ ისეთს, როგორიც ვარ... მერე ჩუღურეთის რაიონის „ქართული ოცნების“ თავმჯდომარედ ამირჩიეს. სწორედ მაშინ გავაკეთე ჩუღურეთის რაიონის „პასპორტი“, სადაც აღწერე მოსახლეობა და თუ რაიმე არსებობდა, ყველაფერი შევიტანე — რამდენი მოქალაქე, საბავშვო ბაღი თუ სკოლა, ქუჩა იყო ამ საზღვრებში.

— **როგორი დიასახლისია რიმა ბერაძე? საოჯახო საქმეების კეთება თუ გინწევთ?**

— რთული გრაფიკი მაქვს, მაგრამ საოჯახო საქმეებს ვაკეთებ, დამხმარე არ მყავს. თავის ქებაში ნუ ჩამითვლით, თუ ვიტყვი, რომ ძალიან მონესრიგებული დიასახლისი ვარ, ჩემს სახლს არეულს ვერ ნახავთ. ზოგჯერ ქეთი მეხმარება, მაგრამ სტუდენტს სხვაც ბევრი საზრუნავი აქვს. სადილს დილით ადრიანად ვაკეთებ. ჩემს სახლში შემოსვლისთანავე, ყველა კედელი ჩემს ბიოგრაფიას გაგაცნობთ: მერე უკრუსე ვიყავი, როცა პოლონეთის საგზურით დამაჯილდოეს. მას შემდეგ, რომელ ქვეყანაშიც ჩავიდოდი, სამახსოვროდ რაღაც ნივთები ჩამომქონდა და ყველაფერი კედელზეა გამოფენილი. ამბობენ, რომ კარგი კულინარიც ვარ. ნამცხვრების გამოცხობა არ გამომდის, მაგრამ შესანიშნავ ხაჭაპურს ვაცხობ, საცივს ვაკეთებ, ყველანაირი სადილის მომზადება ვიცი. გურულები-სთვის საცივი ყველაზე მთავარია და ქალმა მისი კეთება თუ იცი, ე.ი. მაგარი ხარ (იციინის). დღესასწაულებისთვის განსაკუთრებულად ვემზადებით.

— **როგორც ვიცი, დილაადრიან ვარჯიშსაც ასწრებთ...**

— დიას. ახალგაზრდობისას დავრბოდი. ახლა ტელეფონში აპლიკაცია მაქვს და დღეში 3-4 კილომეტრს ფეხით დავდივარ. ზოგჯერ, სამსახურშიც ფეხით მოვდივარ, ხშირად — საზოგადოებრივი ტრანსპორტით. სპორტული ტრენაჟორები ჩემს სახლთანაცაა, დილით ექვს საათზე ვდგები და იქ ვვარჯიშობ. ყველაზე კარგი ისაა, რომ ჩემი რაიონის ამომრჩეველები მიერთდებიან და ყოფით საკითხებზე იქაც მესაუბრებიან; ისეც მომხდარა, რომ ვარჯიშისას, ბევრი საკითხი მოგივარებია (იციინის). არ შეიძლება, რაიმე პოზა მეჭიროს, ჩვეულებრივი მოქალაქე ვარ. უფლება არ მაქვს, არ ვიყო, ადამიანებსა და ნებისმიერ სტრუქტურას შორის. ■



დაუჯერე ნიშნებს
მოგება შეუძლია ყველას

საქართველოს ეროვნული ლატარია
lotto.ge | 200 77 00

ოჯახური ძალადობა – დაუძლეველი პრობლემა



თაა ხურცილავა

სადისტური მკვლელობა თბილისში მოხდა: თაკო გამრეკელაშვილი ვაკე-საბურთალოს პოლიციიდან სახლში შვილებთან ერთად დაბრუნდა. სწორედ ნაქირავებ ბინაში დახვდა ჩასაფრებული მოძალადე მამინაცვალი, რომლისგან დაცვას ის სამართალდამცავებს სთხოვდა. სწორედ ამ თხოვნით იყო ტრაგედიამდე 2 საათით ადრე დედასთან ერთად

24 წლის თაკო გამრეკელაშვილის შემზარავ მკვლელობაში ბრალდებული მამინაცვალი, ვეფხია ბაქრაძე ციხეშია გამოკეტილი და ჩადენილისთვის ალბათ უმკაცრესად დაისჯება, მაგრამ კიდევ 2 პატარა გაიზრდება უდედოდ.

ნივთები დანით დაჭრა და დააზიანა. მერე სახლში დაბრუნებული გოგონა სააბაზანოში შეათრია და შვილების თვალწინ დანით ყელი გამოსჭრა, თვითონ კი ფანჯრიდან გადახტა და მიიშალა.

მოკლული გოგონას დედა, ნათია გობაძე ამბობს, რომ ქმარი შვილის მოკვლით ემუქრებოდა. სამართალდამცავები ადასტურებენ დედა-შვილის პოლიციაში ყოფნას, ამბობენ, რომ გოგონამ პოლიციის შენობა დედაზე ადრე დატოვა.

— ბავშვების ტირილის ხმა რომ გავიგონე, კარზე დავაბრაახუნე, არ გამიღეს და სალონში ჩავედი, ვთხოვე, გამომყოლოდნენ. ბავშვმა გაალო კარი, გოგონა სისხლიანი იყო, იატაკი — მოსვრილი, — განაცხადა მეზობელმა.

მეორე მეზობელი ამბობს, რომ დაინახა, როგორ გადახტა ფანჯრიდან მამაკაცი და გაიქცა. ბავშვებს არ გასჭირვებიათ დამნაშავის ამოცნობა, ისინი ბებიის ქმარს იცნობდნენ და სამართალდამცავებს დამნაშავის

2017 წლის 25 მაისს გათავისუფლდა პატიმრობიდან.

პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი აღიარებს, რომ ვეფხია ბაქრაძის ციხიდან გათავისუფლება შეცდომა იყო. ამ შემზარავი ფაქტის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი ძალადობრივ დანაშაულთან მიმართებაში შეწყალების აქტების გამოცემას დროებით წყვეტს: „ბუნებრივია, ჩვენთვის ძალიან მძიმე გადასატანია ყოველი ასეთი შემადრწუნებელი ძალადობის აქტი. კიდევ უფრო მძიმეა, რომ ამ დანაშაულში ეჭვმიტანილი შეწყალებულია ჩვენ მიერ... შეძრწუნებულები ვართ როგორც ამ მოვლენით, ასევე იმ შეცდომით, რომელიც დაეშვიტა. შეიძლება, უნებლიე შეცდომა იყო. მერე რა, რომ ჩვენ თუ არ შევიწყალებდით, ადამიანი უკვე გარეთ იქნებოდა? ეს არ გვიმსუბუქებს მორალურ ტვირთს. თუ ვინმე მეტყვის, რა უნდა გაგვეკეთებინა, თუ ვინმე ამაზე მიმითითებს, მაღლობელი ვიქნები. ძალიან მძიმეა, როდესაც ასეთ საქმესთან ასოცირდები. ამიტომ ნებისმიერ რჩევას მოვისმენ“.

ცნობილია, რომ ბაქრაძის შეწყალება მისმა მეუღლე ნათია გობაძემ ითხოვა. ნათია გობაძისთვის ეს მეორე ქორწინებაა. პირველი ქორწინებიდან 2 შვილი ჰყავს. 2 ქალიშვილი ჰყავს ასევე პირველი ქორწინებიდან ბრალდებულ ბაქრაძეს, თუმცა როგორც ამბობენ, მას კიდევ ჰყავდა სხვა ცოლი და იმასთანაც ჰყავს შვილები.

ვეფხია ბაქრაძის ქალიშვილები ამბობენ, რომ ნათია და ვეფხია ერთად იყვნენ და ციხიდან გამოსვლის შემდეგ ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ. უფრო მეტიც, მათი თქმით, დანაშაულის ჩადენამდე 10 დღით ადრე, მათ სამოქალაქო რეესტრში ხელი ისევ ოფიციალურად მოაწერეს და საზღვარგარეთ წასვლას აპირებდნენ.

„ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ორივე დამნაშავეა. შვილების ცხოვრების დანგრევაში ორივე დამნაშავეა. მამაჩემმაც უნდა მოიკლას თავი და ნათიამაც“ — აღნიშნა ვეფხიას შვილმა, ლიკა ბაქრაძემ.

ნათია გობაძე ძალადობის ფაქტსაც იხსენებს: „სულ ძალადობდა

მაშინ მეუღლეს სასტიკად სცემდა, ციხეშიც გამოკეტიეს, ჰანმრთელობის ბანზრახ მიძინა დაგინაებისთვის სასამართლომ დამნაშავედ ცნო

პოლიციაში მისული, საჩივარიც დანერა და შემაკავებელი ორდერის გამოცემა ითხოვეს. პოლიციამ დედა-შვილს ჩვენება ჩამოართვა და დამცავი ორდერიც გასცა, მაგრამ შემაკავებელმა ორდერმა დამნაშავე ვერ შეაჩერა. უფრო მეტიც, როგორც ირკვევა, იმ დროს, როცა დედა-შვილი პოლიციაში საჩივარს წერდა, მათ ნაქირავებ ბინაში დამალული იყო ვეფხია ბაქრაძე და განრისხებული თაკოს დაბრუნებას ელოდა.

ამბობენ, მამაკაცი ცოლთან კონფლიქტებში გერს ადანაშაულებდა, სწორედ ამიტომ განიზრახა მასზე შურისძიება.

მოკლულის დედის თქმით, თაკოს სახლში დაბრუნებამდე, განრისხებულმა მოძალადემ ტანსაცმელი და

ვინაობა უთხრეს. ძალოვანებმა 1972 წელს დაბადებული ვეფხია ბაქრაძე თელეთში დააკავეს.

მალე ისიც გაცხადდა, რომ ბრალდებული ოჯახური ძალადობისთვის ადრე ნასამართლევი იყო. მაშინ მეუღლეს სასტიკად სცემა, ციხეშიც გამოკეტეს, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის სასამართლომ დამნაშავედ ცნო და 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მაგრამ ციხიდან გათავისუფლებას ბაქრაძე სისტემატურად ითხოვდა. მოძალადეს შეწყალების კომისიამ 9-ჯერ უთხრა უარი, თუმცა ამის მიუხედავად, ბაქრაძეს სასჯელი ბოლომდე არ მოუხდია. პრეზიდენტმა ბაქრაძე შეინყალა, სასჯელი გაუნახვერა და ციხეს თავი დააღწია —

ჩემზე როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად. ბოლოს თებერვალში დამხვდა სახლთან და მუქარით ჩამსვა მანქანაში. კუმისში, თავის სახლში წამიყვანა. გზაზე მემუქრებოდა, ფეხები შემიკრა, დანას მიტრიალებდა. სახლში ჯაჭვით დამაბა და ორი კვირა სახლიდან ვერ გამოვდიოდი. მერე წამომიყვანა, მაგრამ რომ არ შევეურიგდი, მუქარა გააგრძელა, რომ ან მე, ან ჩემს შვილს მოკლავდა“.

24 წლის თაკო გამრეკელაშვილის ცხედარს ექსპერტიზა ჩაუტარდა. გამოძიებით დადგინდა, რომ მოკლულს დანით მრავლობითი ჭრილობები აქვს მიყენებული.

მართალია, ძალოვანები აქტიურად მუშაობენ ოჯახში ძალადობით ჩადენილ დანაშაულებზე და ხშირად ისმის, რომ სამინისტროს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაა და თითოეულ ფაქტზე მოახდენენ რეაგირებას. თუმცა ფაქტია, ხშირად დამცავი ორდერი ვერ იცავს მსხვერპლს მოძალადისგან.

დამნაშავეები დაისჯებიან, მაგრამ მთავარია, უფრო მეტად იყვნენ ადამიანები დაცული მოძალადეებისგან. შინაგან საქმეთა მინისტრის

მოადგილის, ნათია მეზვრიშვილის თქმით, შსს-ს მკაცრი პოლიტიკა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთან მიმართებაში ვერ აღსრულდება, თუ ყველა უწყება და მათ შორის პრეზიდენტი არ გაატარებს მკაცრ პოლიტიკას ასეთ დანაშაულთან. „ამ ადამიანს წარსულში ბრალი ედებოდა ოჯახში ძალადობისთვის. მან მაშინ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიაყენა მეუღლეს, რომლის შვილის მკვლელობაშიც ახლა ბრალი ედება. არ ვფიქრობ, რომ პრეზიდენტის შეწყობა ამ შემთხვევაში იყო გამართლებული. ზოგადად, მიდგომა შინაგან საქმეთა სამინისტროსი ამ კატეგორიის დანაშაულისადმი საკმაოდ მკაცრია. ვერ მოხდება ჩვენი მკაცრი პოლიტიკის აღსრულება პრაქტიკაში და საზოგადოებრივი უსაფრთხოების ეფექტიანად დაცვა, თუ ყველა უწყება და მათ შორის პრეზიდენტი არ გაატარებს მკაცრ პოლიტიკას მძიმე დანაშაულებით მიმართებაში“, — განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

შს მინისტრის მოადგილემ შემთხვევითი ორდერის მნიშვნელობაზეც ისაუბრა. „შემთხვევითი ორდერი საკმაოდ ეფექტიანი საშუალებაა,



მამაკაცი ცოლთან კონფლიქტებში გერს ადანაშაულებდა

რომ მოძალადის ქცევის შეკავება და ძალადობის თავიდან არიდება მოახდინოს, თუმცა არსებობს შემთხვევები, როცა მხოლოდ შემთხვევითი ორდერი საკმარისი არ არის და როცა ასეთი შემთხვევებია, სათანადო იძულების ღონისძიების გამოყენება ხდება — ეს იქნება დაცვა თუ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა. შემთხვევითი ორდერი საკმაოდ მნიშვნელოვანი

დოქტორ სონი

კაფს N20

მცენარეული დაბამქვილქელი.
საძილე საშუალება



ჩვენებები:

ძილის დარღვევა და უძილობა

ემოციური სტრესი, შფოთვა, ნერვული აგზნებადობა

აკვიატებული აზრები, ფსიქიკური ბალიზიანება

დეპრესია

გამოყენების წინ გაცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

შპს-ს მფლობელი: „ნაბროს ფარმა“
ფიზიკური საკომპარაგელო საპროდუქციო
შ.პ.ს. „ნობა ფარმა“
შპს-ს მფლობელი № 56
ბილ: 557 84 39 34



ბერკეტია, მოძალადეები რომ შევაკავოთ. ბოლო სამი თვის განმავლობაში ოჯახში ძალადობის ფაქტზე 800-ზე მეტი პირი დავაკავეთ და 1.400-ზე მეტი შემაკავებელი ორდერი გამოვეცით“, — განაცხადა შს მინისტრის მოადგილემ, ნათია მეზერიშვილმა.

სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრი, კახა კახიშვილიც გამოეხატა ბაქრადის შეწყობას და შეწყობის კომისიის საქმიანობაზე ისაუბრა. მისი თქმით, ყოფილა შემთხვევები, როდესაც შეწყობის

ტიპის კომუნიკაცია უფრო მჭიდრო იქნება სასჯელალსრულების სამინისტროსა და შეწყობის კომისიის შორის, რომ ამ ინფორმაციების საფუძველზე მივიღეს პრეზიდენტთან სხვაგვარი დასკვნები, თუნდაც კონკრეტულ პატიმართან დაკავშირებით“, — განაცხადა მინისტრმა კახიშვილმა. სასჯელალსრულებისა და პრობაციის მინისტრი, შეწყობის საკითხის დახვეწის მიზნით, მზად არის საქართველოს პრეზიდენტსა და შეწყობის კომისიის ადმინისტრაციას შეხვედეს:

იმედია, მომავალში კომისია უფრო გულმოდგინედ შეისწავლის თითოეული შესაწყობელი ბრალდებულის საქმეს და ისე მიიღებს გადაწყვეტილებას, რადგან ფაქტია, ბოლო დროს ბევრჯერ გაისმა პრეტენზია და ზედღებულ რამდენჯერმე გააკრიტიკეს პრეზიდენტი და შეწყობის კომისია, რადგან კვლავ დაფიქსირდა შემთხვევები, როცა შეწყობულმა პირებმა ახალი დანაშაული ჩაიდინეს.

ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე ამ დღეებში კიდევ ორი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს. ერთ-ერთი ასეთი ფაქტი მუხიანში მოხდა: 26 წლის ბიჭის მკვლელობაში მისი სიძე მხილებული და დამნაშავე მამინ დააკავეს, როცა წითელი ხიდის გავლით ქვეყნის დატოვებას აპირებდა. როგორც მეზობლები ამბობენ, მათ შორის იყო კონფლიქტი, სიძე ცოლის სახლში ცხოვრობდა, თუმცა არ აკონკრეტებენ, თუ რა სახის კონფლიქტზეა საუბარი. ფაქტიერთია: იმ დღეს სიძემ ცოლისძმა სახლიდან გაიყვანა საქმის გასარჩევად და მუხიანში, ერთ-ერთი სკოლის ეზოში მოხდა მათ შორის დაპირისპირება. სწორედ იქ, 26 წლის ბიჭს, ცეცხლსასროლი იარაღით ორი ჭრილობა მიყენა. მართალია, დაჭრილი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ის სისხლისგან დაიცალა და გარდაიცვალა.

კიდევ ერთი შემთხვევა ამ დღეებში ფოთში, ბათუმის ქუჩაზე მოხდა. 30 წლამდე მამაკაცმა მამინაცვალი მოკლა. მეზობლებმა გარდაცვლილი იატაკზე დაგდებული იპოვეს. ადგილობრივების თქმით, მას დაზიანება თავში აქვს მიყენებული. ისინი სახლში მარტო ცხოვრობდნენ. რა მოხდა მათ შორის, მეზობლებმა არ იციან, რადგან ხმაური არ გაუგონიათ. თურმე ორივე დასავამი იყო. დამნაშავე ძალოვანებმა დააკავეს. მეზობლების თქმით, დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავემ სახლში დაიძინა.

„ორივე მარტო ცხოვრობდა და ხშირად სვამდნენ. არ ვიცით, რა მოხდა იმ დღეს. თბილისიდან ჩამოვიდნენ, მეორე დღით მეზობლის კაცი მივიდა და ძირს დაგდებული მამაკაცი ნახა. ბიჭს ეძინა, გვამი ეგდო მიწაზე, თავი ჰქონდა დარტყმული. მკვლელობის მიზეზი არ ვიცით. პოლიციამ ბიჭი დააკავა. მსხვერპლი მშრომელი კაცი იყო. მისი გაზრდილია ეს ბიჭი. ალბათ გამოძიებით გაირკვევა, რა მოხდა“, — ამბობს მეზობელი.

თურმე ორივე დასავამი იყო... მეზობლების თქმით, დანაშაულის ჩადენის შემდეგ დამნაშავემ სახლში დაიძინა

კომისიის პატიმრები განსაკუთრებული რისკის დაწესებულებიდან შეუწყობიან. „განსაკუთრებული რისკი“ არის დაწესებულება, სადაც კანონში პირდაპირ წერია, რომ იქ თუ ადამიანი მოხვდება, მის მიმართ პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხი საერთოდ არ განიხილება, რადგან განსაკუთრებული რისკია. ამ დაწესებულებიდანაც შეუწყობიან პატიმრები, რაც ჩვენთვისაც გასაოცარი იყო. იმდღეს ვიტოვებ, რომ მომავალში ასეთი

„ჩემთვის ძალიან პატივსაცემი ადამიანები არიან შეწყობის კომისიაში, მაგრამ როგორც ჩანს, მექანიზმების დახვეწაა საჭირო. ჩვენ ვადაზე ადრე გათავისუფლების შემთხვევაში მთელი რიგი საკითხები დავხვეწეთ, დავნერგეთ ზეპირი მოსმენის მექანიზმი, რაც გულისხმობს მსჯავრდადებულ პირთან კომისიის წევრების პირისპირ გასაუბრებას“, — აღნიშნა მინისტრმა. მისი თქმით, შეწყობასა და პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე უარის თქმა იქნება შეცდომა:

„მსჯავრდადებულს უნდა ჰქონდეს მოტივაცია, რომ თუ ის აღიარებს დანაშაულს, ემორჩილება სარეჟიმო პირობებს და მინიმუმამდე იქნება დაყვანილი დანაშაულის ხელმეორედ ჩადენის რისკი, მიეცეს სასჯელის შემსუბუქების ან ვადაზე ადრე გათავისუფლების შესაძლებლობა, — განაცხადა კახა კახიშვილმა და დასძინა სამწუხაროდ, დღეს კომუნიკაცია პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან მხოლოდ ფურცლის გაგზავნა-გამოგზავნითაა შემოფარგლული. სწორედ ამიტომ გამოვთქვამ მზაობას, შეწყობის საკითხის დახვეწის მიზნით შეხვედრა გაიმართოს. მიმართა, სწორი იქნება გარკვეულ შემთხვევებში შეწყობის კომისიის წინაშეც, ისე, როგორც დანერგილია ვადაზე ადრე გათავისუფლების კომისიის შემთხვევაში, წარდგეს ის პირი, ვის მიმართაც ხდება შეწყობის აქტი“.



ბოლო სამი თვის განმავლობაში ოჯახში ძალადობის ფაქტზე 800-ზე მეტი პირი დავაკავეთ და 1.400-ზე მეტი შემაკავებელი ორდერი გამოვეცით

„რა დახმარებაზეა ლაპარაკი, ზობს ბიჭი ვბონივარ...“

ნინო ჯავახიშვილი

— საერთოდ მეურნე კაცი ვარ. მარგალი ნიშნავს კაცს, რომელიც რგავს. ჰოდა, მე სუფთა მარგალი ვარ, რადგან სულ ვრგავ და ვრგავ. მარტო აქ კი არა, აფხაზეთიდან გადმოსვლის შემდეგ 2 წელი ჩემს დასთან, ნალენჯიხაში ვიყავი და იქაც ვრგავდი ხეებს, მერე მეორე დასთან, ბაღდათში გადავედი საცხოვრებლად და იქაც ვრგავდი. თბილისში, დიდუბეში, საბავშვო ბაღის შენობაში რომ შემასახლეს ოჯახთან ერთად, იქაც პატარა ბაღი გავაკეთე. 2008 წელს კი დილოში დავსახლდით. მეორე დღესვე 3 კილომეტრის რადიუსში დავათვალიერე ტერიტორია და გული მეტკინა, რადგან ბევრი მოუფლელი ბაღი და ადგილი ვნახე. აქ სუფთა ჰაერია, ფაქტობრივად, მთის ძირში ვცხოვრობთ და რატომ უნდა ყოფილიყო აქაურობა ნაგვით სავსე და უპატრონო? ერთხელ მოედანზე ვვარჯიშობდი და რუსი კაცი დავინახე, რომელიც თან კოცნიდა ხეებსა და ყვავილებს და თან გაიძახოდა: ამას რას ვხედავ, ეს რა სილამაზეაო... ზუსტად ეს დრო იყო — გაზაფხული და ალუბლები ყვავილობდა. მაშინ ვიფიქრე, რუსი კოცნის თითოეულ ხეს ჩემს ქვეყანაში და მე, ქართველმა როგორ არ მოვუარო აქაურობას-მეთქი? ჩემს საკუთრებაში მხოლოდ 63 კვმ ფართობია, მეტი არაფერი. ეს მიწა, რა თქმა უნდა, მერიის საკუთრებაა, მაგრამ აქაურობის მოვლა და გაკოხტავება ხომ შეიძლება? ჩვენამდე მოსასვლელი გზა შემოვლითი იყო და როდესაც ახალი გზა გაიყვანეს, რამდენიმე მოსახლის ბაღიც გაუქმდა. ამიტომ მათ შევთავაზე, რაკი ჩვენ გამოასე დაზარალებით, პირველ რიგში თქვენთვის დავრგავ ხეხილს-მეთქი და ეს ჩანაფიქრი ავასრულე კიდევ.

— დანაპირები შეგისრულებიათ, მაგრამ ეს ნარგავები ძალიან ახლოს არ არის ერთმანეთთან?

— სწორად შენიშნეთ, მაგრამ გათვლა სხვა რამეზე მაქვს — მე თბილისში დარჩენას არ ვაპირებ. ზუსტად ვიცი, აფხაზეთში დავბრუნდები და მიწა, ეს გაზრდილი ნერგები იქ წავიღო, სიკვდილამდე რომ მოვასწრო იმ მიწაზე გახარებული ხის ნაყოფის დაგემოვნება.

ბაღელი კაცის მოწყობილი პატარა სამოთხე

მინდა, 63 წლის გალელ კაცზე გიამბოთ და მერე თავად განსაჯეთ მისი ავკარგიანობა. ომარ შარია 2008 წლიდან დილოში, საბავშვო ბაღის შენობაში ცხოვრობს და იქაურობას ისე უფლის, ბაღნარი გეგონება. „გაცემა უფრო მიხარია, ვიდრე მიღება და ეს ცხოვრებას მიაღვილებს... ხე არ უნდა დარგო, თუ არ მოუვლი, უპატრონოდ მიგდებული ცოდოა“, — მითხრა საუბრისას. კარგა ხანს ვათვალიერებდი მის ნამოქმედარს და ბოლომდე მაინც ვერ მოვასწარი — უკვე ხუთასს გადასცდა მისი დარგული ხეების რაოდენობა.

გულწრფელად გეტყვით, შემშურდა იქ მცხოვრებთა ბედი. რა გინდა სულო და გულო, მხოლოდ ინატრე — ვაშლი, ატამი, ალუბალი, მსხალი, ბრონეული, ტყემალი, კომში, ნუში, ლელვი, ქლიავი, კაკალი, ჭერამი, მაცვალი, კივი, ჟოლო, საფერავიც კი... აღარაფერს ვამბობ ყვავილებზე: ზამბახები, იები, ტიტები იწონებენ თავს... თვე-ნახევარში ყველაფერი რომ აყვავდება, იქაურობა მართლაც ბაღნარს დაემსგავსება.



ბავშვების ყვილ-ხივილი რომ მესმის, დღესაც გული მიჩუყდება

— მეურნე კაცი ვარო, მითხარით, მაგრამ ყველაფერ ამას შესაბამისი ცოდნა ხომ სჭირდება? თქვენ რა პროფესიის ხართ?

— სად აღარ მიმუშავია, ბევრი პროფესია მაქვს. საშუალო სკოლის

ია. ჯარიდან დაბრუნებულმა რუსული ენა და ლიტერატურის სპეციალობით დავამთავრე უნივერსიტეტი. სკოლაში დაახლოებით 2 წელი ვიმუშავე და მერე რაიკომში გადამიყვანეს, რასაც დღემდე ვნა-

ერთხელ რუსი კაცი დავინახე, რომელიც თან კოცნიდა ხეებსა და ყვავილებს და თან ბაიძახოდა: ამას რას ვხედავ, ეს რა სილამაზეაო...

დამთავრების შემდეგ კერამიკოსის პროფესიას დავეუფლე. თითქოს ზუგდიდში უნდა გახსნილიყო ფაიფურის დიდი ქარხანა და იქ უნდა მემუშავა, მაგრამ ქვეყანა აირ-დაირ-

ნობ. ბავშვების ყვილ-ხივილი რომ მესმის, დღესაც გული მიჩუყდება. მოგვიანებით იურისტის პროფესიასაც დავეუფლე, მაგრამ რაც შეეხება მეზაღეობას, თვითნასწავლი

ვარ — თვითონ ვიძიებდი ინფორმაციას, როგორ უნდა მომეწყო მცენარეებისთვის, ვკითხულობდი



ახლა ჩემს ანგარიშზე 500-ზე მეტი დარგული ხეა, ერთი მაგდენი კიდევ, რასაც მოვუარე და გადავარჩინე

ნიგნებს, ვითვალისწინებდი სხვა მებღაღებების რჩევებსაც, თუმცა, ძირითადად, მაინც პრაქტიკაში მინევდა ყველაფრის სწავლა. ახლა ჩემს ანგარიშზე 500-ზე მეტი დარგული ხეა, ერთი მაგდენი კიდევ, რასაც მოვუარე და გადავარჩინე. ამით გახარებული ვარ, მხოლოდ ის მიკ-



ეს არის „სამარე“, რომელსაც 7 დღე ვთხრიდი

ვირს, ვილაც რომ უდიერად ეპყრობა ბუნებას. შემომჩნევია, გაივლიან და ნერგს ისე წაატეხენ ტოტს, ვითომც არაფერიო... ყვავილს მოწყვეტენ და ორიოდ ნაბიჯში ძირს დააგდებენ. არა უშავს, მე კიდევ დავრგავ, მაგრამ ცოტა მეტად გულისხმიერები რომ ვიყოთ, ხომ შეიძლება? შარშან ალუბლისთვის იმდენი ტოტები დაუტეხიათ, გული მომიკვდა. განახილი მენანება, პირიქით, მიხარია, როდესაც ვხედავ, რომ მეზობლები კრეფენ და მიაქვთ, მაგრამ ხომ უნდა გაუფრთხილდნენ კიდევ?

— აქაურები არ გეხმარებიან?

— რა დახმარებაზეა ლაპარაკი, ზოგს გიჟი ვგონივარ. აქაურობა ნაგვისგან რომ გავწმინდე, მერე ერთ ადგილას მოვაგროვე და ცეცხლი

აგს ვინახავთ. 2 კაცი თავისუფლად დაჯდება და 2 ჭიქა ღვინოს სიგრილეში დალევს. ჩადით და თვითონ შეიგრძენით, რა სიამოვნებაა მანდ ყოფნა. ნელ-ნელა შევეჩვიე მინას და ვფიქრობ, საიქიოს ყოფნაც არ უნდა გამიჭირდეს (იკინის)... უპატრონოდ მიყრილი საბურავები მოვაგროვე, შიგ განოყიერებული მინა ჩავყარე და სხვადასხვაგვარი ბოსტნეული ჩავთესე, კეჟერა ფხალიც კი. 6 სახის ბოსტნეულია ჩათესილი ამ თუნუქის ყუთებში. ვიდრე რძალი შემომივა ოჯახში, აქ უნდა შემოვიყვანო და ვკითხო, რომელში რა ბოსტნეულია და თუ გამოიცნო, ე.ი. ღირს იმის შემოყვანა ოჯახში. აბა, ნახეთ, რა ქორფა მწვანელი მოვიყვანე. თუ მუშაობა და თოხი და ბარი გიყვარს,

ნერგს ისე წაატეხენ ტოტს, ვითომც არაფერიო... ყვავილს მოწყვეტენ და ორიოდ ნაბიჯში ძირს დააგდებენ. არა უშავს, მე კიდევ დავრგავ...

წავუკიდე. კორპუსიდან ერთმა ქალმა დამიძახა: გაგიხმეს ეგ ხელები, რაზე წაუკიდე ცეცხლი, კვამლი მანუხებსო. ადამიანმა თუ იმაზე ინერვიულა, ჩემი დარგული ხის ნაყოფი ვილაცამ რატომ შეჭამაო, გული გაგისკდება ნერვიულობით. აი, აქ ნაგავსაყრელი იყო (საკმაოდ მოზრდილ ტერიტორიაზე მიმანიშნებს. — ავტ.). 2 დიდი მანქანით გავიტანე აქედან ნაგავი, დავასუფთავე აქაურობა. ხომ ხედავთ ჯვრის ფორმას? მინდა, ყვავილები ჩავთესო შიგნით და მერე უფრო მოერიდებიან ალბათ აქ ნაგვის დაყრას. აი, ეს ადგილიც უპატრონოდ იყო მიგდებული, აქაურობასაც მივხედე — ხეებს, რომლებსაც შველა სჭირდებოდა, ვუშველე, ახალიც მივუმატე. ეს ნაკვეთი კი ჩემი მეზობლისაა. ბევრი სიკეთე გაუკეთებია ჩემთვის, რაც არასდროს დამავინწყდება. ერთ ღამეს გადავედი მის ბაღში და ხეები შევვლებე. მოვიდა დილით ეს კაცი და გაკვირვებული დარჩა, თავისი ბაღი გალამაზებული რომ დახვდა. ეს კი ჩემი ბაღია. ნახეთ, ეს არის „სამარე“, რომელსაც 7 დღე ვთხრიდი. მინაში რამდენიმე საფეხურით ქვევით გავაკეთე მაგიდა, სკამები, იქვე სათავსი, სადაც ზამთრის მარ-

საქმეს ყოველთვის გამონახავ კაცი... ეს აფხაზური მაგნოლიაა, ეს კი აფხაზეთიდან ჩამოტანილი ბამბუკი, რომელიც რატომღაც დედაჩემთან ასოცირდება. დედა 88 წლისაა და დღემდე იქ ცხოვრობს, გალის რაიონში, სოფელ თაგილონში. რა თქმა უნდა, ძალიან მენატრება. ყოველ დილით ვესალმები ხოლმე ამ ბამბუკს და ისე მოვიკითხავ, როგორც დედაჩემს...

— აფხაზეთზეც მომიყვით...

— დიდი ისტორიის მქონე სოფელი მაქვს, ადრე ნიფურისა ეძახდნენ. ნიფურია მეგრულად ნიფლნარს ნიშნავს. ერთნი ფიქრობენ, რომ ეკლესიებთან ახლოს ნიფლის დიდი ხეები იდგა და ეს სახელი ამიტომ დაარქვეს, მეორენი კი ამ სახელს ვინმე ვაჭარ ნიფურისა უკავშირებენ, რომელსაც აქ პირველს გაუხსნია სავაჭრო. ნიფურისა სახელი ცნობილი იყო რომსა და კონსტანტინოპოლში, უფრო გვიან კი — მთელ ევროპაში. ის ყოფილა ქართული და ევროპული ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა იმ დროის ენგურისპირეთში. აქ მოღვაწეობდნენ XVII საუკუნის იტალიელი მისიონერები: ჯუზეპე მილანელი, ქრისტეფორე კასტელი, არქანჯელო ლამ-

ბერტი, უაკ ფრანსუა გამბა, ასევე ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი. აფხაზეთი ჩემთვის მარტო მინა არ არის. ემოციები, გრძობები, ჩემი ბავშვობა მაკავშირებს იქაურობასთან. მკლავს და მჭამს ეს ნოსტალგია და ამიტომ არ ვერიდები რისკს და წელიწადში ერთხელ მაინც აუცილებლად ჩავდივარ იქ დედის, ძმისა და ძმისშვილების სანახავად. ჩემი თანაკურსელებიდან 27 აფხაზი იყო და ვამბობდით, რომ ყოველ 5 წელიწადში ერთხელ შევიკრიბებოდით ერთმანეთის სანახავად. რას ვიფიქრებდით, რომ ასე მოხდებოდა? მამაჩემი რომ დაიღუპა, ჩემი ერთი თანაკურსელი ორჯერ მოვიდა სამძიმრის სათქმელად. მეც დიდი სიამოვნებით ვისტუმრებ მათ აქ, თბილისში, მაგრამ ერიდებიან ურთიერთობას — ეშინიათ, პრობლემები არ შეექმნათ. როგორ არ ვთქვა: ნლების წინ დედაჩემი ენგურმა ნაილო და აფხაზმა გადაარჩინა... ეს ბევრ რამეზე მიაჩნებოდა. დღესდღეობით იქ მშვიდობიანად თანაცხოვრობენ. ომის ნაკვალევი მხოლოდ გადამწვარ სახლებს თუ ეტყობა.

— დაბოლოს, ეს მინა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, თუ რამ მზადაა, ასე მითხარით, რატომ?

— ეს არის აფხაზეთში, ჩემს მშობლიურ სოფელში აჭრილი მინა. მოვიპარე იქიდან და წამოვიღე. მინის ეს ნაჭერი ტორტივით შევფუთე. ხიდზე გადმოსვლისას შემიმონწმეს ბარგი. რა მიგაქვსო? — მკითხა ერთმა აფხაზმა. მინის ნაგლეჯია, შვილიშვილი შემეძინა, იმას აქეთ ვერ ჩამოვიყვან და ჩემი ოცნებაა, მანაც დაადგას ფეხი აქაურ მინას-მეთქი. არ დაიჯერა. სრულებით არ ვარ ხუმრობის ხასიათზეო, მითხრა და ბარგი გამახსნევინა. ხელში მართლაც მინის ეს პატარა ნაგლეჯი შერჩა, რამაც ძალიან გააკვირვა. მხარზე დამარტყა ხელი, ნადიო, მითხრა გაოცებულმა...

P.S. ჩემს რესპონდენტს გამოსაცემად უკვე მზად აქვს ნიგნი, რომელშიც ბევრი საინტერესო ამბავი და ფაქტი აქვს აღწერილი და დაგვთანხმდა, რომ სწორედ „გზის“ მკითხველი იყოს მისი პირველი შემფასებელი. შემდეგში სიაშოვნებით შემოგთავაზებთ რამდენიმე ნაწყვეტს მისი ნიგნიდან...



აფხაზეთში დავბრუნდები და მინდა, ეს გაზრდილი ნერგები იქ წავიღო

ყველა ბილეთი მოგებია!

ბარსელონა

თუ ხარ ბავშვი ან თინეიჯერი, მაშინ არ გამოგრჩევს Liberteens-ის და Liberkids-ის ნიგნები!

2 სკეიტბორდი

10 000-ზე მეტი ნიგნი და აქსესუარი

1 Marshall Woburn დინამიკი

1 IPHONE X

#იპითხედამოიგებ

1 აპრილიდან 1 ივნისამდე!

2-კაციანი საბრუნო ბარსელონაში BEYONCE & JAY Z-ის კონცერტზე დასასწრებად

LIBERTEENS-ისა და LIBERKIDS-ის ნებისმიერ ნიგნში დახარჯულ ყოველ 10 ლარზე მიიღე ბათამაგების 1 ბილეთი

იკითხეთ ბიბლუსის მაღაზიათა ქსელში და წიგნის სხვა მაღაზიებში
 ტელ: 0(32) 238 38 71, ელფოსტა: gatamasheba@palitra.ge http://www.palitra.ge/gatamasheba

„ქართველები ჩვენს ენას უდიერად და უსულგულოდ ვაქცევით“

„გაუფრთხილდით სიძველეებს და თაგამად გაუსწორეთ თვალი მსოფლიოს“

მოგვხსენებთ, 14 აპრილს ქართული ენის დღე ვიზიემთ და ქალბატონი მერი მენაღარიშვილის ეს წერილიც სიმბოლურია. ფილოლოგი ქალბატონი ნუსხს იმის გამო, რომ ენაში ახალი, არასწორი ფორმები დამკვიდრდა. მის წერილს უცვლელად გთავაზობთ:

ლიკა ქაჭანია

„ქართველებო, შვილებო და შვილიშვილებო, ყველას გსმენიათ წმინდა ილია მართლის შეგონება: „დავიცვათ ენა, მამული, სარწმუნოება“.

დღეს ჩვენს მამულს გარედან უტევენ, ენას კი ქართველები უდიერად და უსულგულოდ ვაქცევით; გვაგინებენ, რომ დედაენის მაღლით გვიდგას ქართული სული!

მე ერთი რიგითი მართლმადიდებელი ქრისტიანი ქართველი ვარ, განათლებით — ფილოლოგი (დიდი აკაკი შანიძის ნასტუდენტარი). ორმოცი წელი განველე ქართული ენის სამსახურში, სხვადასხვა გამომცემლობაში და სხვაგანაც — რედაქტორის სტატუსით. დღესაც გულშემატკივარი ვარ ჩვენი ენისა და თქვენც ამასვე მოგიწოდებთ (იმედია, არ მიწყენთ).

დავინწყოთ თუნდაც იმით, რომ არსებით სახელებს არასწორად ვსვამთ ბრუნვებში. ამ მხრივ განსაკუთრებით გავრცელებულია სასულიერო პირე-

ბისადმი არასწორი მიმართვა. ცოტა არ იყოს, ღიმილის მომგვრელია ის უხერხულობა, როცა მრავლობით რიცხვში ვამბობთ მამაოები და დედაოები, ნაცვლად სწორი ფორმისა — მამები და დედები (გავიხსენოთ წმინდა მამები).

ასევე ვცოდავთ საკუთარ სახელებთან მიმართებაშიც, როცა ვამბობთ: ლევანიმ, ლევანის, ლევანი (მიმართვისას).

ეს საკუთარი სახელი ბოლოთან-მოვნიანია (ლევან), ამიტომ სათანადო ბრუნვების (მოთხრობითი, მიცემითი) შესაბამისად უნდა ითქვას: ლევანმა, ლევანს, მიმართვისას — მხოლოდ ფუძის სახით — ლევან! მაგრამ როცა საკუთარი სახელი ბოლომოდვნიანია, მაგალითად, ირაკლი, მაშინ სწორია: ირაკლიმ, ირაკლის, ირაკლი (მიმართვისას)!

ასევე შეცდომაა, როცა არსებითი სახელი მრავლობით რიცხვშია და მისი მრავლობითობის განმსაზღვრელ სიტყვას (მსაზღვრელს) ვსვამთ მხოლოდობით რიცხვში, მაგალითად, ვამბობთ: სახლები, რომელიც შენდება; ნიგნები, რომელიც იყიდება და ასე შემდეგ. სწორია: სახლები, რომლებიც შენდება, ნიგნები, რომლებიც იყიდება და არა ისე, როგორც ენაში დამკვიდრდა — გაყიდვაშია (რუსულის კალკია).

განსაკუთრებით სავალალო დღეშია ზმნა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართული ზმნა გამოირჩევა გამომსახველობის სიუხვით, მოქნილობითა და ცხოველმყოფელობით, ჩვენ კი ჩვენი დაუდევრობით ვაკნინებთ, ვაჩლუნგებთ მას. მაგალითად, ქონების აღმნიშვნელ ზმნას ისე დავუკარგეთ ფორმა, რომ მესამე პირში ლამის ადგილის ზმნიზედად ვაქციეთ! ვამბობთ: მე მაქ, შენ გაქ, მას აქ.

რას ვერჩით ამ მაღლიან ქართულ სიტყვებს: მე მაქვს, შენ გაქვს, მას აქვს!

ერთმანეთში განუკითხავად გვერევა ზმნის სუფიქსები — ავ და ამ.

ვამბობთ: ვსვავ, ვიზავ, ვდგავ და ასე შემდეგ, ნაცვლად: ვსვამ, ვიზამ, ვდგამ... მაგრამ: ვთესავ, ვზიდავ, ვიცავ...

კაცმა არ იცის, საიდან გაჩნდა ზმნაში — ჩაქრა ბგერა ვ, რის შედეგადაც მივიღეთ არასწორი ფორმა — ჩაქვრა, რაც სამწუხაროდ, ლამის დამკვიდრდა ენაში.

ჩვენო ენათმეცნიერებო, დროზე ილონეთ რამე, თორემ გვიმახინჯდება და ხელიდან გვეცლება ქართული ზმნა!

მინდა ერთ მტკივნეულ საკითხსაც შევეხო. ეს საკუთარი სახელების დაკნინებაა. ჩვენს საზოგადოებაში აქტიურად დამკვიდრდა მათი კნინობითი, საალერსო ფორმები: კო, კუნა და ასე შემდეგ. მაგალითად, მომრავლდნენ: ნანიკოები, ნინაკოები, ეკუნები, თეკუნები, ნოდკოები, შოთიკოები...

შინაურობაში შეიძლება შვილებსა და შვილიშვილებს ენა მოუწლიქოთ და ისიც გარკვეულ ასაკამდე, მაგრამ როდესაც ეს ტენდენცია ზღვარს სცილდება და საჯაროდ, ოფიციალურ სიტყვაშიც იხსნება, მაშინ უნდა მივმართავთ და მოვიხსენიებთ ჩვენს მოქალაქეებს, ეს ცოტა არ იყოს, მოქალაქეობრივი თავმოყვარეობის შემლახველია.

რუსებსაც აქვთ საკუთარი სახელების კნინობითი, საალერსო ფორმები, მაგრამ ოდესმე გსმენიათ მათი სატელევიზიო არხებიდან ანდრეის ნაცვლად ანდრიუმა ან ნადეჟდას ნაცვლად ნადეჟუმა (ოფიციალურ ვლასხმოზ).

მახსოვს ერთ სატელევიზიო გადაცემაში ზემოციური წამყვანი ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას ასე მოიხსენიებდა — ბატონი კოკო გამსახურდია, რაზეც გამსახურდიამ საყვედურით შენიშნა: კოკოს შინაურობაში შეიძლება, თორემ ისე კონსტანტინე მქვიაო. იმავე წამყვანმა ბატონი ნიკოლოზ შენგელაია გამოაცხადა, როგორც ნიკუშა შენგელაია.

ერთი ასაკოვანი მანდილოსანი სატელევიზიო გადაცემაში გაგვეცნო, როგორც თეკუნა, რაც ღიმილის კი არა, სევდის მომგვრელია. მერე გვიკვირს, რატომ არიან ჩვენი შვილები მეტწილად ასეთი უმწნეოები და უსუსურები! როგორ ფიქრობთ, ამ წრეგადასულ ენის ჩლექას რაღაც გარკვეული წვლილი არ მიუძღვის ამაში?!

ქართველო გოგონებო და ქალ-

გაგრძელება იხ. გვ. 79



14 აპრილს ქართული ენის დღე ვიზიემთ

ოჯახის დაბეგმარება, როგორც სოციალური პრობლემა და ექსტრემალური კონტრაცეფციის აქტუალობა

ანდი ჯინჯიხაძე, მედიცინის აკადემიური დოქტორი, ექიმი ენდოკრინოლოგ-რეპროდუქტოლოგი, მუან-გინეკოლოგი:

— XXI საუკუნეში ოჯახის დაბეგმარება ერთ-ერთ ყველაზე აქტუალური სოციალური პრობლემაა. ოჯახის დაბეგმარების არსი მდგომარეობს იმაში, რომ წყვილს ჰყავდეს სასურველი ბავშვი სასურველ დროს და ეს პრობლემა რაც შეიძლება უმტკივნეულოდ და ნაკლებსაზიანოდ გადაიჭრას — ნაკლები აბორტების გზით. ამის ალტერნატივა კი არის სწორად შერჩეული კონტრაცეფციული მეთოდი. საქართველოში ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ კონტრაცეფციული მეთოდების მრავალფეროვნების მიუხედავად, გამოყენების მხრივ პირველ ადგილზეა ე.წ. კალენდარული მეთოდი და შეწყვეტილი სქესობრივი აქტი.

ცნობილია, რომ კალენდარული მეთოდის მიხედვით, რეგულარული ციკლის მქონე ქალების ოვულაციის პერიოდი ემთხვევა ციკლის შუა პერიოდს, ე.წ. ნაყოფიერ დღეებს. დანარჩენი დღეები კი „არანაყოფიერია“ და ჩასახვის შესანიშნავი თუ მცა, აქაც არ გვაქვს 100%-იანი გარანტია. აქედან გამომდინარე, დღესდღეობით უფრო და უფრო მეტ აქტუალობას იძენს ე.წ. ავარიული ანუ ექსტრემალური კონტრაცეფცია.

ამ მეთოდის არსებობის შესახებ ბევრმა არ იცის — არ არის ინფორმირებული. თვითონ ტერმინი — „ექსტრემალური კონტრაცეფცია“ მიეკუთვნება არასასურველი ორსულობისაგან დაცვის იმ მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება უშუალოდ დაუცველი სქესობრივი აქტის შემდგომ. მაგალითად: შეწყვეტილი სქესობრივი კონტაქტის არასრულფასოვნება, გაუპატიურება ან გამოყენებული კონტრაცეფციული მეთოდის ეფექტიანობისა და საიმედოობის ეჭვის დროს (მაგ: რეგულარული კონტრაცეპტივის აბის მიღების გამოტოვება, პრეზერვატივის გახევა, კალენდარული მეთოდის გამოყენებისას ფერტილური (ნაყოფიერი) დღეების არასწორი გამოთვლა.

დღესდღეობით ფარმაცევტულ

ბაზარზე არსებობს სულ რამდენიმე პრეპარატი, რომლებიც ექსტრემალური კონტრაცეფციის მიზნებს ემსახურება. ასეთებია მაგალითად, ლევონორგესტრილის შემცველი პრეპარატები, რომელთა მოქმედება ნარჩუნდება დაუცველი სქესობრივი აქტიდან, 72 საათის განმავლობაში. ისინი მოქმედების მექანიზმის მიხედვით, თრგუნავენ ოვულაციის პროცესს, მოქმედებენ ციკლის პირველ ფაზაში და თუ მათი გამოყენება მოხდა ციკლის მეორე ფაზაში, ხასიათდებიან რიგი გვერდითი მოვლენებით (სისხლდენით).

ერთ-ერთი, ახალი თაობის პრეპარატი არის გინეპრისტონი, რომლის მოქმედი ნივთიერებაა მიფეპრისტონი, ანტიგესტაგენი, რომელიც მოქმედებს რეცეპტორულ დონეზე და თრგუნავს პროგესტერონულ რეცეპტორებს (პროგესტერონი — ე.წ. ორსულობის ჰორმონი). თუ გინეპრისტონის მიღება ხდება ციკლის პირველ ფაზაში ოვულაციამდე, კვერცხუჯრედის გამოთავისუფლება ითრგუნება. შესაბამისად, განაყოფიერება არ ხდება. ხოლო თუ გინეპრისტონის მიღების აუცილებლობა დგება ციკლის მეორე ნახევარში ანუ ოვულაციის შემდგომ, ის ხელს უშლის კვერცხუჯრედის მიმაგრებას საშვილოსნოს კედელზე და ორსულობა არ ვითარდება. გინეპრისტონი გამოირჩევა მაღალი უსაფრთხოებით, ეფექტიანია მენტრუალური ციკლის ნებისმიერ ფაზაში და არ ხასიათდება გართულებების განვითარებით.

ამასთან, თუ ძველი თაობის პრეპარატების მოქმედება ნარჩუნდება პირველი 72 საათის განმავლობაში, ბოლო კვლევებზე დაყრდნობით, პრეპარატ გინეპრისტონის გამოყენება ეფექტიანია 120 საათის განმავლობაში. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ექსტრემალური კონტრაცეფციის პრეპარატის მიღების ეფექტიანობა უფრო მაღალია პირველ საათებში და იკლებს შემდგომ პერიოდში. ანუ რაც უფრო სწრაფად მიიღებს ქალი ტაბლეტს დაუცველი სქესობრივი აქტიდან, მით უფრო მაღალეფექტიანია. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, კვლევებზე დაყრდნობით, გინეპრისტონი ეფექ-



მედიცინის აკადემიური დოქტორი ანი ჯინჯიხაძე

ტიანია პირველი 120 საათის განმავლობაში. (<https://www.ncbi.nlm.nih.gov/pubmed/17559015>)

დღესდღეობით ექსტრემალური კონტრაცეფცია წარმოადგენს, დაუცველი სქესობრივი აქტის შემდგომ, არასასურველი ორსულობისაგან დაცვის ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო, მაგრამ არა სისტემატური სახით გამოსაყენებელ მეთოდს. ყველა ქალს უნდა ახსოვდეს, რომ ექსტრემალური კონტრაცეფცია არ არის უკვე არსებული ორსულობის შეწყვეტის საშუალება. ასევე, ექსტრემალური კონტრაცეფციის მეთოდი არ არის რეგულარული გეგმური კონტრაცეფციის ალტერნატივა (სახელწოდებაც ცხადყოფს) — ის გამოიყენება მკაცრად ექსტრემალურ, „ავარიულ“ პირობებში. აუცილებელია, ქალმა გაიაროს კონსულტაცია თავის ექიმ-გინეკოლოგთან ან მიმართოს გამოცდილ ფარმაცევტს დეტალური ინფორმაციის მისაღებად.

მედიცინის აკადემიური დოქტორი, ექიმი ენდოკრინოლოგ-რეპროდუქტოლოგი, მუან-გინეკოლოგი: ანი ჯინჯიხაძე. ტელ: 577 45 20 50





სახე

ეთო ყორღანაშვილი

მაკა შალიკაშვილი:

— „ფეისბუკზე“ დარეგისტრირებული ვარ, პაროლი მაქვს. მგონია, ჩემი ანგარიშით სხვა არავინ სარგებლობს, მაგრამ რადგან შეკითხვა დამისვი, ეჭვი შემეპარა — პირადი ინფორმაცია დაცული მაქვს თუ არა (იციინს)... იცი, რა? ვილაცას მომხმარებლების პირად მონაცემებზე წვდომა ყოველთვის ექნება — „ფეისბუკზე“ თავს 100%-ით დაცულად არ ვგრძნობ.

— „ფეისბუკზე“ თქვენი შვილიც დარეგისტრირებულია?

— არის, მაგრამ საკუთარი ინიციატივით, აღარ სარგებლობს — არ მომწონსო.

— რამდენი წლის არის?

— 11-ის.

— „ფეისბუკზე“ რეგისტრაციისას ასაკობრივი შეზღუდვა რომ არსებობს, იცოდით?

— კი, ვიცოდი. „ფეისბუკზე“ ბავშვები ერთმანეთს სწერდნენ, საერთო ჯგუფიც ჰქონდათ. მერე ჩემმა შვილმა უცებ განაცხადა, — საერთოდ აღარ მინდაო. მობილურ ტელეფონში „ფეისბუკის“ პროგრამა ნაშლილი აქვს, კომპიუტერიდანაც არ შედის.



ბავშვის ტელეფონიც, ლეპტოპიც უნდა შეამოწმოთ...

არის თუ არა საშიში „ფეისბუკი“ ბავშვებისთვის

აკონტროლებენ თუ არა ცნობილები საკუთარ შვილებს

„ფეისბუკის“ გახმაურებული სკანდალის შესახებ მოგეხსენებათ — როგორც აღმოჩნდა, მილიონობით მომხმარებლის პირადი მონაცემები ბრიტანული კომპანიის — „კემბრიჯ ანალიტიკის“ ხელში აღმოჩნდა. მომხმარებელთა პირადი ანგარიშის გაჭონვის გამო, მარკ ცუკერბერგმა ბოდიშიც მოიხადა... ამ ფონზე, როცა ადამიანების პირადი მონაცემების უსაფრთხოება საეჭვოა, მიუხედავად იმისა, რომ „ფეისბუკზე“ რეგისტრაციისთვის ასაკობრივი შეზღუდვა არსებობს, სოციალურ ქსელში ბავშვებიც რეგისტრირდებიან, ზოგჯერ მათ თავად მშობლები არეგისტრირებენ... თუ რატომ ხდება ასე, ამის შესახებ აზრი საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებს მათი შვილების მაგალითის და პირადი გამოცდილების საფუძველზე ვკითხეთ...

— აკონტროლებდით, „ფეისბუკიდან“ რა ინფორმაციას იღებდა?

— კი, ყველაფერს. სხვათა შორის, თავად თქვა, რომ „ლურჯ ვეშაპზე“ რალაცები იცოდა. — შენც შესული ხარ „ლურჯ ვეშაპში“-მეთქი? — არაო, — კი მიპასუხა, მაგრამ მაინც სერიოზულად დაველაპარაკე. ოჯახის სხვა წევრებიც დელიკატურად ესაუბრნენ, აუხსნეს... კიდევ, ჩემმა მეგობარმა ჩვენი კომპიუტერი შეამოწმა და აღმოჩნდა, რომ არასასიამოვნო ინფორმაციებს თინათინი ინტერნეტით უყურებდა და ისმენდა (ოღონდ — ეს „ფეისბუკს“ არ უკავშირდება). იმის თქმა მინდა, რომ შემოწმება აუცილებელია, დიდი ყურადღებაა საჭირო. ბავშვის ტელეფონიც, ლეპტოპიც უნდა შეამოწმოთ... მოკლედ, გარკვეული პრობლემები გვქონდა, მაგრამ ბავშვს დაველაპარაკეთ, ყველაფერი გავარკვიეთ, პირველნაყოფ ვიპოვეთ...

— კონკრეტულად „ფეისბუკზე“

ბავშვს როგორ აკონტროლებდით?

— მესიჯებს ერთად ვკითხულობდით. ისე ნამდვილად არ ყოფილა, რომ მისი ტელეფონი მომეპარა და შეტყობინებები ჩუმად წამეკითხა. ვეუბნებოდი, — აბა, დედიკო, მოდი, წამაკითხე, რა ხდება შენთან, ვინ გწერს-მეთქი? მთელ „კედელს“ მაჩვენებდა... ჭკვიანი გოგონა გახლავთ, მაგრამ რალაც შეცდომები დაუშვა. მადლობა ღმერთს, რომ მივასწარიო... ჭკვიანი კი არის, მაგრამ მხოლოდ ეს საკმარისი არ იყო — ოჯახის წევრებთან დალაპარაკებამ უშველა.

— იმ მშობლებს რას ურჩევთ, რომელთა მცირე ასაკის შვილებსაც „ფეისბუკზე“ დარეგისტრირებასურთ?

— ერთმანეთის მიბაძვა, „წამხედურობა“ მოქმედებს: ბავშვის ყველა კლასელი „ფეისბუკზე“ დარეგისტრირებულია და მასაც სურს, სოციალურ ქსელში თავისი ანგარიში ჰქონდეს. ამიტომ მშობელი ვერაფერს იზამ. თუ შვილს ეტყვი, — არ შეიძლება, პატარა ხარო, გიპასუხებს: აი, ჩემი ყველა კლასელი დარეგისტრირებულია. მე რატომ ვარ პატარაო?! ანუ ეს საკითხი ტოტალურად უნდა გადაიჭრას. რადგან ყველა მშობელს არ ესმის ეს და ვერ გავაგებინებ, სკოლაში რომ მივვარდე — აბა, მშობლებო, „ფეისბუკზე“ ბავშვების დარეგისტრირება არ შეიძლება-მეთქი, ჩემს ინიციატივას არასწორად გაიგებენ. ამიტომ ჩემი აზრით, თუ ბავშვი გადარეულია, ისე უნდა „ფეისბუკზე“ დარეგისტრირება, უნდა დაარეგისტრირო, ოღონდ უნდა დაგინახოს, რომ სოციალური ქსელის მიმართ თავად ნაკლები ინტერესი გაქვს. თუ გხედავს, რომ „ფეისბუკით“ გაცხოველებული სარგებლობ, თავად მას კი უკრძალავ, ვერ გაიგებს... თავად ასე მოვიქვეცი: გარკვეული პერიოდით „ფეისბუკზე“



ძალიან ფეთქებადი ხასიათი მაქვს

ჩემი ანგარიში „დავხურე“ — ეს „ლომ-კა“ გადავადდე, რაც ალბათ, ყველას აქვს. ახლა „ფეისბუქზე“ დამოკიდებული აღარ ვარ, თუმცა ხანდახან შევდივარ, გადავთვალიერებ და მალევე გამოვდივარ...

სალომი გომიანიშვილი:

— ჩემი შვილები „ფეისბუქზე“ დარეგისტრირებულები არიან, მაგრამ — სხვა სახელით, დიდად არ აქტიურობენ.

— რა ასაკის არიან?

— ერთი 15 წლის არის, მეორე — 10-ის. დღესდღეობით, იმდენი უბედურება ხდება, რომ ჩემს შვილებს ინტერნეტში ყოველთვის ვაკონტროლებ. 10 წლის შვილს „ფეისბუქზე“ ანგარიში თავად „გაუუკეთე“, რადგან სოციალურ ქსელში მისი კლასელები არიან, რალაც ჯგუფი აქვთ, კონტაქტობენ...

— როგორ აკონტროლებთ თუნდაც, ბავშვის პირადი ანგარიშის „ნიუსფიდს“?

— როგორც აღვნიშნე, ხშირი მომხმარებელი არც ერთი არ არის. თან, „ნიუსფიდი“ მეგობრების მიერ გაზიარებული სიახლეებისგან შედგება, სამეგობროში კი კლასელები ჰყავთ.

— „ფეისბუქზე“ შვილები თუ გყავს დამეგობრებული?

— რა თქმა უნდა.

— შვილების გარდა, სხვა მცირე ასაკის ენ. ფრენდებიც გყავთ?

— კი, რა თქმა უნდა, „ფრენდ ლისტში“ ჩემი შვილის მეგობრები, კლასელები, ნათესავები მყავს. ისედაც, სხვა მცირეწლოვანი ბავშვებიც მწერენ, ჩემთან დამეგობრება სურთ. ძალიან მიხარია და მეგობრების სიაში ყოველთვის ვამატებ — მათთან ყოველთვის ვურთიერთობ.

— როცა რაიმე ინფორმაციას აზიარებთ, ფიქრობთ, ინფორმაციის თქვენი მცირეწლოვანი მეგობრებისთვის შეუფერებელი ხომ არ არის? „პოსტის“ მნახველთა აუდიტორიას ზღუდავთ?

— წინათ ამაზე არ მიფიქრია, ახლა დავფიქრდი... რა თქმა უნდა, მაგალითად, სექსუალური ხასიათის ინფორმაციას ისედაც არ ვაზიარებ, მაგრამ საერთოდ, ძალიან ფეთქებადი ხასიათი მაქვს და არის ინფორმაციები, რაც ნერვებს ძალიან მიშლის, რაც ბავშვისთვის „სწორი“ ნასაკითხი არ იქნებოდა, მაგრამ გამიზიარებია... ახლა „ფეისბუქს“ ძალიან ჩამოვმორდი, იშვიათად ვსარგებლობ. მივხვდი, რომ ამ სო-

ციალური ქსელიდან მხოლოდ ნეგატივი მოდის... „ფეისბუქზე“ ბევრი „კონტაქტი“ მაქვს. პირად ანგარიშს ამიტომ არ ვაუქმებ, რომ მჭირდება. „ინსტაგრამზე“ „გადავერთე“, სადაც ნაკლები ნეგატიური კომენტარია.

— ცნობილი ადამიანების სახელით, „ფეისბუქზე“ ყალბ ანგარიშებს ხშირად ხსნიან, ბავშვებს კი ფავორიტი მსახიობები, მომღერლები ჰყავთ და მარტივად ტყუვდებიან...

— ამბიციაში არ ჩამითვალთ, მაგრამ ჩემი შვილები ისე არ არიან, რომ ვინმეზე გიჟდებოდნენ. თან, თუკი ვინმე მოსწონთ, ყველა ჩემი ნაცნობი და მეგობარია. თუ სამეგობროში ცნობილი ადამიანი ჰყავთ, ე.ი. ის ნამდვილი ანგარიშია და არა — ყალბი.

— თავად აღნიშნეთ, „ფეისბუქიდან“ ნეგატიური ინფორმაცია მოდისო. მშობლებს რას ურჩევთ, მცირეწლოვანი შვილები დაარეგისტრირონ (ბავშვის ძლიერი სურვილის შემთხვევაში) სოციალურ ქსელში?

— შესაძლოა, ვინმესთვის ეს აღმფოთების საგანი იყოს, მაგრამ პირადად მე, ჩემი ორივე შვილის პაროლი ვიცი, რადგან მიმანია, რომ მშობელმა ბავშვები უნდა გააკონტროლოს. „ჩემი შვილია და ვენდობი“ საკმარისი არ არის — ათასი რალაც ხდება... როცა ახალი დარეგისტრირებულები იყვენენ, უფრო ხშირად ვამონებდი. ახლა ვიცი, სოციალურ ქსელში აქტიურად ჩართულები არ არიან... მშობლისა და შვილის ურთიერთობას გააჩნია — სხვას საკუთარი „გადმოსახედიდან“ ვერ ურჩევ. ჩემს სამეგობრო წრეში „ფეისბუქზე“ ყველას შვილი დარეგისტრირებულია, მაგრამ ამის გამო, პრობლემა არავის შეჰქმნია. მშობლებმა შვილები უნდა გააკონტროლონ და მათ თავისუფლება ნორმის ფარგლებში მისცენ.

ნინო ძონდინიძე:

— ჩემი შვილი 14 წლის არის. „ფეისბუქზე“ 13 წლისა დარეგისტრირდა. ეს თავად გააკეთა — ასეთ საკითხებში ჩემზე უკეთ ერკვევა. სიმართლე გითხრათ, ინტენსიური მომხმარებელი არ ვახლავთ. რას ვიზამთ, „ფეისბუქზე“ პირად ანგარიშს ქონა დღევანდელი შემადგენელი ნაწილია, ამიტომ ვერ ავუკრძალავ. ჩემი შვილის ყველა მეგობარი დარეგისტრირებულია, რალაც ჯგუფები აქვთ კლასელებს... ვფიქრობ, „ფეისბუქი“ ძალიან ცუდიც არ არის..

— „ფეისბუქზე“ მეგობრების სიაში შვილიც გყავთ?



„ფეისბუქზე“ სანდროს ანგარიშით არ შევდივარ

— როგორ არა!

— მისი ასაკისთვის შეუსაბამო ინფორმაციას როგორ ფილტრავთ?

— სამწუხაროდ, ამას ვერ ვახერხებ. „ფეისბუქზე“ სანდროს ანგარიშით არ შევდივარ. ზოგჯერ „გახსნილი“ რომ რჩება, რალაცებს ვამონებ. პრინციპში, რალაცების ნაშლაც შეუძლია, ამისგან დაცული არ ვართ... ლიზა ყინია:

— „ფეისბუქზე“ იმაზე უფრო ადრე დავრეგისტრირდი, ვიდრე ეს ნებადართულია. მახსოვს, ეს რატომაც გავაკეთე: ერთგვარი თამაში იყო — კატისთვის უნდა მოგველო (*იკინის*). მგონი, ჩემი თანატოლების უმეტესობა სწორედ ამიტომ დარეგისტრირდა.

— სოციალურ ქსელში შენი დარეგისტრირება მშობლებს არ გაუპროტესტებიათ?

— არა. ამ საკითხის მიმართ ირონიული დამოკიდებულება ჰქონდათ, მაგრამ პროტესტი — არა.

— სხვა მიზნით „ფეისბუქის“ გამო-

მამაკაცების გაჯანსაღების მხარე

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემები: ხშირი და უნებლიე შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი. გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან საზღადაოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დერეჟისის, უძილობის, შიშების, აკვიატების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა. კუჭ-ნაწლავის მოწესრიგება, კოლიტი, ბუასილი, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა. გამოკვლევები და დიაგნოსტიკა უახლესი აპარატურით (უფასო). ანონიმურობით. მყარი 100%-იანი შედეგით.

მის: ნარბთლის 142. | სარბული, VI კაბინატი
ბაქ: 599 90-54-78, 234-02-38 ქაითი

ყენება როდის დაიწყე?

— როცა პროექტებში ვმონაწილეობდი.

— დღეს როგორ ფიქრობ, სწორად მოიქეცი, რომ „ფეისბუქზე“ ადრეულ ასაკშივე დარეგისტრირდი?

— „ფეისბუქს“ არ დავუზარალებივარ. იმას ვგულისხმობ, რომ სანყენი კომენტარების შესახებ სხვაგვარადაც შეიძლებოდა გამეგო (ჩემი პროფესიის გამო), მაგრამ ისე, ვისურვებდი, რომ მცირეწლოვან ბავშვებს სოციალურ ქსელში პირადი ანგარიში არ ჰქონდეთ.

— „ფრენდ ლისტში“ ბავშვებიც გყავს?

— კი.

— როცა პირად გვერდზე რამეს აზიარებ, აუდიტორიას ზღუდავ?



საერთოდ, საიტებს არ უნდა ენდო

— ძირითადად, „ფაბლიქზე“ მაქვს „პოსტები“, მაგრამ შეიძლებისდაგვარად, „ფრენდ ლისტში“ ბავშვების ყოფნას ვითვალისწინებ — ბევრნი არიან და ვცდილობ, მათთვის შეუსაბამო ინფორმაციები არ გამოვაქვეყნო.

— გასართობი ტესტებით თუ ინტერესდები — მიუხედავად იმისა, რომ გაურკვეველი საიტებისთვის შენი პერსონალური ინფორმაცია შეიძლება, ხელმისაწვდომი გახდეს?

— კი, ასეთი ტესტები გამიკეთებია და „დამიშვარებია“ კიდევც, ხუმრობით. „ფეისბუქზე“ ისეთი პერსონალური ინფორმაცია არ მაქვს შენახული, რომლის გასაჯაროებამაც შეიძლება, ცხოვრება დამინგრიოს.

— ენდობი „ფეისბუქს“?

— საერთოდ, საიტებს არ უნდა ენდო, მაგრამ „ფეისბუქს“ ისეთ საიტად არ მივიჩნევ, რომელიც მანყენინებს (იციინის).

„ის ჩემთვის ნათელი წერტილი იყო, რომელიც სამწუხაროდ, ჩაქრა“

ადამიანები, რომელთა დაუვინყებაც შეუძლებელია — ცნობილების გულახდილი და სევდიანი ინტერვიუ

საყვარელი ადამიანები ჩვენგან ნაადრევად მიდიან თუ ღრმა სიბერის უამს, მათი სიკვდილი დიდ ტკივილს გვაყენებს. ამჯერად გადავწყვიტეთ, მომღერალ ნინი ბადურაშვილისთვის, მსახიობ ჯანო იზორიასთვის, მუსიკოს გიორგი უშიკიშვილისა და მსახიობ ეკა მუჟაგანაძისთვის გვეკითხა, თუ ვინ არის მათთვის დაუვინყარი...

ეთო ყორღანასპვილი

„ამ ძვეყანაში. მადლიერება ავიწყდება“

ჯანო იზორია:

— როგორ შეიძლება, დამავინყდეს, რომ ბედმა გამიღიმა, ღმერთმა გადმომხედა და ბატონი რეზო ჩხეიძის სახელსონოში ვსწავლობდი? ბატონი რეზო არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ მთელი ერისთვის, ქართული კულტურისთვის დაუვინყარია. როდესაც ადამიანი კარგია, მას უფრო მეტი ცუდის მოქმედი გამოუჩნდება, განსაკუთრებით — ამ ქვეყანაში. მადლიერება ავიწყდებათ. უმადურებდა გადაიქცევიან ხოლმე... ჯგუფში 13 ადამიანი ვიყავით. ჯგუფელები დღემდე ერთ მუჭად შეკრულები ვართ, ერთმანეთთან დიდი სიყვარული, პატივისცემა და ნათელმინრობაც გვაკავშირებს. ეს ყველაფერი ბატონმა რეზომ შეძლო. შეიძლება, ადამიანმა პროფესია შეგასწავლოს და გითხრას, — ხელობა გასწავლე, დანარჩენს შენ მიხედეო, მაგრამ რეზო ჩხეიძემ ისიც გვასწავლა, როგორი წესებით გვეცხოვრა. ამ



აფხაზეთში სტუდენტობის დროსაც გადმოვიღიოდი, მაშინ ეს შედარებით მარტივი იყო

წესებს ადამიანი თვითონ ადგენს, მაგრამ კარგი პიროვნებებისგან დამოდღვრა სჭირდება. როდესაც ის ბედნიერება გაქვს, რომ ბატონი რეზო გამოდღვრავს, ეს დაუვინყარი ხდება. ეს ადამიანი ჩემთვის იმ ფაქტებითაა დაუვინყარი, რაც ჩემთვის გაუკეთებია. ახლა აფხაზეთიდან გელაპარაკები — საზღვარზე დღეს გადმოვედი (ინტერვიუ ჩანერილია მ აპრილს. — ავტ.). მიინდა, აღდგომას ჩემი ბებია-ბაბუის საფლავებზე გავიდე და ჩემი აქაური სოფლის, ჩემი კუთხის ნათესავების საფლავებზეც მოვინახულო, როგორც წესია. მახსოვს, აფხაზეთში სტუდენტობის დროსაც გადმოვიღიოდი, მაშინ ეს შედარებით მარტივი იყო. ახლა მე და ჩემი ძმა სოფლის ცენტრში ვდგავართ, ბევრი რამ გვახსენდება და მწარედ ვხუმრობთ, — რას წარმოვიდგენდით, თუ ჩემს სოფელში ჩამოსასვლელად ვიზა და პასპორტით სიარული დამჭირდებოდა-თქო? ეს ცალკე სევდა და ტკივილია... სტუდენტობისას თბილისში, სადგურის მოედნიდან ფოთის „მარშრუტკას“ მოვეყვებოდი, მერე კი აფხაზეთში უნდა წამოვსულიყავი — ზაფხულობით მოვიდიოდი ხოლმე, აქ ბებია მარტო იყო... ბატონმა რეზომ ეს ყველაფერი იცოდა. ერთხელ მითხრა, — მძლოლს 10 წუთი გააჯანჯლებინე და დამელოდეო. ვიფიქრე, ფოთში რალაც საქმე აქვს, შეიძლება, ვინმესთან რამე უნდა დამაბაროს-მეთქი. სადგურის მოედანზე რომ მოვიდა, „მარშრუტკიდან“ ამყად გადმოვედი, რადგან მგზავრები მიყურებდნენ (ილიმის). ძალიან მიხაროდა. წარმოიდგინეთ, ბატონმა რეზომ თავისი მანქანით (მძლოლთან ერთად), „ვაგზლის“ მოედანზე მომაკითხა! მახსოვს, გულის ჯიბეში ფული ჩამიდო და მითხრა: ამ ფულით, აფხაზეთში რომ გადახვალ, ფეკილი და სხვა საჭირო რალაცებიც გადაიტანე, აბა, შენი იციო და გზა დამილოცა... მსგავს

რალაცებს აკეთებდა. ჩვენ მიმართ საოცარი დამოკიდებულება, მზრუნველობის გრძნობა ჰქონდა. ამას რატომ აკეთებდა, ვხვდებოდი, როდესაც თავისი ცხოვრების ტრაგიკული ისტორიას, სტუდენტობის დროინდელ მოგონებებს გვიყვებოდა... დღეს, როდესაც მის შემოქმედებას ვუყურებ, ვიცი, რატომ გამოსდიოდა ასეთი გენიალური ნამუშევრები — სულით და ძალიან მაგარი გრძნობით გაჟღერებული ფილმები. ჩემთვის ეს ყველაფერი დაუვინყარია! როგორც ჯარისკაცებს აქვთ ჩინი (უფროსი ოფიცრის, გენერლის და ა.შ.), ჩემთვის და ჩემი ჯგუფელებისთვის ეს „ჩინი“ ის არის, რომ ბატონი რეზო ჩხეიძის სტუდენტები ვიყავით.

„სიზმარში ისა მიხარია, რომ რეალურებაში დაბრუნება მწყინს“

ინი ბაღურაშვილი:

— ჩემი მეგობარი — ელენე შენგელაია (ელდარ შენგელაიას შვილი) სამწუხაროდ, ავტოკატასტროფის შედეგად გარდაიცვალა. ჩვენ ერთად ვიზრდებოდით. საოცარი, „სუფთა“, ალალი ადამიანი იყო — ცხოვრები-

სახით, რალაც ძალიან დიდი გამომცალა — ჩემი უახლოესი მეგობარი და დიდი ტკივილი...

ასევე, ჩემთვის დაუვინყარია ჩემი ახლო მეგობარი — ზუკა სახელაშვილი, რომელიც ასევე, უდროოდ წავიდა ჩვენგან. ის სპორტსმენი, სიცოცხლით სავსე, ჯანმრთელი, ძალიან კარგი ადამიანი იყო. მართლა ასე მგონია, რომ კარგი ადამიანები ადრე გვტოვებენ... მასაც იუმორის ძალიან კარგი გრძნობა ჰქონდა — ზუსტ დროს იცოდა თქმა... ელენე ჩემი ბავშვობის მეგობარი გახლდათ, ზუკა კი — მერე შექმნილი, მაგრამ ზუკასთან ერთად გატარებული დროიდან უამრავი კარგი კარგი რამ მახსენდება. ეს ადამიანიც ჩემთვის საოცრად მალე „მორჩა“ და ჩემს ცხოვრებაში დიდი კვალი დატოვა. დღეს ის ძალიან მაკლია...

ასევე, მინდა, კიდევ ერთი ადამიანი, ბებიაჩემი — შურა გავისხენო, რომელიც 101 წლისა გარდაიცვალა. შურა ჩემთვის სიცოცხლის სიმბოლო გახლდათ. მისგან ბევრი რამ ვისწავლე. მიუხედავად იმისა, რომ შვილი გარდაიცვალა, ქმარიც ნაადრევად დაკარგა, თავის პრობლემას თავს



101 წლისა გარდაიცვალა. შურა ჩემთვის სიცოცხლის სიმბოლო გახლდათ

ჩემს ცხოვრებაში ისე მოხდა, რომ მასთან გავიზარდე. ვენახში, მდინარეზე, სათახნელად დავეყვებოდი, ღვინოს ერთად ვწურავდით... თან, მღეროდა და სიმღერასაც მასწავლიდა. ასეთი ურთიერთობა გვექონდა. ეს ადამიანი მუდამ მახსოვს. მისგან უამრავი რამ მაქვს ნასწავლი. ამიტომ დაუვინყარი ადამიანის შესახებ რომ მკითხეთ, პირველად პაპა გამახსენდა. 75 წლის იყო, როცა გარდაიცვალა, მე მაშინ დაახლოებით 20 წლის ვიყავი. მახსოვს, ჩემი მეგობრები კახეთში ჩამოვიდნენ. დაკრძალვაზე მისი ნასწავლი სიმღერები ვიმღერეთ. იუმორით სავსე კაცი იყო — ბრძენი, მოსიყვარულე... სიღვდრი განსაკუთრებულად უყვარდა. სახუმარო ლექსებს უგონებდა. ყოველ

მინდა, ცოცხალი იყოს, მესიზმრება ხოლმე, რომ ჩემთან მოდის და მეუბნება, — იცი, ნინი, მე განვიკურნე. ისევე შენთან ვარო...

სგან „გაფუჭებული“ არ გახლდათ... იუმორის არაჩვეულებრივი გრძნობა ჰქონდა. მასთან ერთად ყოველთვის კარგ ხასიათზე ვიყავი. თითქმის მთელ დროს ერთად ვატარებდით. სიზმრებში ხშირად ვხედავ. რამდენჯერმე ისეთი სიზმარიც ვნახე, რომელშიც თითქოს რალაც საფრთხეზე მიმანიშნა და შემდეგ, რეალურად მართლა ასე მოხდა... რალაცნაირად, ამ ადამიანთან სულიერ კავშირს ვგრძნობ. მენატრება, მართლა ძალიან დამაკლდა. ჩემს შვილს მისი სახელი — ელენე დავარქვი. არ მჯერა, რომ აქ არ არის. ისე მინდა, ცოცხალი იყოს, მესიზმრება ხოლმე, რომ ჩემთან მოდის და მეუბნება, — იცი, ნინი, მე განვიკურნე. ისევე შენთან ვარო (არადა, არაფერი სჭირდა). სიზმარში ისე მიხარია, რომ რეალურებაში დაბრუნება მწყინს. ელენე ჩემთვის დიდი ნათელი წერტილი იყო, რომელიც სამწუხაროდ, ჩაქრდა მისი

არასდროს მოგახვევდა — ცუდ ხასიათზე, მონყენილი არასოდეს იყო. 96-97 წლამდე საგურამოში ცხოვრობდა. სადამდეც შექმლო, ფიზიკურად შრომობდა, გარეთ გადიოდა... ყოველთვის ვეკითხებოდი, — შენს ასაკამდე როგორ მივაღწიოთ, რომ ასე ჯან-ღონით სავსე ვიყოთ-მეთქი? მეუბნებოდა, — ბოლმინი არასდროს ვყოფილვარ. ეცადე, ბოლმა არ ჩაიდო გულში და ნაკლები ინერვიულო. ვცდილობ, მისი რჩევები გავითვალისწინო. ისიც ძალიან მენატრება. რაც თავი მახსოვს, შურა ბებოც იყო... ახლა რომ აღარ არის, ძალიან დამაკლდა...

„სიყვარულშიც კი ზომიერება უნდა შეინარჩუნო...“

გიორგი უშიკიშვილი:
— თითქმის დღე არ გავა, პაპაჩემი — იორდანე (წყალკურთხევას — 19 იანვარს იყო დაბადებული) გაუარაშვილი არ გამახსენდეს, რადგან

გახლომა 5-დან 18 კმ-მდე თვეში გასუპება 3-დან 5-6 კმ-მდე თვეში
მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე რეგულირდება მალა, ქრება უსაიმონო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორჯანიზმი იწმინდება მლაკებისგან, სისხლძარღვები-ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება ახალგაზრდა, ელასტიკური. დადებითი სასურველი წონაზე და სტაბილურად შეინარჩუნებთ მას.
ასევე სიმაღლეში ზრდა სწრაფად და ეფექტურად. კურსით 3-5მ მთავრებით 25 წლამდე. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებაზე მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშებით. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია, განმეორება შეუძლიათ სასურველ შედეგამდე. უკუხეხება 0-ია.
შედეგები 100%-იანი.
ტელ: 577 29-37-41, 247-58-83
ქ-ნი პარიზი



დაუვინყარი ადამიანის შესახებ რომ მკითხეთ, პირველად პაპა გამახსენდა

დილით ადგებოდა და უმღეროდა — ასე აღვიძებდა. დასცინოდა (კარგი გაგებით)... პაპაჩემის მთავარი რჩევა იყო, ზომიერება შემენარჩუნებინა. მეუბნებოდა, — სიყვარულშიც კი ზომიერება უნდა შეინარჩუნო. ზედ-

„მსახიობობას მან მაზიარა პირველად...“

ქაა მუხანაძე:

— ჩემს ცხოვრებაში ბევრმა ადამიანმა დატოვა კვალი, რადგან ისეთ ადამიანებთან ურთიერთობის ბედნიერება მხვდა წილად, რომლებსაც „ლეგენდებს“ ვუნდებთ. მარჯანიშვილის თეატრში 1987 წელს მივედი. სცენაზეც ვმდგარვარ და, რა თქმა უნდა, კულისებშიც. რა გზასაც გავდივარ, ალბათ, ამაზე ჩემმა ოჯახმა, კონკრეტულად კი — მამაჩემმა იქონია ზეგავლენა: ამ გზაზე დამაყენა, ეს პროფესია შემეყვარა და ამ საქმესაც მან მაზიარა პირველად. მწლის ვიყავი, როცა მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე გამოვედი. სპექტაკლში — „ცაბუნია“ (კონსტანტინე ლორთქიფანიძის პატარანოველის მიხედვით) ვთამაშობდი. რა თქმა უნდა, მაშინ სრულყოფილად ვერ აღვიქვამდი, სად ვიყავი, რას ვაკეთებდი. ჩემთვის ეს ზეიმი იყო, მაგრამ

მოკბარული ავტომობილი საჩუქრებით დააბრუნეს. მაშინ ირაკლიმ ისევე იმღერა: „აბა, ყვავებს ვინ დაიჭერს, კარგო...“

მეტად ნუ ნერვიულებ, ნუ გადაჰყვები ვიღაცას, ზომიერი უნდა იყო. მაშინ ბავშვი ვიყავი და ვერ ვხვდებოდი. ახლა გავაცნობიერე, ზომიერება როგორი მნიშვნელოვანი ყოფილა...



ჩემს ცხოვრებაში ბევრმა ადამიანმა დატოვა კვალი

მინც, უფრო ბავშვურად აღვიქვამდი... მას შემდეგ დაიწყო თეატრისა და ხელოვნების მიმართ ჩემი სიყვარული. წლები გავიდა, ინსტიტუტი დავამთავრე, მარჯანიშვილის თეატრში მოვხვდი, შემდეგ კინოში აღმოჩნდი. კინომ ძალიან გამიტაცა — ეს სფერო მაინტერესებს. დღეს კინოშიც მიღებენ და კასტინგზეც ვმუშაობ. ასე რომ, მინც ყველაფრის თავიდათავი მამაჩემი — კუკური მუხანაძეა, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში მსახიობად მუშაობდა, მერე კი მარჯანიშვილის თეატრის დირექტორის მოადგილე იყო...

მამასთან ერთად, ასევე, მის მეგობრებსაც გავიხსენებ. ან გარდაცვლილმა ლენა ყიფშიძემ ბევრი რამ მასწავლა. ქალბატონ ლენასთან ახლო ურთიერთობა მქონდა. თანატოლივით მექცეოდა. საოცარი თეატრალური გრიმის გაკეთება იცოდა... იმ თაობის თითქმის ყველა მსახიობთან მქონდა ურთიერთობა. ასე რომ, მამაჩემის მაღლიერი ვარ. თუ რამე გამიკეთებია, ალბათ, მისი გზის გაგრძელებაა. პირველ კურსზე ვიყავი, როცა გარდაიცვალა. მისი,

როგორც პროფესიონალის მხარში დგომა მაშინ ყველაზე მეტად მჭირდებოდა და ძალიან დამაკლდა. მახსოვს, როცა თეატრალურ ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებს ვაბარებდი, ძალიან ნერვიულობდა. მისი ნერვიულობა მეც გადმომედებოდა ხოლმე. ვეუბნებოდი, გამოცდების დროს ინსტიტუტში არ მოხვიდე-მეთქი. ოპერასთან, ჭადართან იდგა, რომ არ დამენახა (ილიძის)...

ვერაზე ვცხოვრობდით, ახლა ისეთ მსახიობებს გავიხსენებ, რომლებიც მამასთან სტუმრად მოდიოდნენ: ვასო გოძიაშვილს ჩვენთან სტუმრობა უყვარდა. მის კალთაში ვიჯექი ხოლმე... მახსოვს, რეპეტიციის შემდეგ, ჩვენთან ვახშამზე გოგი გელოვანი პიანინოსთან იჯდა, ლენა ყიფშიძე კი ცნობილ ცეკვას ასრულებდა, რომელიც მერე სპექტაკლშიც შეასრულა (ვასო გოძიაშვილთან ერთად). ეს ყველაფერი ბუნდოვნად, მაგრამ მაინც მახსოვს... ბატონი ირაკლი უჩანეიშვილიც ხშირად მოდიოდა. ის ფორტეპიანოზე არაჩვეულებრივად უკრავდა. მახსოვს, ახალი წელი იყო. ბატონი ირაკლი და კიდევ რამდენიმე მსახიობი ჩვენთან ქეიფობდა. ბატონ ირაკლის ახალი მანქანა — „მოსკვიჩი“ ჰყავდა. ფორტეპიანოზე ცნობილი სიმღერა — „აბა, ყვავებს ვინ დაიჭერს კარგო, გალიაში ბულბულები ზიან...“ დაუკრა (ამ სიმღერას ერთ-ერთ ფილმშიც ასრულებს). ჩვენი წვეულება რომ დასრულდა, ეზოში მანქანა აღარ იდგა! ერთი ამბავი ატყდა. 70-იანი წლები იყო, მანქანებს იპარავდნენ. გაკითხვით, დიდი ჩარევით მანქანა იპოვეს. ირაკლიმ თქვა: არაფერი მინდა. მანქანაში მამაჩემის ნაჩუქარი მეგრული ქუდი მიდევს და იქნებ, როგორმე ის ქუდი მომანოდონო... ის დროც დადგა, როცა მანქანა საზეიმო ვითარებაში უნდა დაებრუნებინათ პატრონისთვის. მთანმინდაზე დაიბარეს. მამაჩემი, ირაკლი და მათი კიდევ ერთი მეგობარი წავიდნენ. ღამე იყო. დაინახეს, რომ მანქანა იდგა. კარი გამოაღეს და — ქუდი თავის ადგილზე იდო, უკანა სავარძელზე კი — შამპანური, ნაირ-ნაირი შოკოლადი, „ბამბანერკები“... მოპარული ავტომობილი საჩუქრებით დააბრუნეს. მაშინ ირაკლიმ ისევე იმღერა: „აბა, ყვავებს ვინ დაიჭერს, კარგო...“ თურმე, მთელ მთანმინდაზე ისმოდა მისი სიმღერა (ილიძის)... კიდევ, ბევრი რამის გახსენება შეიძლება იმ ადამიანების შესახებ, ვინც ჩემს ცხოვრებაში დიდი კვალი დატოვა...

— პირადად ჩემთვისაც და მთლიანად საზოგადოებისთვის ეს არის გამორჩეული პროექტი, სიახლეა იმ მხრივ, რომ ჟღერს მხოლოდ ქართული სიმღერა. ეს მაყურებლის დიდი მოთხოვნაც იყო, რომ თუნდაც სხვა პროექტებში უფრო მეტი ქართული რეპერტუარი მოესმინათ. „მხოლოდ ქართული“ ის პროექტია, სადაც აბსოლუტურად მთელი რესურსი ქართულ სიმღერაშია ჩადებული...

მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, ქართული სიმღერის შეყვარებისთვის, იმისთვის, რომ მეტი თავისუფლება ჰქონდეთ შესრულებისას. გაბედონ და მეტი იმღერონ ქართულად და ქართული სიმღერა საკუთარი ხედვით დაგვანახონ...

კასტინგებამდე ვშიშობდით, ახალი თაობის მიერ შესრულებული ქართული სიმღერა როგორი იქნებოდა, მაგრამ სასიამოვნოდ გაოცებული და გაკვირვებული დავიქნა. მრავალფეროვნება, თავისებური ხედავ დაზინახეთ. საინტერესო მოსასმენია ქართულისთვის ახალი სიცოცხლის მიცემა... პროექტში იქნება ბევრი ტური — როგორც კლასიკოსების, თანამედროვე კომპოზიტორების, ფოლკლორის, ჯაზის მიმართულებების, დუეტების და ყველაფერს წლების მიხედვით მივყვებით. ეს მათთვის დიდი გამოცდილების მიღებაა, წინ გადადგმული ნაბიჯია. საბოლოოდ, გამარჯვებული თავს დაიმკვიდრებს ქართულ ესტრადაზე, ამის დიდი იმედი გვაქვს. კონკურსანტებს შორის იქნებიან ინდივიდუალიზმით გამორჩეულები და თავს შეაყვარებენ მაყურებელს...

იცავთ, რომ ჟიურის კიდევ ორი წევრი დავგვემატება, მაყურებლისთვის ცნობილი, გამოცდილი და საყვარელი ადამიანები. მათი გამოჩენა სიურპრიზი იქნება და დარწმუნებული ვარ, გაუხარდებათ...

— სანამ ჟიურის ორი წევრი დავმატებთ, თქვენს სამეულზე ვისაუბროთ... რამდენად კომფორტულია მარინა ბერიძესა და გიორგი უშიკიშვილთან თანამშრომლობა?

— ძალიან სასიამოვნო იყო და არის, მიუხედავად იმისა, რომ რადიკალურად განსხვავებულები ვართ, მე და უშიკა ჟანრობრივად, მარინასთან ასაკობრივად, ეპოქალურად (მის ხელში ვართ გაზრდილები), მერე მარინას რამხელა გამოცდილება აქვს

როგორ შეწყვიტოთ ერთმანეთს სოფო ნიჟარაძე, გიორგი უშიკიშვილი და მარინა ბერიძე

ჟიურის წევრობა და მასშტაბურ ტელეპროექტში მონაწილეობა მისთვის სიახლე არ არის. ამ მხრივ დიდი გამოცდილება აქვს. ამჯერად, „მხოლოდ ქართულის“ წესების თანახმად, ჟიურის სხვა წევრებთან ერთად, არაერთი კონკურსანტის მოსმენა მოუხდება. უკმაყოფილო არ ჩანს, ამბობს, რომ მაყურებელს საინტერესო შემსრულებლების გაცნობა მოუწევს...

გთავაზობთ ამონარიდს ინტერვიუდან, რომელიც მომღერალმა სოფო ნიჟარაძემ AMBEBI.GE-ს ჟურნალისტს მისცა.



ასეთ პროექტებში მონაწილეობის... ხასიათებითაც განსხვავებულები ვართ. არ დაგიმალავთ, ვნერვიულობდით, როგორი იქნებოდა ჩვენი საერთო მუშაობის პროცესი, რადგანაც ჩვენ შორის ასეთი სხვაობაა ყველაფერში, მაგრამ ჰარმონიულად შევეწყვეთ. ვიმეორებ, ეს მუშაობა სასიამოვნო აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ვკამათობდით, ვჩხუბობდით, განსხვავებული აზრი გვქონდა, თუმცა საერთო ინტერესებიც გადაიკვეთა.

ყველაზე დასამახსოვრებელი გაუგებრობა ათეულის შერჩევის პერიოდში იყო, როცა ხმათა უმრავლესობით ათ საუკეთესოს ვირჩევდით. თუმცა, ბოლოს ყველანი მაინც შევჯერდით.

— სოციალური ქსელი დაიპყრო კონკურსანტ შუშანას ამბავმა — ზოგი კომპანიას საყვედურობს, რომ ის კონკურსზე დაუშვეს და ზოგი ჟიურის, რომ შემდეგ ტურში არ გადაიყვანა...

— ეს ადამიანი გორის რეგიონში კოლორითა, ყველას უყვარს და ახლა უკვე, როგორც დავინახეთ, მისმა გამოსვლამ ბევრს დადებითი რეაქციები და ემოციები მოუტანა. არ ვიცი, რატომ არის ეს გალი-

ზიანება, რა უფლება ჰქონდა ვინმეს, ის „დაებლოკა“ და კონკურსზე არ დაეშვა?! შუშანას, როგორც რიგით მონაწილეს, ნება დავრთეთ კონკურსში ჩართულიყო, შევაფასეთ მისი ემოციური, პოზიტიური გამოსვლა — მთელი სული და გული ჩააქსოვა. მისთვის მნიშვნელოვანი იყო, მოსულიყო პროექტში, ეჩვენებინა შესაძლებლობა და სიმღერა შეყვარებულისთვის მიეძღვნა... დაცინვა ზუსტად ის იქნებოდა, უარი გვეთქვა მონაწილეობაზე.

ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის „ქართული ღვინის გილდია“

თქვენი ბიზნესის განვითარებისა და დასაქმების, პროფესიული განვითარების მიზნით, გთავაზობთ მოკლევადიან სასწავლო ტრენინგ კურსებს:

1. „როგორ დავამზადოთ ხარისხიანი ღვინო მცირე წარმადობის მარანში“ — კურსის ღირებულებაა 154 ლარი.
2. „ქვევრის ღვინის წარმოება და ტრადიციული მარნის ორგანიზაცია“ — კურსის ღირებულებაა 310 ლარი.
3. „თაფლის არყის წარმოება — როგორ დავამზადოთ თაფლის არაყი“ — კურსის ღირებულებაა 112 ლარი.
4. „მელენიების კანონმდებლობა, რეგულირება და ღვინის სერტიფიკაციის პროცედურები“ — კურსის ღირებულებაა 222 ლარი.

სტუდენტებისთვის მოქმედებს 30%-იანი ფასდაკლება

რეგიონის მოსახლეობისათვის — 20%-იანი ფასდაკლება

დაგვიკავშირდით:

მობილურ ტელეფონზე: 5(68) 70.60.35
 ელფოსტა: georgianwineguild@gmail.com



„ბაბუაჩემის პერანგით არაჩვეულებრივი სამოსი შევიკავე“

რა აკომპლემენტებს ეკა ნიჟარაძეს

„ელეგანტურობასთან არანაირი კავშირი არ მაქვს... შეიძლება ათასში ერთხელ მოვინდომო და ელეგანტურად ჩავიცვა, მაგრამ არსებობენ ამ მხრივ გამორჩეული ქალბატონები. ეს ძალიან მომწონს და მათ დიდ პატივს ვცემ“, — ამჯერად საკუთარ გემოვნებაზე მსახიობი ეკა ნიჟარაძე გვესაუბრა...

მანანა ბაბრიყიძე

— ბავშვობიდან მოყოლებული, რომელი მწერლები, ნაწარმოებებია თქვენთვის გამორჩეული?

— ჩვენს ბავშვობაში ყველას უნდა წაეკითხა „პეპი გრძელნიღა“, „ბიძია თომას ქოხი“, ასევე რასაკვირველია, ანდერსენისა და ძმები გრიმების ზღაპრებიც... შემდეგ წამოვიზარდე და ძალიან მიყვარდა ჩუკოვსკის, მიხალკოვის ლექსები, რომლებსაც შემდეგ ჩემს შვილებს და ახლა უკვე შვილიშვილებს ვუკითხავ... დაახლოებით 12-13 წლის ვიყავი, როდესაც მამამ მაჩუქა მარკესის „მარტოობის ასი წელი“ რუსულად (მამინე ყველაფერს რუსულად ვკითხულობდი). ამ წიგნმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამა მერე დიდხანს, გატაცებით ვკითხულობდი რომანებს. ახლა სამწუხაროდ, ველარაფერს ვკითხულობ. ზაფხულში რამდენიმე დღე თუ გამომიჩნდება საამისოდ, თორემ სხვა დროს ძალიან დაკავებული ვარ. ალბათ, დროზეც არ არის დამოკიდებული, უბრალოდ, კონცენტრაციას ვერ ვახდენ. აბსოლუტურად სხვა მიმართულებით მუშაობს ჩემი ტვინი, სამწუხაროდ...

— სამოგზაუროდ რომელი ქვეყნებია თქვენთვის უფრო მიმზიდველი — თანამედროვე მეგაპოლისები თუ ისტორიული წარსულის მქონე?

— ძალიან ბევრ ქვეყანაში არ ვარ ნამყოფი, მაგრამ ბევრჯერ ვიყავი ერთსა და იმავე ქვეყანაში. მაგალითად, საფრანგეთში რამდენჯერმე მომიხდა ჩასვლა. ასევე, ამერიკაში მინევეს ხშირად ყოფნა და თუ თანამედროვე ქვეყნებზე ვისაუბრებთ, ნიუ-იორკი არის ჩემთვის განსაკუთრებულად საინტერესო ქალაქი... თუმცა, ძალიან მიყვარს ძველი არქიტექტურა და საერთოდ, სიძველე... მიყვარს დარაბები, ჩამოშლილი, ცოტა სქელი აგურით ნაშენი კედლები, გაცვეთილი, ძველი პარკეტი — ეს მირჩევნია თანამედროვეს, ახლა რომ ვერორემონტს ეძახიან. ამ სიტყვაზე საერთოდ, ცუდად ვხდები, მაჟორიალებს... ანტიკვარების მოყვარულიც არ ვარ, რომ ვაგროვებდე, მაგრამ ძველთან კომბინირებული თანამედროვე ძალიან მომწონს.

— ნიუ-იორკი განსაკუთრებულად საინტერესო ქალაქებს შორის დაასახელებთ. რატომ?

— ეს ქალაქი ყველაფრით მომწონს: არქიტექტურით, რიტმით, სტილით... ნებისმიერი ეროვნების ადამიანი ქუჩაში მოდის და იქაურ მოქალაქედ გრძნობს თავს. მექსიკელია, ჩინელი თუ ქართველი, ოდნავაც არ აქვს შეგრძნება, ჩასული რომ არის. ყველა ქვეყნის თუ რელიგიის წარმომადგენელი ბედნიერად გრძნობს თავს ნიუ-იორკში.

პარიზში პირველად 2005 წელს აღმოვჩნდი და პარიზი — პარიზია, როგორ შეიძლება არ მოგხიბლოს?! თუმცა, პარიზზე მეტად საფრანგეთის სოფლები მომეწონა. ჩემი მეგობარი მეპატიჟება ხოლმე, რამდენჯერმე მომიწია იქ ყოფნამ და საოცრება იყო. ნიცის სანაპიროდან ათ წუთში ადიხარ მთაში, აბსოლუტურად სხვა ატმოსფეროში... არაჩვეულებრივი ფრანგული სახლები, მოვლილი ეზოებით, ღვინით, პატარა ოჯახური კაფეებით... დილით შეგიძლია გახვიდე და იქვე იყიდო ახალდაკრეფილი მარწყვი, რომელსაც საოცარი არომატი აქვს.

— რომელმა ქვეყანამ დატოვა თქვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება, როგორც ყველაზე გემოვნებიანი მცხოვრებლებით დასახლებულმა ადგილმა?

— ცოტა რთულია, ქვეყანა ამ კუთხით შეაფასო... გემოვნებაზე ხომ არ დაობენ. ვილაციისთვის შეიძლება, მე ვიყო უგემოვნო, ვილაცას თავად ვუყურებდე და ვამბობდე, ღმერთო ჩემო, ასე როგორ შეიძლება ადამიანი დადიოდე-მეთქი. გემოვნება მხოლოდ ის ხომ არ არის, რომ წითელი შავს შეუხამო. უნდა შეგეძლოს შენი ნაკლი მაქსიმალურად დამალო. არიან უნაკლო ადამიანები, რომლებ-



მირჩევნია ვიყიდო ასეთი ორიგინალური და გამორჩეული, ვიდრე ე.წ. მოდური

საც უფლება აქვთ, თამამად იყვნენ ჩაცმულები, მაქსიმალურად გამოაჩინონ სხეულის ლამაზი ნაწილები და მე ამას მივესალმები... თუმცა ხდება, რომ ადამიანს არ უხდება მოკლე კაბა, მაგრამ ძალიან უნდა რომ ჩაიცვას. არ ვიცი, ამ შემთხვევაში რა უფროა სწორი... სხვათა შორის, ნიუ-იორკი იმით არის ბედნიერი ქალაქი, რომ იქ ყველას სურვილის მიხედვით აცვია და ეს თვალში საცემია. ჩვენთან ხომ არის „კანონი“, რომ არ მაქვს ნამზებული და „იუბკას“ ვერ ჩავიცვამო. იქ ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. არავინ გაქცევს ყურადღებას, გარუჯული ხარ თუ არა. იქ მეათეხარისხოვანია ის, რაც შეიძლება ჩვენთან ტრადიციად ვაქციოთ. დიდი ბედნიერებაა, რომ ქუჩაში, როგორც გსურს, ისე ხარ ჩაცმული და ამის გამო ნეგატიურად არავინ გიყურებს.

— აზობენ, თბილისში დაიკარგა თბილისური მოდა...

— თბილისი საერთოდ ძალიან მოდური ქალაქი იყო და გემოვნებიანი ქალბატონები ცხოვრობდნენ უფროს თაობაში. ასევე, ჩვენს თაობაშიც. ადრე არ იყო ამდენი არჩევანი... ახლა გახვალ და იყიდი, რაც გსურს, გამოინერ, შეუკვეთ როგორსაც გინდა და ყველაფერი გამარტივებულია. ჩემს ბავშვობაში ამდენი რამ არ იმოვებოდა, თუმცა ყველაფერს ვახერხებდით. მე მაგალითად, გადამიკეთებია ბაბუაჩემის პერანგი. თავად შემიკერავს იმდენად კარგად, რომ არჩვეულებრივი სამოსი გამოსულა და დღემდე იხსენებენ ამას ჩემი მეგობრები, — როგორ გიხდებოდაო... 14-15 წლის რომ ხარ, მაშინ უფრო გიხდება ყველაფერი, ვიდრე 45 წლისას... ასე ცალსახად ვერ ვიტყვი, რომ ე.წ. თბილისური მოდა დაიკარგა. ყველგან არის გემოვნებიანი ხალხი და უგემოვნოც. არ მინდა ვთქვა, რომ ქალაქში ბევრი უგემოვნო გვყავს, რადგან ასე არ ვფიქრობ. უბრალოდ, ყველა ერთმანეთს დაემსგავსა... მე ჩემს პლუსად არ ვთვლი, მაგრამ არასოდეს მიყვარდა ის, რაც მოდაშია. არიან ადამიანები, რომლებსაც ერთი სული აქვთ, რაღაც კონკრეტული ჩანთა თუ ფეხსაცმელი შეიძინონ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ აქვთ ამის საშუალება. ბევრი ვალსაც კი იღებს, რომ რომელიღაც ბრენდის ფეხსაცმელი აუცილებლად ჰქონდეს, რაც ჩემთვის აბსოლუტურად

ნარმოუდგენელია... მე მაგალითად, ახლა რაც მაცვია, ის შარვალი და პიჯაკი, ნიცის „ვინტიჯში“ „სექენდ ჰენდში“ მაქვს შეძენილი ძალიან ბევრი წლის წინ. საინტერესოდ შეკერილი შარვალია. იმდენად მომეწონა, არ შემიძლო, არ მეყიდა. მირჩევნია ვიყიდო ასეთი ორიგინალური და გამორჩეული, ვიდრე ე.წ. მოდური. ყოველდღიურად მაცვია ჯინსი, კედი და მაისური, ანუ სპორტულ სტილში...

— ვინ გახსენდებათ ცნობილი ქართველი ქალბატონებიდან განსაკუთრებულად გემოვნებიანი?

— საბედნიეროდ, ბევრი გვყავს გემოვნებიანი და ელეგანტური ქალბატონი. ამ დროს არ შეიძლება ნანი ბრეგვაძე არ გაგახსენდეს. ის ელეგანტურობის ეტალონია, ყოველთვის გემოვნებით აცვია და არაჩვეულებრივადაც გამოიყურება...

მე კი უკვე ისეთი რიტმი და ეტაპი მაქვს ცხოვრების, რომ მაქსიმალურად ვცდილობ, ყოველდღიურად კომფორტული სამოსი ვატარო. ადრე შეიძლება ყოველდღიურად მაღალქუსლიანი ფეხსაცმელიც ჩამეცვა, რაც დღეს გამორიცხულია: ველარ დავდივარ, თავს ველარ ვერევი... თან, როცა მაღალქუსლიანებს ვატარებ, ყველა მეუბნება, — ვაიმე, რამ სიმაღლე ხარო და ეს ცოტა არ იყოს, მაკომპლექსებს. ამიტომ მირჩევნია, ისევე კომფორტული ფეხსაცმელი ვატარო... გამოსასვლელად მაქვს ულამაზესი კაბები, რომელიც ნიუ-იორკის „ვინტიჯში“ რეკორდულ ფასად მაქვს ნაყიდი. იმდენად იაფად, რომ არავის სჯერა, როცა ამას აღვნიშნავ...

— როგორი აქსესუარები გიყვართ?

— ზამთარში თითქმის არ ვატარებ აქსესუარებს, რადგან არ ჩანს... ამოჩემება ვიცი: შეიძლება თვეების განმავლობაში ერთი და იგივე ბეჭედი ვატარო... ტანსაცმელზეც ასე ვარ. შეიძლება ერთი და იგივე ჩავიცვა დიდხანს.

— როგორი ფერები გიყვართ?

— რაც შეიძლება ღია ფერები მიყვარს. იშვიათად მაცვია მუქი. გული მწყდება, ქართველები რომ მუქ ფერებზე არიან კონცენტრირებული და ეს განსაკუთრებით თვალში საცემია, როდესაც სპორტული მატრია... მაყურებელი ტრიბუნებზე სულ შავ და ნაცრისფერ ფერშია, როდესაც უცხოეთში ანათებენ ტრი-



დიდი ბედნიერებაა, რომ ქუჩაში, როგორც გსურს, ისე ხარ ჩაცმული

ბუნებიდან ფერადი სამოსით. მსურს, მამაკაცებმაც და ქალბატონებმაც ხასხასა ფერის სამოსი ჩაიცვან, ეს ხასიათზეც დადებითად აისახება.

— როგორი სახლები მოგწონთ?

— როგორშიც ვცხოვრობ... მიყვარს სივრცე და რაც შეიძლება ნაკლები ავეჯი. არ მიყვარს, როცა ოთახი გადატვირთულია ნივთებით. მინიმალისტიკის მომხრე ვარ... არ ვიცი, საიდან, მაგრამ სახლში სულ გროვდება ბევრი ნივთი და პერიოდულად „რიტუალი“ მაქვს ხოლმე — დავცლი, გავაჩუქებ, გადავყრი და მერე ისევ გროვდება.

ქველ-სახსართა პრობლემები

კოქსართოზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზური სპონდილიტას, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძვლის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციო სახსრებზე ძვლის მკვებად, მკერდული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. სისხლის მიმოქცევის აღდგენით, მარტივების, შლაკებისა და ქოლესტერინისაგან გაწმენდით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესო და მყარი.

ტელ: 599 91-37-65 ქ-61: ქაითაოო

„ქვემეხი“ – რევოლუცია თუ ევოლუცია?

დავ სუსეირიძე

სანდრო ქერაული, „ქვემეხის“ თავია. ის სოლისტია, უფრო ხშირად საკუთარ მუსიკას მღერის, თავად წერს ტექსტსაც.

— „ქვემეხი“ ქართული, ძლიერი სიტყვაა — შინაარსობრივად დატვირთული, კარგი ჟღერადობით. თავიდან იყო მხოლოდ ჯგუფი, ახლა კი ორად ვართ გაყოფილები, ანუ არის ქვემეხი „ბენდი“ და „ქვემეხი“, როგორც კულტურა.

— ბენდი გასაგებია, მაგრამ დანარჩენს განმარტება სჭირდება.

ბიორბი:

— ეს ჰგავს ფრანგულ ახალ ტალღას, იმას, რაც ზეგავლენას ახდენს ტვინებზე. ჩვენ კულტურული კონგლომერანტის გაკეთება დავიწყეთ. ეს სახელი აერთიანებს ნებისმიერ ავანგარდულ ხელოვნებას — მუსიკას, კინემატოგრაფიას, ფოტოგრაფიას და ა.შ. ჩვენ ყველანი ადამიანს და მის შემოქმედებას ვუქმნით სივრცეს და სახელს, რითიც ის შემდეგ მსმენელამდე, მნახველამდე მივა. ეს ალტერნატიული კულტურაა. ამისი მაგალითები უკვე არსებობს სამყაროში.

სანდრო:

— ამის მაგალითად ენდი უორჰოლიც გამოდგება — ამერიკელი მხატვარი, რეჟისორი და პროდიუსერი. ის წინა საუკუნის სამოციან წლებში მოღვაწეობდა; მაშინ, როცა ჩვენი მშობლები იზადებოდნენ და მან პოპარტი ახალ სიმაღლეზე აიყვანა — ფერწერა, შოლკოგრაფია, ფოტოგრაფია, კინო, სკულპტურა, რეკლამა გაერთიანა, ჩვენ ამას მუსიკა, პროზა, პოეზია, მოდა, გამოხატვის ნებისმიერი სახე დავამატეთ და ვქმნით. ეს არის იმ ყველაფრის ალტერნატივა, რასაც უკვე გვთავაზობს ქალაქი.

— თავიდან, როგორც ვიცი, სამნი იყავით...

სანდრო:

— თავიდან ჩვენ სამნი და გიორგი (გიორგი ზვიადაძე) ვიყავით. ვფიქრობდით რამე კარგ ნამონყებაზე. შემდეგ ჩაერთო ნატატა და ძირითადი დიზაინის იდეოლოგია საკუთარ თავზე აიღო. როდესაც იდეა გაჩნდა, მივხვდით, რომ ეს რაღაც ახალი იყო. მოგვიანებით ამან იმხელა მიზიდულობა შეიძინა, რომ ათასები გავხდით.

ბიორბი:

— ეს გრავიტაციაა. ფაუნდერები

„ქვემეხი“ ვერ მუსიკალური ჯგუფის სახელწოდებად აირჩიეს, შემდეგ ეს ბევრი ფიქრიანი სტრიქონის შემდეგ, იდეად იქცა და მოძრაობა გახდა. მათი ისტორია ბუნებრივად შეიქმნა, რადგან როდესაც მღერი „აირჩიე მომავალი, რადგან როცა ყველაფერი გექნება, აღარავინ დაგრჩება, რომ უთხრა — მე ბედნიერი ვარ. აირჩიე სიცოცხლე“ — სხვა აღარაფერი დაგრჩენია იმის გარდა, რომ ლიდერად იგრძნო თავი. მე გიამბობთ ახალგაზრდებზე, რომლებმაც ჭაობში სუფთა წყლის ნაკადი აღმოაჩინეს.

ამჯერად „ქვემეხის“ ბირთვის სამი წევრი ჩავწერეთ: სანდრო ქერაული, გიორგი აბაშვილი (აბაშა) და ნიკა სარალაშვილი (სარალა). მას კიდევ ორ სულისჩამდგმელი ჰყავს: ნატატა სალირაშვილი და გიორგი ზვიადაძე.



სანდრო ქერაული, გიორგი აბაშვილი და ნიკა სარალაშვილი

და ათასობით მიმდევარი.

— და გადატრიალებას აწყობთ ხელოვნებაში?

— დიახ, და ხელოვნებით გონებაში.

— ანუ თქვენ აპირებთ იგივე გააკეთოთ, რაც გააკეთა „ბითლზმა“ ან ჯიმი ჰენდრიქსმა? მათ ოქროს ხანა შექმნეს, შეცვალეს სამყარო... ახლა საქართველოში დადგა ახალი გადატრიალების ყამი?

— საქართველო დანარჩენი სამყაროსგან ძალიან გამოირჩევა. ეს მინისამყაროა. ყველაფერი, რაც არ იყო საბჭოთა კავშირში, იყო საქართველოში. აქ პოპკულტურის რენესანსი 90-იანებში დაიწყო ირაკლი ჩარკვიანი და დადა დადიანი, მაგრამ სრულად ვერ მოიცვა. ჩემი აზრით, „ქვემეხი“ ამას შეძლებს.

ნიკა:

— ჩვენ დიდხანს მხოლოდ მუსიკას „ვაკეთებდით“. შემდეგ ვეცადეთ გარშემო რაღაც სხვაც დაგვენახა და ვერაფერი დავინახეთ. არსად იყო იდეა. ყველაფერი კარგია, რაც იდეებს გააჩენს. ჩვენ ვაპირებთ იმ

ბირთვის გამართვას, რომელზეც რაღაცები აიგება და დალაგდება.

სანდრო:

— ჩვენთან მოსულ ადამიანს არ უნდა აინტერესებდეს მხოლოდ ფინანსური მხარე, ის იდეის მიმართ უნდა იყოს განწყობილი. მიუხედავად იმისა, რომ ვამბობთ, ათასობით მიმდევარი გყავს, ეს მანაც პატარა კულტურული სივრცეა და აქ ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდული კულტურა ტრიალებს.

— „ქვემეხი“ აცხადებს, რომ სამყარო უფრო კარგია, ვიდრე ჩვენ ვხედავთ. სწორად გავიგე?

— დიახ, სამყარო უფრო კარგია, ვიდრე ჩვენ ვხედავთ. ამიტომ ბედნიერებისთვის უმჯობესი იქნება, თუ ამ სამყაროს ისეთს დავინახავთ, როგორც არის, ამას კი ხელოვნება უწყობს ხელს.

— „ქვემეხი“ გულწრფელობაა, მაგრამ არა გაქცევა?

— ისეთი სივრცეები, სადაც შეგიძლია დაივიწყო, გაერიდო, გაიქცე, უკვე არსებობს თბილისში. მაგალითად, ერთი მაღაზიაა რუსთაველზე. იქ

სულ ლამაზი, ვარდისფერი კედლები და მაღალი ხარისხის ევროპული პროდუქცია დევს. გეჩვენება, რომ ცივი ომი, რუსეთი, სადღაც სხვაგან დარჩა. აქ არც რელიგიური ტერორია, არც ცუდი ადამიანები. ლამაზი მაღაზიანი ხარ, ლამაზი მუსიკა ისმის და ყველას ყველაფერი „ფეხებზე ჰკიდია“... ჩვენ კი არ გვინდა, რაიმეს გავექცეთ. პირიქით, საკუთარი შეგნების, მოქალაქეობრივი თვითშეგნების გაზრდის ხარჯზე ხელოვნების განვითარებით უნდა დავუდგეთ წინ პრობლემას. ასე მგონია, რომ თუ ვილაც ტიპი უკეთესი ფოტოგრაფი გახდება, წინააღმდეგობის განვითარების შესაძლებლობა გაუჩნდება.

როცა ადამიანები ზენოლისგან ცუდად ხდებიან, იოლია მათი შანტაჟი, იკეტებიან სახლებში, საკუთარ ნაჭუჭში. ჩვენ კი მათ ვეუბნებით: „უნდა დაიჯერო, რომ ვერავინ მოგერევა, ანუ შენ ისეთი მაგარი ხარ, რომ უძლეველი გახდები. ამაში დაგეხმარებით“. როცა ჩვენთან ვინმე მოდის და ამბობს, რომ რალაცის გაკეთება უნდა, მაშინვე ვერთვებით, რომ მან თავისი ჩანაფიქრი განახორციელოს. „ქვემეხის“ მთელი მულამი ის არის, რომ ინდივიდუალურად გახდეს ისეთი ძლიერი, რომ დაეჯახოს სისტემას, რომელიც ნერვებს უშლის. აუცილებელია, რომ ინდივიდუალური პროტესტის გამოხატვა ისწავლონ თუნდაც, არტისტებმა. დღეს მათ ეს ნაკლებად იცინა.

— **საბოლოო ჯამში ყველაფერი მიდის იქამდე, რომ ქმნით რალაც პროდუქტს, ხელშესახებს, აღსაქმელს და მუსიკას, მათ შორის. გყავთ მსმენელი. თქვენი ფანები არიან თქვენი მიმდევრებიც...**

ნიკა:

— ერთი რამ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მომზადებული გონება გვჭირდება. ცოტა სნობურად ჟღერს, მაგრამ განათლების რალაც ეტაპზე მაინც უნდა იყოს, რომ ეს გაიგოს. გვინდა შეიცვალოს საზოგადოება და მან შეძლოს აისხლიტოს ცუდი პროპაგანდა, გაარჩიოს სინათლე და სიბნელე, ამისთვის კი ერთადერთი გზა არსებობს, ისევე პროპაგანდა — ანტიექსტრემისტიული, ანტიმილიტარისტული, ანტისექსტისტიური, ანტიჰომოფობიური. ჩვენ კატეგორიულები არ ვართ. ეს ცხოვრების სიამოვნების აღქმისკენ მონოღებაა. ეს გაქცევა კი არა, გაანალიზებაა.

სანდრო:

— მნიშვნელოვანია, რომ ქართულად ვნეროთ და ვიმღეროთ. ჯერ ერთი, ყველაფერს განვითარება სჭირდება, მათ შორის, ენასაც და თუ ამას ჩვენ, პოეტები, მწერლები, მომღერლები არ გავაკეთებთ, ბიძინა მით უმეტეს, ვერ გავაკეთებთ. ჩემი ენა, რომელიც მე მოვიგონე, არის ქართული ენის განშტოება. და მგონია, რომ ეს კარგი ამბავია, რადგან ბევრი ბენდი გამოჩნდა, რომელიც ჩემი ლექსის წყობით წერს თავის ტექსტებს.

ქართველს რომ გავაგებინო, რაც

ნიკა მოსიაშვილი, გიორგი მიგრიაული და ვამეხ ცუცქირიძე.

— **ფინანსურად ოჯახისგან დამოუკიდებელი ხართ?**

ნიკა:


— დიახ, ამას მივალწივ.

— **და უამრავი თაყვანისმცემელი გოგო გყავთ.**

გიორგი:

— ეს თანამდევია იმის, რასაც ვაკეთებთ.

— **და მაგრამ მოსწონხართ და გგულშემატკივრობთ რობი კუხიანიძე.**



გაქცევას არ ვაპირებთ. საქართველო ძალიან ბევრს ნიშნავს ჩვენთვის

მინდა, ქართულად უნდა ვუთხრა. ვაჟას რომ აქვს „თოფიდან ტყვია გამოსტყვრა“, ამას სხვა ენაზე ვერ იტყვი და ემოციას ვერ გადმოსცემ. სხვათა შორის, ვაჟამ დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე.

— **თქვენი მუსიკა საბრძოლო მარშსაც მაგონებს...**

— შეიძლება ანარეკლი იყოს, ჩვენ ხომ ვრაზმავთ ტიპებს...

— **რევოლუციაზე ვლაპარაკობთ. ჩვენ გაბრაზებულები ვართ და გვჭირდება რევოლუცია?**

გიორგი:

— ერთი წლის წინ ასე ფიქრობდი, მაგრამ ახლამივხვდი, რომ ევოლუცია უფრო გვჭირდება. სანყისი, „შავი კარკასი“ უკვე არსებობს ამისთვის, მაგრამ მრავალი წელია ასე „შავად“ დგას, ახლა ამისი ევოლუცია საჭირო, განვითარება. უნდა შევიდეს ხელოსანი და დაამუშაოს იმისთვის, რომ კულტურის იდეალური სახლი ააშენოს.

— **ბენდზე მომიყვით, რამდენი ხართ?**

სანდრო:

— ბენდში ოთხი წევრი ვართ. მე,

ნიკა:

— მასთან ერთად კონცერტიც გვქონდა.

— **საუბრის დასაწყისში უნდა მეკითხა, მაგრამ არც ახლავ გვიან: რა უანრში მღერის „ქვემეხი“?**

გიორგი:

— საქართველოში „ქვემეხამდე“ როკუანრში იყო რალაც დეს მეტალი, პოპ როკი, პანკ როკი და ინდი როკი, „ქვემეხის“ შემდეგ პირველად გაჩნდა საქართველოში პოსტ როკი, დარქ ამბიენტ როკი, ნოიზ როკი, ავანგარდ როკი და ჯაზ როკი. კონცერტისთვისაც ვემზადებით, მაგრამ ამ ეტაპზე უფრო მეტს ჯერ ვერაფერს გეტყვით.

— **ომი რომ დაიწყოს, რას იზამთ?**

სანდრო:

— პარტიზანულ ბრძოლას დავინწყებთ. ჩავჯდებით უბნებში და არ მოვუშვებთ არავის. უცნაურია, რომ ამაზე გვიფიქრია, მაგრამ ასეა. გაქცევას არ ვაპირებთ. საქართველო ძალიან ბევრს ნიშნავს ჩვენთვის. მართალია პათეტიკურად ჟღერს, მაგრამ სამშობლოს სიყვარულზე პათეტიკა მოსულა.



ცხოვრება

ნიმუ ჯანსიხვეპილი

— გურიაში, ჩოხატაურში და-ვიბადე, მაგრამ თბილისში გავიზარდე. ამჟამად ფონიჭალაში ვცხოვრობ, ჩემი მშობლების სახლში, დედასთან, მეუღლესა და ერთადერთ შვილთან, ლუკასთან ერთად. ჩემი მეუღლეც გურულია — გია არიშიძე. ოჯახში ორი გურული ხომ წარმოგიდგენია, რა იქნება (იციინის)? ამასთან დაკავშირებით ერთ ამბავს მოგიყვები: პატარაობაში ლუკა ძალიან სწრაფად ლაპარაკობდა, გაუგებრად. ჰოდა, 5-6 წლის იყო, ამ ჰიპერაქტიულობის გამო მივიყვანე ნევროპათოლოგთან. დაელაპარაკა ლუკას და კიო, არის ქცევითი დარღვევა და მეტყველების დარღვევა, ამას მკურნალობა სჭირდება და დანიშნულებას დავუწერო. დაიწყო უამრავი დამამშვიდებელი ნამლის გამოწერა და რომ შევხედე, აღარ ამთავრებდა, ვუთხარი: ექიმო, გაითვალისწინეთ, ეს ბავშვი 12 თაობის გურულია-მეთქი. შემომხედა, კალამი დადო და მთელი სერიოზულობით მითხრა: ქალბატონო, ჩვენ ამ დიაგნოზს ვერ ვმკურნალობთო.

— მომავალი მეუღლე სად გაიცანით?

— ბიძაჩემის დასაფლავებაზე მითხრანათესავმა, რომელიც გიას მეზობელი იყო: ცა, აგერ, ნახე, რაფერი კაი პოლიციელი ბლანა მყავს შენთვის. გურულია, ზოლოს და ბოლოს! არ გაბრაზდე, შენი ტელეფონის ნომერი უნდა მივცეო. ეს „ბლანა“ მაშინ 36 წლის იყო, მე კი — 30-ის. ყურადღება არ მიმიქცევია მისი სიტყვებისთვის, რადგან დედისერთა, თბილისში გაზრდილი გოგო მშობლების მარტო დატოვებას და გურიაში გათხოვებას არ ვაპირებდი. ერთხელაც დამირეკა ვილაცამ: ოზურგეთელი გია ვარო და სოფელი რომ ასხენა, მაშინლა გამახსენდა ნათესავის სიტყვები. ერთხელ თბილისშიც ჩამოვიდა, შევხვდით და უიმედოდ დავშორდით. ვიფიქრე, ურთიერთობის გაგრძელების შანსი არ იყო და წარმოიდგინე, ზუსტად ნ თვეში გავეყვი ცოლად. მასთან

„შვილი მეუბნებოდა, დედა, ნებაჰ, მე მომსვლოდა ებ ტრავმა და შენ არაო...“

„მე შვიძლებ!“ — მშვილდოსანი ქალბატონის ემოციური ინტერვიუ

2014 წლის 11 მარტს შვილს ექსკურსიაზე ვარიანში გაჰყვია და მას შემდეგ ეტლს მიეჯახა... ამ შემთხვევამდე 10 წელი სასწრაფო დახმარების ექიმად მუშაობდა და სხვების სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდა. მერე უკვე საკუთარი თავის გადასარჩენად მოუწია ბრძოლამ და ასევე დღემდე... გაიცანით 44 წლის მშვილდოსანი თვა ბოლქვაძე.

მყუდროდ ვგრძნობ თავს და ახლა უფრო მეტად გვიყვარს ერთმანეთი, ვიდრე ადრე. ერთად ბევრი რამ გამოვიარეთ. ჩვენი ოჯახი მყარია და შეხმატკბილებული...

— როგორც ვიცი, გიაც შეესწრო ვარიანში მომხდარ ამბავს...

— მისთვის მძიმეა ის, რაც გადამხდა, რადგან ჩემს გადმოვარდნას შეესწრო. მამა 2 კვირის გარდაცვლილი მყავდა, ლუკას კლასმა ექსკურსიაზე წასვლა რომ გადაწყვიტა. არ მინდოდა ავტობუსში შევებით ავსულიყავი. თან ვგრძნობდი, იმ დღეს რაღაც უნდა მომხდარიყო და გიას ვთხოვე, ჩვენი მანქანით ცალკე წავიდეთ-მეთქი... მოკლედ, ჩავედით ვარიანში იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის დასათვალერებლად. რამდენიმე მშობელი მოაჯირთან დავდექით სურათის გადასაღებად და მოაჯირი გადმოვარდა. ახალი გარემონტებული იყო და როგორც აღმოჩნდა, უხარისხოდ. დღემდე მაშინებს ტკაცუნის ხმის გაგონება ჩემს ზურგს უკან. გადავარდნისას ეკლესია და ანთებული სანთელი დავინახე. გავიფიქრე, უფალო, მიშველე-მეთქი. 4 მეტრის სიმალიდან ჩავვარდი. მქონდა პოლიტრავმა, ქალა-ტვინის ტრავმა, გულმკერდისა და ხერხემლის დაზარალებული ტრავმა, თავისა და ზურგის ტვინის დაზარალებლობა, გულმკერდის მარცხენა ნახევარში მე-3, მე-7 და მე-9 ნეკნების მოტეხილობა და ა.შ. გორში, სამხედრო ჰოსპიტალში გადამიყვანეს. იქ თითქმის ყველა ექიმი ჩემი ჯგუფელი იყო და რომ შემოდოდნენ, ყველას ვცნობდი. რატომღაც, უმნიშვნელო დეტალებიც კი მახსოვს. მეორე დღეს სილამაზის სალონში ვიყავი ჩანერილი და ტელეფონის ნომერს ვკარნახობდი, ამ ნომერზე დარეკეთ და ვიზიტი გამიუქმეთ-მეთქი. რეანიმაციაში ვანამებდი ექიმებს. მონიტორებს ვუყურებდი და ყველა პაციენტს ვაკონტროლებდი, როგორც ექიმი: აი, ის ბებია ცუდადაა, ნუხს, იმას ნნევა აქვს და მიაქციეთ ყურადღება...



ბევრი ვარჯიშია საჭირო, რომ ასპარეზობის დროს ემოციებმა არ გიმტყუნოს

— მკურნალობისა და შემდგომი რეაბილიტაციის პროცესი როგორ წარიმართა?

— 2 დღის შემდეგ ჩემი მდგომარეობა კრიტიკული გახდა და თბილისში გადმომიყვანეს. ექიმებმა ბევრი იბრძოლეს ჩემი სიცოცხლისთვის. ნეიროქირურგმა 2 კვირის შემდეგ მითხრა, რომ ოპერაცია უნდა გაკეთებულიყო. თავის ტვინში სისხლის ჩაქცევა არ ჩერდებოდა და როდესაც გადაწყდა ტრეპანაციის გაკეთება, მეორე დღეს სისხლი თავისით გაინოვა — ეს იყო კიდევ ერთი სასწაული, რამაც მოგვცა საშუალება და დაიგეგმა ხერხემლის ოპერაცია. ექიმები ნებართვას ითხოვდნენ ჩემგან. მაშინ ვერ ვაცნობიერებდი, რა მჭირდა. უარს ვამბობ ოპერაციაზე, გამიშვით, მამაჩემის ორმოცს გადავიხდი, მერე მოვალ და რაც გინდათ, ის გამიკეთეთ-მეთქი. გაგიჟდა ექიმი, მეორე დღეს ისევ შემოვიდა ჩემთან და კვლავ უარზე რომ დავდექი, მითხრა: რას ლაპარაკობ, ვერ აცნობიერებ, რა ხდება შენს თავსო?! აი, მაშინ მივხვდი, რაღაც სერიოზული მჭირდა... ხერხემლის ოპერაცია გამიკეთდა და ხუთ მალა-

ზე იმპლანტი ჩამიდგეს. მასხოვს, რენიმაციიაში ჯიუტად ვითხოვდი ციცოსა და ლუკას ნახვას. მკითხეს, ვინ არის ციცო, დედამთილიაო? რა დედამთილი, დედამთილი გურია-შია, ციცო ჩემს კატას ჰქვია-მეთქი. საავადმყოფოდან თვე-ნახევარში გამოვედი. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ საკუთარ ბუდეში ვბრუნდებოდი და მეგონა, უფრო მსუბუქად ვიქნებოდი, მაგრამ სრული კომპარი მერე დაინყო: გაუსაძლისი ტკივილები მქონდა. ივნისში ხომ გამომწერეს და ოქტომბერში უკვე რეაბილიტაცია დავიწყე. მძიმედ ვიყავი, საერთოდ ვერ ვინძრეოდი. ეტაპობრივად მიდიოდა ჩემი რეაბილიტაციის პროცესი და მაისში უკვე მსოფლიო რბენაზე გავედი. ეს იყო საქველმოქმედო აქცია ზურგის ტვინის დაზიანებულთა სამკურნალოდ. მიხლოდა, მაგალითი ვყოფილიყავი სხვისთვის და ადრე თუ ექიმის ამპლუაში ვეხმარებოდი სხვებს, ახლაც, ნებისმიერ მდგომარეობაში მყოფი მიხლოდა, სხვებისთვის მაგალითი ვყოფილიყავი. 6 კმ და 800 მ გამარბენინეს და გავხდი პირველი გამარჯვებული ქალი — ეტლით მოსარგებლე მორბენალი. ეს ჩემთვის ძალიან ემოციური და აზარტული იყო.

— ლუკამ როგორ გადაიტანა დედის ავადმყოფობის ამბავი?

— პირველად რომ შემოიყვანეს პალატაში, ერთიანად დაღურჯებული მქონდა სხეული. რომ შემომხედა, შეეშინდა და იტირა. მერე ვეღარ მოდიოდა, ეშინოდა. მაშინ 7 წლის იყო. სახლში ჩემი მოვლა დიდ სირთულეს წარმოადგენდა და ეს სიმძიმე ძირითადად, დედაჩემს დაანვა. ჩემი ყოველი გადატრიალება საწოლში მტკივნეული იყო. გაა ვერ მივლიდა. დედამ მითხრა, რომ თურმე ჩუმად გადიოდა აბაზანაში და იქ ტიროდა, იქ გამოხატავდა ტკივილს, თუმცა არასდროს, არც დედას და არც გიას ჩემთან არ დაუნუნუნიათ. პირიქით, ორივე მამხნევებდა: ნუ გეშინია, შენ ადგები, კარგად იქნებიო!..

— ბრძოლის პროცესში ბევრი ფიზიკური თუ სულიერი ტკივილის გადატანა მოგიწევდა...

— დედა სულ მიმეორებდა: არ დანებდე, თეა, ბოლომდე იბრძოლე, არ დაგვთმო, იბრძოლე ჩემთვის, გიასა და ლუკასთვისო. დედას ბევრი ტკივილი აქვს გადატანილი — ერთი შვილი ჩვილობაშივე გარდაეცვალა, 20 წლის ბიჭი ავარიამი დაეღუპა, მერე ავადმყოფ მამაჩემს უვლიდა 6

თვე და ხელებში ჩააკვდა... ყველაზე ძნელი ცხოვრებაში დედის სვედრია. ამიტომ ვამბობ, რომ მხოლოდ მე კი არ დავზარალდი, დაზარალდნენ დედაჩემი, ჩემი მეუღლე და რაც მთავარია, ჩემი შვილი, რომელიც ამ ტკივილში იზრდება. შემფოთდება ხოლმე, თუ ვტირი. მეხმარება ყველაფერში, როდესაც ხედავს, რაღაც არ გამომდის. ერთხელ რა მითხრა, იცი? დედა, ნეტავ, მე მომსვლოდა ეგ ტრავმა და შენ არაო... ბევრჯერ უთქვამს, რატომ წავედით ექსკურსიაზეო. ამას განიცდის ლუკას მასწავლებელიც, მაგრამ ეს ხომ შემთხვევაა, ასეთ რამეს როგორ გათვლი?

— მშვილდოსნობით როდის დაინტერესდი და რა მიღწევები გაქვს?

— ჩემმა მწვრთნელმა, ია ტალახაძემ მაზიარა მშვილდოსნობას. აზარტული სპორტია. 2015 წლის ოქტომბერში სპორტული აქტივობა დავიწყე, მოვედი პარასპორტის განვითარების ცენტრში. ორ წელიწად-ნახევარი გავიდა, ვარ ორჯერ ზამთრის თბილისის ჩემპიონატის გამარჯვებული, ვერცხლის მედალოსანი. 2017 წლის ივნისში ჩეხეთში ვიყავით და შედეგი გავაუმჯობესეთ. ბევრი ვარჯიშია საჭირო, რომ ასპარეზობის დროს ემოციებმა არ გიმტყუნოს, არ დაგჯაბნოს და შეძლო ათიანში მოხვედრა.

— რაც შეეხება სასამართლო პროცესს, რომელიც უკვე რამდენი ხანია, გრძელდება, რა ეტაპზეა?

— პროკურატურამ საქმე თვითდაზიანების 124-ე მუხლით წაიყვანა. ე.ი. მე ლუკა დავაყენე და ვაყურები ჩემი თვითმკვლელობის სცენა. კვალიფიკაცია სხვა უნდა მისცემოდა, მაგრამ მითხრეს, დანაშაულის ნიშნები არ იკვეთებაო და იგივე მუხლი დარჩა, დაზარალბულის სტატუსი არ მომცეს. ის, რომ პირველი ჯგუფის ხეიბარი და ეტლით მოსარგებლე ვარ, ეს თურმე არაფერს ნიშნავს. მუზეუმის ადმინისტრაციამ, — არ ვართ ვალდებულები, მშობლებს მივაქციოთ ყურადღებაო. მაგრამ ბავშვები რომ დაზიანებულიყვნენ, მაშინ რა უნდა ექნათ? ქვევით ვინმეს რომ დავცემოდი, ჩემს სიცოცხლესაც ხომ აღარ ექნებოდა აზრი? სასამართლოზე მითხრეს, თქვენ არაკორექტულ სურათს იღებდითო. დღესაც ვერ ვხვდები, ეს რას ნიშნავს? მუზეუმის ხელმძღვანელობა მე მადანაშაულებს. რას მიდიოდი იმ მოაჯირთან, რა გინდოდაო? თუ არ



ბევრჯერ უთქვამს, რატომ წავედით ექსკურსიაზეო

შეიძლებოდა იქ დგომა, რატომ არ იყო ეს მინიშნებული? ამ შემთხვევის შემდეგ ხომ გამოაკრეს წარწერები: აქ არ შეიძლება სურათის გადაღებაო? დირექტორი ერთხელ მოვიდა საავადმყოფოში, რომ ენახა, ცოცხალი ვიყავი თუ არა. როდესაც სახელმწიფომ სამართლებრივად ყველაფერზე უარი მითხრა და პროკურატურა არაფერს იძიებდა, გადავწყვიტე სამოქალაქო მუხლით შემეტანა სარჩელი. ამაში „საიას“ ადვოკატი დამეხმარა. მერე, როდესაც სერგი გვარჯალაძის საშუალებით ტელევიზიითაც გავაუღერე ეს ამბავი, მოვიგე სამოქალაქოს პირველი ეტაპი. ეს პროცესი მართალია, მთელი წელი გავრძელდა, მაგრამ ჩემს სასიკეთოდ დასრულდა — რასაც ვითხოვდი, იმის ნახევარი თანხა მომცეს. შემდეგ აპელაციაზე შეიტანეს თვითონ კულტურის სამინისტრომ და მუზეუმმა და მოითხოვეს სამხარაულის



ჩუმად გადიოდა აბაზანაში და იქ ტიროდა, იქ გამოხატავდა ტკივილს

შვებულებაში გაშვებული მკვდრები და კორუფცია არც ისე შორეულ წარსულში...



დედოფლისწყაროს 1926-დან 1991 წლამდე წითელწყაროს უწოდებდნენ

დასკვნა იმის შესახებ, რეალურად მჭირდება თუ არა რეაბილიტაცია. სამხარაულომა გააკეთა დასკვნა, რომ მჭირდება მუდმივი რეაბილიტაცია და ნამდვილად მაქვს დაზიანებული ხერხემალი და ზურგის ტვინი და რომ ჩემი დიაგნოზი ნამდვილად არის პარაპლეგია. სააპელაციომ გამოიტანა დასკვნა, რომ ნამდვილად მეკუთვნის სარეაბილიტაციო თანხა — 110.000 ლარს ვითხოვ, რადგან 40.000 ევრო მოითხოვა იმ კლინიკამ, სადაც კომპიუტერული თერაპია უნდა ჩავიტარო, რათა თავიდან დავინყო სიარული. მათ შეუძლიათ კვლავ გაასაჩივრონ და ასე დაუსაბამოდ ინელეგა ეს ამბავი. როგორც ექიმი, ვხვდები, ქვედა კიდურები მოძრაობს. წესით, ვერ უნდა ვგრძნობდე ამას. მაქვს რეალური შანსი ფიზიოთერაპიით გავიუმჯობესო მდგომარეობა. დღეს-დღეობით კი გაუმჯობესების ნაცვლად, სტრესის ფონზე განვითარდა ფარისებრი ჯირკვლის დაავადებაც და მეურნალობისთვის 300-400 ლარი მჭირდება ყოველთვიურად.

— როგორ ახერხებ თანხების მობილიზებას?

— დედა 68 წლისაა და უწევს 2 სამსახურს შეეჭიდოს. ჩემი მეუღლე მორიგეობით მუშაობს, დაცვის პოლიციაში და მცირე ანაზღაურება აქვს, თან ჩემ გვერდით ხომ უნდა იყოს ვინმე? არაადაპტირებული გარემოა შინ თუ გარეთ და მარტოს მიჭირს ბევრი რამის კეთება.

— ყოფილა პერიოდი, როდესაც ბრძოლის სურვილი დაგიკარგავს?

— ხშირად, როდესაც ჩემები ტელევიზორს უყურებდნენ, მე კი საძინებელში ვიყავი, მიტირია ცხარე ცრემლით. გულახდილი ვიქნები და მიფიქრია თვითმკვლელობაზეც, მაგრამ ოჯახი და უკეთესობისთვის ბრძოლა ვამჯობინე. მინდა, ჩემი შვილი ღირსეულადამიანად აღვზარდო. ვალიარებ, ბრძოლა საკუთარ თავთან რთული იყო, თუმცა შევძელი და გავიმარჯვე.

— რა გასწავლა ამ შემთხვევამ და რას ეტყოდით სხვებს?

— მინდა, დააფასოთ ჯანმრთელობა და ის, რაც გაქვთ. 2 ფეხზე მოსიარულე ადამიანი მაქსიმუმს უნდა აკეთებდეს მიზნის მისაღწევად! არ დათმოთ თქვენი პრინციპები! ის, რომ არ შეგიძლიათ რამის გაკეთება, უნდა ნაშალოთ გონებიდან. მე შევძლებ! — აი, ეს არის მთავარი! როდესაც მიზანს დაისახავ, ყველაფერს მიაღწევ... ■

ნილო ჯავახიშვილი

ჩემი მასპინძელი დედოფლისწყაროში 82 წლის შოთა ცისკარაულია, როგორც იქაურები ამბობენ, წიგნიერი და ამ სოფლის ავ-კარგის მცოდნე კაცი. გული მწყდება, რომ ბრწყინვალე ქვეყანაში ცხოვრობთ და ახლა დაქცეული და გავერანებულია აქაურობაო, — მითხრა გულისტკივილით მასპინძელმა და ბევრი საინტერესო ამბავი გაიხსენა. რატომ დაერქვა იქაურობას დედოფლისწყარო, როგორ ქორწინდებოდნენ ძველად ხევსურები, როგორ უშვებდნენ მიცვალებულებს შვებულებაში საბჭოთა პერიოდში და სხვა რა კორუფციული სქემები არსებობდა წლების წინ, ამ ყველაფერს ჩვენი საუბრიდან შეიტყობთ. მანამდე კი მწირი ინფორმაცია იქაურობის შესახებ.

დედოფლისწყარო, რომელსაც 1926-დან 1991 წლამდე წითელწყაროს უწოდებდნენ, შირაქის ვაკეზე, ზღვის დონიდან 800 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს და ის კახეთის მხარის ყველაზე დიდი ადმინისტრაციული ერთეულია. მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი ივრის ზეგანს უჭირავს. მუნიციპალიტეტში 16 დასახლებული პუნქტია, მათ შორის ერთი ქალაქი და 16 სოფელი. მოსახლეობა 2014 წლის მდგომარეობით 21221-ს შეადგენს. მოსახლეობის 80% სოფლად ცხოვრობს.

ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან აღსანიშნავია ქალაქ დედოფლისწყაროსთან მდებარე ადრინდელი შუა საუკუნეების ციხე-ქალაქი ხორნაბუჯი, რომელიც წარმოადგენდა ისტორიული მხარის, კამბეჩოვანის ცენტრს. სოფელ ოზაანში დგას IX საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი — ამალეების გუმბათოვანი ტაძარი, რომელიც აგურით არის აშენებული. აქვეა შუა საუკუნეების სამების ეკლესია. აღსანიშნავია საროველის სახელობის ტაძარიც. მუნიციპალიტეტში დაახლოებით 20-მდე სკოლაა, ასევე, სამხატვრო სკოლები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სახლ-მუზეუმი და სხვ.

შოთა ცისკარაული:

— ახალგაზრდობაში ყურნა-ლისტიკის დიდი ინტერესი მქონდა, მაგრამ სიღარიბემ და გაჭირვებამ არ მომცა არჩევანის უფლება. ოღონდ სადმე ჩამებარებინა, აღარაფერს ვჩიოდი. სკოლა რომ დავამთავრე და გამოცდებისთვის ჩამოვედი თბილისში, აი, პირველად მაშინ დავდგი ფეხი ქალაქში. იქამდე თვალითაც არ მენახა. ეს იყო 1954 წელი, 17 წლის ვიქნებოდი მაშინ. ყაზბეგის ავტობუსის მძღოლმა 11-სართულიანი კორპუსების წინ ჩამომსვა და მითხრა: აქ ტაქსები დგას და სადაც ეტყვი, იქ წაგიყვანენო. მაშინ „პაბედები“ იყო და თუ მგზავრი არ ჰყავდა, მასსოვს, მარჯვენა მხარეს ინთებოდა ცისფერი ნათურა. გავარკვიე, რომელ

სასწავლებელს ჰქონდა საერთო საცხოვრებელი, სად უფრო მეტი სტიპენდია იყო, თავი რომ შემენახა და ამის მიხედვით ავირჩიე პროფესია. ასე მოვხვდი სასოფლოში, დღევანდელ აგრარულ უნივერსიტეტში მექანიზაციის სპეციალობაზე და გამოვედი ინჟინერ-ტექნიკოსი. 27 წელი ვიმუშავე პროფესიით, მაქვს რამდენიმე გამოგონებაც. შრომაში მიღწეული წარმატებებისთვის დამაჯილდოეს შრომის წითელი დროშის ორდენით. ამის შემდეგ უკვე უმაღლესი ჯილდო — სოციალისტური შრომის გმირის ნოდება იყო.

— ახმეტაში დაბადებული მთაში როგორ აღმოჩნდით?

— ახმეტაში დავიბადე, მაგრამ 1946 წელს იმ მიზეზით, რომ ბარში ცხოვრება ჭირდა, მთას მივაშურეთ, თუმცა იქ უარესი გაჭირვება დაგვხვდა. არხოტში ჩვენი, ცისკარაულების სამშობლო, სადაც პაპაჩემის სახლი დღესაც დგას. რამდენიმე ათეული წლის წინ ჩამოვუსახლებივართ ახმეტაში. მერე, 1944 წელს, როდესაც ჩეჩენ-ინგუშები მშვიერ-ტიტოვები გამოყარეს, საქონლის გადასარეკ ვაგონებში ჩასხეს და შუა ზაიაში გადაასახლეს, ის ადგილები ყაზბეგის რაიონს გადაეცა. ამ გადასახლების დროს სულ განადგურდნენ, შიმშილითა და სიცივით იხოცებოდნენ თურმე. ზამთრის პერიოდი იყო და გზას ბევრმა ვერ გაუძლო. ჰყვებოდნენ, ფანჯრებიდან ვყრიდით გვამებსო... ეს იყო ჩრდილოეთ კავკასიის გარდაშავალი ადგილები — ბარიც იყო და მთაც. შესთავაზეს ხალხს, რომ სურვილის შემთხვევაში დასახლებულიყვნენ. ასე მოვხვდით ყაზბეგში, თუმცა 1957 წელს ხრუშჩოვმა რეაბილიტაცია გამოაცხადა და უკან დააბრუნა ჩეჩენ-ინგუშები. სტუდენტი ვიყავი მაშინ და კარგად მახსოვს ეს ამბავი. ჩვენ შორის შუილი რომ არ ჩამოვარდნილიყო, გამოვეცალეთ და ისევ უკან, ბარში ჩამოვსახლდით. მუშაობაც აქ დავინყე პირველად. 50 სტუდენტი ყაზახეთში ყამირ მინებზე სამუშაოდ გაგვზავნეს და იქ მომივიდა ჩემი დის ნერილი, წითელწყაროში გადმოგვასახლესო. რომ ჩამოვედი, კითხვა-კითხვით ძლივს მოვაგენი სახლს.

— გასაგებია, რომ კომუნისტებმა უნოდეს წითელწყარო, მაგრამ დედოფლისწყარო რატომ დაურქმევიათ თავის დროზე, ამაზე თუ იცით რამე?

— ვაჟა-ფშაველას ინიციატივით, 1907 წელს ფშაველები ჩამოასახლეს აქ. მერე კომუნისტებმა ნელ-ნელა დაიწყეს ამ ტერიტორიების ათვისება და ჩამოასახლეს ქიზიყელებიც, თორემ იქამდე ძირითადად, რუსები ცხოვრობდნენ. მეფის რუსეთი დამნაშავეებს რომ სჯიდა, ზოგს აქ ასახლებდა. ლერმონტოვიც დედოფლისწყაროში გადმოუსახლებიათ. თამარის ციხის დაბლა, ალაზნის ველზე სოფელია, ყარლაჯს ეძახიან, სადაც მეფის რუსეთის დრაგუნთა პოლკი იდგა და იქ გაუმნესებიათ ლერმონტოვი. ყარლაჯიდან კარგად ჩანს ხორნაბუჯის ციხე და რვეულში ფანქრით დაუხატავს. მერე ეს რვეული არქივში მოხვდა და სწორედ ამ სურათით აღადგინეს ხორნაბუჯის ციხის იერი. ნეჩვერედოვების სახლის ეზოში გამოდის წყარო. ამბობენ, ვითომ თამარ მეფეს გამოუვლია, მოსწონებია ეს წყარო და ამიტომაც დაურქმევიათ ამ ადგილისთვის დედოფლისწყარო, 1926 წელს კი კომუნისტებმა გადაარქვეს და წითელწყარო უწოდეს.

— საბჭოთა პერიოდში რა თანამდებობებზე გიმუშავიათ?

— 1968 წელს რაიონის დეპუტატად ამირჩიეს, მერე პარტიული კომიტეტის მდივანად, 1976 წელს კი ქალაქის საბჭოს თავმჯდომარედ გადამიყვანეს და 6 წელი ვიმუშავე ამ თანამდებობაზე. მეუბნებოდნენ, რაზე დაილუპე თავი, აქ გაფუჭდებიო, რადგან კორუფცია იყო გამეფებული. საერთოდ, კორუფციამ დაშალა საბჭოთა კავშირი და დღესაც, რასაც ვუყურებ, სწორედ იმ კორუფციული სქემებით მუშაობს ყველაფერი. გინდა ფრაქციების შექმნა აიღეთ, რა პრივილეგიებიც მაგათ აქვთ და როგორი დაფინანსებაც, არ არის ეს კორუფცია, თანაც — ნებადართული?.. საბჭოთა პერიოდშიც, ზოგს ბინა უნდოდა, ზოგს ნაკვეთი. კომუნალურ ბინებზე დიდი მოთხოვნა იყო. მაშინ ფული თითქმის ყველას ჰქონდა. ქალაქის საბჭოში რომ მივედი, 160 კაცი თხოულობდა მინის ნაკვეთს სახლის ასაშენებლად. ყველას კი არ აკმაყოფილებდნენ, ვინც ფულს მიუტანდა, იმას აძლევდნენ, ფული კი ყველას არ ჰქონდა. ერთი კვირა ჩავიკეტე კაბინეტში, ყველაფერს გავეცანი და გამიკვირდა, ბევრი მინა იყო ასათვისებელი — მთელი შირაქის ტერიტორია და ესენი უარს

ეუბნებოდნენ ხალხს. ერთხელ კაბინეტში შემოვიდა ქალი, მაგიდაზე დამიდო რალაც მოზრდილი შეკვრა და მითხრა, რომ ეს იყო 8.000 მანეთი და მადლობელი დარჩებოდა, თუ ბინის მიღებაში დავეხმარებოდი.



ვაჟა-ფშაველას ინიციატივით, 1907 წელს ფშაველები ჩამოასახლეს აქ

იცით, რაში იყო საქმე? თუ გქონდა ძლიერი ზურგი — ნათესავი, რომელიც გპატრონობდა ზედა ეშელონებში, აიღებდი ამ ფულს და ვერავინ ვერაფერს გიზამდა, მაგრამ როცა არავისი იმედი გქონდა, ამდენს ვერ გაბედავდი. სანამ მილიციაში დავრეკავ და ბორკილებს დაგადებენ, გადი აქედან და ფული წაიღე-მეთქი. მაინც არ აიღო, კარში გავარდნას აპირებდა და მაშინ, რაც ძალი და ღონე მქონდა, ვესროლე ის შეკვრა. ფუთა და ის ერთად გავარდნენ კარში.

— არასდროს გქონიათ ცდუნება?

— ყოფილა ისეც, რომ უბრალოდ, სხვა გზა არ მქონია. რაიონში ექიმი კაცი იყო, გვარად ფილიშვილი, მეუღლე გინეკოლოგი ჰყავდა. თბილისში ვიყავი სემინარებზე და აღმასკომის მდივანმა დამირეკა, — ერთი ბინა გამოთავისუფლდა, ხალხი ერთმანეთს ხოცავს და იქნებ ჩამოხვიდე ამ საქმის გადასაწყვეტადო. ჩამოვედი ღამე, მდივანს ვუთხარი, დაურეკე ფილიშვილს, სახლში მომაკითხოს. ორდერსაც მივცემ და ხელსაც ბარემ იქ მოვანერინებ-მეთქი. მაშინ იმ კაცმა მაგიდაზე დადო ფული და მითხრა: აქ 800 მანეთია და გთხოვ, ამ სიკეთის სანაცვლოდ აიღე ჩემგანო. არ ვარ მაგის კაცი,

არ მჭირდება-მეთქი, ვიუარე, მაგრამ ჭიდაობაც ვერ დავიწყე. იყო შემთხვევები, ზოგჯერ რაიკომის მდივანს უთქვამს ჩემთვის: ნუ გააჭირე საქმე, აილე რაც ასაღებია და საქმე გააკეთეო. ასეთი დრო იყო ან უნდა მორგებოდი სიტუაციას, ან უარი გეთქვა სამსახურზე. ღვინის ქარხანა რომ აშენდა დედოფლისწყაროში, რაიკომის მდივანმა დაიბარა დირექტორი და უთხრა, რომ შემოდგომით, რთველი რომ დამთავრდებოდა, ყოველ ჩაბარებულ ტონა ყურძენზე უნდა მიეტანა 50 კაპიკი. მაშინ 50-60.000 ტონა ყურძენს იბარებდნენ და ხომ წარმოგიდგენიათ, რა თანხაზე იყო ლაპარაკი. მეორე მდივანი რომ მოვიდა, იმან მანეთი დაუწესა. ქარხნის დირექტორი ჩემი მეგობარი იყო და მითხრა: 65.000 ტონა ყურძენი ჩავიბარე წელს, 65.000 მანეთი ჩავდე ჩემოდანში და რაიკომის მდივანს მივუტანეო. ასე „ანერდნენ“ ფულს რძის გადაამუშავებელ ქარხანასაც, ხორცკომბინატსაც. ბოლოს თავი დავანებე სამსახურს, 2 ბიჭი მყავდა და მიწოდდა სახლები ამეშენებინა მათთვის. ამიტომაც გადავედი სამშენებლო ორგანიზაციაში, იქაც ჩემი მეგობარი იყო დირექტორი. 200 კაცი ჰყავდა მკვდარი სული გაფორმებული და ისინი ყველაზე დიდ ხელფასს იღებდნენ. მთავარ მექანიკოსად ვმუშაობდი. მითხრეს, უბანში 30-40 გარდაცვლილზე ხელფასები განერეო. დაახლოებით 40 კაცი მკვდარი სული მყავდა გაფორმებული, 50 კი რეალურად მუშაობდა. ასე კეთებოდა საქმე. შემოდგომაზე ამ დირექ-

ტორმა დამიძახა და მითხრა, ახლა ყველას სახელზე (გარდაცვლილებს გულისხმობდა) შევებულეა გააფორმეო. ახლა რომ კორუფციაზე ლაპარაკობენ, მეცინება. მაშინ ჩუმად ხდებოდა ყველაფერი და დღეს კორუფცია დაკანონებულია. აბა, რა არის ის პრემიები და დანამატები, რომლებიც არ ეკუთვნით? პრემია რომ აიღო, რალაცაში წარმატებას უნდა მიაღწიო და წინ უნდა წასწიო ქვეყანა და ხალხი. არაფერში რომ იღებ ათასობით და ათიათასობით პრემიას, ეს კორუფცია არ არის?

— როგორც ვიცი, ცოლი გარიგებით შეირთეთ...

— 24 წლის ვიყავი, ბიძაშვილებმა მითხრეს, უკვე ოჯახის შექმნის დროაო და ამა და ამ ოჯახს მოველაპარაკებოთო. საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, რადგან ეთერი უკვე ნანახი მყავდა, დედულეთი მქონდა ჯუთამი და კვირაობით ხშირად ვრჩებოდი იქ. მაშინ არავინ მიყვარდა და დავთანხმდი. უწინ ქალის მხარე კითხულობდა, სასიძოს რა ჯიში და ჯილაგი ჰქონდა და თუ, მაგალითად, გვარიშვილობაში ერთი ავადმყოფიც კი ერია, ინუნებდნენ. ძირითადად, ხევსურული წესით ქორწინდებოდნენ — მოენონებოდათ მშობლებს ერთმანეთი, ერთს ვაჟი ჰყავდა, მეორეს — ქალი და იტყოდნენ, მოდი, დავნათესავდეთო. ჩემი და — მეღანო ასე გაათხოვეს მშობლებმა. მამებს მოსწონდათ ერთმანეთი, მოილაპარაკეს და შეთანხმდნენ. ახლა ვილა გაივლის უფროსების ჭკუაზე, დრო შეიცვალა...

83 წლის ელისო ბებოსაც ვესტუმრე. გულწრფელად გაუხარდა ჩემი დანახვა და შემომჩივლა, ცუდი რომ ყოფილა სიბერე, მაგრამ მაინც არ ვუშინდება წლებსო.

— ზოგჯერ ვიტყვი, რა მამდის, კაცო, რატო ეგრე ვცანცარებაო, ხან ტან ნამეძვრება და რალაცას ვეჯახები ხოლმე (ხევსურულ დიალექტზე საუბრობს მოხუცი. — ავტ.)... რას ვიზამ, ასეთი ყოფილა სიბერე. ახლა მახსენდება, ჩემს ბავშვობაში მოხუცები რომ გამოვიდოდნენ და ეზოში დასხდებოდნენ უსაქმურად, მიკვირდა. თურმე ვერაფერს აკეთებდნენ. მე კი მიწადა, ისევ გარეთ ვიფუსფუსო, ბოსტანში ვიმუშაო, შეშა დავჭრა. შინ უსაქმურად ყოფნა მწყინდება. ჩემი სამყოფი ყველაფერი მომყავს. რაც თავი მახსოვს, სულ შრომაში ვიყავი. ახ-

მეტის რაიონში დავიბადე, 4 შვილი ვყავდით მშობლებს. არ გვიჭირდა, რადგან ბევრი საქონელი გვყავდა, მაგრამ ბევრსაც ვშრომობდით. დედა მეუბნებოდა, ისეთ პატარას გგზავნიდი ცხვარში, რომ გამოგხედავდი, ცხვრებში ვერ გარჩევდიო.

— გენატრებათ ის დრო?

— მენატრება იმიტომ, რომ უფარდელი დრო იყო. და-ძმები ერთად ვიზრდებოდით, ვხუმრობდით, ერთიმეორეს პატივს ვცემდით, ერთად ვთამაშობდით — აი, ეგ დრო მენატრება. რამეზე თუ წავეკინკლავდებოდით, მამა გამოგვძახებდა, რა გაჩხუბებთო. ამბობენ, ყველაზე ბედნიერი მაშინაა კაცი, როდესაც სტუდენტია და როდესაც შეყვარებულიაო და ეგენი არაფერი შამხვდა მე. როგორ ვისწავლიდი, 6 წლის რომ ვიყავი, ომი დაიწყო და ვილას ეცალა სკოლისთვის?

— უსიყვარულობას რატომღა ემდურთ? გათხოვილი არ ყოფილხართ?

— გიგაურებში ვიყავი გათხოვილი, მაგრამ ადრე სად იყო შეყვარება და სიყვარულით გათხოვება. დანიშნულს რომ დანიხავდი სადმე, უნდა დამალულიყავი. საქმრო დანახული კი მყავდა, მაგრამ 23 წლის გოგოს ვინ რას მკითხავდა? შეყვარებული რომ ხარ, გენატრება და მისი ნახვა გინდა, ასეთი რამ ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა.

— მეუღლე გარდაცვლილი გყავთ?

— რომ გავშორდით, მერე გარდაიცვალა. მე მარტო ვცხოვრობ, შვილები არ მყავს.

— ოჯახის დანგერევა იმ დროს იშვიათი იყო. არ გაგიჭირდათ ამ განაწყვეტილების მიღება?

— დაქორწინებიდან ერთ წელში გავშორდით. ამისთვის სერიოზული მიზეზი გვქონდა...

— ელისო ბებო, ადრე რა ითვლებოდა სამარცხვინო საქციელად?

— სამარცხვინოდ ითვლებოდა სახელგატეხილობა. ასეთებს მოიკვეთდნენ ოჯახიდანაც და სოფლიდანაც. ძველი დრო ბევრი რამით იყო კარგი, მისვლა-მოსვლა ხშირი იყო, სიყვარული იყო ნათესავებს შორის და ახლა ერთმანეთი არც კი ახსოვთ, დაქსაქსულები არიან აქაიქ. ყველაზე მთავარი ადამიანისთვის ახლობლების ჯანმრთელობა და კარგად ყოფნაა, ერთმანეთის სიყვარულია ყველაზე მთავარი!



მინდა, ისევ გარეთ ვიფუსფუსო, ბოსტანში ვიმუშაო, შეშა დავჭრა

ინგა ჯაყელი

მომსახურების სფერო...

გაგიგონიათ ალბათ ნათქვამი: რა ყველის ვაჭაროვით მელრიჭები ან ნუ ქაქანებ ბაზრის მოვაჭრესავით და ა.შ. პირადად მე, უარესიც გამიგონია, მაგრამ ყოველთვის მიჩნდებოდა პროტესტის გრძნობა და ასეთი ფრაზების მთქმელს შენიშვნასაც ვაძლევდი: ენა-გრძელი, უხეში და „თანამდებობისთვის შეუფერებელი“ ყველა სფეროში შეიძლება მუშაობდეს და იმ ბაზარსაც ბევრმა განათლებულმა და ისეთმა ინტელიგენტმა შეაფარა თავი, ზრდილობა და ქცევის ნესები ნამდვილად რომ არ ესწავლებათ-მეთქი, მაგრამ...

ამ ბოლო ხანებში ისეთ პრობლემებს ვაწყდები ბაზარში, ლამის დავყარო ფარ-ხმალი და ვაღიარო, რომ ჭეშმარიტებაა გამონათქვამი: „ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო!“

შეხედავ გამყიდველს და ისე გილიმის, ოღონდ დახლთან მიგიტყუოს და რამე „შემოგასალოს“, ზრდილობის განსახიერება გეგონება, მაგრამ აბა, სცადე და დაუნუნე საქონელი ან სულაც ნუ დაუნუნებ, უბრალოდ უთხარი, რომ საშენო ვერაფერი იპოვე, — გაოგნდებით იმის დანახვაზე, თუ როგორ ეცვლება გამომეტყველება და განწყობა ათიდან ცხრას და რა „სიმყარაღე“ ამოხედავს მათი პირიდან: არ ჰგავხარ შენ მყიდველს და მოცლილი ხარ, ვილაცხა... გაიარე და არ დაგინახო ამ რიგში შემოსული, თუ ჯიბე გალღეტილი გაქვს, რა ჯანდაბა გინდოდა ბაზარში?..

ამ დროს რომ თავის შეკავება და გაცლა ჯობს, ჯერ კიდევ ბავშვობაში მასწავლიდა ბრძენი ბებიაჩემი: ტუ-ტუცს ლაპარაკში არ უნდა აჰყვე, თორემ იმასაც ეგ უნდა: შენ მოგშხამოს და თავად ისეიროს. ენამყარალს რომ არ ეპასუხები, იმას კი არ ნიშნავს, რომ სათქმელი არაფერი გაქვს: არაა შენი ყურადღებისა და პასუხის ღირსი და ამიტომ გაეცალე უხმოდ, გააგრძელე შენი გზა, თუ მასზე უკეთესი ხარო!..

ვიცი და კარგად მახსოვს ეს ყველაფერი, სხვასაც ვასწავლი, მაგრამ თუ ადამიანი ხარ, შეუძლებელია ყველანაირ უხეშობას გულგრილად შეხვდე და სიმშვიდეც ყოველთვის შეინარჩუნო...

ორიოდე დღის წინ ქუთაისის ვაგზლის მახლობლად მდებარე ე.წ. კეჩის ბაზრობაზე შევედი. შორიახლოს ვუვლიდი იაფფასიანი თურქული და ჩინური საქონლით გადავსებულ დახლებს და მხოლოდ ერთს მივუახ-



აღარც პატივისცემის გრძნობა შეგვრჩა ერთმანეთის მიმართ და აღარც თანაგრძნობის

ლოვდი. მომეჩვენა, რომ შედარებით უკეთესი ტანსაცმელი ეკიდა. მაშინვე მომვარდა შუახნის ქალბატონი და ხან რაჩამომიხსნა, ხან — რა: ერთადერთი ეგ ზემპლარი გვაქვს და ბედი გქონია, რომ მოუსწარიო...

ვთხოვე: მაცალეთ დავათვალიერო და თუ რამე მომეწონა, მერე გკითხავთ ფასსაც და სადა ურობასაც, თქვენ კი დაისვენეთ-მეთქი და თივის ზვინში ჩამალული ნაგაზივით ნამომიხტა დახლის უკან მჯდომი ახალგაზრდა ქალი, რომელმაც პირდაპირ ვერ გამიბედა გალანძღვა (ან კირა დაფუშავე ამის ფასი!) და დედისტოლს დაეტაკა:

— საქმე არაფერი გაქვს მეტი, თინა, რომ გადაჰყევი თან ვილაც მოცლილს? მაგნაირი ათასი ჩამევილის აქანე... მოჰკიდე ხელი ცოცხს და გამოხვეტე აქაურობა, ვილაცხა გასახეთქს „სემიჩკა“ უჭამია...

— მე ვარ მოცლილი?! — ვკითხე ხმადაბლა და არ გაჭრა ჩემმა დამთმობმა კილომ:

— მოშორდი აქედან, არ ხარ შენ მყიდველი, თვარა, რაა აქანე დასათვალიერებელი? საუკეთესო „ტავარია“ სტამბოლიდან. ერთბაშად უკეთესი არ გეცვას რამე...

იცით, რა დამემართა? — სულ მცირე, იმ ტეტია ქალის დახლიდან გამოყვანა და საქმისთვის სამუდამოდ ჩამოცილების სურვილი გამიჩნდა. ცოტა და პატრულსაც გამოვუძახებდი, რომ შეურაცხყოფაში დამედანაშაულებინა, მაგრამ ამ ამბის შემსწრე მოხუცმა ქალბატონმა მოახერხა ჩემი „განეიტრალება“: დაანებე თავი, შვილო, მთელი დღე ამ სიბინძურეში სხედან და ვერაფერს ყიდიან, გამნა-

რებულები არიანო...

მეც გამოვბრუნდი და წამოვედი, მაგრამ არც ერთი და ორი საათის გასვლამ უშველა ჩემს მოშხამულ განწყობას და არც ორი დღის. თანაც, იმ დღეს საითაც გავიხედე, ყველგან აბუზღუნებული ვაჭრები დავინახე: შემოდიან და დაეხეტებიან უმიზნოდ, ასიდან ერთი არაა მყიდველი. უგორე ახლა ამათ ნითელი კოჭი და ეფერე. დამათხოვრდა ხალხი...

შე მამაცხოვნებულო, თუ იცი, რომ დამათხოვრებულია ხალხი და ზოგი მთელ წელიწადს ანდომებს ერთი კაბის ან ფეხსაცმლის საყიდელი ფულის შეგროვებას, რას ეჩხუბები და ემართლები? რატომ ართმევ უფლებას დაათვალიეროს და აარჩიოს ისეთი, ფასიც რომ მისაღები იქნება და „ფასონიც“?!

მაგრამ აქ სხვა რამეშია საქმე და სამწუხაროდ, მართლა გადავგვარდით ქართველები — აღარც პატივისცემის გრძნობა შეგვრჩა ერთმანეთის მიმართ და აღარც თანაგრძნობის.

არ ვიცი, კანონი რისი მაქნისია და როგორ დაეხმარება ამ დროს ჩემნაირად უმიზეზოდ გალანძღულსა და შეურაცხყოფილს, მაგრამ მე რომ აღარასოდეს გამიჩნდება იმ ბაზრობაზე მისვლის სურვილი, ამკარაა. ვიცი, ამის გამო ბევრი პატიოსანი და უდანაშაულოც მოჰყვება ბადეში და გაილანძღება, მაგრამ არც მათი მერიდება, რადგან გულგრილად უცქერდნენ და უსმენდნენ, როგორ უნამუსოდ იქცეოდა მათი კოლეგა და არავის მოსვლია აზრად მისი შეჩერება. ე.ი. დამნაშავეს ხელისშემწყობიც დამნაშავე და დასასჯელია...

16 წლის ბობონას აქტიური ცხოვრება

„ხელმძღვანელი მუშაობა, არ არსებობს უნიჭო მოსწავლე, არსებობს უნიჭო მასწავლებელი“

16 წლის ლიკა ლევიშვილი დასარტყამ ინსტრუმენტთა ანსამბლის — Art & Life მთავარი სოლისტი გახლავთ. ასევე, პედაგოგიურ საქმიანობასაც ეწევა — მოსწავლეებს დასარტყამ ინსტრუმენტებზე დაკვრას ასწავლის. შემოსავალს ინგლისური ენის შესწავლაში ხარჯავს. თანატოლების უმრავლესობის მსგავსად, ლიკა სკოლაშიც დადის და CAT-ის გამოცდებისთვის ემზადება... აინტერესებს სპორტი, განსაკუთრებულად — კალათბურთი. მოკლედ, საკმაოდ აქტიური გოგონაა, რომელმაც სწავლის ფასი იცის და დროს უქმად არ კარგავს...

ეთო ყორღანაშვილი

— რატომღაც, დასარტყამი ინსტრუმენტები სულ მაინტერესებდა. დაკვრის სწავლას თავად ვცდილობდი — სკამზე, ტაშტზე (იციინის)... 13 წლის ვიყავი, როცა სტუდიაში მივედი. პედაგოგმა გამსინჯა და მითხრა, რომ კარგი მონაცემები მქონდა, მაგრამ ისეთი მორცხვი გახლდით, დაკვრისას რაც ვიცოდი, ისიც დამავიწყდა. მეცადინეობის პროცესს ნელ-ნელა შევეჩვიე. დღესდღეობით, ანსამბლის მთავარი სოლისტი და მთავარი პედაგოგის დამხმარე ვარ... თავდაპირველად, დაკვრა რთულად მომეჩვენა, მაგრამ ხელმძღვანელი — გიორგი ბექაური ისე მიხსნიდა, რომ დავინტერესდი. ახლა ბავშვებსაც ისე ვუხსნი, როგორც გიორგი მიხსნიდა — ძალიან მოსწონთ: 1 წლის მასალას 4-5 თვეში ითვისებენ...

— თქვენი ანსამბლი რომელ ჟანრში მუშაობს?

— ბოლო დროს ვცდილობთ, ყველა ჟანრის მუსიკა დავუკრათ. ახლა ესპანური და ბრაზილიურიც „გავაკეთეთ“, ვცდილობთ, აფრიკული ავითვისოთ. ამჟამად, ალბომის ჩასანერად ვემზადებით.

— სკამის შემდეგ, დარბუჯაზე დაკვრა ალბათ, განსხვავებული იყო...

— რა თქმა უნდა. თავდაპირველად, ბგერების ათვისება მიჭირდა, რადგან სახლში საკრავი არ მქონდა. მშობლები ყველანაირად ეცადნენ, რომ საკრავი რაც შეიძლება მალე მქონოდა. დაკვრა შედარებით იაფფასიანი საკრავით დავიწყე — დამწყებისთვის 100-ლარიანი დარბუჯა ნორმალური იყო. შემდეგ, როდესაც მივხვდი, სხვა დონეზე ვიყავი, მასწავლებელმაც ახალი ინსტრუმენტი მომთხოვა. ჩემი დარბუჯა გავყიდე და ახალი, 350-ლარიანი საკრავი შევიძინე, რომელიც უფრო მაღალი დონისაა და სოლისტებისთვისაა განკუთვნილი. ახლა ვცდილობ, სხვა საკრავი შევიძინო,

რადგან „დარბუჯის სკოლა“ უკვე გავიარე.

— რომელი საკრავის შეძენა გინდა?

— კონდაკის, რომელიც ჯერ-ჯერობით, საქართველოში არავის აქვს და მასზე დაკვრას არც არავინ ასწავლის. მინდა, საქართველოში შემოვიტანო, დაკვრა ვისწავლო და სხვასაც ვასწავლო.

— დარბუჯის გარდა, თავად რომელ ინსტრუმენტზე უკრავ?

— როგორც ჩვენი ხელმძღვანელი ამბობს, უნივერსალური შემსრულებელი ვარ — ყველა ინსტრუმენტზე ვუკრავ (იციინის).

— დღის განმავლობაში, რეპეტიციებს რამდენ დროს უთმობ?

— როცა მოსწავლეები მყავს, დღის 11 საათიდან საღამოს 9-მდე სტუდიაში ვარ. საღამოს ანსამბლის რეპეტიცია გვაქვს, რომელიც საშუალოდ, 3 საათს გრძელდება.

— ანსამბლში რამდენი წევრი ხართ?

— ამჟამად — 13 და მათგან 2 გოგო ვართ.

— რეპეტიციას სახლშიც გადიხარ?

— კი. მხოლოდ სტუდიაში მეცადინეობა არ მყოფნის. სახლში რეპეტიციას ნაკლებ დროს ვუთმობ, რადგან ოჯახიც წუხდება: და ან ძმა რომ მეცადინეობს, ხელს ვუშლი, მეზობლის ბავშვს ვაღვიძებ... სხვათა შორის, ჩემს მეზობლად, ქვედა სართულზე 1 მოსწავლე მყავს. ის რომ დაუკრავს, მე ჩემი ბინიდან ბანს ვაძლევ (იციინის)... ჯერ ბონგოზე უკრავს. ნელ-ნელა ყველა საკრავს ეუფლება.

— კონცერტებიდან შემოსავალი გაქვს?

— არა, რადგან როცა ანსამბლი უკრავს, რთულია, 13 კაცს თანხა გადაუხადო. თან, ჯერ იმ ასაკის და ისეთი დონის შემსრულებელი არ ვარ, რომ ფული გადამიხადონ.

— პედაგოგიური საქმიანობიდან შემოსავალი გაქვს?



ჯერ ისეთი მოსწავლე არ მყოლია, რომელმაც დაკვრა ვერ შეძლო

— არასტაბილური. შარშან საბავშვო ბაღში ვასწავლიდი და თვეში 50 ლარი მქონდა ხელფასი. ჩემი პირველი შემოსავალი ეს იყო (იღიმი). 5 წლის ბავშვებს ვასწავლიდი. თავდაპირველად გამიძნედა, რადგან მართლა რთულია, 20 ბავშვი დაიმორჩილო, როცა ყველას დაკვრა უნდა და ყველა რაღაცას უტყაპუნებს. ნელ-ნელა შეეჩვივნენ. საერთოდ, სიმკაცრე არ მიყვარს. არც ნერვები მაქვს სუსტი. ასე რომ, შევძელი, ბავშვები ჩემკენ „გადმომებირებინა“. 5 საუკეთესო მოსწავლე გვყავდა, 10 — მუსიკიდან ცოტათი „ვარდებოდა“, მაგრამ დაკვრა შეეძლო. ერთ-ერთი ბავშვი სტუდიაში გამოგვყვა (რადგან წელს საბავშვო ბაღში სასწავლო წრე აღარ გვაქვს) და ჩვენს მეორე ანსამბლში, მცირეწლოვნების თაობაში უკრავს. პედაგოგიური საქმიანობა არ მეძნელება. ესეც გიორგის დამსახურება გახლავთ. თითქმის ყველა ასაკის ადამიანთან მაქვს შეხება. 45 წლის მოსწავლე ქალბატონიც (ჩვენი ერთ-ერთი მოსწავლის მშობელი) მყოლია, თუმცა სწავლას თავი მალე დაანება — სურდა, კორპორაციულ საღამოზე შეილთან ერთად დაეკრა. რაც სჭირდებოდა, შეისწავლა და წავიდა.

— ალბათ არიან მოსწავლეები, რომლებსაც დასარტყამ ინსტრუმენტებზე დაკვრა სურთ, მაგრამ საჭირო ნიჭი არ აქვთ. მათ როგორ უხსნი, რომ ეს მათი საქმე არაა და სხვა სფეროში სცადონ ბედი?

— საერთოდ, ჩვენი ხელმძღვანელი ყოველთვის მეუბნება, — არ არსებობს უნიჭო მოსწავლე, არსებობს უნიჭო მასწავლებელიო (იციინის). სხვათა შორის, მყოლია მოსწავლეები, რომლებსაც თავდაპირველად მუსიკის აღქმა არ შეეძლოთ, მაგრამ ვცდილობდი, სხვადასხვა გზით ამეხსნა; თუ ჩემს ახსნილს ვერ იგებდნენ, „იუ-თუბზე“ ჩამირთავს მუსიკა ან გაკვეთილი, რომ რიტმი იქიდან „ამოედოთ“. თუნდაც, ტაშით და თვლითაც მიცდია ახსნა... ჯერ ისეთი მოსწავლე არ მყოლია, რომელმაც დაკვრა ვერ შეძლო.

— შენს შემოსავალს რაში იყენებ?

— ინგლისურ ენაში მომზადებისთვის.

— როგორ მიდის საქმე, ითვისებ ინგლისურ ენას?

— საქმე ძალიან კარგად მიდის. ნინათ, სკოლაში ხმას არ ვიღებდი (თავადაც ვგრძობდი, რომ ცოდნის დაბალი დონე მქონდა), ახლა კი — ცხოვრებაში პირველად, საკონტროლოს ჩემგან გადაწერა მთხოვეს (იციინის).

— პროფესია არჩეული გაქვს?

— ფარმაცევტულზე ჩაბარებას ვაპირებდი, თუმცა ქიმიის გამო გადავიფიქრე — რეაქციებს ვერ ვიმახსოვრებ...

— ფარმაცევტობამ რატომ დაგაინტერესა?

— დღესდღეობით, პაციენტებს ნამლებს ისე უაზროდ უნიშნავენ, რომ მაინტერესებს: რატომ უნდა იმკურნალო ძვირად ღირებული ნაშლით, როცა შეიძლება, იაფფასიანით უკეთესი შედეგი მიიღო?! სიმართლე გითხრათ, რომელიმე პროფესიაზე ჯერ ბევრი არ მიფიქრია — სტუდიაზე ვარ „გადართული“.

— შენი პროფესიული არჩევანი მუსიკას რომ დაუკავშირო?

— ამ შემთხვევაში, კონსერვატორიაში უნდა ჩავაბარო, მე კი საჭირო განათლება არ მაქვს — მხოლოდ დასარტყამ ინსტრუმენტებზე ვუკრავ.

— დასარტყამი ინსტრუმენტების ანსამბლი სად უკრავთ, საჯაროდ სად გამოდიხართ?

— საქართველოს გარდა, შარშან ბაქოშიც ვიყავით. იქ მუსიკალურ ფესტივალზე პირველი ადგილი და-

ვიკავებთ. აზერბაიჯანში ძალიან სტუმართმოყვარე, სასიამოვნო ხალხი ცხოვრობს... კონცერტებს ძირითადად, რუსთავში, სხვადასხვა დღესასწაულზე ვმართავთ.

— როცა მოგზაურობ, მშობლები არ ნერვიულობენ?

— ადრე ყოველთვის ყველგან მშობლები დამყვებოდნენ. პირველად ბათუმში გამიშვეს. ისე დაემთხვა, რომ საშინელი რამ მოხდა — ხანძრის შედეგად, 3 ბავშვი დაინვა (განმაურებული ფაქტია). მაშინაც ფესტივალზე გახლდით. პირველი ადგილი დავიკავებთ. ხელმძღვანელი ჩვენგან ასეთ კარგ შედეგს არც ელოდა — ანსამბლის ნომრით ფართო აუდიტორიის წინაშე პირველად გავედით. ისე კარგად შევასრულეთ, რომ პედაგოგმა რესტორანი „დაახურინა“ და ვქეიფობდით. დაახლოებით სამ საათზე დავიშალეთ, ჩვენს ოთახებში

პირველად ბათუმში გამიშვეს. ისე დაემთხვა, რომ საშინელი რამ მოხდა — ხანძრის შედეგად, 3 ბავშვი დაინვა

წავედით და დავიძინეთ. დილის 9-ზე ავდექით. გვერდით მდებარე სასტუმროში ხანძარი დილის 4 საათზე დაწყებულა. ზღვაზე უნდა გავსულიყავით, როცა ეს საშინელი ამბავი შევიტყვეთ. შოკში ვიყავით. პირველი, რაც მოვიფიქრე, ის იყო, რომ დედას დავურეკე: ვიცოდი, რა შედეგი მოჰყვებოდა იმას, რომ ხანძრის ამბავი მშობლებს ტელევიზორიდან შეეტყვოთ და არა — ჩემგან. დედას რომ დავურეკე, ეგონა, მეც რაღაც მჭირდა და ვუმალავდი. მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა რუსთავში ჩამოვედი და დამინახა... შემდეგ, მშობლებს ბაქოში ჩემი გაშვება გაუჭირდათ... ახლა საქართველოში თითქმის ყველგან მარტო მიშვებენ. თან, ასაკიც მემატება და უფრო დამოუკიდებელი უნდა გავხდე.

— როგორც პირად საუბარში მითხარი, ცეკვავედი კიდევ. ცეკვას თავი რატომ დაანებე?

— ცეკვა 6 წლიდან დავიწყე. მეორე კლასიდან უკვე ანსამბლ „არიის“ წევრი ვიყავი. გოგოს სოლოებსაც ვცეკვავედი და ბიჭისასაც. კონცერტებით ნახევარი საქართველო მოვიარე. ჩვენი ხელმძღვანელი გია ვარდიამ-

ვილი გახლდათ, რომელმაც ქორეოგრაფია შემაყვარა. შემდეგ ანსამბლი დაიშალა...

— ოჯახის წევრები რას საქმიანობენ?

— მშობლები აზოტის ქარხანაში მუშაობენ. და სტუდენტია — საავიაციო უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე სწავლობს, ძმა სკოლის მოსწავლე (მეშვიდე კლასელი) გახლავთ... ვცდილობთ, ერთმანეთი გავაბედნიეროთ.

— რუსთავში ახალგაზრდებით ერთობით?

— სამწუხაროდ — არაფრით. უბანში კალათბურთის სტადიონიც კი არ გვაქვს, რომ ჩავიდე და ვითამაშო. პარკი გვაქვს, მაგრამ იქ ისეთი „უბედური“ სიტუაციაა, რომ გავლისაც მრცხვენია: სადაც გაიხედავ, ერთმანეთზე „გადაბმული“ შეყვარებული წყვილები გხვდებიან.

საჯაროდ ასეთი სიტუაციის დანახვა არ გვისიამოვნებს დაქალებს, როცა პარკში სასეირნოდ მივდივართ...

— შენი მიზანი რა არის?

— მინდა, ბევრ სფეროში გარკვეული განათლება მქონდეს, თუნდაც — სპორტში. ამ ეტაპზე, ჩემი მთავარი მიზანია, რომ ჩემი ოცნების ინსტრუმენტები — დრამი და ტომბაკი ვიყიდო.



კონცერტებს ძირითადად, რუსთავში, სხვადასხვა დღესასწაულზე ვმართავთ

წუთებში შექმნილი მარადიულობა

როლანდ ხოჭანაშვილი

იმერეთის პატარა სოფლის ერთ უბანში ორი კაცი ცხოვრობდა: იაშა და კირილე სრულიად სანინალმდეგო ხასიათისა და გარეგნობის კარის მეზობლები იყვნენ. იაშა თეთრი, ოდნავ სრული ტანის კაცი იყო, კირილე კი ხიოჭა და შავგვრემანი. კირილეს ომარი ერქვა, მაგრამ ასე არავინ მიმართავდა. ძალიან მკაცრი კაცი იყო და შვილებს მისი დიდი რიდი ჰქონდათ, სიტყვის შეუბრუნებლად ასრულებდნენ მამის სიტყვას. აი, იაშას იმდენად რბილი ხასიათი ჰქონდა, ამბობდნენ, ხორცი რომ აათალო და მარილი აყარო, ხმას არ აუწევსო. ამ ორი ადამიანის განსხვავებულობა დემოგრაფიულადაც თვალსაჩინო იყო: კირილეს პირველი ოთხი შვილი ვაჟი ჰყავდა, იაშას — გოგონები. 1975 წელს მეზობლები რიგით მეხუთე შვილს ელოდნენ. ბუნებრივია, კირილეს გოგო უნდოდა, იაშას — ვაჟი. სურვილიც ახდა: იენისის დასაწყისში იაშასთვის „იქუხა ავრორამ“ და ივლისის შუა რიცხვებში კირილეს გაუღიმა ფორტუნამ.

ნერილის დაწერა იაშაზე გადავწყვიტე და აყვავებული მსხლის ხე გახლავთ ნერილის დაწერის მიზეზი. მიცვალებულთა მოსახსენებელ დღეს, აღდგომის ორშაბათს, ეს მცირე ისტორიის მქონე ხე დედოფალივით გალამაზებულიყო და თავს იწონებდა.



ის ნამყენი გადედოფლებულია და ორსართულიან სახლს გადაუსწრო სიმაღლით

იმერეთში ქვევრებს ჭურებს ეძახიან და მათ მინაში ფლავენ. „ჭურების საუფლოს“ ჭურთავი ჰქვია და ბევრად განსხვავებულია კახური მარნისაგან. რამდენიმე წინადადებით აღვწერ ტიპურ იმერულ ჭურთავს.

გლეხები ამორჩეულ ადგილას ქვევრის სიმაღლე ორმოებს თხრიდნენ, მასში ჩასვამდნენ კარგად გამომწვარ და გამოსანთლულ ქვევრებს (ჭურების წარმოებით ზემო იმერეთი ფრიად ცნობილი გახლდათ და ქურიდან გამოღების დროს, ჯერ კიდევ ცხელ საღვინე ჭურჭელში ცვილს შემოატარებდნენ, რასაც გამოსანთვლას ეძახდნენ). თუ რამეს უვლიდა ქართველი გლეხი სათუთად და რუდუნებით, ეს მარანი იყო. გამონაკლისი არც იმერლები იყვნენ. ჭურთავზე, თითქმის ყველგან შეხვდებით პატარა ყვავილნარს, ტყემლისა და კომშის (ბიის) ხეებს. ტყემლის ხეებზე მუდამ იყო მიბჯენილი სხვადასხვა ნივთი: სამთხლე ორხელები, მაჭრის დასარევი კაპარჩხანა, გაცვეთილი საზედაო და საქვედაო სარცხელი (საზედაო სარცხელი გრძელტარიანი ბალამნარას ქერქის წყებიანი სარეცხი საშუალებაა, საქვედაო კი — მოკლეტარიანი, რომლითაც ქვევრში ჩასული ადამიანი რეცხავდა ჭურის კედელს), გაბზარული ორშიმო...

ასეთი ჭურთავი გვაქვს სოფელში. მის დასავლეთ ნაწილში ადრე, 30-ოდე წლის წინ, ერთი პანტა ამოიზარდა. სავარაუდოდ, მოყრანტალე ყვავს ნისკარტიდან მწიფე ნაყოფი გაუვარდა და მინაზე დავარდნილი ველური ხილის კურკიდან აღმოცნდა საძირე. სოფლად თუ ვინმეს ხეხილის ნაკლებობა ჰქონდა, ეს ჩვენ ვიყავით. მიუხედავად იმისა, რომ მამას და ძმას სასოფლო პროფილის განათლება ჰქონდათ, მათგან დანამყენებული არაფერი მიწახავს. თავს იმართლებდნენ, ხელი „არ გვივარგაო“ და ამიტომ, როცა ხილნარის შევსება გადავწყვიტეთ, იაშა ბიძიას ვთხოვეთ მსხლის დამყნობა.

ხარებას, თითქოს, ბოლშევიკურად შერყენილი აზროვნებით, ორი ვალდებულება ჰქონდა ადამიანს: თევზი უნდა ეჭამა და ნამყენი უნდა გაეკეთებინა. რომელიღაც წლის 7 აპრილის საღამოს იაშა ბიძია მოვიდა აპრილებული ჯავყა დანით. საძი-

რეს ვიდრე გადახერხავდა, მანამდე ჯიშობრივ არჩევანზე მსჯელობა გავმართეთ. სამარიამობო მსხალი ორი ძირი გვედგა და მისი ნაყოფი საჭიროებაზე მეტი წონით გარანტირებული გვექონდა ყოველწლიურად. გულაბის ბუშიც (წვრილნაყოფა გულაბი) გვედგა და თითქმის ყოველწელს ქეციანდებოდა ნაყოფი, ამიტომ მისი დამყნობაც არ ჩავთვალეთ საჭიროდ. 5 ძირი აბდალა მსხალი, გურიიდან მოტანილი, საკმარისი იყო (თურმე, აბდალა სულაც არ ერქვა იმ ჯიშს, უბრალოდ, გურულებმა გადანათლეს უხვი მსხმოიარობის გამო ასე). გოხა მსხალი წვრილნაყოფა და ისეთი მყარი იყო მისი ნაყოფი, ჩაკბეჩა სარისკოდ მიგვაჩნდა, უბრალოდ, დიდხანს ძლებდა და ამიტომ არ ვჭრიდით გოხას, თან, ბაბუის ბაბუას დაუტოვებია და როგორი გასამეტებელია ასეთი რელიკვია? აყირო მსხალი არ გვაქვს, — დავადგინეთ რამდენიმეწუთიანი საოჯახო კონსილიუმით და მეზობლის აყიროდან კალმები გადმოვიტანეთ. ამის მერე დაიწყო ცერემონია!

იაშამ გადახერხა საძირე. აპრილებული დანით მოასწორა გადანაჭრელი, ორ სანინალმდეგო მხარეს ჩასერა ხის კანი, კალმებს საჩქაროდ ნაუთალა ბოლოები, არ გაშრესო და ნამებში ჩაარჭო განასერებში სანამყენე რქები. „მოქმედ“ ჭურს თიხის გუნჯალი ააცალა, ხელში სრესით დაარბილა და „ჭრილობა“ მსხალს მოუგოზა. მოძრაობდა თეთრი თითები მოქნილად, თანაზომიერად, ხარების მაღლით გაიხარეო, — დაასრულა მყნობა იაშამ. სულ ბოლოს ნამყენი ტილოთი შეახვია და კარგა ხანს საძირე ისე ჩანდა, თითქოს ნალვინე კაცს ატიკვებული თავი ხილაბანდით ნაუკრავსო...

ახლა ის ნამყენი გადედოფლებულია და ორსართულიან სახლს გადაუსწრო სიმაღლით. ხუთიოდე წელია, იაშა აღარაა ცოცხალი, მაგრამ თითქოს ცოცხალი, საკუთარი მოსახსენებელი დატოვა იმ ნამყენით. მიდიან ადამიანები იმ ქვეყნად და თურმე, რამდენიმე წუთის შემოქმედებით შეგვიძლია შევქმნათ მარადიულობა, რომელიც მოსალოდნელია, ყვავილებით აფეთქებული მსხლის ხის სახითაც შეგხვდეთ იმერეთის პატარა სოფელში...



ერის მარია რემარკი

სივოსხლის ნაკურსკალი

ვუძღვნი ჩემს დას ელფრიდეს.

დასაწყისი იხ. „გზა“ №51-№15

სალამოს მონყობის შემდეგ ლევისკი ბარაკიდან გამოვიდა. იგი 509-ს მიუჯდა.

— კაცმა რომ თქვას, პარტიაში რატომ არ ხარ? — იკითხა მან.

509-მ ბერგერს გადახედა, რომელიც განონასწორებულად სუნთქავდა, — და ზუსტად ახლა რატომ დაგებადა ეგ კითხვა? — მიუგო მოსაუბრეს შეკითხვითვე.

— სამწუხაროა. ვისურვებდი, შენც ერთ-ერთი ჩვენიანი ყოფილიყავი. — თქვა ლევისკიმ.

509-მ იცოდა, რასაც ის გულისხმობდა. კომუნისტები ბანაკის იატაკქვეშა დაჯგუფების სახით ქმნიდნენ ყველაზე უფრო მედგა, ერთსულოვან და მოქმედ ჯგუფს და საქმიანობდნენ გარეშე პირებთანაც, მაგრამ მათ ბოლომდე არ ენდობოდნენ და თავიანთი განსაკუთრებული მიზნების მიხედვით მოქმედებდნენ. პირველ რიგში, ისინი თავიანთ წევრებს იცავდნენ და უწყობდნენ ხელს.

— გამოგვადგებოდი რამეში, — განაგრძო ლევისკიმ, — შენ ადრე ვინ იყავი? პროფესიას ვგულისხმობ.

— მთავარი რედაქტორი. — თქვა 509-მ და თვითონვე გაუკვირდა, წარმოთქმული როგორ უცნაურად უღერდა.

— მთავარი რედაქტორები ძალიან გამოგვადგებოდნენ.

509-ს არაფერი უპასუხია. მან იცოდა, რომ რომელიმე კომუნისტთან დისკუსია ისეთივე ტყუილუბრალო იყო, როგორც დისკუსია ვინმე ნაცისტთან.

— წარმოდგენა გაქვს, როგორი იქნება ჩვენი ბლოკის ახალი მეთვალყურე? — იკითხა მან რამდენიმე ხნის შემდეგ.

— კი. ალბათ ვიღაცას ისევ ჩვენთანებიდან დაგვინიშნავენ. დაზუსტებით, ვინმე პოლიტპატიმრებიდან იქნება. ჩემკენაც ახალი გვყავს. ისიც ჩვენიანია.

— მერე ისევ შენს უწინდელ ბარაკში გადახვალ?

— კი, ერთ-ორ დღეში. ამას ისე, ბლოკის მეთვალყურესთან არანაირი კავშირი არა აქვს. შენ რამე სხვა ამბავიც ხომ არ შეგიტყვია?

ლევინსკიმ 509-ს გამომცდელად შეხედა. შემდეგ მასთან უფრო ახლოს მიიწია.

— დაახლოებით ორ კვირაში მთელი ბანაკის ჩვენს ხელში მოქცევას ვვარაუდობთ.

- რა?
- დიახ. ორ კვირაში!
- ანუ გათავისუფლებას გულისხმობ?
- გათავისუფლება და ძალაუფლების ჩვენს ხელში მოქცევა. როცა ესესელები გაგვმორდებიან, ყველაფერი ჩვენ უნდა გადავიბაროთ.
- ვინ „ჩვენ“?

ლევინსკი ერთ წამს კიდევ შეეყოვნდა.

— ვინ და, ბანაკის მომავალმა მმართველობამ! — თქვა შემდეგ, — ეგეთი რამ უნდა არსებობდეს და მაგისტრის მზადება კი უკვე დანაწევებულია; წინააღმდეგ შემთხვევაში ქაოსის გარდა არაფერს მივიღებთ. მზად უნდა ვიყოთ, რომ მაშინვე ჩავებათ საქმეში. ბანაკის საკვებით მომარაგება შეფერხებების გარეშე უნდა გაგრძელდეს, ეგაა უმნიშვნელოვანესი. საკვებით მომარაგება, სხვა სახის უზრუნველყოფა და საკითხების მართვა. ათასობით ადამიანი ხომ მაშინვე ვერ გაიფანტება აქედან...

— მით უფრო პატარა ბანაკიდან. აქ სიარულიც კი არ შეუძლია ყველას.

— ამიტომ ექიმებია აუცილებელი, წამლები, გადაადგილების საშუალებები, საჭმლის მიწოდებაც; ამ ყველაფრისთვის რეკვიზიტის¹ მიემართავთ, რაც საჭირო იქნება, სოფლებში ჩამოვართმევთ ხალხს.

— და ამდენ რამეს როგორ გინდათ, გაართვათ თავი?

— მოგვეხმარებიან; ეს უკვე დანამდვილებით ვიცით, მაგრამ ჩვენ უნდა ვითავოთ. ინგლისელები ან ამერიკელები, რომლებიც გაგვათავისუფლებენ, მეზრძოლი შენაერთები არიან. მათ ხომ იმდენიც არაფერი ექნებათ ხელთ, მაშინვე საკონცენტრაციო ბანაკის გამგებლობა რომ იტვირთონ. ეს ჩვენ, თავად უნდა გავაკეთოთ და თან, რა თქმა უნდა, მათი დახმარებით.

509 მოღრუბლული ცის ფონზე ლევინსკის თავს დააკვირდა, რომელიც ზორბა და მრგვალი იყო და ლმობიერება არ ეტყობოდა.

— უცნაურია, — გაიკვირვა მან, — როგორი დარწმუნებით ვთვლით, რომ ჩვენი მტრების დახმარების იმედი უნდა გვქონდეს, არა?

— გამოვიძინე, — თქვა ბერგერმა, — ისევ კარგად ვარ. ხომ ვამბობდი უბრალოდ კუჭის ბრალი იყო, მეტი არაფერი.

— შენ ავად ხარ და ეგ კუჭის ბრალიც არ იყო, — გამოეპასუხა 509, — არასდროს მსმენია, რომ ადამიანმა კუჭიდან სისხლი ამოაღებინოს.

ბერგერმა თვალები დააჭყიტა.

¹ სახელმწიფო ან სამხედრო ხელისუფლების მიერ გარკვეული კომპენსაციის სანაცვლოდ ან განსაზღვრული დროით, მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული ქონების იძულებითი ჩამორთმევა ან გასხვისება.

— რალაც განსაკუთრებული მესიზმრა. თან ისეთი ცხადი და ნამდვილი იყო ყველაფერი... ოპერაციას ვაკეთებდი; მკვეთრი სინათლე აშუქებდა... — ჩაილაპარაკა და სიბნელეში დაიწყო ყურება.

— ლევინსკი ფიქრობს, რომ ორ კვირაში თავისუფლები ვიქნებით, ეფრაიმ! — წარმოთქვა 509-მ ფრთხილად, — ისინი ახლა განუწყვეტილ იღებენ ახალ-ახალ ცნობებს.

ბერგერი არ იძვროდა. ჩანდა, თითქოს ყურს არ უგდებდა.

— ოპერაციას ვაკეთებდი... — გაიმეორა ისევ, — ის-ის იყო კანის გასერვას შეეუდექი. კუჭის ნაწილი უნდა ამომეკვეთა. შეეუდექი და უცბად აღარ ვიცი, რა მოვიმოქმედო. ყველაფერი გადავიწყებული არ მაქვს?! ოფლმა დამასხა. პაციენტი გაჭრილი მუცლით და თან გონიხდილი წევს, ხოლო მე კი აღარ ვიცი, რანაირად ვიმოქმედო. დავიწყებული მქონდა, როგორ კეთდება ოპერაცია. ეს შემადრწუნებელი იყო.

— არ იფიქრო მაგაზე. ეგ მხოლოდ კომმარული სიზმარია და მეტი არაფერი. მე ეგეთი რა აღარ დამსიზმრებია. და აქედან რომ გავალწევთ, კიდევ რამდენი დაგვესიზმრება...

509-მ უეცრად სრულიად მკვეთრად შეიგრძნო შებოლილ ქონში შემწვარი კვერცხის სუნი და შეეცადა, მასზე არ ეფიქრა.

— ჰო... ყველაფერი არ იქნება სამხიარულო, — თქვა მან, — მაგის თქმა დანამდვილებით შეიძლება.

— ათი წელი... — ბერგერმა ზეცას მიაპყრო მზერა, — ათი უნაყოფო წელიწადი. გაქრა! წავიდა! ათი წელია, არ მიმუშავია. დღევანდლამდე კი არასდროს მიფიქრია იმაზე, რომ შესაძლებელია, საქმე მართლა ძალიან გადამავიწყდა. აი, უკვე დანამდვილებით აღარც ვიცი, ოპერაცია როგორ უნდა წარიმართოს. ზუსტად ვერ ვიხსენებ. ბანაკში გამომწყვდევის პირველ წლებში, ღამიღამობით, ფიქრებში ვაკეთებდი ხოლმე მას, რათა არ დამვიწყებოდა. შემდეგ შევეშვი. ახლა კი შესაძლოც არის, რომ გადამავიწყდა.

— ხდება ისეც, რომ გონებიდან ამოგივარდება რალაც, მაგრამ ჭეშმარიტად არაფერს ივიწყებს ადამიანი. ეს ისეა, როგორც რომელიმე უცხოური ენის შემთხვევაში ან თუნდაც ველოსიპედის ტარებისას, ერთხანს რომ გადაგავიწყდება.

— კი, გადაგავიწყდება. ხელები... სიზუსტე... შესაძლოა, დაიბნე და სულაც ვერ მოხვიდე აზრზე. ათ წელიწადში ბევრი რამ მოხდა. ბევრი რამ კიდევ გაირკვა. აღარაფერი ვიცი. ვიცი, რომ უფრო დავბერდი; დავბერდი და გადავიღალე.

— საკვირველია... — ჩაილაპარაკა 509-მ, — მეც ცოტა ხნის წინათ ისე შემთხვევით გავიხსენე ჩემი ადრინდელი პროფესია. ლევინსკიმ მკითხა მის შესახებ. ის ფიქრობს, რომ ორ კვირაში ბანაკს თავს დავალწევთ. წარმოგიდგენია ასეთი რამ?

ბერგერმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

— სად გავიდა დრო?!.. — განაგრძობ მან, — ეგ ყველაფერი უსასრულო ჩანდა. ახლა კი ამბობ, ორ კვირაში... და უცბად, იქვე ისმის შეკითხვა: სად მიიღია ათი წელიწადი?

ტაფობში ქალაქი კვლავ ცეცხლის ალში ეხვია. ლამის მიუხედავად, ჰაერი ჯერაც ჩახუთული იყო. ბული ბოლქვებად იჭრებოდა ცისკენ. შიგადაშიგ ელვაც კრთებოდა. ცისკიდურზე სხვა ორი, ხანძრიანი ადგილიც ღვიოდა: ეს იყო შორეული, დაბომბილი ქალაქები.

— ეფრაიმ, უკეთესი ხომ არ იქნება, ჯერჯერობით ის ვიკმაროთ, რომ საერთოდ, იმაზე შეგვიძლია ფიქრი, რაზეც ახლა ვფიქრობთ?

— ჰო. შენც მართალი ხარ.

— ჩვენ ხომ ახლა უკვე ისევ ადამიანებით ვფიქრობთ? თანაც — იმაზე, თუ რა იქნება ბანაკის შემდეგ. მსგავს რამეს წარმოვიდგენდით? სხვა ყველაფერს კი დრო თავისით მოიტანს.

ბერგერმა თავი დაუკრა.

— და თუნდაც მთელი ცხოვრება წინდების კემსვა მომიხდეს, როცა აქედან გავალ, მე მაინც...

ცა გაელვებამ გასერა და ნელ-ნელა მოშორებით გრუხუნის ხმაც მოიყოლა.

— გასურს, ბარაკში შევიდეთ? — თქვა 509-მ, — შეგიძლია, ფეხზე ფრთხილად წამოდგე ან გამოხობდე მაინც?

ჭეჭა-ქუხილი თერთმეტი საათისთვის გაძლიერდა. ელვამ გაანათა ზეცა და რამდენიმე წამს, დანგრეული ქალაქის ჭურვებისგან ძაბრისებურ ორმოებად და ნაცარტუტად ქცეული მიწა გამოაჩინა. ბერგერი ღრმა ძილს მისცემოდა. 509 22-ე ბარაკის ზღურბლზე ჩამომჯდარიყო. მას შემდეგ, რაც ლევისკიმ ჰანდკე გამოსასალმა სიცოცხლეს, ამ ბარაკში ყოფნა მისთვის ისევ შესაძლებელი გახდა. ახლა ის თავისი ჟაკეტის ქვეშ რევოლვერსა და ტყვიან-წამალს მალავდა. ეშინოდა, რომ ყველაფერი, საწოლის ქვეშ არსებულ ხვრელში, მოვარდნილი თქემისგან არ დანესტილიყო და გამოუსადეგარი არ გამხდარიყო.

მაგრამ ამ ღამეს მცირედ ჟინჟლავდა. მოქუფრული ღრუბლები უფრო ბევრდებოდა, ცაზე იშლებოდა, და ჰორიზონტზე დიდხანს, ხმლებით ელავდა.

„ორი კვირა... — ფიქრობდა ის, და თან მავთულხლართს მიღმა დანადგერდლებულ და ჩამწვარ ველებს უცქერდა. ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი მიმსგავსებოდა იმ სხვა სამყაროს, რომელიც ბოლო ჟამს შეუმჩნევლად უფრო და უფრო მოახლოებულიყო, ნელა ამოზრდილიყო დასამარებული იმედების საარვისო მინიდან, და უკვე მავთულხლართების წინ გაშლილიყო, იცდიდა მდებარეობისა და წვიმის სუნით, იცდიდა ნგრევისა და დანამწვის სუნით, მაგრამ ასევე ზრდის, სიმწვანისა და ხე-ტყის სურნელითაც... იგი გრძნობდა,

როგორ უვლიდა ელვა სხეულში, როგორ ბრწყინავდა, იმავდროულად, თუ როგორ სუსტად კიაფობდა დაკარგული წარსული, სადღაც სიშორეში, თითქმის გაუცხოებული და მიუწვდომელი. მას ამ თბილ ღამეს სხეული ეყინებოდა. იგი არც ისე თავდაჯერებული იყო, როგორც წელან ბერგერს აჩვენებდა. შეეძლო, გაეხსენებინა, რაც უნინ იყო, და ეს ბევრად ეჩვენებოდა — ასულდგმულება, მაგრამ ეგ თუ კმაროდა ბანაკში გატარებული ამდენი წლის შემდეგ, უკვე აღარ იცოდა. სიკვდილი ჩამდგარიყო ძველსა და ახლანდელ დროს შორის. მან მხოლოდ იცოდა, რომ სიცოცხლე ნიშნავდა ბანაკიდან თავის დაღწევას, მაგრამ ზუსტად მის მერე ძნელდებოდა ფიქრი მომავალზე, რომელიც ძალიან გაურკვეველი, მერყევი ჩანდა. მას არ შეეძლო, განეხილა, თუ რა იქნებოდა შემდეგ. ლევისკის კი შეეძლო ჩაფიქრება შორეულზე, თუმცა ის, როგორც პარტიის წევრი, ისე განსჯიდა მოვლენებს. პარტია დაატყვევებდა მას და ისიც თავს მიუძღვნიდა, რაც საკმარისი იქნებოდა მისთვის. და შემდეგ? რა იყო ის, რაც, გარდა სიცოცხლის პრიმიტიული წყურვილისა, უხმოდა? შურისძიება? მხოლოდ შურისძიების სურვილით დიდს ვერაფერს გახდებოდა კაცი. შურისძიება სხვა, ბნელ მხარეს მიეკუთვნებოდა, რომელიც უნდა აღსრულებულიყო და მომთავრებულიყო, მაგრამ შემდეგ რა იქნებოდა? სახეზე არსაიდან წამოსული ცრემლებით წვიმის რამდენიმე თბილი წვეთი იგრძნო.

„ვისლა შერჩა ცრემლი? მრავალი წელიწადია, ყველა დადაგულ-გამომშრალია“. — მხოლოდ ხანდახან, სახსრების ყრუ ტკივილი, რომელიც რალაცის შეცოტავებას ნიშნავდა, რაც უნინ თითქმის არაფრად მიაჩნდა, იყო ერთადერთი, რაც მიუთითებდა, რომ კვლავ არსებობდა გარკვეული რამ, რისი დაკარგვაც შესაძლებელი იყო. თერთმეტი უკვე დიდი ხანი იყო, გრძნობების ყველაზე დაბალ ნერტილს უჩვენებდა და საკუთარი თავის გამყინვარებას ადამიანი იმით თუ ამჩნევდა, რომ ხანდახან, სხეულის რომელიმე ნაწილი — ან თითი, ან ფეხი, თითქმის უმტკივნეულოდაც კი, ფუნქციას კარგავდა.

ცაზე ერთმანეთის მიყოლებით, მალიმალ ჩნდებოდა ელვა და ხანგრძლივი, მშფოთვარე ქუხილის თანხლებით მკრთომარე შუქში აჩენდა ბარაკის მოპირდაპირე ბორცვს, რომელზეც იდგა შორეული თეთრი სახლი, თავისივე ბალით.

„ბუხერი! ბუხერს რალაც მაინც აქვს. ის ახალგაზრდა და რუთი ჰყავს, — ვილაც, რომელიც მასთან ერთად გავა აქედან. მაგრამ გაძლებს კი გრძნობა? კარგი და, ვინ კითხულობს ამას? ვინლა საჭიროებს თავდებობას? ან ვინ გასცემს მსგავს პირობას?“

იგი უკან გადაწვა.

„რა სისულელეს ვლაპარაკობ. ალბათ ბერგერმა ამიყოლია. ჩვენ ახლა, უბრალოდ, გადაღლილები ვართ“. — მშვიდად დაიწყო სუნთქვა და წარმოიდგინა, აყროლებული მოედნისა და ბარაკის სუნის გარდა, გაზაფხულისა და მცენარეების ზრდის სურნელსაც შეიგრძნობდა,

რომელიც ყოველ წელიწადს მოჰყვებოდა თან, მერცხლების ჭიკჭიკითა და კვირტების აფეთქებით, მიუხედავად იმისა, ომი იყო თუ სიკვდილი მეფობდა, ვიღაცას რაღაც ეიმედებოდა, თუ მწუხარება მოსძალებოდა. ის მოჰყვებოდა... და ის ახლა შეიგრძნობოდა ირგვლივ; და ეს საკმარისიც იყო.

ის ბარაკის ზღურბლს გადასცდა; კარი დახურა და თავისი სანოლისკენ გაბოზდა. მთელი ღამე განუწყვეტლივ ელავდა და იდუმალი სინათლე ეფინებოდა მინებჩამსხვრეულ სარკმლებს, და ბარაკი მოჩანდა გემად, რომელიც მინისქვეშა წყლების ნაკადში უხმაუროდ მისრიალებდა; სავსე იყო მკვდრებით, რომლებიც რაღაც მისნობის შედეგად ჯერ კიდევ სუნთქავდნენ, — და მათ შორის ისეთებთაც, რომლებიც ცხოვრებას არ დანებებულყვნენ.

19

— ბრუნო! — ჩაილაპარაკა სელმა ნოიბაუერმა წყნარად, — ნუ იქნები უგუნური. დაინყე ფიქრი, სანამ სხვებს დაუწყიათ. ეს ჩვენი შესაძლებლობაა. გაყიდე, რისი გაყიდვაც შეგიძლია. გაყიდე მინის ნაკვეთები, ბალი, ეს სახლი, ყველაფერი! და ნუ იფიქრებ იმაზე, წაგებას ნახავ თუ მოგებას.

— და ფული? ფულს რა შეეძლება? — თავი წყრომით გააქნია ნოიბაუერმა, — რასაც ფიქრობ, თუ გამართლდა, ფულს რაღა ძალა ექნება მერე? იქნებ დაგავინყდა პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ინფლაცია? ბილიონი ერთ მარკას რომ უდრიდა! ფასეული ქონების გადანახვავა ის, რაც მაშინაც ერთადერთი გამოსავალი იყო.

— დიახ, ოღონდ ისეთი ქონება, რომლის ჯიბეში ჩადებაც შეიძლება.

სელმა ნამოდგა და კარადასთან მივიდა. უჯრა გამოაღო, რამდენიმე პირი თეთრეული გვერდზე გადასწია, ერთი ზარდახშა გამოაძვრინა და გახსნა. იქ მას ერთად ჩაელაგებინა ოქროს პორტსიგარები, საპუდრეები, ბრილიანტის რამდენიმე საყურე, ლალის ქვის ორი გულსაბნევი და ზოგიერთი ბეჭედი.

— აი! — თქვა მან, — ესენი ბოლო წლებში ისე ვიყიდე, რომ შენ ამის შესახებ არაფერი იცოდი; თან ჩემი ფულით და იმ ფულით, რის დაზოგვასაც ვახერხებდი. ამისთვის საკუთარი აქციების გაყიდვაც კი მომიხდა, რომელთაც ახლა საერთოდ აღარ აქვს ფასი, რადგან ფაბრიკა-ქარხნები ნანგრევებად ქცეულა, ხოლო ესენი კი კვლავ ინარჩუნებს ღირებულებას. ამათ კაცი თან ნაიღებს კიდევ. ვისურვებდი, რაღაც მხოლოდ ასეთების მსგავსი გვექონოდა.

— თან ნაიღებს, თან ნაიღებს... ისე ლაპარაკობ, თითქოს დამნაშავეები ვიყოთ და სადმე გაქცევა გვიხდებოდეს.

სელმამ ნივთები უკან ჩაალაგა. ჩადებამდე პორტსიგარი თავისი კაბის სახელოთი გააპრიალა.

— შესაძლოა, ის დაგვემართოს, რაც სხვას დაემართა, როცა თქვენ ხელისუფლების სათავეში მოხვედით, თუ არ გგონია ასე?

ნოიბაუერი ადგილზე შეხტა.

— შენ რომ კაცმა გისმინოს... — თქვა მან ბრაზით და უმწეოდ, — ალბათ თავს ჩამოიხრჩობდა. სხვა მამაკაცებს ისეთი ცოლები ჰყავთ, რომელთაც ესმით მათი, სამსახურიდან დაბრუნებულთ ნუგეშს ჰფენენ და შემართებას მატებენ. შენ კი... ყრანტალებ და უბედურად მოთქვამრალაცებზე. მთელი დღე... და ღამლამობითაც! მოსვენება აღარ შეიძლება! თან კვლავ ერთი და იგივე გიტრიალებს თავში: გაყიდვა და წუხილ-ჩივილი.

სელმა ქმარს არ უსმენდა. მან ზარდახშა უწინდელ ადგილას დადო და ზემოდან ისევ თეთრეული დააფარა.

— ბრილიანტები! — ჩაილაპარაკა მან, — შესანიშნავი, ბრჭყვიალა ბრილიანტები... რომ ვერაფერი შეეხება მათ. მხოლოდ საუკეთესო პატიოსანი ქვეები! ერთკარატიანები, ორკარატიანები, ექვს ან შვიდკარატიანებიც არსებობს, თუკი შეძლებ, ხელში ჩაიგდო... აი, რაა ჭეშმარიტად ღირებული და არა შენი ქალაღის ბლანკები ან ბალები ან, თუნდაც, სახლები და მინის ნაკვეთები. შენმა ვეკილმა გაგაბა, ჰო?! დარწმუნებული ვარ, ეგრე ორმაგად იხეირა. ბრილიანტების გადამაღვა შესაძლებელია. მათ სამოსზე მაინც მიიკერებს ადამიანი ან თუნდაც გადაყლაპავს, მაგრამ აი, მინის ნაკვეთებს კი... ვერ!

ნოიბაუერი ცოლს მიშტერებოდა.

— როგორ ლაპარაკობ?! ერთ დღეს, რამდენიმე ჭურვის გამო, ველარ წყნარდები, მეორე დღეს კი, როგორც ებრაელმა, შეგიძლია, კაცს ყელი გამოლადრო ფულის გულისთვის.

სელმამ ის აგდებულად შეათვალიერა. გახედა მის ჩექმას, უნიფორმას, რევოლვერს, უღვაშს და თქვა:

— ებრაელები არავის გამოლადრავენ ყელს, ისინი თავიანთ ოჯახებზე ზრუნავენ, გერმანული წარმომავლობის ბევრ ზეკაცზე მეტადაც კი. ებრაელებმა იციან, როგორ უნდა იმოქმედონ საშიშ დროებაში.

— ჰო, არა? იქნებ თქვა რანაირად იციან? რამე რომ სცოდნოდათ, აქ კი არ შემორჩებოდნენ და მერე უმეტესობას ჩვენ კი არ გამოვამწყვდევედით.

— არ სჯეროდათ ალბათ, იმას თუ უზამდით, რაც დამართეთ. — სელმამ საფეთქლებზე ოდეკოლონი მიიპკურა. — და ისიც არ დაგავინყეს, 1931 წლიდან, მას შემდეგ, რაც „დანატ-ბანკი“ კრიზისში აღმოჩნდა, აღარავის ატანდნენ ანაბრიდან თავის ფულს. ამიტომაც ვერ გაასწრო ბევრმა აქედან და თქვენ კი ისინი დაამწყვდიეთ. კარგი. და ახლა თვითონაც გინდა, რომ ეგრე შემორჩე აქაურობას და თქვენც ზუსტად მათსავით წაგადგნენ თავზე?

ნოიბაუერმა თვალი საჩქაროდ მოავლო იქაურობას.

— დასწყევლოს ეშმაკმა, ცოტა ყურადღებით იყავი. დამლაგებელი გოგონა სადაა? შენ რომ ვინმემ მოგისმინოს, სულ დავიღუპებით. სახალხო სასამართლო

პალატა არ ცნობს შებრალებას! ერთი დასმენაც კი საკმარისი იქნება.

— დამლაგებელს დასვენების დღე აქვს და სახლიდანაა გასული. და მაინც... რატომ არ შეიძლება, რომ მათაც იგივე დაგმართონ, რაც თქვენ დამართეთ სხვებს?

— ვინ? ებრაელებმა? — ნოიბაუერმა გადაიხარხარა. უეცრად წარმოიდგინა ბლანკი, რომელიც აწამებს ვებერს, — მათ ისიც კი გაახარებთ, თუ, ბოლოს და ბოლოს, მოსვენებას პოვებენ.

— არა, მე ამერიკელებსა და ინგლისელებზე გეუბნები.

ნოიბაუერს კვლავ ჩაეცინა.

— აჰ, ისინი? ისინი კიდევ უფრო ნაკლებად საშიშნი არიან. სულ არ ადარდებთ, ებრაელებს რას ვუშვრებოდით. ეგეთ შიდაპოლიტიკურ საკითხებზე ფიქრით, მაგალითად, როგორცაა საკონცენტრაციო ბანაკი, საერთოდ არ შეინუხებენ თავს. მაგათ უფრო გარეპოლიტიკური, სამხედრო საქმეები ადარდებთ. არ გესმის?

— არა.

— ისინი დემოკრატები არიან. ჩვენ წესიერად მოგვეპყრობიან, თუკი მოიგებენ ომს... რაც ჯერ ისედაც სათუთაა. მხედრულად და სიფრთხილით. ჩვენ მათთვის მხოლოდ ღირსეულად დამარცხებულები ვიქნებით. სხვა მეტი არც არაფერი შეუძლიათ, მოიმოქმედონ. ეგეთია მათი მსოფლმხედველობა. რუსების შემთხვევაში კი ცოტა სხვანაირად იქნებოდა საქმე, მაგრამ ეგენი ხომ აღმოსავლეთისკენ არიან.

— აი, ნახავ. დარჩი ერთი, აქ.

— რა თქმა უნდა, ვნახავ. ვრჩები კიდევ. იქნებ თქვა, საერთოდაც, საით გვექნებოდა გეზი, აქედან რომ ავბარგებულყავით.

— ჩვენ ამ ბრილიანტებთან ერთად უკვე წლების წინ შეგვეძლო შევიცარიაში გადასვლა.

— შეგვეძლო!.. — ნოიბაუერმა მაგიდას დაჰკრა ხელი, ლუდის ბოთლი მის წინ შეინჯღრა, — შეგვეძლო, შეგვეძლო... ისევ ეს ერთი და იგივე. როგორ შეგვეძლო, ნეტავ?! თვითმფრინავი ხომ არ გაგვეტაცა და საზღვარზე ისე ხომ არ გადავფრენილიყავით? რა სისულელეს ლაპარაკობ.

— არა, გატაცებული თვითმფრინავი კი არა, დასასვენებლად, სამოგზაუროდ ნავიდოდით ხოლმე, რა დროსაც თან ფულსა და ძვირფასეულობასაც ნავილებდით. ორი, სამი, ოთხი მოგზაურობა და ყველაფერ ღირებულს, ყოველ ჯერზე, იქაურ ბანკებში დავაბინავებდით. მე ვიცნობ ხალხს, ვინც ასე მოიქცა...

ნოიბაუერი კართან მივიდა, გამოალო ის და კვლავ დახურა. შემდეგ უკან გამობრუნდა.

— შენ თუ გესმის საერთოდ, ახლა რასაც ლაპარაკობ? ჭეშმარიტად სამშობლოს ღალატია ეგ. რასაც აქ საუბრობ, ვინმეს რომ გაეგონა, წამსვე დაგხვრეტდნენ.

სელმამ კაცს აელვარებული თვალებით გახედა.

— აჰ, კარგი და მიდი, ნუ დაახანებ, შენიანებს უჩ-

ვენე, რა გმირიც ხარ. თან, როგორც ამბობ, სახიფათო მეუღლესაც მოიშორებ თავიდან. მგონი, გესიამოვნებოდა კიდევ...

ნოიბაუერმა ცოლის მზერას ვეღარ გაუძლო. შებრუნდა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. ჯერ არ იცოდა, მეუღლეს სმენოდა თუ არა რამე, მისი ქვრივი საყვარლის შესახებ, რომელიც ხანდახან სტუმრობდა ხოლმე.

— სელმა! — ამოთქვა მან, როგორც იქნა, შეცვლილი ხმით, — რას ჰგავს ეს? ჩვენ ხომ ერთმანეთის გვერდით უნდა ვიდგეთ?! მოდი, გონივრულად შევხედოთ საკითხს. უნდა გავუძლოთ. სხვა ამჟამად განა რა შეგვიძლია. გაქცევით ვერ ვუშველი თავს... მე ზემდგომების მიერ მოცემულ ბრძანებებს ვემორჩილები. და საერთოდაც, საით უნდა გავიქცე? რუსებისკენ? არა, ეგ არ იქნება. აბა, გერმანიის ჯერ კიდევ არაოკუპირებულ ადგილებში დავიმალო? იქ ხომ გესტაპო ჩამავლებს და მერე შენც იცი, რასაც ნიშნავს ეგ. თუ სხვა მხარეს მაქვს, ნეტავ, გზა? ამერიკელებისკენ და ინგლისელებისკენ? არა, არც ეგ. ახლა უმჯობესია, აქ დაველოდო მათ, ვიდრე ისე გამოჩნდეს, რომ თითქოს სინდისი სუფთა არ მაქვს. ეს ყველაფერი ჩემთვის განმიხილია კიდევ, მერწმუნე. ჩვენ უნდა გავუძლოთ, სხვა გზა არ არსებობს.

— კი. — თქვა სელმამ.

ნოიბაუერმა გაკვირვებული მზერა მიაპყრო.

— მართლა? მართლა გესმის ეს, ბოლოს და ბოლოს? დაგისაბუთე, არა?

— კი.

იგი ცოლს დაკვირვებით მიაცქერდა. მას ქალის გულის ასე ადვილად მოგებაზე არ უფიქრია, მაგრამ ის უეცრად დანებდა. და თითქოს ლოყებიც კი ჩასცვენოდა.

„დამისაბუთა... — ფიქრობდა სელმა, — დასაბუთება... რასაც ვითომ დასაბუთებენ ხოლმე, მაგის თვითონვე სჯერათ. თითქოს ცხოვრება დასაბუთებებზე იყოს აწყობილი. არაფერი ეშველებათ. თიხის ღმერთები არიან. მხოლოდ საკუთარი სიტყვების სჯერათ“.

იგი დიდხანს არ აშორებდა თვალს ქმარს. უყურებდა უჩვეულოდ: თანაგანცდით, ზიზღითაც და თან გადაჩვეული აღერსით. ნოიბაუერს, ამ მზერის შემყურეს, ნირი წაუხდა.

— სელმა! — ისევ უნდოდა, საუბარი წამოეწყო, მაგრამ ქალმა შეაწყვეტინა.

— ჰო, ბრუნო, მხოლოდ კიდევ ერთი... გთხოვ, რომ...

— რას მთხოვ? — უნდობლად იკითხა ნოიბაუერმა.

— მინის ნაკვეთები და სახლი ფრეიაზე გადააფორმე. ახლავე ნადი ვექილთან. მხოლოდ ამას გთხოვ; მეტს არაფერს.

— რატომ?

— სამარადჟამოდ კი არა. დროებით! თუ ყველაფერი კარგად წარიმართება, მერე ისევ შენს სახელზე გადმოიფორმე. შეგიძლია, შენს ქალიშვილს მაგ საქმეში ენდო.

— ჰო... კი... მაგრამ როგორ შთაბეჭდილებას მოახდენს ეს ყოველივე? ვეჭილი ხომ...

— მიაფურთხე შთაბეჭდილებებს. ფრეია ბავშვი იყო, როცა ნაცისტებმა ძალაუფლება ხელთ იგდეს. მას ვერავინ ვერაფერში გამოედავება.

— ეგ როგორ გავიგო? ფიქრობ, რომ ვინმეს შეუძლია, მე გამომედავოს?

სელმა გაჩუმდა. მან ქმარს ისევე განსაკუთრებული, უცნაური მზერა მიაპყრო.

— ჩვენ სამხედროები ვართ! — ჩაილაპარაკა ნოიბაუერმა, — ბრძანებებით ვმოქმედებთ. ბრძანება კი ყველასთვის ბრძანებაა; ეგ თითოეულმა ვიცით. — ის წელში გაიჭიმა. — ფიურერი ბრძანებს, ჩვენ ვემორჩილებით. იგი მთელ პასუხისმგებლობას იღებს იმაზე, რა მითითებასაც გაცემს. მან ეს საკმაოდ ბევრჯერ განმარტა და ეგ საკმარისია ყოველი პატრიოტისთვის. თუ არა?

— დიახ, — ბედს დანებდა სელმა, — მაგრამ წაივქვითან. ჩვენი ქონება ფრეიას გადაუფორმე.

— შენ თუ ასე გსურს... კი, შემიძლია, დაველაპარაკო. — თქვა ნოიბაუერმა, მაგრამ სულ არ უფიქრია ასე მოქცევა. მისი ცოლი, შიშის გამო, ისტერიკულად იყო განწყობილი. მან ქალს ბეჭებზე მოუთათუნა ხელი, — ოღონდ მაცადე მოქმედება. აქამდე ხომ ყოველთვის ვახერხებდი საქმეს.

იგი თავდაჯერებული გავიდა გარეთ. სელმა ფანჯარას მიუახლოვდა; თვალი მიადევნა ქმარს, რომელიც ავტომობილში ჯდებოდა. „დასაბუთება! ბრძანებები!..“

— გაიფიქრა, — ეგაა თქვენთვის ყველაფრის გამო თავის მართლების საშუალება. ყველაფერი ლამაზად და კარგად იყო, სანამ უხერხდებოდა. და თუ რამე ისე ვერ იყო, განა თავად არ მიუძღოდა წვლილი?!“ — მან თავის საქორწინო ბეჭედს დახედა. ოცდაოთხი წელიწადი გახლდათ, თითზე ატარებდა. ორჯერ მისი ზომამში გაფართოებაც მოუხდა. მაშინ, როცა ის ნოიბაუერისგან ეს ძღვენი მიიღო, სულ სხვა პიროვნება იყო. ზუსტად იმ დროს ერთ ებრაელს უნდოდა მასზე დაქორწინება — ჩია, გამრჯე კაცს, რომელიც სულ ენის მოჩლეკით ამბობდა ხოლმე სათქმელს, და კი არ ღრიალებდა — იოზეფ ბომფელდერი. იგი 1928 წელს ამერიკაში გადასახლდა. ჭკვიანი გამოდგა. დროული იყო მისი მოქმედება. მას შემდეგ, მასზე მხოლოდ ერთხელ შეიტყო ცოტა რამ, ერთი ნაცნობი ქალისგან, რომელსაც სწერდა, რომ მისი საქმეები ძალიან კარგად მიდიოდა.

ბეჭედი თითზე მექანიკურად დაატრიალა. „ამერიკა... — გაიფიქრა კვლავ, — იქ ხომ არასდროსაა ინფლაცია. ისინი ერთობ მდიდრები არიან...“

509 ნაცნობ ხმას აყურადებდა. ფრთხილად წამოჯდა მიცვალებულთა გროვის უკან და სმენად იქცა.

იცოდა, რომ იმ ღამით მუშათა ბანაკიდან ლევისსკი აპირებდა ერთი ვილაცის მოყვანას, რომელიც რამდენიმე დღით ბარაკში უნდა დაემალათ. მაგრამ ძველი

წესების თანახმად, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ერთმანეთის მოკავშირეებს უნდა სცნობოდათ ერთმანეთი, არ უთქვამს, თუ ვის გადაამალვას აპირებდა.

კაცი ჩუმად, მაგრამ გარკვევით ლაპარაკობდა.

— ჩვენ ყველა ის პიროვნება გამოგვადგება, ვინც ჩვენთან არის, — თქვა მან, — როცა ნაციონალ-სოციალისტების მბრძანებლობა დასრულდება, თავიდან არც ერთი შეკრული პარტია არ იქნება, რომ პოლიტიკური საქმიანობა გადაიბაროს. მათგან ყველა ხომ, თორმეტი წლის განმავლობაში, ან პატარ-პატარა ჯგუფებად დაიშალა, ან სულ განადგურდა და დავინყებას მიეცა. ისინი, ვინც რაიმე ფორმით კიდევ დარჩა, იატაკქვეშა მოქმედებებზე გადავიდა, მაგრამ აქამდეც რამდენიმე შემორჩა, არ ვიცით. ახალი ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად შეუპოვარი ადამიანები გვჭირდება. მარცხის შემდეგ შექმნილ ქაოსში, მეტ-ნაკლებად, მხოლოდ ერთადერთი პარტიაღა რჩება: ნაციონალ-სოციალისტური. საუბარი ისეთებზე არ მაქვს, ხან ერთ პარტიას რომ მიეკედლებიან ხოლმე და ხან — მეორეს. ვლაპარაკობ იმათზე, რომლებიც მოძრაობის ბირთვის წარმოადგენენ. ეგეთები ყველანი ერთად შეიკვრებიან, გადაინაცვლებენ იატაკქვეშეთში და იქ დაიცდიან, რათა მერე ისევ გამოყონ თავი. აი, მაშინ კი მათ წინააღმდეგ ბრძოლა მოგვიხდება, რისთვისაც ხალხი გვჭირდება...“

„ვერნერი უნდა ლაპარაკობდეს, — გაიფიქრა 509-მ, — ის უნდა იყოს, მაგრამ ადრე ხმა ხომ გავრცელდა, გარდაიცვალაო“. — ის მოსაუბრეთა სახეებს ვერ ხედავდა, რადგან ღამეს არც მთვარის შუქი ანათებდა და საკმაო ბურუსიც იყო.

— ხალხი გარეთ დიდწილად დემორალიზებულია, — განაგრძობდა კაცი, — თორმეტწლიანმა ტერორმა, ბოიკოტმა, დასმენამ და შიშმა განაპირობა ეს, რასაც ამჟამად, წაგებული ომიც დაერთვება თან. იატაკქვეშა გადაბარგებულმა ნაცისტებმა შესაძლოა, ტერორი და საბოტაჟი ისევ მოუწყონ ხოლმე ხალხს და ისინი, წლების განმავლობაში, კვლავ შიშის ქვეშ აცხოვრონ. გამიზნული ექნებათ, ისევ ხელში ჰყავდეთ ისინი, რომელთაც შეაცდენენ და შეაშინებენ. ირონიაა, ნაცისტების მოწინააღმდეგეთა ფრთა ბანაკში რომ უფრო შენარჩუნდა, ვიდრე სადმე გარეთ. აქ ჩვენ ერთად გამოგვკეტეს, გარეთ კი დააშორეს ჯგუფები. ასევე, გარეთ ძნელი იყო ერთმანეთთან კავშირის ქონა, აქ კი — ადვილი. იქ თითოეულს თავისით უნდა გაეძლო, აქ კი ერთი მეორეს ედგა გვერდში და ძალას მატებდა; საბოლოოდ კი მივიღეთ ისეთი შედეგი, რასაც ნაცისტები ვერც ივარაუდებდნენ.

კაცმა გაიცინა და მისი სიცილი იყო ხანმოკლე და სიხარულს მოკლებული.

— თუ არ ჩავთვლით მათ, რომლებიც გარდაიცვალნენ ან მოკლეს! — მიუგო ბერგერმა.

— თუ არ ჩავთვლით მათ, რა თქმა უნდა... მაგრამ ჩვენ კიდევ დავგრძენ ჩვენინანები. ერთი ცალკეული ასს რომ უდრის, ისეთები.

„ვერნერი უნდა იყოს, — გაიფიქრა 509-მ. ის ახლა წყვილია და ასკეტის აზრდისთვის თავის ქალას რამდენადმე ამჩნევდა. — ის ისევ განსჯის ვითარებას. გეგმავს და ხელმძღვანელობს. მოსაზრებებით გამოდის; კვლავ თავისი პარტიის ფანატიკოსად და თეორეტიკოსად დარჩენილა“.

— ბანაკები თვითაღმდგენ უჯრედებად უნდა იქცნენ. — თქვა კაცმა მშვიდად და გარკვევით, — ყველაზე მეტად კი სამი რამ არის მნიშვნელოვანი: პირველი — პასიური ან თუნდაც, განსაკუთრებული საჭიროებისას, ღია წინააღმდეგობის განწვევა ესესელებისთვის, იმ დროის განმავლობაში, სანამ ისინი ბანაკში ჯერ კიდევ იქნებიან; მეორე — საერთო მღელვარებისა და მოულოდნელი გაუგებრობების თავიდან აცილება, როცა ბანაკის საქმეებს გადავიბარებთ. ჩვენვე უნდა ვიყოთ მონესრიგებულობის მაგალითი და უნდა ვანახვოთ, რომ შურისძიებისგან არ ვიშორებით. წესიერი სასამართლოები იზრუნებენ შემდეგ ამაზე და...

კაცმა საუბარი შეწყვიტა. 509 ფეხზე წამოდგარა და მათკენ მიემართებოდა. შეამჩნია, რომ მოსაუბრეთა ერთობა შედგებოდა ლევისკისგან, გოლდშტაინისგან, ბერგერისგან და ერთი უცხო მამაკაცისგან.

— ვერნერ! — მიმართა მან ვერნერს.

კაცმა წყვილია და შეათვალა მამაკაცი.

— რომელი ხარ? — ჩაილაპარაკა მან, ადგა და 509-ს მიუახლოვდა.

— მეგონა, მკვდარი იყავი. მე კოლერი ვარ! — თქვა 509-მ. ვერნერი მის სახეს მიაშტერდა.

— კოლერი! შენ კიდევ ცოცხალი ხარ? და მეც დიდი ხნის მკვდარი მეგონე.

— კი, ოფიციალური საბუთებით უკვე ვარ კიდევ იმქვეყნად.

— ეგ 509-ა. — მიუგო ლევისკიმ.

— ანუ შენ 509 ხარ! ასე უფრო ადვილი გასაგებია. მეც მკვდარი ვარ ოფიციალური საბუთებით.

ორივენი ღამის სიბნელეში ერთმანეთს მიშტერებოდნენ. ეს არ იყო რაღაც ახალი გარემოება. ხანდახან ბანაკში ერთი მეორეს ისეთს შეხვდებოდა, რომელიც დიდი ხნის გარდაცვლილი ეგონა. 509 და ვერნერი ჯერ კიდევ ბანაკში მოხვედრამდე იცნობდნენ ერთმანეთს; ისინი მეგობრები იყვნენ. შემდეგ კი თითოეულის პოლიტიკურმა შეხედულებამ თანდათან ბზარი შეიტანა მათ ურთიერთობაში.

— ახლა აქეთ იქნები? — იკითხა 509-მ.

— ჰო. რამდენიმე დღის განმავლობაში.

— ესესელები ანბანის ბოლო ასოებზე არიან, — ჩაილაპარაკა ლევისკიმ, — მათ ფოგელი უკვე მონახეს. ის ისეთს ჩაუვარდა ხელში, რომელიც სცნობდა, — ძალღიშვილ უნტერშარფიურს!

— მე თქვენ ზედმეტ ტვირთად არ დავანვებით, — თქვა ვერნერმა, — ჩემი თავის გამოკვებაზე თვითონ ვიზრუნებ.

— რა თქმა უნდა, — ჩაილაპარაკა 509-მ სანახევროდ შესამჩნევი ირონიით, — სხვანაირ ქმედებას არც მოველოდი შენგან.

— მიუნცერი ხვალისთვის მონახავს პურს. ლებენტალს შეუძლია, მასთან წავიდეს და მოიტანოს. ის იმაზე მეტსაც იშოვის, რაც მე მეყოფოდა. და კიდევ, ცოტა სხვა რამესაც შეახვედრებს თქვენს ჯგუფს.

— ვიცი, — თქვა 509-მ, — ვიცი ვერნერ, რომ ტყუილად არაფერს გამოვლი და შენც გაიღებ სამაგიეროს. რჩები 22-ე ბარაკში? მეოცეშიც შეგვიძლია, გადაგიყვანოთ.

— ოცდამეორეში დავრჩები. შენც ხომ იქვე იქნები? ჰანდკე უკვე მკვდარია...

ღანარჩენებს არ უგრძნობდა, რომ ახლა, ამ ორს შორის სიტყვებით პაექრობას ჰქონდა ადგილი. „როგორი ბავშვურები ვართ... — გაიფიქრა 509-მ, — უსასრულო დროა გასული მას შემდეგ, რაც ერთმანეთს პოლიტიკური საკითხების გამო დავუპირისპირდით და ახლა მაინც არ გვირბა, ურთიერთს ვალში დავრჩეთ. მე განვიცდი რაღაც ბრიყვულ კმაყოფილებას, რადგან ვერნერი თავმესაფარს ჩვენთან ეძებს, ის კი იმაზე მიმანიშნებს, რომ არა მისი გუნდი, ჰანდკე ცოცხალი იქნებოდა და შესაძლო იყო, მას ჩემთვის ბოლოც კი მოელო“.

— ყველაფერი მოვისმინე, რასაც აქამდე საუბრობდით, — ჩაილაპარაკა 509-მ, — მართალი ხარ და რა შეგვიძლია მოვიმოქმედოთ?

ისინი ჯერაც გარეთ ისხდნენ. ვერნერს, ლევისკის და გოლდშტაინს ბარაკში დასძინებოდათ. ლებენტალს უნდა გაეღვიძებინა ორ საათში. ღამის განმავლობაში ჰაერი ძალიან ჩახუთულიყო. ბერგერს, მიუხედავად ამისა, მაინც ემოსა ჰუსარების პიჯაკი, რაც 509-ის დაჟინებული მოთხოვნა ყოფილა.

— ეგ ახალი ვინაა? — იკითხა ბუხერმა, — ვინმე ჩინოვნიკია?

— კი, იყო, სანამ ნაცისტები მოვიდოდნენ. არც ისე დიდი, მაგრამ ჩინოვნიკი კი იყო, პროვინციელი ბობოლა... დაუღალავი კომუნისტი. ფანატიკოსი. აი, ისეთი, თავიანთი ცხოვრება რომ არ გააჩნიათ და თან არც იუმორის გრძნობა აქვთ. ახლა კი ის ამ ბანაკის იატაკქვეშა მოძრაობის ერთ-ერთი წინამძღოლია.

— და შენ საიდან იცნობ მას?

509 ჩაფიქრდა.

— 1933 წლამდე მე ერთი გაზეთის მთავარი რედაქტორი ვიყავი. ხშირად იმართებოდა ხოლმე ჩვენ შორის სჯა-ბაასი. მე კი ასევე ხშირად ვუტყვევდი მის პარტიას. მის პარტიას და აგრეთვე — ნაცისტებსაც... ჩვენი გაზეთი ორივეს წინააღმდეგ იყო.

— მაშ, აბა, ვილასკენ იყავით?

— ვისკენ და, რაც ახლა ერთობ მაღალფარდოვნად და სასაცილოდაც კი ჟღერს — ადამიანურობისკენ, შემწყნარებლობისკენ და თითოეული მოქალაქის სიტყვის თავისუფლებისკენ. კომიკურია, არა?

— არა, არა, — თქვა აპასფერმა და ჩაახველა, — აბა, მაგ იდეალების გარდა, სხვა რისთვის უნდა გებოძოლო?

— შურისძიებისთვის! — წამოიძახა მეიერჰოფმა უცბად, — შურისძიება იყო საჭირო! აი, ამ ყველაფრისთვის! შურისძიება ყოველი მოკლულის გამო და იმის გამო, რაც თავს დაგვატყდა.

მას ყველამ გაკვირვებული მზერა მიაპყრო. მეიერჰოფს სახე შეშლილივით მოღრეცოდა. თითები მოემუჭა და ხელს რამდენჯერაც სიტყვა „შურისძიებას“ იტყოდა, იმდენჯერ მიწას ურტყამდა.

— რა დაგემართა? — ჰკითხა ზულცბახერმა.

— თქვენ რა დაგემართათ? — კითხვა შეუბრუნა მან.

— ჭკუიდან შეშლილია! — გამოეპასუხა ლებენტალი, — ჯანმრთელობა გამოუკეთდა და მაგან შეშალა ჭკუიდან. ექვსი წლის განმავლობაში დამფრთხალი და უბადრუკი ებრაელი იყო, რომელსაც ვერ გაებედა, რამის სათქმელად პირი გაეღო, შემდეგ კი საოცრებამ იხსნა კრემატორიუმში გამონვისგან და ახლა ის სამსონია, მეიერჰოფი.

— არ მინდა შურისძიება, — ჩაიჩურჩულა როზენმა, — მხოლოდ, ერთი, აქედან გამიყვანა.

— რა? და ესეხელები ყველანი ისე გაძვრნენ, რომ სამაგიერო არ მიეზლოთ?

— ჩემთვის სულერთია. მე მხოლოდ აქედან მინდა, გავიდე. — როზენი ხელებს გამეტებით ისრესდა და ისე გამალებით ჩურჩულებდა, თითქოს მის ამ ლაპარაკზე იყო დამოკიდებული, თუ რა მოხდებოდა, — არაფერი მინდა, გარდა გასვლისა. გასვლისა...

მეიერჰოფი მას მიაშტერდა.

— იცი, შენ ვინ ხარ? შენ ხარ...

— დანყნარდი, მეიერჰოფ! — შეანყვეტინა ბერგერმა და წამოიმართა, — არ გვინდა იმის გარკვევა, ვინ ვინაა. აქ ყველანი ისეთები არ ვართ, როგორებიც ადრე ვიყავით და — არც ისეთები, როგორებიც გულით გვინდა, რომ ვიყოთ... სინამდვილეში რანიც ვართ, მოგვიანებით გამოჩნდება. ვის შეუძლია, დღეს ეს დანამდვილებით თქვას? ამჟამად მხოლოდ ლოღინი შეგვიძლია, შეგვიძლია, ვიმედოვნოთ და, სურვილის შემთხვევაში, ვილოცოთ კიდევ.

მან ჰუსარების პიჯაკი შემოიფარა და ისევ უკან გადაწვია.

— შურისძიება... — წარმოთქვა შეფიქრიანებულმა აპასფერმა რამდენიმე ხნის შემდეგ, — მეტისმეტად ბევრი შურისძიება გახდებოდა საჭირო. და თან შურისძიება ახალ შურისძიებას იზიდავს. რაში არგია ეს ვინმეს?

ჰორიზონტზე ცეცხლის ალებივით გამოკრთა რაღაც.

— ეს რა იყო? — იკითხა ბუხერმა.

პასუხად მშვიდი გრუხუნის ხმა გაისმა.

— ვფიქრობ, დაბომბვა არ უნდა იყოს, — თქვა ზულცბახერმა, — ალბათ ისევ ჭექა-ქუხილია. საკმაოდ ჩახუთული კია ჰაერი.

— თუ წვიმა დაიწყება, მუშათა ბანაკიდან გადმობარგებულები უნდა გავალციოთ. ჰოდა, გამოვლენ და აქ დანვებიან. ჩვენზე მეტად ჯანიანები არიან, — ჩაილაპარაკა ლებენტალი და 509-ს მიუბრუნდა, — იმ შენს მეგობარსაც, ჩინმოსილი რომაა, მოუწევს გალციება.

ცაზე კვლავ იელვა.

— და მაგათ, ერთს მაინც ხომ არაფერი სმენია ჩვენიანი ტყვეების სხვაგან გადაყვანაზე? — იკითხა ზულცბახერმა.

— კი, მაგრამ მხოლოდ ჭორის დონეზე. ბოლო ცნობა იყო, რომ ათასის გადარჩევას აპირებდნენ.

— ოჰ, ღმერთო! — როზენის გაფითრებული სახე სიბნელეში მკრთალად ალაპლაპდა, — ისინი, ეჭვგარეშეა, მოგვადგებიან, — ყველაზე სუსტებს... რათა ჩვენგან გათავისუფლდნენ.

მან 509-ს გახედა. ახლა ყველანი პატიმრების იმ კოლონას იხსენებდნენ ფიქრებში, რომელიც ბოლოს იხილეს.

— ჭორია, — თქვა 509-მ, — ჩვენ ხომ ბოლო დროს, ყოველდღიურადაც კი, საპირფარეოში უთვალავი მონაჩმასი მოგვისმენია. შევინარჩუნოთ სინყნარე, სანამ რამე ბრძანება იქნება. შემდეგ იმასაც ვნახავთ, ლევი-სკი, ვერნერი და სხვები კანცელარიაში რას გააკეთებენ ჩვენთვის. ან ჩვენვე ვიმოქმედებთ აქ.

როზენი აცახცახდა.

— გახსოვთ, მაშინ ისინი ფეხებით როგორ ათრევდნენ ტყვეებს სანოლების ქვემოდან?

ლებენტალი დაამცინავი მზერა მიაპყრო.

— ვითომ, შენს ცხოვრებაში არასდროს გინახავს მაგაზე მეტი?

— არა...

— ადრე ერთ დიდ სასაკლაოზე ვმუშაობდი, ჩიკაგოში, — წარმოთქვა აპასფერმა, — ყასბად ვიყავი, რაც ებრაელთა წესის მიხედვით, დასაშვებია. ხანდახან გრძნობდნენ ცხოველები, რა გადახდებოდათ. იყოსავდნენ სისხლის სუნს და გაშმაგებულები ისე გარბოდნენ, როგორც მაშინ ის პატიმრები. სადმე გარბოდნენ, ვითომ თავს კუთხეებში დამალვით შეელოდნენ და მაშინ მათ ზუსტად ფეხებით გამოათრევდნენ ხოლმე.

— შენ ჩიკაგოში იყავი? — იკითხა ლებენტალი.

— კი.

— ამერიკაში იყავი და აქ დაბრუნდი?!

— ეგ ამბავი ოცდახუთი წლის წინანდელია.

— უკან დაბრუნდი? — ლებენტალი უფრო მიაშტერდა აპასფერს, — არა, არა, ჯერ თუ სმენია ვინმეს ასეთი რამ?

— სამშობლოს მონატრება მჭირდა. პოლონეთისადმი ნოსტალგია.

— იცი, რა?!.. — ლებენტალი სიტყვა შეანყვეტინა. გაგონილი მეტისმეტი იყო მისთვის.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„გედგეძ ბარბად გვთვლიან“

„ომიც და გაჭირვებაც გამოვიარე, ჩვენი ქვეყნის ბევრი კუთხე შემოვიარე. 92 წელი ისე ვიცხოვრე, არც მწვადი დამინვია და არც შამფური“, — მეუბნება ომის ვეტერანი, ბატონი მიხეილ ლლიღვაშვილი და თვალები უცნაურად უბრუნინავს. ჯერაც ერჩის ძალა და მიუხედავად იმისა, რომ შეუძლია, დედაქალაქში უზრუნველად იცხოვროს, მაინც სოფლისკენ მიუწევს გული, სადაც მინას ეჭიდება. უყვარს თავისი სოფელი, თანასოფლელები და... ქალაქიც უყვარს თავისებურად, მაგრამ გული სწყდება ბევრ რამეზე, პირველ რიგში კი იმას განიცდის, რომ ბოლო დროს აბრებზე წარწერილი სიტყვები არაფერს ეუბნება, რადგან არ ესმის ინგლისური, მის ასაკში კი უცხო ენის ათვისება არც ისე იოლია...

ომის ვეტერანის საინტერესო თავგადასავალი და საბავშვარი

ლიკა ქაჭანია

— როგორ ახერხებდით ისე გეცხოვრათ, რომ არც მწვადი დაგენვათ და არც შამფური?

— ადვილი არ იყო, მაგრამ მოვახერხე (ილიმის). როგორც გითხარით, ომის მონაწილე ვარ. ბევრი გაჭირვება გამოვიარე. იმ ზომამდეც კი მივსულვარ, რომ თვითმკვლელობაც განმიზრახავს ფრონტზე. არ იფიქროთ, რომ ტყვიის მეშინოდა. არა! მეშინოდა მიმშილისა და სიცვიის — ეს ორი რამ აუტანელია! ომში როცა ხარ, შენზე არაფერია დამოკიდებული, საითაც გიბრძანებენ, იქით უნდა წახვიდე და შენი მოვალეობა შეასრულო. მამა ფრონტიდან დაჭრილი დაბრუნდა, სიარულიც არ შეეძლო. შემდეგ მე წავედი, მამა კი დავტოვე სახლში. სად არ ვიარე, რა არ ვნახე. საშინელებაა, როცა შენი თავი არ გეკუთვნის, მტერი გიტყვის, თავიც უნდა დაიცვა და თან მტრის განდევენაზე იფიქრო, რომ აჯობო და ცოცხალი დარჩე. მეთაურის ბრძანებას ყველა ვემორჩილებოდით. იმ პერიოდში დავკარგე სმენა. ჰოსპიტალში თითქოს, მიმკურნალეს, აღმიდგინეს, მაგრამ მერე მაინც იჩინა თავი ამ პრობლემამ და ახლა ყურთასმენა მაკლია.

— როცა ომში წახვედით, იარაღთან ურთიერთობის გამოცდილება გქონდათ?

— არა, არანაირი გამოცდილება არ მქონია, მაგრამ ადვილად ავუღე ალლო. ერთხელ მოგვხსნეს ფრონტის წინა ხაზიდან და გზას გავეყუევით. სად მივდიოდით და რისთვის, მეთაურის გარდა, წინასწარ არავინ იცოდა. რთულ გზაზე შიმშილიც ძალიან გვანუხებდა. იმ პერიოდში უკრაინაში ვიყავით და უკრაინელი მოსახლეობა ცდილობდა, ჩვენთვის ტვირთი შეემსუბუქებინა: სახლიდან ზოგს მოხარშული კარტოფილი გამოჰქონდა და გვანვდიდა,

ვიღაც ჭარხალს მოარბენინებდა და ამით სულის მოთქმის საშუალება გვქონდა. მახსოვს, ერთ-ერთ სადგურთან დავინახეთ უზარმაზარი გორა დგას ჭარხლის, რომელიც გაყინული იყო. სანგრის სათხრელი ნიჩბებით შევესიეთ დამშულები და ვამტვრევდით, „ვეშმეშოკში“ ვიყრიდით თითქმის ყინულად ქცეულებს და მერე, როცა გალღვა, მადიანად ვჭამეთ.


ომი რომ დასრულდა, ჩვენ მოგვატყუეს, ანუ ნაწილში მისულებს გამოგვიცხადეს, ვისაც „შოფრობა“ გინდათ, ჩავენერთ და სპეციალურ სასწავლებელში გაგომვებთო. ძალიან მინდოდა კარგი მძღოლი ვყოფილიყავი და სხვებთან ერთად, ამ სიაში მეც ჩავეწერე. თურმე, სპეცსამსახურში გვიშვებენ, სადაც 6 თვე ვიყავი. მერე გაგვანანილეს და მომცეს ხელის ტყვიამფრქვევი — ეს იარაღი ძალიან შემეყვარდა. ავტომატურად ისროდა და მასში 34 ტყვია ჩადიოდა... ეს ტყვიამფრქვევი მომცეს და დამინიშნეს მოადგილე, რუსის ბიჭი, ჩემსავით უწვერულვაშო. ომი ხომ 1945 წელს დასრულდა, მე კი სამშობლოდან შორს 1950 წლამდე დამტოვეს — ზაპოროჟიეში ვიყავით.

— რისთვის დატოვეს?

— ჩვენი ვინ გვეტყოდა რისთვის? ახალი „შევსება“ რომ მოდიოდა, იმათ ვასწავლიდით, პრაქტიკაზე გაგვყავდა ბიჭები. ჩემდა უნებურად, ჯარისკაცი ვიყავი წლების მანძილზე... მახსოვს, ახალმისული ვიყავი, როცა ველზე გაგვიყვანეს ფეხით. მივდიოდით დღე და ღამე, მაგრამ სად, არავინ იცოდა. მერე უცებ ბრძანება მივიღეთ, გაჩერდითო. „ძველებმა“ ეგრევე სანგრის გათხრა დაიწყეს, ჩვენთვის არაფერი უთქვამთ და შიგ ჩანვენენ. ახლებს გაგვიკვირდა, რისთვის წვალობდნენ და პირდაპირ მინდორზე დავნექით. შემოდგომა იყო, მაგრამ

მაინც ციოდა. ჩვენ გავიყინეთ, იმათმა ე.წ. შინელი გადაიხურეს და მშვენივრად გაათენეს ის ღამე. მერე მეთაურმა რომ გამოიარა, გაბრაზდა: რატომ არ გათხარეთ სანგარიო? თურმე, მინაში შედარებით სითბოა...

— როცა საქართველოში დაბრუნდით, ცხოვრება როგორ გაგრძელდა?



ძალიან მინდა, დამოუკიდებლბმა მაინც შევიწარჩუნოთ ჩვენი ენა

— სწავლის გაგრძელება მინდოდა, მაგრამ 8 კლასის ატესტატი არ მომცეს, დაიკარგაო. მაშინ განათლების მინისტრი იყო მარიამ ბურჭულაძე, მოვახერხე და მასთან შევედი, მოვუყევი ჩემ შესახებ. ვუთხარი, სწავლის გაგრძელება მინდა და ატესტატი არ მაქვს-მეთქი. სად გინდა ჩაბარებაო? — ინდუსტრიულ ტექნიკუმში-მეთქი. ეს სასწავლებელი ავირჩიე იმიტომ, რომ ჩემი ოჯახი სწავლაში ხელს ვერ შემინყობდა, ამ ტექნიკუმში სწავლა, ჭამა და ტანსაცმელი სახელმწიფო ხარჯზე იყო, საერთო საცხოვრებელიც უფასო გახლ-

დათ. ტექნიკური დავამთავრე და მუშაობა დავიწყე, პარალელურად ჩავაბარე თბილისის სარკინიგზო სასწავლებელში, რომელიც მერე შეუერთდა „გეპეის“, როცა მე მესამე კურსზე ვიყავი. ამ სასწავლებლის დასრულების შემდეგ, კავშირგაბმულობის სამინისტროში,



ორი შვილთაშვილი მორაგბეა და მალე მათ საქართველოს ნაკრებში ვიხილავ

საიდუმლო განყოფილებაში ვმუშაობდი. ერთხელ დირექტორმა გამომიძახა. შევედი, ვილაპოლოკოვნიკი ზის, წითელი „პაგონებით“. გამომკითხა რაღაცები და მერე მითხრა, უნდა წავიყვანო, მილიციაში უნდა იმუშაო. დავფიქრებდი-მეთქი. არ გინდა ფიქრი, ხვალ მოდი სამმართველოშიო. მართლა მივედი და

გამიშვა ავტონისპექციაში, რადიო-ტექნიკაზე. კავშირგაბმულობაშიც ამ მიმართულებით ვმუშაობდი. მას მერე გავხდი მილიციის თანამშრომელი.

— თქვენ რატომ შეგარჩიეს?

— სპეციალისტი სჭირდებოდა, ჩემი თავი კი კავშირგაბმულობაში უქვს. 1962 წელს წამიყვანა პოლოკოვნიკმა შსს-ში და აქეთ კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსმა ატეხა ერთი ამბავი, რატომ ვუშვებთ, მე მჭირდებაო. ვუთხარი, რომ გარკვეული თვალსაზრისით, მეც მერჩინა წასვლა. მაშინ მითხრა, იქნებ პარალელურად აქაც იმუშაოო და 11 წელი ვიმუშავე ორ ადგილას, ჩემს საქმეს ყველგან პირნათლად ვასრულებდი.

— კაი დრო ყოფილა თქვენთვის...

— კი, ნამდვილად, ამან გადამარჩინა, ოჯახს ვინახავდი... დღეს ექვსი შვილთაშვილი მყავს, კმაყოფილი ვარ ცხოვრებით. ორი შვილთაშვილი მორაგბეა და მალე მათ საქართველოს ნაკრებში ვიხილავ, ძალიან ყოჩაღები არიან.

— ანუ კმაყოფილი ხართ საკუთარი ცხოვრების?

— პირიქით, უკმაყოფილო ვარ ბევრი რამის გამო. რატომ? ჯერ ერთი, ახალგაზრდების უმცირესობა, მაგრამ მაინც, გადაგვარებულია. გაირყვნენ, გადაგვარებული ცხოვრება უნდათ და ვისაც ეს არ მოსწონს, იმათ გაჩუმებასაც ცდილობენ სხვადასხვა მეთოდით. ნაწყენი ვარ მთავრობაზეც, დეპუტატებზე და მინისტრებზე. გული მწყდება ზოგიერთ ქართველზე, რომლებიც ჩვენს კეთილდღეობაზე

კი არ ფიქრობენ, არამედ ისე ჩანს, რომ ქართველი ერის მტრები არიან... ხშირად დავდივარ ავტობუსით, ვათვალისწინებ ქუჩებს და ყველგან უმეტესწილად, უცხოენოვანი წარწერებია. დავიჯერო, ქართული ენა ისე გალარობდა, აღარა გვაქვს იმის საშუალება რომ ქართულად დავწეროთ?

— ადრე რუსული წარწერები იყო, ამას თუ აპროტესტებდით?

— რომ მკითხოხონ, რუსეთთან გირჩევნია თუ ამერიკასთანო? რუსეთს ავირჩევ. ამერიკელებს უნდათ ჩვენთან ბაზები გახსნან, მერე ატყდება ომი და რუსეთი რას იზამს, თქვენი აზრით? შეეცდება, ეს ბაზა გაანადგუროს და ვინ დაზარალდება ამით, ამერიკა თუ საქართველო? აგერ, რუსებმა ისეთი იარაღი შექმნეს, რომ ვერ გავუნევთ წინააღმდეგობას, ამოგვატრიალებს და ეს ხომ უნდა გავითვალისწინოთ? რუსეთი ჩვენი მფარველი იყო ისტორიულად...

— მაგრამ ახლა ხომ მტერია?

— ის ბატონი იყო და ამიტომაც გახლდათ ყველგან რუსული წარწერები, მაგრამ ახლა ხომ დამოუკიდებლობა ვართ და რატომ ვაბატონებთ უცხო ენას?.. ისე, უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებს შორის, საქართველო ყველაზე უკეთესად იყო. ქართველებს ჩაჰქონდათ კონიაკი, არაყი და რუსეთიდან „კაპიკებში“ მოჰქონდათ სამშენებლო მასალა, სურსათი, ტექნიკა სოფლის მეურნეობისთვის და ა.შ. ახლა ყველაფერი გვაქვს, მაგრამ „ცეცხლის ფასად“... ჯარში რომ წავედი, რუსულად ვიცოდი მხო-

დიდი სამაგულო ვეტირანების თხოვნა

2018 წელს რუსეთი და სსრკ-ის ყოფილი ქვეყნები დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 73-ე წელს აღნიშნავენ... ომის ვეტერანები განწყენებული ვართ, ვინაიდან მთავრობა სათანადოდ არ აფასებს ომიდან დაბრუნებულებს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მთავრობას ომის ვეტერანები ქვეყნის ზედმეტ ბარგად მიაჩნია.

გასულ წლებში ახალ წელსა და 9 მაისს მთავრობა სხვადასხვა სახის პროდუქტით გვეხმარებოდა. ვეტერანებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი ფულადი დახმარებაა...

მოგახსენებთ, რომ ვეტერანებს განსაკუთრებით გვიჭირს წამლების შეძენა, რომლებიც ყოველდღიურად ძვირდება და ძვირდება. ჰოსპიტალიც ხომ არ გვაქვს. გვიჭირს წამლების შეძენა და მკურნალობა, ექიმთან

ვერ მივდივართ. რატომ? ოჯახის ექიმი კი არის უფასო, მაგრამ დერმატოლოგთან და სხვა სპეციალისტთან რომ მივიდეთ, 30 ლარი უნდა გადავიხადოთ. ამას ემატება წამლების საფასური, პენსია კი ამდენს ვერ გასწვდება. ვეტერანების თხოვნაა, იფიქროთ ჩვენზე. ჩვენ ხომ ისე შევცოტავდით, რომ თითზე ჩამოსათვლელად დავრჩით. ის მაინც გააკეთეთ, რომ 9 მაისს პროდუქტების ნაცვლად, ის თანხა დაგვირიგეთ, რაც ამ პროდუქტების შესაძენადაა გათვალისწინებული. პროდუქტი ყველა ვეტერანამდე მაინც არ მიდის. უწინიბურობას და უმაკარონობას როგორმე ავიტანთ, უწამლობას ვერა. ამით ხომ თქვენც მოიგებთ — გამოთავისუფლდება პროდუქტების განაწილებისა და ადგილზე მიტანის მნიშვნელოვანი ხარჯები.

ვეტირანების დავალებით, ასევე ვეტერანი მიხეილ დლიღვაშვილი.

ლოდ ერთი სიტყვა „ხლებ“ და მერე ვისწავლე ეს ენა. ახლა ინგლისური ყველა ბავშვმა იცის და მეუბნებიან, შენც დაეუფლეო. ჩემს ასაკში უკვე ვერ შევძლებ ამას. ძალიან მინდა, დამოუკიდებლობა მაინც შევინარჩუნოთ ჩვენი ენა. ჩვენ კი არ ვილაპარაკოთ ინგლისურად ან რუსულად, დაე, მსოფლიომ ილაპარაკოს ჩვენს ენაზე.

— მილიციების ყოველთვის ყველას ეშინოდა. ფაქტია, მაშინ ქრთამი ძალიან ჭრიდა...

— სტალინის სიკვდილის შემდეგ, ჩვენი ცხოვრება ნამდვილად გადაგვარდა. დაიწყო პარტიის ბილეთების გაყიდვა. ფულს გადაიხდიდი, პარტიის წევრი გახდებოდი და თანამდებობას მოგცემდნენ. ეს ცუდი იყო! მილიცია სავსე იყო ასეთი თანამშრომლებით. რაიკოში გამოგზავნიდა თავის კაცს და ის უნდა ყოფილიყო შენი უფროსი, არადა, არ ეკუთვნოდა, საქმე არ იცოდა. ასეთები რომ გაირყვნენ და ფულზე დაიწყეს ლაპარაკი, რა გასაკვირია? იღებდნენ ქრთამს, ფულს შოულობდნენ, ხალხს ღლეტდნენ. შეელახა ყველას სახელი, რადგან ძალადობდნენ და რა თქმა უნდა, ეს არ იყო კარგი, მაგრამ მილიციაში ნათელი მხარე და ვაჟკაცობის უპრეცედენტო ბევრი მაგალითიც იყო — დაინტერესების შემთხვევაში, ასეთი ფაქტების მოძიება თქვენც შეგიძლიათ...

— როგორი იყო თქვენი ახალგაზრდობის დროინდელი თბილისი?

— ისეთი ნამდვილად არ იყო, როგორც ახლა არის. ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა — რა თქმა უნდა, კარგი საქმეებიც არ უნდა დაავიწყოთ. აყვავდა ყველაფერი. ახლა ლანძღავენ პოლიტიკოსებს, რომლებსაც დანაშაულებს ბევრი აქვთ, მაგრამ სიკეთეც აკეთეს. კორპუსებში, გზებზე დამყარდა ნესრიგი, სისუფთავე, ტრანსპორტიც კარგი გვაქვს, მაგრამ რა ვუყოთ იმ ცუდ საქმეებს, რაც აკეთეს? ამის გადაფარვა სხვა სიკეთეებით ძალიან ძნელია... იცით, რა არ მომწონს? მაგალითად, საგანგებო დეპარტამენტის 21 ათასი აქვს, დანამატისა და პრემიის გარდა და პენსიონერს 180 ლარს აძლევენ, სად არის ნამუსი? სინდისი როგორ გაძლევს უფლებას, შენ, თანამდებობის პირს, რომ ასეთ გა-

ჭირვებულ ქვეყანაში მცხოვრებმა ფული „მეშოკით“ ნაილო შინ? ახლა დეპუტატები, მინისტრები თანამდებობაზე მიდიან იმისთვის, რომ ფული იშოვონ და საქმე ნაკლებად აკეთონ. მილიონერი გახდა ყველა. კარგი, კაცო, ცოტა სინდისი იქონიე. ამაყობენ, ხალხმა დამიჭირა მხარიო. თუ ასეა, შენს თავს რატომ უნერ პრემია-დანამატებს, ხალხზე რატომ არ ფიქრობ?...
ფულზე ლექსიც კი დამანერინა ამ ყველაფერზე ფიქრმა და რამდენიმე სტროფს წაგიკითხავთ: „შენ შინაური არ იცი,/ არც გარეულის ხათრი გაქვს,/ ვისაც რომ უფრო ბევრი აქვს,/ ისევ იმისკენ გარბიხარ./ ღარიბმა რა დაგიშავა,/ რატომ ხარ მასზე გამწყრალი,/ მდიდრისთვის დაგროვილი ხარ/ და ღარიბისთვის გამქრალი.../ მთელ მსოფლიოში დარბიხარ,/ არაფრისა გაქვს შიში,/ მეძავ ქალივით იქცევი,/ ხან ჩემი ხარ და ხან სხვისი./ შენ რომ არ იყო ამქვეყნად,/ უნდა მივიღოთ ზომები,/ რომ აღარ იყოს ამქვეყნად,/ სიცოცხლის მტერი ომები“.

ადრე ვერ ვაფასებდით, თორემ ჩვენ თურმე, სამოთხეში ვცხოვრობდით. ომის ვეტერანებს ჰოსპიტალი გვქონდა, რაც აღარ გვაქვს. ძალიან მანუხებს ეს ამბავი.

— როგორც ვიცი, სახელმწიფო ვეტერანებს ეხმარება...


— კი, გვაძლევენ მაკარონს, ვერმიშელს და სხვა პროდუქტებს. არ მინდა ბატონო ეს ყველაფერი! მოგვცენ ფული, რომ წამალი ვიყიდოთ, ანუ ის, რაც უფრო მეტად გვჭირდება. ადრე რომ 5 ლარს ვაძლევდი, ახლა ის პრეპარატი 25 ლარი ღირს და როგორ ვიყიდო? მინდა, ვეტერანების თხოვნა თქვენს ჟურნალში გამოვაქვეყნო და იმეღია, ამაზე უარს არ მეტყვიო.

— გამოგიქვეყნებთ, მაგრამ მანამდე თქვენს პირად ცხოვრებაზეც მიაბებთ რამე...

— სიღნაღიდან ვარ. 25 წლის ვიყავი, როცა დავოჯახდი... სანამ ჯარში წავიდოდი, შეყვარებული მყავდა. მეფიცებოდა, უშენოდ ვერ გავძლებ, როდის დაბრუნდებო? წერილებს ვწერდით ერთმანეთს, მერე წამოვიდა სასწავლებლად ქალაქში და ეტყობა, ჩემზე უკეთეს ადამიანს შეხვდა, გათხოვდა, პირობა არ შეასრულა...

— როცა ომიდან დაბრუნდით, არ ნახეთ?

— ერთხელ ვნახე და ვუსაყვედურე. პასუხი არ გამცა ან რა უნდა ეთქვა?... მერე სხვა გოგომომეწონა. მართალია, ვერ ვიტყვი რომ ძალიან მიყვარდა, მაგრამ შევირთე და დროთა განმავლობაში ისე შემიყვარდა, მის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენლად მიმაჩნდა. ახლა ზამთარს თბილისში ვატარებ, გაზაფხულზე კი სოფელში გავრბივარ. იქ ვენახი მაქვს, ბოსტანი. ფანატიკურად მიყვარს ჩემი სოფელი და იქაური ხალხიც. იქ არ არის ქურდობა, ხულიგნობა. მინდორში შეიძლება ხილი მოგპარონ, დანარჩენი არაფერი დაგეკარგება. ერთხელ საისტორიო ამბავი მოხდა: კაცმა ქალაქელი ამხანაგი შეიფარა სახლში. ჩამოდიოდა ეს კაცი სტუმრად და პატივისცემაში იყო. ეს „დაგულობს“, მასპინძელი მუშაობს. ერთ მშვენიერ დღეს, როცა შინ



სტალინის სიკვდილის შემდეგ, ჩვენი ცხოვრება ნამდვილად გადაგვარდა

მივიდა, ცოლ-შვილი დახოცილი დახვდა. ჩაიკეტა მკვლელი შენობაში და იმუქრებოდა, — გესვრით, არ მომიახლოვდეთო. მილიციამ როგორღაც, მაინც აიყვანა. სოფელმა რა ქნა, იცით? მკვლელი მილიციას არ გაატანა, სოფლის ცენტრში ცოცხლად დაწვეს ის კაცი. სხვა ცუდი ფაქტი არ მახსოვს, ჩემს ნუკრიანში მომხდარიყო. მესტუმრეთ და თავადაც დარწმუნდებით, რომ საუკეთესო ადგილია. ■



პირველი დღე

საუზმე: 1 ჭიქა მარწყვი, ვაშლი, 1 ჭიქა უცხიმო კეფირი, 1 სუფრის კოვზი თაფლი — ყველა ინგრედიენტი დაჭერით და სალათის სახით მიირთვით ან ბლენდერის საშუალებით კოქტეილად ათქვიფეთ.

სადილი: ერთი ჭიქა მარწყვი. სალათი — 2 კიტრი, 50 გ მოხარშული ქათამი, ნახევარი ლიმონის წვენი, ნებისმიერი მწვანელი, ჩაის კოვზი ზეთი, რამდენიმე ნიგოზი.

სამზარი: 1 ჭიქა მარწყვი.

ვახშამი: 100 გ კარტოფილი, ერთი თავი ხახვი, 50 გ ხაჭო, ნახევარი ჭიქა კეფირი, ნახევარი ლიმონის წვენი — ამ ინგრედიენტებისგან მოამზადეთ სალათი. 1 ჭიქა მარწყვი.

მარწყვის დიეტა

როგორც ამბობენ, ეს დიეტა ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი და ეფექტურია. 4 დღეში 3 კგ-ს დაიკლებთ. დღეში 4 ჭიქა მარწყვი უნდა მიირთვათ. მარწყვის დიეტის მენიუ (ტკბილეული, ცომეული და პური — აკრძალულია).

მეორე დღე

პირველი საუზმე: 1 ჭიქა მარწყვი.
მეორე საუზმე: 1 ჭიქა კეფირში ათქვეფილი 1 ჭიქა მარწყვი.

სადილი: 3 თხელი ბლინი მარწყვითის შიგთავსით.

ვახშამი: 100 გ კომბოსტო და 1 ჭიქა მარწყვი.

მესამე დღე

საუზმე: 1 ჭიქა მარწყვი და ერთი ტოსტი.

სადილი: 200 გ ბალი, 1 ჭიქა მარწყვი, ნახევარი ბანანი.

სამზარი: 1 ჭიქა მარწყვი.

ვახშამი: 1 ჭიქა მარწყვი. სალათი — 70 გ მოხარშული კარტოფილი, 70 გ მოხარშული სტაფილო, 70 გ კომბოსტო.

მეოთხე დღე

საუზმე: 1 ჭიქა მარწყვი, 50 გ ყველი.

სადილი: 1 ჭიქა მარწყვი. სალათი — ერთი თავი პატარა ხახვი, 100 გ მოხარშული თევზი, სალათის ფოთლები, ჩაის კოვზი ზეთი.

სამზარი: 1 ჭიქა მარწყვი.

ვახშამი: 1 ჭიქა მარწყვი და 100 გ კომბოსტო ზეთით.

კიტრის დიეტა

ცოტამ თუ იცის, რომ კიტრი ერთ-ერთი უძველესი საკვებია. მას ჩვენს ნელთალრიცხვამდე 3 ათასი წლით ადრე მიირთმევდნენ. კიტრის 95-96% წყალია, ამიტომ იგი სასარგებლოა საჭმლის მონელებისთვის, ანესრიგებს წყალ-მარილოვან ბალანსს, წმენდს კანს, მოქმედებს როგორც შარდმდენი საშუალება, ასტიმულირებს ნივთიერებათა ცვლას. კიტრისგან მზადდება ლოსიონები, ნიღბები, რომლებიც წმენდს კანს, აბაცებს პიგმენტურ ლაქებს, ჭორფლს. როცა კიტრისგან სალათს მოამზადებთ, ნუ დაიზარებთ — მოიტოვეთ პატარა ნაჭერი და სახე მსუბუქად დაიზილეთ.

დაინახავთ, თვალსა და ხელს შუა როგორ გამოვიცოცხლებათ სახე. შემუშავებული თვალების დასაცხრობად კიტრის მრგვალი ნაჭრები ქუთუთოებზე დაიდეთ და 10 წუთით მსუბუქად მიიჭირეთ.

კიტრი ხელს უწყობს გახდომას. თვითონ ის ძალიან დაბალკალორიულია, მაგრამ თუ მცენარეული ზეთით ან არაყნით შევაზავებთ, შეუძლია, მთელი სამი საათით დაგვანაყროს. კიტრის დიეტის დაცვა სამ დღეზე მეტხანს არ არის რეკომენდებული, რადგან იგი არ შეიცავს ორგანიზმისთვის აუცილებელ ყველა ნივთიერებას.

ვაკონტროლოთ მადა

გრელინი შიმშილის გრძობაზე პასუხისმგებელი ჰორმონია. იგი უშუალოდ კუჭში გამოიშავდება. მთელი ეს პროცესი შეიძლება ისე ვაკონტროლოთ, რომ შიმშილის გრძობა მუდამ არ გვდევდეს.

ადრე მიიჩნეოდა, რომ შიმშილის გრძობა კუჭის სიცარიელესთან იყო დაკავშირებული. დიდი ხნის განმავლობაში ასევე ფიქრობდნენ, რომ სისხლში გლუკოზის დონის დაქვეითება საკვების მიღების საჭიროების სიგნალი იყო.

იაპონელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება, რომელიც შიმშილის გრძობაზე პასუხისმგებელია. ახალ ნაერთს იაპონელებმა გრელინი უწოდეს. აღმოჩნდა, რომ



გრელინი ჰიპოფიზზე მოქმედებს. იგი კუჭში გამოიშავდება, მაგრამ ტვინში სისხლის წყალობით ხვდება.

როგორ ვაკონტროლოთ შიმშილის ჰორმონი:

1. შევამციროთ კუჭის მოცულობა. რაც მეტია კუჭის კედლის ზომა, მით მეტი გრელინი გამოიშავდება. კუჭის მოცულობის შესამცირებლად საჭიროა ხშირად და მცირე ულუფებით კვება. რაც შეეხება წყალს, ისიც მცირე ულუფებით უნდა მივიღოთ. არ შეიძლება შიმშილი — ამ შემთხვევაში ორგანიზმი იმარაგებს კალორიებს და ცდილობს მის კომპენსირებას საკვების ნაკლებობისას.

2. ფიზიკური ვარჯიში. გრელინის გამოიშავების დასაქვეითებლად კარგია ფიზიკური აქტივობა.

3. დასვენება და ჯანსაღი ძილი. ძილის ნაკლებობის დროს 15%-ით მეტი ჰორმონი გრელინი გამოიშავდება.

4. მიიღეთ საკმარისი რაოდენობის ცილა. ის აკონტროლებს საკვების მოხმარებას და სწრაფად ანაყრებს ადამიანს.

შემოდგომის სიყვარული

როდის არიან ადამიანები ყველაზე რომანტიკულები — ბავშვობისას, ჭაბუკობაში, სიბერის წინ თუ სულაც, მოხუცებულობისას? ეგებ გრძნობების სიჭარბე ინდივიდუალურია ან სულაც, საჭიროების მიხედვით ჩნდება ის?

ჩემი თაობის მხატვარ ქალთან ვმეგობრობ. ის ხატავს მაშინ, როცა ხატვის ჟინი ისე მძლავრობს მასში, როგორც გაზაფხულობით წითელგულა ჩიტების შეუღლებისას იგრძნობა ლტოლვა.

როლანდ ხოჯანაშვილი

ამ მეგობარმა იმ ასაკში დაიწყო ხატვა, ზოგი რომ ასრულებს უკვე ხელოვნებასთან მეგობრობას. სიყვარული და ხატვის სურვილი თითქმის ერთად ეწვია... ადრეც ხატავდა, ადრეც ჰყავდა სარეცლის გამზიარებელი, თქვენ წარმოიდგინეთ — შვილიშვილიც, მაგრამ შემოდგომის ყვავილივით იფეთქა ახლახან სიყვარულმა და ხატვის სურვილმა...

ის კაცი მხატვარი ქალის ცხოვრებაში მოულოდნელად გამოჩნდა. მაშინ, როცა უკვე არავის და აღარაფერს ელოდებოდა! თითქოს არაჩვეულებრივი, არაცხოვრებისეული ისტორიაა, მაგრამ ზოგჯერ უჩვეულო ამბებიც ხდება... წარმოიდგინეთ, ბალზაკის ასაკის ლამაზი მარტოქალი, თავისივე ფიქრებს გამოქცეული! ოკეანისგაღმა გადახვენილი ემიგრანტის გამო გული შეფრთხილდა უცნაურად, მიამიტურად... სისხლი ჯერ გაჩერდა და მერე სხვანაირი სიძლიერით დაიწყო დინება ძარღვებში, მთელ სხეულს მოედო და ნაპერწკლებად დაიღვარა! თუმცა, უნდა შეჩერდეს თუ არა? შეიკავოს თუ არა თავი, რადგან უკვე ზრდასრული ქალია, ბებიას... ჩაეცინა, ჩაეღიმა ამ ნაპერწკალზე. ბებობა ეგებ განაჩენია იმისათვის, რომ პირადზე არ იფიქროს?!

ფილმის კადრებივით მიროდნენ ქალის თვალწინ შეჩერებული ნამები, დროში გაყინული ემოციები. ქალი მათში ჩაიძირა, დროის შეგრძნება დაკარგა, ასაკი თითქმის შუა ჩაეცალა ქვიშის საათივით. სანეტარო კაცის ფოტოებიდან შემოდგომის ხანში ახალფეხშები-ჯებული, სიმპათიური მამაკაცი იმზირებოდა. კავკასიური გარეგნობის, არწივისებური პროფილითა და მზერით, თხელი, კოხტად მოვლილი წვერითა და არისტოკრატიული იერით. უფრო თვალებმა დაატყვევა ქალი! ისეთი ბრიალა

ცეცხლი მოდიოდა მისგან, თვალს ვერ უსწორებდა ქალი და დაიბნა, აირია, მხრებზე გადაიყარა ჩამოშლილი გრძელი თმა, თითქოს უნდოდა, ის ქარიშხალი მოეგერიებინა, რაც ამ თვალებიდან მოდიოდა. კაცის მკაცრად მოკუმული ბაგეები მისი ხასიათის სიხისტეზე მეტყველებდნენ, მაგრამ თვალები წლებში ჩაძირულ და დროში გათქვეფილ ნაღველს ვერ მალავდა. ჭალარა თმა შუბლზე ჩამოშლოდა და სიყმანვილეში აბრუნებდა „შემოდგომის კაცს“.

ქალს მღელვარებისაგან საკუთარი გულისცემა ისე ესმოდა, თითქოს ყურთასმენა დახშოდა. თითქმის „თავისით“ აკრიფა ტექსტი. მოვლილმა, დახვენილმა თითქმის პატრონის მისწრაფება ნამის უსწრაფესად შეაკონინეს ზღვის ტალღასავით მშფოთვარე და გულიდან ამოხეთქილი სიტყვები: „უსიმპათიურესი მამაკაცი, საოცარი, ქარიზმატული ვიზუალით! მე თქვენ დაგხატავთ!“

ვის ახსოვდა იმ დროს ქალური კდემამოსილება და რიდი? გაზაფხული ფანჯრებში აღარ ეტეოდა, სისხლი ნაპირებიდან გადმოდიოდა, მას გზა სჭირდებოდა, კალაპოტის დარღვევა და ახალი ტერიტორიები. სასიხარულო იყო პასუხი:

— ამ სიტყვებით თქვენ მე უკვე დამხატეთ!

ქალის ხელში ფანქარი გაცოცხლდა, აღარ ემორჩილებოდა თავად პატრონსაც, დაქროდა ფურცელზე ონავარი ბავშვივით და ძერწავდა საყვარელი მამაკაცის სახეს. სული ჩაუდგა, აამეტყველა, თითქოს უნდოდა ფურცლებიდან „გადმოეყვანა“ და გულში ჩაეკრა! ხატვის დასრულებამდე ამოხეთქა მცირე მიძღვნა: „ისე ლამაზად უნდა დაგხატო, რომ ამიცრემლდეს ფუნჯი ხელებში, შენი სულის და გრძნობის სიმშვიდე, ავაფერადო ათას ფერებში! სულსაც შთავბერავ ალბათ ზეციურს და სიყვარულით ავაგებს

მზერას! როცა დაგხატავ, ბოლო აკორდით შენ ნახატიდან გადმოხვალ, მჯერა!“

პასუხი იყო ასევე პოეტური, ეგებ ასაკთან შეუსაბამო კომპლიმენტი: „ქლიავთვალეზავ!“

40 წლის შემდეგ ყველაფერი სხვანაირადაა. უამრავი რამ ითქ-



ვა სიყვარულის შესახებ, მაგრამ ცხოვრება სულ სხვაა. ამ დროის სიყვარული უფალთან მიახლოებული გრძნობაა თუ უაზრობამდე დასული ფლირტი? თუ სიყვარულს დამტკიცება სჭირდება, მაშინ ის უბრალოდ არ არსებობს! სიყვარულისას გიყვარს, გიყვარს და მორჩა!

მხატვარი ქალი თვლის, რომ შემოდგომის ასაკში სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანია, მთავარია ორი ადამიანი! ეს ის მომენტიცა, როცა მისი წლებისაგან დამჩნეული ღარები უფრო გიყვარს და გიზიდავს, ვიდრე მისი მომხიბლავი გარეგნობა.

„შემოდგომის სიყვარული“ უფრო ძლიერიცაა, ვიდრე სიყრმეში წვეული ტრფობა. ესაა ის მომენტი, როცა შენს მოთხოვნილებებსა და სულიერ კომფორტს შორის ჰარმონიული შეთანხმებაა. სიყვარული „შემოდგომის ასაკში“ ბობოქარი და თავდაუზოგავია, რადგან იცის, რომ ის ბოლოა, სხვა შანსი აღარ გეძლევა და გინდა, ბოლომდე შეირგო ღვთისაგან ბოძებული საჩუქარი“, — ამბობს მხატვარი და ელოდება ოკეანის გადაღმიდან „შემოდგომის ასაკის“ კაცს, რომელიც სიყვარულის კიდობნით გადმოცურავს ოკეანეს და მხატვარ ქალთან ერთად აუჩქარებლად გაჰყვება ცხოვრების ზამთრის მწვერვალისკენ მიმავალ ბილიკს...



ბიბლუსი

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით <http://svetnov.wordpress.com/gza.fantazia@gmail.com>

სვეთა კვარაცხელია

დასაწყისი ნხ. „ბზა“ №15

ციდან სამ მეტრზე

ფედერიკო მონიას ამავე სახელწოდების თრილერის მიხედვით



უკვე გვიანაა. კლაუდიო სტეპს ემშვიდობება და მანქანაში ჯდება. ამ დროს ფრანჩესკა მოიბრუნს, მანქანაში შეხტება და კლაუდიოს ტუჩებში ვნებიანად კოცნის.

— შემოგვიარე! — ეტყვის ბოლოს და მიმავალს ხელს უქნევს.

გზაში კლაუდიოს სხვა საფიქრალი არაფერი აქვს, გარდა იმისა, რა უთხრას რაფაელას. იცის მისი ხასიათი, არ აპატიებს, რაც გააკეთა. ეს ნიშნავს, რომ სიმართლეს ვერ ეტყვის. არადა, ცოლი არ მოეშვება, სანამ არ გაიგებს, როგორ ჩაიარა შეხვედრამ.

მართლაც, ჰოლში შესულს რაფაელა წინ აესვება.

— აბა, როგორაა საქმე?

— ნორმალურად, კარგადაც კი. სტეპი წესიერი ბიჭია, სანერვიულო არაფერი გვაქვს.

გაოცებული რაფაელა ყვირილს იწყებს, მან ხომ აკადოს ცხვირი გაუტეხა. კლაუდიო მაინც სტეპს იცავს, აკადო რატომ ეჩრებოდა სხვის საქმეში, როცა არავინ ეკითხებოდა. მოუხდება. ისედაც არასდროს ეხატებოდა გულზე. აი, სტეპი კი მაგარი ბიჭია, თურმე მალე დიპლომი უნდა აიღოს, — უმონყალოდ ცრუობს.

რაფაელა გაგულისებული კარს გაიჯახუნებს. კლაუდიო თავს აქნევს. ჯერაც ვერ აპატია ცოლმა, თვითონაც რომ უდიპლომოა. ამოიხვნეშებს და საბაზანოს მიაშურებს. ტანსაცმელს იხდის. ამ დროს ჯიბიდან ქალაქი გადმოვარდება. გახსნის. წერილია ფრანჩესკასგან. ალბათ რომ კოცნიდა, მაშინ ჩაუდო ჯიბეში. ზედ მისი ტელეფონის ნომერია წარწერილი. რა კარგი გოგოა, ნამდვილი მზეთუნახავი. რა

უყოს ამ ქალაქს? ფილმი „ფარვანა“ ახსენდება, სტივ მაკქუინი დასტინ ჰოფმანისგან ციხეში წერილს რომ მიიღებს და ნაკითხვისთანავე გადაყლაპავს. არა, ასე ვერ მოიქცევა, უნიტაზში გადაუძახებს. ასეც იქცევა და შემდეგ ორჯერ ჩარეცხავს წყალს, რომ კვალი საგულდაგულოდ ნაშალოს, ნომერს კი იმახსოვრებს.

— იცოდე, წესიერად მოიქეცი, არ ამირიო სიტუაცია, — სტეპი და პოლო სადარბაზოში შედიან.

— როდის ამირევია, რო? ბავშვი კი არ ვარ.

— აგირევია.

— ჰმ, სხვათა შორის, შენ მთხოვე, ნამომყევო, თორემ ჩემი სურვილით არ ნამოვსულვარ.

მეორე სართულზე ადიან. ბაბი მარიანასთანაა, რომელმაც პატარა ჯულიო დაუტოვა და უნდა მიხედოს. სტეპიც აქ დაიბარა. გოგონა კართან ელოდება. ერთმანეთს კოცნიან. ბაბი ოდნავ გაოცებულია პოლოს დანახვით, მაგრამ არ იმჩინებს. პოლო დივანზე ჯდება, პატარა ჯულიოს გვერდით, რომელიც მულტფილმებს უყურებს. მერე პულტს მოიმარჯვებს და არხიდან არხზე გადართვას იწყებს, ამ იდიოტური იაპონური მულტფილმების ყურებას სულაც არ აპირებს. ჯულიო ტირის. პოლო აწყნარებს, ეუბნება, რომ უკეთეს მულტფილმებს მოუძებნის, „კუ ნინძებს“, არადა, სპორტულ არხზე გადართავს.

სტეპი და ბაბი სამზარეულოში არიან. გოგონა საყვედურობს პოლოს მოყვანის გამო, ბიჭი კი თავს იმით იმართლებს, რომ პოლო ბავშვს გაართობს, სანამ ისინი განმართოვდებიან, მერე ხელს დაავლებს ბაბის და პირველსავე საძინებელს მიაშურებს.

— გაგიჟდი? ეს ჯულიოს ოთახია.

— მერე რა? ის „მულტიკებს“ უყურებს, პოლო მიხედავს, აქეთ არ გამოუშვებს. — ეუბნება და თან კოცნის. მერე ლოგინზე გადაწვეს და ეფერება.

ბაბი გატრუნულია. სიამოვნებს სტეპის შეხება. თვალს ხუჭავს და კოცნას კოცნით პასუხობს.

პოლო სამზარეულოში გადის, ბუტერბროდს იკეთებს და მაცივრიდან ლუდის ქილა გამოაქვს. ამ დროს ჯულიო დგება.

— საით?

— ჩემს ოთახში.

— მანდ დაჯექი!

ბიჭს არ სურს დივანზე ჯდომა, სპორტი არ აინტერესებს, მულტფილმები უნდა. პოლო ატყუებს, ცოტა ხანს მოითმინე და მალე დაინწყებაო. ჯულიო არ უჯერებს, თავისი ოთახისკენ იწევის.

— აი, ამით გაერთე, ნახე, რა ლამაზი ბუშტებია.

ჯულიოს თვალები უბრწყინდება და ბუშტებით თამაშს იწყებს. პოლოს ეცინება. რა ცოტა ჰყოფნით ბავშვებს ბედნიერებისთვის — რამ-

დენიმე წყვილი პრეზერვატივი. არა უშავს, საღამოს პოლოს ისინი აღარ დასჭირდება, სტეპს ხომ ისედაც არ სჭირდება. აჯობებს, დარეკოს, თორემ ჯუღიოსი არ იყოს, მასაც მოსწყინდა.

ოთახში ნახევრად ბნელა. პოლო ბაბის ზურგს ხელს ჩააყოლებს და გოგონას გლუვი კანი უფრო აღაგზნებს. თავდავინწყებით კოცნის, მერე ხელს დაბლა, მუცლისკენ ჩააყოლებს. გარისკოს თუ არ გარისკოს? ვაითუ, ისე გაუბრაზდეს. ალბათ არ ღირს აჩქარება. ბაბი კი თითქოს ნებდება. ისეა გაყურებული, არაფერს არ აპროტესტებს. ალერსზე ალერსით პასუხობს. მერე მაისურს იხდის, ბიუსტჰალტერსაც და ჯინსის ოქროსფერი ღილის შეხსნასაც იწყებს. თან რცხვენია, სტეპს თვალელებში ვერ უყურებს.

ამ დროს გარედან ხმა ისმის, თითქოს რალაც გატყდა.

ორივენი კრთებიან, სასწრაფოდ ჩაცმას იწყებენ. ოთახიდან გამოსულელებს კი საოცარი სურათი გადაეშლება თვალწინ — სტეპისა და პოლოს მეგობრები უკლებლივ აქ არიან, მარიანას ბინაში. ვის ლუდი დაუთრევია, ვის ბუტერბროდი... სკელოც აქაა, სიცილიელიც, ლუკონეც, ბანიც და ჭუკიც.

— რა ხდება აქ? — ბაბი ხმას უწევს, გაბრაზებულს ნიკაპი უცახცახებს, — ახლავე ნადით აქედან! — ბაბი ბიჭებს კარისკენ უბიძგებს, მას სტეპიც ეხმარება, თან პოლოს ლანძღავს.

პოლო თავს იმართლებს, უბრალოდ, დავრეკე და მოვიკითხე, ესენი კი აქ დამადგენო... როცა ყველანი გაიკრიფებიან, ბაბი სამზარეულოში შედის და სასონარკვეთილი ყვირის:

— შეხედე, რა უქნიათ! — მაგიდის ლამპა გატეხილია, დივანზე ლუდია დასხმული. ჩიფსები იატაკზე ყრია.

— მაპატიე. ჩემი ბრალი არ არის. მოგეხმარები დალაგებაში.

— არ მინდა, მე თვითონ დავაღაგებ. შენც წადი, ისედაც მარიანას მოსვლის დროა! — და სტეპსაც სახლიდან აგდებს.

ბაბი იატაკს ხვეტს, ნამსხვრევებს სანაგვეში გადაუძახებს და როცა დალაგებას მორჩება, დივანზე მიესვენება. იტყვის, რომ ლამპა თვითონ გაუტყდა. ჯუღიო მანაც

ვერ გასცემს, რადგან ტკბილად მისძინებია დივანზე...

მეორე დღით, გაღვიძებისთანავე, სტეპი სპორტდარბაზს მიაშურებს, მაგრამ არა სავარჯიშოდ. მან ჯორჯო უნდა ნახოს, დავალება უნდა მისცეს. ჯორჯო მას აღმერთებს. მისთვის სტეპი მითია, კერპი, ლეგენდა. არა მხოლოდ მისთვის, არამედ ყველა მისი მეგობრისთვის...

და აი, ჯორჯო ფალკონიერის სკოლაშია. იმ კლასში შედის, სადაც ბაბის ჯაჩის გაკვეთილი უნდა ჩაუტარდეს. ბიჭი უზარმაზარ თაიგულს ბაბის მერხზე დებს და უჩინარდება.

ბაბი თვალელებს არ უჯერებს. მის მერხზე ნითელი ვარდები აწყვია, იქვეა ნერილიც. კითხულობს: „ჩემი მეგობრები ნამდვილი კომპარია, მაგრამ გპირდები, რომ ამ საღამოს ვახშამზე, ჩემთან მხოლოდ მე და შენ ვიქნებით და სხვა არავინ“.

ახალი ამბავი მთელ სკოლაში ვრცელდება, ჯაჩიც იგებს, მაგრამ რატომღაც არაფერს ამბობს, რაც ბაბის ძალიან უკვირს. მთელი სკოლა ბაბიზე ლაპარაკობს. დანიელა სიამაყისგან გაბლენძილია. კიბეზე ჩამავალ ყვავილებში ჩამალულ ბაბის გოგონები თვალს შურით აყოლებენ.

სტეპი კარს აღებს. იქ პალინა დგას.

— თავიდან მაჭანკალი ვიყავი, ახლა ფოსტალიონი გამხადეთ. საინტერესოა, შემდეგი რა იქნება? — და იგი სტეპს პაკეტს აწვდის.

სტეპი ხარხარებს და პაკეტს ართმევს. პალინა მიდის. ბიჭი პაკეტს ხნის. მასში ვარდისფერი წინსაფარი და წერილი დევს: „თანახმა ვარ, მაგრამ ერთი პირობით. რომ ვახშამს შენ თვითონ მოამზადებ, თან სამზარეულოში ამ წინსაფრით იტრიალებ. ცხრის ნახევრამდე ვერ მოვალ, თორემ მშობლები გამომიჭერენ“.

სტეპი გამალებით ჩაიკითხავს წერილს და ძმასთან ოფისში გარბის. სთხოვს, რომ ამაღამ სახლში არ მოვიდეს.

— მაგრამ მე მანუელა მყავს და პატიჟებული.

— სხვა დროს დაპატიჟე, ოღონდ დღეს არა. ბაბის ველოდები.

პოლო ბუზღუნით იკლებს,

სტეპს ეს არ ადარდება. ოფისიდან სუპერმარკეტში შეიბრუნს და საჭირო პროდუქტებს შეიძენს. ავოკადოს საღათა უნდა მოამზადოს, თანაც უგემრიელესი.

შინ დაბრუნებული პოლოს ურეკავს და აფრთხილებს, რომ საღამოს არ შეეხმიანოს, არც სახლში მოაკითხოს და არც ტელეფონზე დაურეკოს, თორემ ვერ გადაურჩება.

რვა საათისთვის ყველაფერი მზად აქვს. წინსაფარი, რა თქმა უნდა, არ უხმარია, მაგრამ იქვე სკამზე აქვს გადაკიდებული, რომ ბაბის მოსვლისთანავე მოირგოს. არ უნდა, კიდევ ერთხელ აწყენინოს.

დრო იწელება, ცხრა დაიწყო, მაგრამ წუთები ძალიან ნელა გადის. აი, საცაა, უნდა მოვიდეს. მაგრამ ბაბი რეკავს და ეუბნება, რომ ვერ მოვა. ცივი ტონით ლაპარაკობს.

— რატომ? მე ყველაფერი მოვამზადე, შენი წინსაფარიც კი მიკეთა!

— მარიანამ დარეკა, რომელმაც ბრილიანტის თვლებით განყოფილი ოქროს კოლიე დაკარგა. ჰგონია, რომ მე ავიღე. მეტად აღარ დამირეკო!

სტეპი ცოფდება. პოლოსთან გარბის, უნდა გაიგოს, ვინ მოიპარა კოლიე. პოლოს არ სურს ძმაკაცის გაცემა, მაგრამ სტეპი სხვა გზას არ უტოვებს და პოლო ქურდს ასახელებს. სტეპი ყურებს არ უჯერებს. რას არ მისცემდა, ოღონდ ქურდი სიცილიელი არ ყოფილიყო. მოტოციკლეტს მოახტება და სიცილიელის სანახავად მიქრის.

ძმაკაცს ეცინება, როცა სტეპი პრეტენზიას წაუყენებს. მისი სიცილი ავის მომასწავებელია, იგი



არაფრის დათმობას არ აპირებს. მაგრამ ცხვირ-პირში სტეპის მუშტი ხვდება. გამწარებული თვითონაც გაიწევეს მეგობრისკენ.

— არ ვიცი, რატომ, მაგრამ ჩემი ოცნებები არასდროს სრულდება! — ყვირის სტეპი და სიცილიელს ამჯერად მუცელში უთავაზებს...

ბაბი დივანზე ზის. ზარი ირეკება.

ვარულს ეძლევიან. სტეპი რადიოს რთავს, რომანტიკულ მელოდიას ირჩევს, შემდეგ ბაბისკენ იხრება და კოცნის. პარალელურად ცდილობს, სავარძელი უკან გადასწიოს, გოგონა რომ წამოაწვინოს, მაგრამ არ გამოსდის. სავარძელი, რატომღაც, დაბლოკილია. მარჯვენა ხელით ცდილობს სახელურის გადაწევის, ფეხით კი მთელი ძალით პანელის



კარს აღებს. იქ სტეპი დგას — თმა-გაბურძენილი, პერანგჩამოხეული, ცალი წარბიდან სისხლი სდის.

— რა დაგემართა?

— არაფერი. აი, ვიპოვე... — ეტყვის და კოლიეს გაუნჯდის, — ახლა შეძლებ ჩემთან წამოსვლას?

კარს აღებენ და მოულოდნელი სიურპრიზი ხვდებათ. სანთლებით რომანტიკულად განათებულ მაგიდას მანუელა და პაოლო მისხდომიან და სტეპის მომზადებულ სალა-თას აგემოვნებენ. ბაბის ნაჩუქარი წინსაფარი კი პაოლოს მოურგია.

— ჰაი! — ესალმება ძმა ძმას, — უნდა მაპატიო... ვრეკავდი, არ მიპასუხე. ვიფიქრე, ალბათ სხვა-გან წავიდნენ-მეთქი და მანუელა დავპატიჟე... გემრიელი სალათა გამოგსვლია, მოგვეწონა.

სტეპი ბრაზისგან ცახცახებს. პაოლო ამას ამჩნევს და დაბნეულია.

— მომეცი მანქანის გასაღები! — სტეპი ხმას ძლივს იმორჩილებს, — ჩვენ სადმე სხვაგან ვივარდებით.

პაოლო უხმოდ უწვდის თავისი ახალთახალი მანქანის გასაღებს და ძლივს გასაგონად ამოღერღავს, ფრთხილად იარეო.

წყვილი „პირამიდაში“ ჩერდება ცხელი ბლინების მისართმევად. მერე პარკში მიდიან, სადაც ლამის სიბნელეში რამდენიმე მანქანა მოჩანს. აშკარაა, აქ წყვილები სიყ-

ვებვას. რაღაც ტკაცუნს იწყებს და სავარძლის ზურგი ხმაურით უკან ვარდება. ორივეს სიცილი უტყდება, რადგან წარმოიდგენენ პაოლოს სახეს, როცა გატეხილ სავარძელს დაინახავს. ახლა მეტი თავისუფლება მანქანაში და ორივენი სწრაფად იწყებენ გახდას, მაგრამ ბაბი შუა გზაზე ყოყმანს იწყებს და ყოვნდება. იგი გამოუცდელია, არ იცის, მერე რა უნდა გააკეთოს.

— რამე მოხდა? — ჩურჩულებს სტეპი.

— ჰო. ამის გაკეთება მანქანაში არ მინდა. ჩვენი პირველი სექსი სულ სხვანაირად წარმომედგინა. უფრო რომანტიკულად. მთვარის შუქზე, ირგვლივ ყვავილებით...

— მთვარე აგერაა, — ამბობს სტეპი, — ირგვლივ კი, გაიხედე, უამრავი ყვავილი ყვავის, ადგილიც რომანტიკულია. მეტი რაღა გინდა? რადიოშიც სასიყვარულო სიმღერა ისმის. ყველაფერი მშვენივრადაა, ბაბი!

ბაბის ეცინება.

— მე სხვა რამე მქონდა მხედველობაში. — ამბობს და მაჯის საათს დაჰყურებს, — უი, რა დრო გასულა! შინ უნდა დავბრუნდე, მომკლავენ! ჩქარა წამიყვანე, გთხოვ!

სტეპი უხმოდ ქოქავს მანქანას და უკან ბრუნდებიან, თან გზაში გატეხილ სავარძელზე იცინიან...

ბაბი თავის კლასელებთან ერ-

თად ფრეჯერე და მასტინოშია. სკოლა მეთვს გამოშვების თარიღს აღნიშნავს. ცოტა შეთვრნენ და ახლა სანაპიროზე დასეირნობენ. ბაბი კატამარანზე ზის და პალინას ეჭორავება. მოულოდნელად მას ამჩნევს. სტეპი, თავისი სახასიათო ღიმილით პირდაპირ მისკენ მოემართება. შავი სათვალე უკეთია და შავი ქურთუკი აცვია. ბაბის გული ბაგაბუგს იწყებს. პალინას მისი რეაქცია უყურადღებოდ არ რჩება.

— ეი, ოლონდ პანიკის გარეშე! — აფრთხილებს გოგონა.

ამასობაში ბაბი უკვე სტეპისკენ გარბის, ჩაეხუტება და მასთან ერთად მიდის, არც ეკითხება, როგორ მოაგონან სად მიჰყავს. დაბნეულია. თანაკლასელებს დამშვიდობების ნიშნად ხელს უქნევს. გოგონები მიმავალს მზერას აყოლებენ. მათ შერთ, ოცნებობენ და სხვა არაფერი სურთ, ოლონდ კი ბაბის ადგილას იყვინენ, ოლონდ კი სტეპისნაირი მაგარი ბიჭი ეფერებოდეთ. მოტოციკლს რომ მიუახლოვდებიან, ბაბი მხოლოდ მაშინ იკითხავს:

— საით მივდივართ?

— ეს სიურპრიზია, — პასუხობს სტეპი, მის უკან დგება, ჯიბიდან ბაბის ლურჯ ბენდენას იღებს, შეჯიბრების დროს რომ გამოართვა და გოგონას თვალებს უხვევს, — არ გამოიჭყიტო, იცოდე, თორემ ყველაფერს გააფუჭებ. — შემდეგ ცალ ყურსასმენს თვითონ გაირჩობს ყურში, მეორეს ბაბის მისცემს და ჩახუტებულები ადგილს მოსწყდებიან ტიციანო ფეროს სიმღერის თანხლებით. ბაბი ლოყით მის ზურგს მიჰკვრია, ქარი თმას უწენავს, თვალები დაუხუჭავს და ისეთი გრძობა აქვს, თითქოს მიფრინავს. რამდენი ხანია, მიდიან? თუ გაითვალისწინებს იმას, რამდენ სიმღერას მოუსმინა, დაახლოებით ერთი საათი გამოდის. საინტერესოა, სად მიჰყავს?

— კიდევ დიდხანს უნდა ვიაროთ?

— თითქმის მოვედით. ბენდენა ხომ არ მოიხსენი?

— არა.

ბაბის ეღიმება და მჭიდროდ ეკვრის სანუკვარ ზურგს. შეყვარებულა.

ცოტა ხანში სტეპი სიჩქარეს ანელებს, მარჯვნივ უხვევს და აღმართს შეუყვება. ნეტავ თუ ხვდება ბაბი, საითკენ მიდიან?

— აი, მოვედით. მოიცა, ჯერ არ მოიხსნა. აქ დამელოდე!

ბაბი ცდილობს, მიხედვს, სად არიან. შორიდან ყრუ, მონოტონური ხმაური მოისმის, მაგრამ რისი ხმაა, გაუგებარია. და უეცრად მკვეთრი ხმა — თითქოს რაღაც გატყდა.

— მე აქ ვარ, — ამბობს სტეპი და ხელზე ხელს ჰკიდებს.

— რა მოხდა?

— არაფერი. გამომყევი.

ბაბი ფრთხილად დგამს ნაბიჯებს. ვერაფერს ხედავს. ქარი აღარ ქრის, ჰაერი აქ უფრო ცივია და რატომღაც, უფრო ნესტიანი.

— აქ გაჩერდი და არსად ნახვიდე, — ეუბნება ბიჭი და მარტო ტოვებს.

ბაბი ხელებს სიცარიელეში აცეცებს.

— არ ნახვიდე...

— აქ ვარ, ახლოს, შენ გვერდით.

მკვეთრი ხმა მეორდება. თითქოს ვიღაცამ ჟალუზები ასწია. სტეპი გოგონას ნელა ხსნის ბენდენას. ბაბი თვალებს ახელს და ხედავს...

მის თვალწინ უკიდევანო ზღვა გადაშლილა. თბილი, ალისფერი მზე სახეზე ელამუნება. ის სახლშია. გარეთ, ტერასაზე გადის. ქვემოთ, მარჯვნივ, ის პლაჟია, სადაც ერთმანეთს პირველად აკოცეს. მოშორებით გორაკების მწვერვალები მოჩანს. აი, თოლიამაც ჩაიქროლა კივილით. ბაბი ალტაცებული ათვალისფერებს გარემოს. ვერცხლისფერ ზღვას მზის ყვითელი ათინათი გადაჰკვრია. ეს ხომ ის სახლია, მაშინ, სანაპიროზე რომ ესაუბრებოდა სტეპს. მისი ოცნების სახლი. კლდეებს შორის მოქცეული ყველაზე ეული სახლი. და ის აქ არის, მასთან ერთად. და ეს არ არის სიზმარი. სტეპი ხელებს ხვევს.

— ბედნიერი ხარ?

ბაბი თავს უქნევს. სიყვარულისგან გაბრწყინებული თვალები ცრემლით ევსება. სტეპი თვალებში უყურებს.

— რა დაგემართა?

— მეშინია.

— რატომ?

— მეშინია, რომ მეტად აღარასდროს ვიქნები ასეთი ბედნიერი.

მოულოდნელად ისე მოეძალება სიყვარული, რომ თავბრუ ეხვევა, ხელებს მოხვევს სტაპს და კოცნის და კოცნის.

— სახლში შევიდეთ, — ჩურჩულებს სტეპი.

ისინი მიტოვებულ სახლს გარს შემოუვლიან, მერე ყველა ოთახს დაივლიან და თითოეულს ახალ ისტორიას უგონებენ, თუ ვის შეეძლო აქ ცხოვრება და რა უნდა მომხდარიყო ამ ოთახებში. ერთგან მუსიკალურ ცენტრს პოულობენ და რთავენ. ხსნიან ყველა ყუთს, რომელსაც რომელიმე ოთახში წააწყდებიან და რასაც იპოვიან, ერთმანეთს აჩვენებენ. მათ აქ ყველაფერი ჯადოსნური ეჩვენებათ.

სტეპი მოტოციკლიდან ჩანთას ხნის და სახლში შეაქვს. საღამოვდება. მზის სხივები ჯერაც დალივლივებენ ოთახში. ირგვლივ საოცარი სიჩუმე და სიწყინარეა.

— აი, სპეციალურად შენთვის ვიყიდე. მოგწონს?

ბაბი საჩუქარს გაჰყურებს. საწოლის გვერდით მოთავსებულ ლარნაკში წითელი ვარდების თაიგული ინონებს თავს. ბაბი ხმას არ იღებს. სტეპი ჩანთას ხსნის.

— აი! — მხიარულად შესძახებს და ნახევრად დამდნარი ყინულის კუბებიდან შამპანურის ბოთლს და ორ ბოკალს ამოძვრენს, რომელიც გაზეთშია გახვეული. მერე ჯიბიდან პატარა რადიოს ამოიღებს და ჩართავს. სივრცეში სასიამოვნო მელოდია დაიღვრება: „რამდენი ღამეა“...

სტეპი გოგონას უახლოვდება, მკერდზე იხუტებს, კოცნის. ბაბის წარმოუდგენელი ბედნიერებისგან ყველაფერი ავიწყდება, ყოველგვარი შიში, ყოველგვარი სიმორცხვე. ისინი ერთმანეთს ტანსაცმელს ხდიან. გოგონა პირველად შიშვლდება მის წინაშე. უკანასკნელი მზის სხივი ირიბად ეცემა ორ ერთმანეთში ჩახვეულ სხეულს. ცაზე პირველი ცნობისმოყვარე ვარსკვლავი იწყებს ციმციმს. ზღვა უფრო ალერსიანი ხდება, შემოღობილი თოლიები თითქოს გაჰკვივან — და აი, ეს მოხდა.

სტეპის ხელი ნელა დასრიალებს გოგონას პრიალა კანზე... ვნებით ანთებული ბაბი თვალებს ახელს. სტეპი მზერას არ აშორებს. ახლა თითქოს არ ეშინიაო, ფიქრობს. უღიმის და თმაზე ხელს უსვამს. რადიოდან ახლა სხვა სიმღერა ისმის, „ღამაზი“. ისინი ამას ვერ ამჩნევენ, არც კი იციან, რომ მომავალში ეს მათი სიმღერა გახდება. თვალებს კვლავ ხუჭავს, სუნთქვას

იკავებს და გამოუცნობი გრძობის ტყვეობაში ექცევა. ეს ტკივილია, სიყვარულის ტკივილი, რომელიც სამუდამოდ აჯადოებს. თავს უკან აგდებს, ღრმად ამოიკვნესებს, ხელებით სტეპის მხრებს ჩააფრინდება და ძალუმად ეხუტება მის მკერდს. „მე შენი ვარ“, — ჩურჩულებს...

თვალს გაახელს. სტეპი მასზეა დამხობილი და ღიმილით დაჰყურებს. ახლა ბაბი აღარაა ის გოგონა, შეშინებული მზერითა და ეჭვებით სავსე. ის მშობარა გოგონა გაქრა. იგი სულ სხვაა. ბავშვობიდან პეპლები უყვარდა, მათი ფარფატის მზერა სიამოვნებდა. თითქოს ახლა თვითონაც პეპელაა, აწმუთას სტეპის მკლავებში დაბადებული, ფრთაფარფატა პატარა პეპელა. ბაბი გულში იკრავს ბიჭს და კოცნის, ამჯერად — როგორც ქალი — ნაზად, ვნებიანად.

— არც ისე კარგად გამომივიდა, არა? — დარცხვენილი ამბობს.

— რას ამბობ, ყველაფერი საუცხოოდ იყო.

— მაგრამ მე ხომ არაფერი ვიცი. მასწავლე, კარგი?

— შენ ყველაზე უკეთესი ხარ. ნამო.

ერთად ბანაობენ. მხიარულად



ლაყბობენ და შამპანურს აგემოვნებენ. სიყვარულისგან თავბრუ ეხვევათ. ერთმანეთზე ჭკუას კარგავენ. ალერსს ბოლო არ უჩანს, ამჯერად ყოველგვარი შიშის გარეშე. ბაბის ეს მდგომარეობა უფრო მოსწონს — ასე ბევრად უადვილდება ფრთების აქნევა, ფარფატი, ფრენის არ ეშინია და ხდება, როგორია ბედნიერება — იყო პატარა პეპელა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



გზავნილები



იმისათვის, რომ თქვენი განცხადება „მარტოხელა ქალთა და მამაკაცთა კლუბში“ მოხვდეს, მისიჯი უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: **95 130** მისიჯის ფასი 50 თეთრი. ტექსტის რაოდენობა შეზღუდული არ არის.



ქალები

125958 მყავს 40 წლის მეგობარი გოგო. სერიოზული, განათლებული, ეკლესიური, თბილი, პატიოსანი, კარგი აღნაგობის (1.80/90). მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით შეგვეხმიანეთ.

125965 ნეტავ ამ განცხადებებში ამდენმა განქორწინებულმა და თავშესაფრის მაძიებელმა საიდან მოიყარა თავი? ყველა ეძებს სიმპათიურს, მატერიალურად უზრუნველყოფილს და ასე შემდეგ... თავიანთ თავს არ ეკითხებიან, ვინ არიან... საიდან მოდიან... კარგს რომ არ კარგავენ... დამიმესიჯეთ. მე არც სიმდიდრე მაინტერესებს, არც მანქანა და არც ფული. მე მხოლოდ ტკბილი ოჯახის შექმნა მსურს. გელით.

125968 გავიცნობ განქორწინებულ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით, 35-დან 40 წლამდე. ვარ განქორწინებული.

124673 50 წლის ქალბატონი მავნე ჩვევების გარეშე, გავიცნობ შესაფერის მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ ქვრივი, უსახლკარო, უფულო.

125345 ვარ 55 წლის, ქვრივი, სასიამოვნო ქალბატონი. სამეგობროდ ვეძებ 60-65 წლის მამაკაცს, რომელიც შემიმსუბუქებს ცხოვრებას.

125359 გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შექმნის მიზნით, 35-დან 40 წლამდე. ვარ მეუღლეს გაშორებული, მყავს ერთი შვილი, ვარ 28 წლის. ნანუკა.

125488 მყავს ნათესავი გოგო, მეუღლეს გაშორებული. ჰყავს ერთი შვილი. თუ არის ისეთი მამაკაცი, რომ იყოს ცოლს გაშორებული ან ქვრივი, თუნდაც ჰყავდეს შვილი, პრობლემა არ ექნება. დაოჯახების მიზნით გაიცნობდა წესიერ მამაკაცს. ვინც დაინტერესდებით, დამიმესიჯეთ.

125789 გამარჯობა! ვარ 66 წლის, ვანიდან. მინდა, გავიცნო სიმპათიური მამაკაცი, მსუქანი და ღონიერი! უნდა იყოს აუცილებლად ქერა. მთავარია, ქვრივი იყოს. ასაკი — 60-დან ზემოთ.

125790 ვარ 51 წლის, ქვრივი, სასიამოვნო ქალბატონი. სამეგობროდ გავიცნობ 60-65 წლის, ყველაფრით უზრუნველყოფილ მამაკაცს, რომელიც ამომიდგება მხარში ეკონომიურად.

125255 ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 44-50 წლის მამაკაცს. ვარ 41 წლის. მყავს 11 წლის გოგონა.

125261 სამეგობროდ გავიცნობ 60-65 წლის მამაკაცს, რომელიც მცირედით მაინც შემიმსუბუქებს მძიმე ყოფას. ვარ 55 წლის, ქვრივი, საუკეთესო თვისებებით შემკული ქალბატონი.

121768 სამეგობროდ გავიცნობ 60-65 წლის მამაკაცს, რომელსაც

შეუძლია ეკონომიურად მხარში ამოდგომა. ვარ 51 წლის, განათლებული, სასიამოვნო, წესიერი ქალბატონი.

124669 ვარ 55 წლის ქალბატონი. გავიცნობ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით.

124333 ვარ 36 წლის, სერიოზული, განათლებული მანდილოსანი. ოჯახი არასდროს მყოლია. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, 35-45 წლამდე ასაკის, დასაქმებულ მამაკაცს.

124411 მინდა გავიცნო მამაკაცი, ცოლს გაშორებული ან ქვრივი, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ მეუღლეს გაშორებული, მყავს ერთი პატარა შვილი. ძალიან გულნატკენი ვარ, მშობლები არ მყავს. გთხოვთ, არასერიოზულები ნუ შემანუხებთ. ვარ 26 წლის.

124054 ვარ 45 წლის, ქვრივი, ენერგიული ქალი. ოჯახის შექმნის მიზნით დამირეკოს 45 წლის ზევით ასაკის, ბინიანმა მამაკაცმა. ვცხოვრობ თბილისში.

125862 სამეგობროდ, არახშირი, ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ მხოლოდ 60 წლის ზევით, ყველაფრით უზრუნველყოფილ (თუნდაც ოჯახიან), წესიერ მამაკაცს, რომელიც თავისი გვერდში დგომით შემიმსუბუქებს მძიმე ყოფას. ვარ 51 წლის, ლამაზი სულის, განათლებული, ერთგული ბუნების,

ყურადღება!
95 130 ისარგებლეთ ამ ნომრით, რომელზეც მესიჯების გამოგზავნას შეძლებთ იმისათვის, რომ თქვენი განცხადება ჟურნალ „გზაში“ განათავსოთ. ასევე, ავტომატურ რეჟიმში შეძლებთ სასურველი ადამიანის ტელეფონის ნომრის გაგებას (ამის პრაქტიკა უკვე გქონდა).
მესიჯის გამოგზავნის წესი ასეთია: მობილური ტელეფონის შესაბამის ფუნქციაში კრებთ მესიჯის სასურველ ტექსტს და გზავნით ნომერზე — 95 130 (ისევე, როგორც ჩვეულებრივ, მესიჯის გაგზავნისას იქვევით ხოლმე).

ყოველმხრივ სანდო, წესიერი ქალბატონი. ანა.

125869 ძალიან გთხოვთ, გამომიგზავნეთ 120 მესიჯის ავტორის, იმერელის, პატარა პრობლემა რომ აქვს მარჯვენა ხელზე, ტრაგიკული შემთხვევის გამო და ცოლმა რომ მიატოვა ნაკლის გამო. ძალიან გთხოვთ...

124966 გავიცნობ ცოლს გაშორებულ მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ მეუღლეს გაშორებული.

125012 ვარ 55 წლის, არისტოკრატიული გარეგნობის, მავნე ჩვევების გარეშე, ქვრივი. ვცხოვრობ შვილებთან. გავიცნობ მარტოხელა მამაკაცს. მომწერეთ.

123377 გავიცნობ დაოჯახების მიზნით ქვრივ ან ცოლს გაცილებულ მამაკაცს, სერიოზული ურთიერთობისთვის, 38 წლის ზევით.



მამაკაცები

125860 ვარ 32 წლის, სიმპათიური, თბილისელი მამაკაცი, 190 სმ სიმაღლის, მავნე ჩვევების გარეშე. მაქვს ბინა და სამსახური. დაოჯახებული არ ვყოფილვარ. ოჯახის შექმნის მიზნით მინდა გავიცნო სიმპათიური, სერიოზული, დასაქმებული, გასათხოვარი გოგო, 30 წლამდე.

125921 თქვენ ვინ ხართ? ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქალბატონს, 55-60 წლამდე, ჩემსავით ქვრივს. ვარ 65 წლის, თბილისელი, მაქვს ბინა და საშუალო შემოსავალი.

125944 ვარ 39 წლის. ფარული შეხვედრისთვის ვეძებ ქალს. დავეხმარები მატერიალურად და მხარში ამოვუდგები ყველანაირად. გოგა მქვია.

125956 ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრებ მანდილოსანს. ვარ 33 წლის, დასაქმებული. მარტო ვარ ამჟამად და

ნორმალურ ადამიანს გავიცნობდი სიამოვნებით, ვისაც სურს, მეგობარი მამაკაცი ჰყავდეს გვერდით. გელოდებით.

124209 ვარ 45 წლის, დასაქმებული. ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ სერიოზულ, მონესრიგებულ მანდილოსანს, 30-დან 40 წლამდე. გავუწევ ყველანაირ დახმარებას. იქნება ბედნიერი.

124213 გამარჯობა! გავიცნობ სულით წმინდა ადამიანს, სერიოზული ურთიერთობისთვის. მინდა სიყვარულით სავსე ცხოვრება და კიდევ — თბილი.

125788 ვარ 34 წლის, მაღალი, სპორტსმენი ბიჭი. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 37 წლამდე ასაკის, მაღალ გოგოს. სასურველია, ჰქონდეს სპორტული აღნაგობა და ცხოვრობდეს ჯანსაღად. მომწერეთ საღამოს საათებში.

125824 გავიცნობ ქალბატონს, მეგობრობის მიზნით. მოწონებული ქალბატონი დასაჩუქრდება სამესიჯო თანხით. იჩქარეთ, ლამაზებო. ულამაზოები და არასექსუალურები ნუ შეწუხდებიან. მომავალ შეხვედრამდე.

125831 არ ვარ თბილისელი. ვარ 42 წლის, ქართველი მამაკაცი. მაქვს სამუშაო. ვარ ცოლს გაცილებული. გავიცნობ 40 წლამდე ასაკის მანდილოსანს, ოღონდ მართლა სერიოზული ურთიერთობისთვის.

125832 ვარ 42 წლის მამაკაცი, ქართველი. არც სახლი მაქვს თბილისში, არც კარი. არც მშობლები მყავს და არც დედმამიშვილი. გავიცნობ ქალს, სერიოზული ურთიერთობისთვის. სასურველია, ჰქონდეს ბინა. ვითომ „კაცები“ და „ჩამირიცხე“ არ გამავგონოთ.

124217 ვარ 28 წლის, სიმპათიური მამაკაცი. გავიცნობ 20-დან 35 წლამდე ქალბატონს, სამეგობროდ.

124256 გავიცნობ 18-25 წლამდე ასაკის, მაღალ, სიმპათიურ, ზრდილობიან ოჯახში აღზრდილ გოგოს, სერიოზული ურთიერთობისთვის. დასავლეთში მცხოვრებს. ვარ 29 წლის, მაღალი, სიმპათიური ბიჭი.

123691 ვარ 32 წლის, კარგი აღნაგობის ბიჭი. ვმუშაობ. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ მანდილოსანს, 28-დან 40 წლამდე, გაუთხოვარს ან განქორწინებულს.

123696 ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ლამაზ გოგოს. ვარ ძალიან ლამაზი, 30 წლის, სპორტული

აღნაგობის, კარგი სამსახურით. მომწეროს, ვისაც ნამდვილი სიყვარული უნდა. მიშკა.

123745 ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ სიმპათიურ, ვნებიან ქალბატონს, შეხვედრის ადგილით, ვისაც ნამდვილად კარგი მეგობარი მამაკაცი სურს ჰყავდეს და არა — ფულის ტომარა. ვარ თბილისელი, სიმპათიური, 45/178/72. მავნე ჩვევა არ მაქვს. მომწერეთ. ინკოგნიტო.

123761 გავიცნობ ქალბატონს 22-დან 40 წლამდე, ფარული შეხვედრებისთვის. ვარ 28 წლის, სიმპათიური მამაკაცი, 187 სმ სიმაღლის.

120841 ვარ 43 წლის. სამეგობროდ გავიცნობ ქალბატონს, 30-დან 45 წლამდე. ვარ ჩამოსული თბილისში და ვარ დასაქმებული.

120844 გამომეხმაუროს 20-40 წლის, სასიამოვნო გარეგნობის, ლამაზი მანდილოსანი, სამეგობროდ. მაქვს სწრაფი კვების ობიექტი და შესაძლებელია, დავასაქმო კიდევც.

120846 გავიცნობ გოგოს, 20-დან 32 წლამდე, ფარული შეხვედრებისთვის. ვარ თბილისელი. დამიკავშირდით, არ ინანებთ. ლექსო.

125309 ვარ 45 წლის მამაკაცი, ქვრივი. გავიცნობ არამწვეველ, ზრდილობიან ქალბატონს, დაოჯახების მიზნით.

125327 გავიცნობ სერიოზული ურთიერთობისთვის სულით ლამაზ ქალბატონს.

125328 გავიცნობ სამეგობროდ, ფარული შეხვედრისთვის, 40 წლამდე ქალბატონს. ვარ 40 წლის მამაკაცი.

125401 ვარ 49 წლის, განქორწინებული. მყავს ერთი შვილი. წარმოშობით ვარ იმერელი. ვეძებ ადამიანს, რომელიც ცხოვრებას გამილამაზებს, გვიპატრონებს.

124291 გავიცნობ ქალს, ოჯახის შესაქმნელად, 35-45 წლამდე. ჭკვიანსა და პატიოსანს, რომელიც არც ბინას, ფულს და ავტოს არ მომთხოვს. ნეტავ, არსებობს ასეთი ქალი?

120852 გამომეხმაუროს ლამაზი, სასიამოვნო გარეგნობის, 25-45 წლის მანდილოსანი, თელავიდან. ვარ 35 წლის, სიმპათიური, დასაქმებული მამაკაცი.

120854 მომწეროს 22-33 წლამდე ასაკის გოგომ, გასართობად. თან

დავეხმარები ფინანსურად. ვის უნდა სიტბო და ალერსი. გელოდებით. პიერო.

120882 საიდუმლო შეხვედრებისათვის გავიცნობ 40 წლამდე ასაკის, ოჯახიან ქალბატონს, ვისაც სიტბო და სიყვარული აკლია. დანარჩენი — პირადად.

120811 ვარ 50 წლის, განქორწინებული. გავიცნობ ქალს, ოჯახის შექმნის მიზნით.

125404 ვარ 35 წლის, სიმპათიური, მშრომელი ბიჭი. ვმუშაობ ევროპაში, მინდა, ოჯახი შევქმნა და ვეძებ მშრომელ, კარგ გოგოს. ნავიყვან თან, ევროპაში და იქ ერთად ვიცხოვრებთ.

125416 ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ პატიოსან გოგონას, 25 წლამდე. ვარ 25 წლის, სიმპათიური ახალგაზრდა.

125423 ვარ 40 წლის, სიმპათიური მამაკაცი. ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ ნორმალურ ქალბატონს.

125569 გავიცნობ ჩუმი ურთიერთობისათვის ქალს.

125619 გამარჯობა. ვარ 39 წლის, დასაქმებული, მაქვს საკუთარი ბინა. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით პატიოსან მანდილოსანს, შვილის გარეშე.

120825 გავიცნობ 30-38 წლის, პუტკუნა გოგონას, ხშირი შეხვედრებისთვის.

120829 გავიცნობ 55-60 წლის, კარგად მოვლილ ქალბატონს, ხშირი შეხვედრებისთვის.

120921 სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ ნორმალური გარეგნობის, 35 წლამდე ასაკის გოგოს, თუნდაც — შვილიანს. ვარ 32 წლის, ყველაფრით უზრუნველყოფილი ბიჭი.

120927 ვარ 55 წლის მამაკაცი. მინდა, გავიცნო ქალბატონი, სამეგობროდ. დამიკავშირდეს სერიოზული, სანდომიანი ქალბატონი.

120928 ვარ 31 წლის, 182 სმ სიმაღლის, სიმპათიური მამაკაცი. ფარული ინტიმური ურთიერთობისთვის გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, 45 წლამდე ასაკის, მომხიბვლელ მანდილოსანს.

120930 გავიცნობ ოჯახის შექ-

მნის მიზნით, 30 წლამდე ასაკის გოგოს, თუნდაც — შვილიანს. ვარ ცოლს გაცილებული, ბინით, მანქანითა და სტაბილური შემოსავლით უზრუნველყოფილი, 33 წლის მამაკაცი.

125277 გავიცნობ 30-დან 40 წლამდე ასაკის მანდილოსანს. ვარ თბილისელი, მაქვს სამსახური, ვარ 39 წლის, ცოლს გაცილებული.

125294 ვარ 20 წლის, უცოლო ბიჭი. გავიცნობ გოგოს, 19-დან 35 წლამდე, სასიამოვნო ურთიერთობისთვის.

125297 ვარ 32 წლის, სიმპათიური, თბილისელი მამაკაცი, 190 სმ სიმაღლის, მავნე ჩვევების გარეშე. მაქვს ბინა და სამსახური. დაოჯახებული არ ვყოფილვარ. ოჯახის შექმნის მიზნით მინდა გავიცნო სიმპათიური, სერიოზული, დასაქმებული, გასათხოვარი გოგო, 30 წლამდე.

125622 ვარ 45 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქალბატონს, 45-დან 50 წლამდე.

125629 გავიცნობ გოგოს, 35 წლამდე, სასიამოვნო გარეგნობის და ჭკვიანს. ვარ 32 წლის, 182 სმ სიმაღლის. 80 კგ, ოდნავ ჭაღარა. ვარ დასაქმებული, მყავს მანქანა, მაქვს ბინა. შემეხმიანეთ ნორმალურები. დანარჩენი, პირადად რომ გავიცნობთ, მერე ვისაუბროთ.

125636 გავიცნობ 25-45 წლის სერიოზულ, მოწესრიგებულ, სისუფთავის მოყვარულ მანდილოსანს, ფარული შეხვედრებისთვის, რომელიც იქნება ყველანაირად უზრუნველყოფილი, ყველანაირად კმაყოფილი და რაც მთავარია, ბედნიერი. ვარ დასაქმებული.

125648 ვარ 49 წლის. ცოლი არასდროს მყოფია. ვცხოვრობ ზღვისპირა სოფელში. არ ვენევი, ნაკლებად ვეტანები ალკოჰოლს. დურგალი ვარ, მაქვს ოჯახის შექმნის ნორმალური პირობები. გავიცნობ 35-დან 40 წლამდე ქალბატონს, ოჯახის შექმნის მიზნით, ვისაც სოფელი არ ეგრეხება. ნ.დ.

124068 გავიცნობ 40 წლამდე გოგოს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვცხოვრობ თბილისში, მაქვს კარგი სამსახური, მყავს მანქანა. დანარჩენი — პირადად. ლაშა.

124071 გავიცნობ თანაცხოვრებისთვის მეოჯახე ქალს, მავნე ჩვევების გარეშე, ნორმალური გარეგნობის, 45-დან 52 წლამდე. ვარ მეუღლეს გამოჩენილი. ვცხოვრობ თბილისში. მაქვს სამსახური.

124072 ვარ 55 წლის. გავიცნობ ქალბატონს, სამეგობროდ. დამიკავშირდეს. ვარ იმერეთიდან. ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფილი, ცოლს გაცილებული. მომწერეთ ან დამიმესიჯეთ საღამოს საათებში.

125145 მოგესალმებით. გავიცნობ ქალს ან გოგოს, 40 წლამდე. ვინ გამომეხმარება? ვარ 36 წლის. დანარჩენი — პირადად, თუ ვინმე დაინტერესდებით.

125153 ვარ თბილისელი, დასაქმებული, განქორწინებული. მეუღლედ მსურს კეთილი სულისა და ნორმალური გარეგნობის ქალბატონი, ქვრივი ან ქმარს გამოჩენილი, 52 წლამდე.

125160 ვარ 45 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქალბატონს, 40-დან 45 წლამდე.

123536 ვარ ცოლს გამოჩენილი, 182 სმ სიმაღლის, 1972/23/08. ვმუშაობ, არ ვენევი, არ ვსვამ, ვვარჯიშობ, ვარ მორწმუნე. ოჯახის შექმნის მიზნით მინდა გავიცნო წესიერი ქართველი გოგო, თუნდაც რაიონიდან.

125174 ვარ 37/175/70, უცოლო მამაკაცი. ვცხოვრობ თბილისთან ახლოს. მაქვს ბინა და სამსახური. დაოჯახებული არ ვყოფილვარ. მინდა გავიცნო წესიერი ოჯახის გოგო, თუნდაც განქორწინებული. მინდა ოჯახი და ნორმალური ცხოვრება. სამაიმუნოდ ნუ მომმართავთ. ველი მიმზიდველ და წესიერ ქალბატონს.

125214 ვარ 53 წლის მამაკაცი. ვეძებ 37-45 წლამდე ასაკის, სიმპათიურ ქალბატონებს, სერიოზული ურთიერთობისთვის. უნდა იყოს უზრუნველყოფილი ყველანაირად. ქონების მაძიებლები არ მაინტერესებს.

125110 ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 43 წლამდე ასაკის, პატიოსან მანდილოსანს.

125127 გთხოვთ, დამაკავშიროთ ქალბატონს, კოდით — 121598 ან მომცეთ მისი ტელეფონის ნომერი. მადლობა წინასწარ.

125137 გამარჯობა, გავიცნობ დასავლეთიდან მეგობრობისთვის

ყურადღება! გთხოვთ, ისარგებლოთ მხოლოდ ლათინური შრიფტით. ქართულ, რუსულ, ბერძნულ და სხვა შრიფტს ნუ გამოიყენებთ, რადგან სისტემა ვერ „კითხულობს“ (უცნაური იეროგლიფების სახით ფიქსირდება) და მესიჯი ვერ გამოქვეყნდება.

გოგონას, 20-დან 28 წლამდე. ნი-
ნასწარ გმადლობ.

125142 ვარ 51 წლის, ნორმალუ-
რი აღნაგობის მამაკაცი, რომელიც
ეძებს წრფელ ალალ და ნალდ სიყ-
ვარულს, რომელიც იქნება ურთი-
ერთ პატივისცემასა და ნდობაზე
აგებული. დამიკავშირდით.

125439 ვარ 44 წლის მამაკაცი.
გავიცნობ სულიერად ღამაზ ქალს,
50 წლამდე. გენაცვალეთ.

125441 ვარ 32 წლის, თბილისე-
ლი მამაკაცი. სიმპათიური, მაღალი
— 190 სმ, მავნე ჩვევების გარეშე.
მაქვს ბინა და სამსახური. ცოლი
არ მყოფი.

125464 ვარ 38 წლის, სიმპათიუ-
რი მამაკაცი. მაქვს სახლი, სამსახუ-
რი. ოჯახის შექმნის მიზნით მინდა
გავიცნო კარგი მეოჯახე გოგო,
ქალიშვილი, 29-34 წლამდე.

125487 ვარ 52 წლის, არამსმე-
ლი და არამწვეელი. სერიოზული
ურთიერთობის მიზნით გავიცნობ
50 წლამდე ასაკის, წესიერ მანდი-
ლოსანს. დანარჩენი — შემდეგში.

125515 გავიცნობ თბილისელ,
40-50 წლის გოგონას, სიმპათიურს,
თბილს, იუმორით. ვარ 56 წლის.

125527 სამეგობროდ გავიცნობ
სასიამოვნო გარეგნობის ქალბა-
ტონს. ზვიო, 55 წლის.

124104 გავიცნობ 40 წლამდე
ასაკის, უკომპლექსო მანდილო-
სანს, ფარული ურთიერთობის-
თვის. ვარ სიმპათიური, 26 წლის,
დასაქმებული ბიჭი. ვცხოვრობ
თბილისში.

124032 ვარ 51 წლის მამაკაცი,
განქორწინებული. ვმუშაობ თბი-
ლისში. ოჯახის შექმნის მიზნით
გავიცნობდი ღამაზ და სიმპათიურ
ქალბატონს, 40-50 წლამდე.

124060 ვეხმაურები 123764 მესი-
ჯის ავტორს. ვარ ექიმი. უმაღლესი
იურიდიული განათლებით, კომუ-
ნიკაბელური. ვფიქრობ, დადებითი
ხასიათის, საკმაოდ განათლებული.
თუ გექნებათ სურვილი, დამიკავ-
შირდით. თქვენს ასაკს გამოაკე-
ლით 22. 38 და ასაკს მიუმატეთ 13.
პატივისცემით...

124109 მინდა, გავიცნო 47 წლის
ქალი. ვარ 46 წლის კაცი.

124110 გავიცნობ თბილისში
მცხოვრებ მანდილოსანს: ჩამოყა-
ლიბებულს ურთიერთობისთვის,
განათლებულს, მხიარულსა და
გნებიანს და ამავედროულად, უკომ-

პლექსოს, ხანგრძლივი მეგობრო-
ბისთვის. ნიკა.

124136 ბრავო, ქალბატონო! ეს
რუბრიკა დღეს აღმოვაჩინე. აი,
მესმის ლანძღვა! თანაც — ობიექ-
ტური! ეგრე უნდათ მაგათ! მე არც
ქალის ხარჯი მინდა არც თავშესა-
ფარი, არც მომვლელი, მრეცხავი
ვარდო. მე იმ ქალს ვეძებ, რომ
ავციანებს! მარტო ვცხოვრობ,
კომფორტულ აგარაკზე თბილისში,
არქიტექტორ-დეკორატორი, სტა-
ბილური შემოსავლით, ჯანმრთე-
ლი, აქტიური, სპორტული, მაგრამ
ასაკიანი! თქვენ რა ხნის ხართ, რა
გქვიათ? ბადრი.

124141 მინდა, ოჯახის შექმნის
მიზნით გავიცნო კარგი მეოჯახე,
კარგი დიასახლისი, პატიოსანი,
28-დან 38 წლამდე ქვრივი ან გა-

რად. ვარ მეუღლეს გაცილებული.
თუნდაც ჰყავდეს ოჯახი.

124334 ვარ 39 წლის, ცოლს გა-
შორებული, სამსახურით უზრუნ-
ველყოფილი. გავიცნობ სერიოზუ-
ლი ურთიერთობისთვის სულით
წმინდა ადამიანს. მინდა ტკბილი და
მოსიყვარულე ოჯახი. გმადლობ.

124348 ვარ 29 წლის, სიმპათიუ-
რი, კარგი აღნაგობის მამაკაცი. გა-
ვიცნობ გოგოს, 25-დან 30 წლამდე,
ოჯახის შექმნის მიზნით.

124350 გავიცნობ მეოჯახე ქალ-
ბატონს, მეუღლედ, 45-დან 53
წლამდე, მავნე ჩვევების გარეშე.
მთავარია პატიოსნება, თუნდაც
იყოს სოფლიდან. ჩემთვის მთავა-
რია, იყოს კარგი ადამიანი. ვარ 53
წლის, ვცხოვრობ თბილისში. მაქვს
სამსახური.



ნათხოვარი. 7 წლამდე ბავშვი თუ
ეყოლება, ამაზეც თანახმა ვარ.
უნდა გამიჩინოს შვილი. მისას შვი-
ლად ვაღიარებ. ვარ განათლებული,
დასაქმებული, კარგი მეოჯახე.

124152 ვარ 42 წლის, ქვრივი
მამაკაცი. დაოჯახების მიზნით გა-
ვიცნობ 40 წლამდე, იმერელ, სუსტი
აღნაგობის მანდილოსანს, თუნდაც
ქვრივს ან განათხოვარს, შვილის
გარეშე. ვცხოვრობ იმერეთში.

124185 ვარ 30 წლის, კარგი აღ-
ნაგობის ბიჭი. ვცხოვრობ მარტო,
მაქვს სამსახური. სერიოზული
ურთიერთობისთვის გავიცნობ
მანდილოსანს, 28-დან 35 წლამდე.

124208 ფარული შეხვედრების-
თვის გავიცნობ 25-დან 45 წლამდე
ასაკის, სისუფთავის მოყვარულ,
მონესრიგებულ, სერიოზულ ქალ-
ბატონს. დავეხმარები ყველანაი-

124414 ვარ 37 წლის, ცოლს გა-
ცილებული მამაკაცი. მაქვს ბინა და
სამსახური. ოჯახის შექმნის მიზ-
ნით გავიცნობ ქალბატონს.

124443 ვარ 43 წლის, ქვრივი
მამაკაცი. დაოჯახების მიზნით გა-
ვიცნობ 40 წლამდე ასაკის, სუსტი
აღნაგობის ღამაზ გოგოს, თუნდაც
— ქვრივს ან განათხოვარს, შვილის
გარეშე.

124496 ვარ 50 წლის, ნორმალუ-
რი გარეგნობის მამაკაცი. მსურს,
გავიცნო ქალბატონი, 40-დან 55
წლამდე, სამეგობროდ. ვისაც შეუძ-
ლია წრფელი და ალალი სიყვარული
და თუ ასეთი ქალბატონი შემეხმა-
ნება, ჩემი მხრიდან ვეცდები, იგივე
წრფელი და ალალი სიყვარულით
ვუპასუხო, ამოვუდგე მხარში და
იგრძნოს თავი ამაყად როგორც
ქალმა, მამაკაცის მფარველობის

95 130

ქვეშ. რასაც ვნერ, ეს გულიდან ნა-
მოსული სიტყვებია.

124540 ვარ 43 წლის, განქორნი-
ნებული, არამსმელი, არამწვეელი.
გავიცნობ ქალბატონს, დაოჯახე-
ბის მიზნით, არამწვეელს, სუფთა
წარსულით.

124579 მეუღლედ ვისურვებდი

იმედზე. მოგესალმებით შალვა, 50
წლის. ცოლი არასოდეს მყოლია.
მინდა გავიცნო მხოლოდ მორწმუნე
გოგო. ვარ სიმაღლით 170 სმ. გა-
ნათხოვარი არ მინდა. მომწერეთ.
გელოდები.

124777 გავიცნობ გასათხოვარ,
ქალწულ გოგოს ან უშვილო, წესი-
ერი, სუფთა წარსულის მქონე მან-
დილოსანს, 38 წლამდე. მე ვარ 39
წლის, დასაქმებული, სიმპათიური,

პატივცემულო მკითხველო,
თელეფონის ნომრებს რედაქცია
ვერ მოგცემთ, ბთხოვთ, იხილოთ 62-ე
გვერდზე, გამოკვეთილი ტექსტით
მოცემული წესი იმის შესახებ, როგორ შე-
იძებნოს სასურველი ადამიანის თელეფონის
ნომერი. პატივისცემით, რედაქცია

კარგი წარსულის ქალბატონს, მავ-
ნე ჩვევების გარეშე, 52 წლამდე.
ვცხოვრობ თბილისში, ვარ განქორ-
ნინებული. მთავარია, იყოს კარგი
ადამიანი, თუნდაც — სოფლიდან.
დანარჩენი — პირადად.

124591 ვარ 45 წლის. ოჯახის
შექმნის მიზნით გავიცნობ ქალბა-
ტონს, 40-დან 45 წლამდე.

124650 ოჯახის შექმნის მიზ-
ნით გავიცნობ ქალბატონს. ვარ
66 წლის. დამირეკეთ მობილურზე.
სულიკო.

124661 გავიცნობ სასიამოვნო
გარეგნობის, ნორმალურ მანდი-
ლოსანს, შეხვედრებისა და თბილი
ურთიერთობისათვის. გელით.

124665 ვარ 65 წლის, თბილი-
სელი, ქვრივი. ვეძებ ცხოვრების
მეგზურს. დანარჩენი — პირადად.

124666 ვარ 30 წლის, სიმპათიუ-
რი, მაღალი, ცისფერთვალე ბიჭი.
გავიცნობ 25-დან 30 წლამდე ლამაზ
გოგოს რომანტიკული, თბილი ურ-
თიერთობისთვის. გიო.

124668 გავიცნობ გოგონას,
ოჯახის შექმნის მიზნით. კოტე.

124695 ხანგრძლივი შეხვედრე-
ბისთვის, სამეგობროდ, შეხვედრის
ადგილით, გავიცნობ ქალბატონს,
50 წლიდან 60 წლამდე. 54 წლის
მამაკაცი ვარ. მომწერეთ.

124701 ვარ 45 წლის, ცოლს
გაცილებული, არამსმელი, არამ-
წვეელი. დაოჯახების მიზნით გა-
ვიცნობ ქალს, არამწვეელს, სუფთა
წარსულით.

124764 ბრწყინვალე უფლის

სპორტული აღნაგობის მამაკაცი.
მინდა წესიერი, მოსიყვარულე
ოჯახის შექმნა და გამოჩემაუროს
ლამაზი მანდილოსანი.

124778 გავიცნობ ლამაზ, მიმ-
ზიდველ და ყველაფრით უზრუნ-
ველყოფილ მანდილოსანს, ხანგრ-
ძლივი ურთიერთობისთვის. ვარ 39
წლის, დასაქმებული, სიმპათიური,
სპორტული აღნაგობის, თავისუ-
ფალი მამაკაცი. გამოჩემაუროს
სუფთა, წესიერი მანდილოსნები.
რა თქმა უნდა, უნდა მომეწონოს
ყველანაირად.

124786 ვარ 27 წლის ბიჭი, გან-
ქორწინებული. გავიცნობ სერიო-
ზული ურთიერთობისთვის გოგოს,
30 წლამდე. გასართობად ნუ შემა-
ნუხებთ.

124803 ვარ 35 წლის, ცოლს გა-
ცილებული, მაღალი, სიმპათიური.
გავიცნობ არა — ლამაზ; არა —
მდიდარს. ვარ საშუალოდ მცხოვ-
რები. ოჯახს რაც სჭირდება, ყვე-
ლაფერი გამაჩნია.

124806 ვარ სასიამოვნო მამაკა-
ცი, 35 წლის. მყავს „მერსედესი“,
მაქვს ჩემი ბიზნესი.

124809 ვარ 45 წლის მამაკაცი,
განქორწინებული. არამსმელი,
არამწვეელი. გავიცნობ ქალს, და-
ოჯახების მიზნით, არამწვეელს,
სუფთა წარსულით. მაქვს სახლი,
მანქანა. ვარ დასაქმებული.

124812 გთხოვთ, მომიძებნოთ
ქალბატონი 35-დან 50 წლამდე. მე
თვითონ 55 წლის ვარ. ჩემი სახელია
თემური, ვცხოვრობ მარტო. თუ

დაკავშირება გენდომებათ, ჯერ
მხოლოდ დამიმესიჯეთ, თქვენი
სახელი მომწერეთ, ხოლო მერე
დაგელაპარაკებით ჩემთვის მნიშ-
ვნელოვან საკითხზე.

124813 გთხოვთ, გამომიგზავ-
ნოთ ქალბატონების ტელეფონის
ნომრები, სახელებითა და საცხოვ-
რებელი მისამართებით. ველო-
დები.

124834 გავიცნობ 30 წლამდე
ასაკის, განათხოვარ გოგოს. ვარ 28
წლის, თბილისში ვცხოვრობ. ცოლს
გამორებული ვარ.

124836 ვარ 36 წლის, სიმპა-
თიური, ბინითა და სამსახურით
უზრუნველყოფილი მამაკაცი. გა-
მეცნოს 20-40 წლის, სასიამოვნო
გარეგნობის, ლამაზი მანდილოსა-
ნი, მხოლოდ ფარული ურთიერთო-
ბისთვის. დანარჩენს მობილურზე
ავუხსნი.

124866 გამარჯობა. მინდა გა-
ვიცნო სერიოზული, პატიოსანი
გოგო, ოჯახის შექმნის მიზნით. 40
წლის ვარ და გასართობად აღარ
მცალია. არასერიოზულებმა თავი
შეიკავეთ. დათო.

124896 ვარ 32 წლის, მაღალი,
სიმპათიური მამაკაცი. ვცხოვრობ
თბილისში. ვარ დასაქმებული.
ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ
30 წლამდე მომხიბვლელ გოგოს.
განათხოვრები და მსუქნები არ გა-
მომეხმაუროთ.

124901 გავიცნობ 25-დან 45
წლამდე ასაკის, სისუფთავის მოყ-
ვარულ, სერიოზულ, მოწესრიგე-
ბულ ქალბატონს, ფარული შეხ-
ვედრებისთვის, თუნდაც იყოს
ქმარშვილიანი. დავეხმარები ყვე-
ლანაირად.

124902 ვარ 45 წლის. გავიცნობ-
დი სერიოზულ, მოწესრიგებულ,
30-დან 40 წლამდე მანდილოსანს,
ფარული შეხვედრებისთვის, რო-
მელიც იქნება ყველაფრით კმაყო-
ფილი.

124918 გავიცნობ დასავლეთი-
დან გოგონას, სამეგობროდ, 22-დან
28 წლამდე.

124919 გავიცნობ ლამაზ და პა-
ტიოსან გოგოს, ოჯახის შექმნის
მიზნით. თუა კიდევ პატიოსნება
შემორჩენილი სადმე, ვარ 39 წლის,
სიმპათიური, სპორტული აღნაგო-
ბის, დასაქმებული, განქორწინებუ-
ლი. დანარჩენი — პირადში.

124920 გავიცნობ ლამაზ და სან-
დომიან, შეძლებულ ქალბატონს,

95 130

ფარული ან ხანგრძლივი ურთიერთობისთვის. ვარ 39 წლის, სიმპათიური სპორტული აღნაგობის მამაკაცი. დანარჩენი — პირადში.

124939 სამეგობროდ, ფარული ინტიმური შეხვედრებისთვის გამომეხმაროს 35 წლამდე ასაკის ქალბატონი. ვარ 60 წლის, ყველაფრით უზრუნველყოფილი მამაკაცი.

124967 გავიცნობ მანდილოსანს ოჯახის შექმნის მიზნით, 40-დან 45 წლამდე, თუნდაც იყოს განათხოვარი ან ჰყავდეს შვილი. ვარ 39 წლის, ჯონი.

124988 გამეცნოს 20-40 წლის, სასიამოვნო გარეგნობის, ლამაზი მანდილოსანი. ვარ 35 წლის, სიმპათიური, დასაქმებული მამაკაცი. ვახო.

125003 გავიცნობ წესიერ გოგოს, 20-30 წლამდე, თბილისელს, ბინიანს. ვმუშაობ და რაც შემეძლება, დავეხმარები.

125006 გავიცნობ ქალს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 45 წლის, დასაქმებული.

125007 გავიცნობ ქალბატონს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვცხოვრობ თბილისში, ვარ 45 წლის, დასაქმებული. დანარჩენი — პირადად.

125024 გავიცნობ ერთგულ მანდილოსანს, რომელიც ჩემს პრობლემებს გულთან მიიტანს. ვარ 36 წლის მამაკაცი. გამომეხმაროს, თუ ვინმეს დავაინტერესებ. ხვიჩა.

125048 ვარ 55 წლის მამაკაცი, არამსმელი, სამსახურით უზრუნველყოფილი. დაოჯახების მიზნით, გთხოვთ 122745 მესიჯის ავტორის ნომერს.

125090 გავიცნობ კარგ, ლამაზ, სექსუალურ ქალს. ვარ 40 წლის ახალგაზრდა კაცი. მყავს მანქანა და მსიამოვნებს ბუნების ნიაღში სეირნობა-ნებივრობა. კოტე.

125110 ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 43 წლამდე ასაკის, პატიოსან მანდილოსანს. გთხოვთ, გამომიგზავნოთ 121824 მესიჯის ავტორის ნომერი.

125132 ვარ მარტოხელა, ქვრივი, განათლებული, სიმპათიური, 67 წლის, მაგრამ გარეგნობა მაქვს 30 წლის ბიჭივით. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ლამაზ ქალბატონს, რომელიც მხარში ამომიდგება და სიყვარულს მაგრძნობინებს. დანარჩენი ტელეფონით ვილაპარაკოთ.

125137 გამარჯობა, გავიცნობ დასავლეთიდან მეგობრობისთვის გოგონას, 20-დან 28 წლამდე. ნინასწარ გმადლობ.

125142 ვარ 51 წლის, ნორმალური აღნაგობის მამაკაცი, რომელიც ეძებს წრფელ, ალალ და ნაღდ სიყვარულს, რომელიც იქნება ურთიერთპატივისცემასა და ნდობაზე აგებული. დამიკავშირდით.

125145 მოგესალმებით. გავიცნობ ქალს ან გოგოს, 40 წლამდე. ვინ გამომეხმარება? ვარ 36 წლის. დანარჩენი — პირადში.

125155 გავიცნობ კარგი წარსულის ქალბატონს, მეოჯახეს, კარგი სულის ქალს, თანაცხოვრებისთვის. ვარ ცოლს გაშორებული, თბილისელი, მაქვს სამსახური.

125160 ვარ 45 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქალბატონს, 40-დან 45 წლამდე. სასურველია, იყოს პატიოსანი და ერთგული.

125172 ვარ ცოლს გაშორებული, 182სმ, 1972/23/08. ვმუშაობ, არ ვენევი, არ ვსვამ, ვვარჯიშობ, ვარ მორწმუნე. ოჯახის შექმნის მიზნით მინდა გავიცნო წესიერი ქართველი გოგო, თუნდაც რაიონიდან.

122708 ვარ 42 წლის, სიმპათიური, ექიმი. გავიცნობთ ფარული შეხვედრებისთვის მანდილოსნებს.

122710 ვცხოვრობ სოფელში, მარტო. მყავს 2 შვილი. ოჯახის შექმნით დაინტერესებულ, 55-65 წლის ქალბატონებს ვთხოვ, დამიკავშირდნენ.

122716 ვარ ქვრივი, სპეციალური განათლებით, ასევე ნამსახურები ვარ უფროსი ოფიცრის რანგით. ამჟამად მშობლიურ კერაზე ვენევი საოჯახო სამეურნეო საქმიანობას. მაქვს ადამიანისთვის საჭირო რეპუტაცია. მიყვარს საქმის ხარისხიანად, ბოლომდე მიყვანა. პატივს ვცემ მონესრიგებულ და კარგი წარსულის მქონე, წარმოსადეგ, 50-60 წლამდე ასაკის მარტოხელა ქალბატონს.

122736 ვარ 35 წლის, ცოლს გაცილებული. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-დან 40 წლამდე ასაკის ქალბატონს.

122747 გავიცნობ ბათუმელ გოგოს, წესიერს, პატიოსანს, ოჯახის



125174 ვარ 37/175/70, უცოლო მამაკაცი. ვცხოვრობ თბილისთან ახლოს. მაქვს ბინა და სამსახური. დაოჯახებული არ ვყოფილვარ. მინდა, გავიცნო წესიერი ოჯახის გოგო, თუნდაც განქორწინებული. მინდა ოჯახი და ნორმალური ცხოვრება. სამაიმუნოდ ნუ მომმართავთ. ველი მიმზიდველ და წესიერ ქალბატონს.

122706 ვარ ექიმი, სიმპათიური. გავიცნობ ქალს, 45 წლამდე, ფარული შეხვედრებისთვის.

შექმნის მიზნით, 25-დან 30 წლამდე. ვარ დასაქმებული, კარგი გარეგნობის, ახალგაზრდა ბიჭი.

122756 ვარ 47 წლის, მაღალი, არამსუქანი, კარგი აღნაგობის მამაკაცი, განქორწინებული. შვილი არ მყავს. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ასევე მაღალ, გამხდარ, თბილ, მეოჯახე, მოსიყვარულე გოგოს. ვარ დასავლეთის ერთ-ერთი ქალაქიდან. სასურველია, ისიც დასავლეთიდან იყოს.

122422 მოგესალმებით ქალბა-

95 130

ტონებო და გოგონებო, ვინც ნაიკითხავს და შემეხმინანება. 38 წლის მაქსი. დანარჩენი — პირადში.

122444 გავიცნობ 35 წლამდე ასაკის ქალბატონს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 30 წლის. იკითხეთ ზურა.

122464 ვარ თბილისელი, 35 წლის მამაკაცი, მშრომელი, დასაქმებული, არამსმელი, ქორწინებაში არმყოფი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-დან 30 წლამდე ასაკის, წესიერ გოგოს. არ მოგაკლებთ სიტბოსა და სიყვარულს. დანარჩენი — პირადად. დათუჩა.

122470 გამარჯობა. გავიცნობ ქმარს გაცილებულ გოგოს, 30 წლამდე. ვარ 27 წლის. ვცხოვრობ თბილისში.

122475 ვარ 55 წლის, ცოლს გაცილებული, სიმპათიური, ყველაფრით უზრუნველყოფილი მამაკაცი. გავიცნობ 50 წლამდე ასაკის, თხელი აღნაგობის სიმპათიურ მანდილოსანს, სერიოზული ურთიერთობისთვის.

122527 გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, 30-42 წლამდე ასაკის მანდილოსანს. ჩამოყალიბებულს, განათლებულს, მხიარულსა და ვენებიანს. მე მქვია ნიკა, ვარ 37 წლის.

122549 გავიცნობ 25-დან 40 წლამდე ასაკის, მონესრიგებულ, სერიოზულ, სისუფთავის მოყვარულ მანდილოსანს, ფარული შეხვედრებისთვის. დავეხმარები და იქნება ყველანაირად კმაყოფილი და რაც მთავარია, ბედნიერი.

122550 ვარ მეუღლეს გაცილებული. გავიცნობ 25-დან 40 წლამდე ასაკის, სერიოზულ ქალბატონს, ფარული შეხვედრებისთვის, თუნდაც ჰყავდეს მეუღლე და შვილი. იქნება ყველაფრით უზრუნველყოფილი.

122554 ვარ 45 წლის, თბილისელი, განქორწინებული, ვცხოვრობ მარტო, მაქვს სამსახური, მყავს მანქანა. გავიცნობ ქალბატონს, ქმარს გაცილებულს, ქვრივს. ვფიქ-

რობ, დეტალებზე პირადად ვჯობი საუბარი. გმადლობ.

122270 ვარ 55 წლის, უცოლშვილო. თბილისში ვცხოვრობ ქირით. ოჯახის შექმნის მიზნით შემეხმინანეთ. გამართობმა არ დამირეკოს. მინდა ნამდვილი ქართული ოჯახის შექმნა.

122278 გამარჯობა. მინდა, გავიცნო 35-დან 45 წლამდე ასაკის, ყველაფრით უზრუნველყოფილი ქალბატონი, სამეგობროდ. არ ინანებთ, ვარ სუფთა წარსულის მქონე, ცოლს გაშორებული მამაკაცი.

122282 გავიცნობ ქალს, ოჯახის შესაქმნელად, 25-დან 40 წლამდე, თუნდაც განათხოვარს. ვცხოვრობ რაიონში, აღმოსავლეთში.

122284 ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ მაღალ, ლამაზ გოგოს, 25-დან 35 წლამდე.

122343 ვარ 55 წლის. გავიცნობ ქალბატონს, სამეგობროდ. დამიკავშირდეს სერიოზული, სანდომიანი ქალბატონი. ვარ იმერეთიდან. ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფილი, ცოლს გაცილებული. დანარჩენი — პირადად. მომწერეთ ან დამირეკეთ საღამოს საათებში.

122365 ვარ 45 წლის, ხაშურელი მამაკაცი. გავიცნობ ქალბატონს ხანგრძლივი, რომანტიკული, თავისუფალი ურთიერთობისთვის. გიო.

122082 მივესალმები გოგონებს, ქალბატონებს, დახატულებს, ლამაზებს. ვინ მოისურვებს ჩემს გაცნობას. 39 წლის ვარ. 45 წლამდე ქალბატონები შემეხმინანეთ პირადში. მერე ვისაუბროთ.

122096 ვარ 31 წლის, მაღალი, სიმპათიური მამაკაცი. ფარული ინტიმური ურთიერთობისთვის გავიცნობ 45 წლამდე ასაკის მანდილოსანს, თბილისში მცხოვრებს.

122111 ვარ 50 წლის მამაკაცი. ვცხოვრობ ქუთაისში. ვიმეგობრებ „ბალზაკის ასაკის“ ქალბატონთან, ვისაც უყვარს სიტბო და ალერსი.

122128 გავიცნობ მიმზიდველსა და კარგი წარსულის ქალბატონს. ვარ 53 წლის, განქორწინებული, თბილისელი, ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფილი. ვეძებ

ერთგულ და პატიოსან ქალს, ნამდვილ მეოჯახეს, 45-დან 53 წლამდე. მომწერეთ ან დამირეკეთ.

122192 გავიცნობ ქალს, სამეგობროდ. ვარ 35 წლის, 180 სმ სიმაღლის, გამხდარი მამაკაცი.

122254 ვარ 45 წლის, თბილისელი, განქორწინებული. ვცხოვრობ მარტო, მაქვს სამსახური, მყავს მანქანა. გავიცნობ ქალბატონს, გაცილებულს, ქვრივს... ვფიქრობ, დეტალებზე პირადად ვჯობი საუბარი. გმადლობ.

121941 ვარ 40 წლის, ვესაუბრები ნებისმიერ თემაზე გოგონებსა და ქალბატონებს. გიგა.

121943 ფარული შეხვედრებისთვის გავიცნობ მაღალ, ლამაზ და სერიოზულ გოგოს, 25-დან 30 წლამდე.

121959 გავიცნობ ქალს, სექსისთვის, ბინიანს, 40 წლამდე. ვარ 35 წლის მამაკაცი, მუხიანელი.

121962 გავიცნობ ბინიან ქალს, 40 წლამდე, ვისაც ნამდვილი ოჯახი უნდა. კმაყოფილი დარჩებით.

122001 ვარ თბილისელი, 68 წლის, ჯანმრთელი, სიმპათიური მამაკაცი. ვეძებ ადამიანს, რომელიც გამიგებს. ოჯახის შექმნის მიზნით, გთხოვთ, გამოემხმაუროთ, არ ინანებთ.

122013 გამარჯობა. გავიცნობ გოგონას, შეხვედრებისთვის. ვარ 37 წლის. დავეხმარები ყველანაირად.

122014 გამარჯობა. ვარ 32 წლის მამაკაცი, დასაქმებული. მსურს, გავიცნო 29 წლიდან 32 წლამდე ასაკის მანდილოსანი, მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით.

122062 ვარ ერთი მახინჯი და უშნო, მაგრამ შენთვის გაკვარგდები, „ძვირფასო“. განქორწინებული, 43 წლის.

122063 ვარ 31 წლის, ბაიკერი. მინდა, გავიცნო 22-დან 35 წლამდე გოგო. მაქვს ბინა, მანქანა და რა თქმა უნდა, მოტოც. მიყვარს იუმორი და რაც მთავარია, ამომიდგეს მხარში.

122071 ვარ 48 წლის, ნორმალური გარეგნობის მამაკაცი. სამეგობროდ გავიცნობ 45-55 წლამდე ასაკის, სიმპათიურ ქალბატონს.

122081 ვარ 28 წლის, 187 სმ სიმაღლის, დასაქმებული, მანქანიანი. გავიცნობ გოგოს, ქალს, თვეში რამდენჯერმე შეხვედრისთვის. მიყვარს ბევრი მოფერება, ვნებიანი და უკომპლექსო სექსი.

იმისათვის, რომ სასურველი ტელეფონის ნომერი გაიგოთ, გამოიყენებულ მესიჯის წინ მიითითებულ ელვანიონს კოდს უნდა გაგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 95130 პასუხი სასურველი ნომრით, მოგივრათ ავტომატურ რეაქციას, მესიჯის სახით



საყარო

უცნაური თვითმკვლელი

1926 წლის 4 თებერვალს, რომის ცენტრიდან დაახლოებით ათი კილომეტრით დაშორებულ კურორტ ბან-დი-ტივოლის მახლობლად მდებარე იმპერატორ ადრიანეს ყოფილი რეზიდენციისა და ტაძრის ნანგრევების მახლობლად, ახალგაზრდა მწყემსი თხის ფარას მიერეკებოდა, როცა კენკვა და ხროტიანი შემოესმა. მწყემსმა ჯერ მიაყურადა, შემდეგ კი იმის გასამკვევად თუ ხმები კონკრეტულად საიდან მოდიოდა, ნანგრევებში შეძვრა. ტაძრის ქვის იატაკიდან დაახლოებით ერთ მეტრში ნიში აღმოჩნდა. მწყემსმა ნიში შეიხედა და

მაშინვე უკან გადმოქანდა, მერე პირი იბრუნა და იქაურობას თავქუდმოგლეჯილი გაეცალა.

დასაწყისი № „გზა“ №49-15

თარგმან რუსუდან ლეპანიკამ

ეს გონიერი ადამიანის და, მით უფრო, იურისტის მხრიდან საკმაოდ უცნაური საქციელი იყო, რადგან პარიკიან და მიწებებულ-წვერულვაშიან უცნაურ მგზავრს ყურადღება უამრავმა ადამიანმა მიაქცია. სწორედ მათი ჩვენებების ნყალობით, პოლიციამ მოგვიანებით კარლ გაუს ყოველი ნაბიჯისთვის თვალის გადავენება და სათანადო დასკვნების გამოტანაც მოახერხა. ასე რომ, როგორც კი დანაშაული მოხდა, გაუ ეჭვმიტანილთა სიაში პირველ ადგილზე აღმოჩნდა. ფრაუ მოლიტორის მოახლემ განაცხადა, რომ ტელეფონში მისი ხმა იცნო, ბადენ-ბადენის საფოსტო განყოფილების უფროსი კი ირწმუნებოდა, რომ იმ დღეს არათუ ფრაუ მოლიტორისთვის, საერთოდ არავისთვის დამირეკავსო. ჟოზეფინა მოლიტორის მკვლელობის მეორე დღეს სახელმწიფო პროკურორმა კარლ გაუს დაპატიმრების ორდერი გასცა, თუმცა იმ დროისთვის ის უკვე ლონდონში იმყოფებოდა. გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებებს შორის მოლაპარაკება თითქმის ერთი თვე გაგრძელდა და გაუ კარლსრუეს ციხეში მხოლოდ ამის შემდეგდა ჩასვეს, თუმცა მოტივის ბუნდოვანების გამო, მისთვის დანაშაულის დამტკიცება საკმაოდ რთული აღმოჩნდა. კარლს სიდედრთან სერიოზული უსიამოვნება არასდროს ჰქონია, ჟოზეფინა მოლიტორი კი თავისი უფროსი ქალიშვილის ახალშექმნილ ოჯახს ფინანსურად ხელს ყოველთვის უმართავდა. ასეთი სიდედრის მოკვლა კარლ გაუს მხრიდან, თითქოს ლოგიკას მოკლებულ ქმედებად ჩანდა.

გამოძიებამ პირველი სამხილი ეჭვმიტანილის ცოლის, ლინას დახმარებით მიიღო. 1907 წლის დასაწყისში მან ქმარი ციხეში მოინახულა და პირდაპირ უთხრა:

— თავიდან ვერ ვიჯერებდი, რომ ეს საშინელება შენ ჩაიდინე, მაგრამ მერე, როცა კონსტანტინოპოლში შენი თავაშვებული ცხოვრების შესახებ შევიტყვე, როცა მიამბეს, თუ როგორ ქალებთან გქონდა საქმეიქ, ჩემს ქონებას მათთან გართობაში როგორ ანიავებდი და, საერთოდაც, როგორი ბინძური საქმეებით იყავი დაკავებული, მივხვდი, რომ დედაჩემის მკვლელი სწორედ შენ ხარ. მე კი, შენგან სიცოცხლე გამწარებული და შერცხვენილი, ადამიანებს თვალს ველარასოდეს გავუსწორებ და, ამიტომაც, ასეთ სიცოცხლეზე საერთოდ უარის თქმას ვაპირებ.

ორი დღის შემდეგ ლინა მოლიტორ-გაუ ციურხის მახლობლად, ტბაში დამხრჩვალა იპოვეს. ამ ტრაგიკულმა ფაქტმა კარლ გაუს მდგომარეობა საგრძობლად დაამძიმა და მისი უდანაშაულობის უკვე ცოტა ვინმესდა თუ სჯეროდა, თუმცა თავად ისევე ყველაფერს უარყოფდა.

კარლ გაუს ბედი ცხრა სასამართლო ექსპერტის, სამოცდა-

თორმეტი მოწმისა და კარლსრუეს საპატიო მოქალაქეებისგან არჩეული იმ ნაფიცი მსაჯულების ხელში აღმოჩნდა, რომელთაც სათავეში ბრუხალელი ყასაბი ედგა. 1907 წლის 17 ივლისს გაუ სასამართლოს წინაში წარდგა. პირველივე დღეს სასამართლოს სხდომათა დარბაზში, სადაც ვეროპის თითქმის ყველა ქვეყნის ჟურნალისტებს მოეყარათ თავი, მოყაყანე სერიისმოყვარულთა მთელმა არმიამაც მოინდომა შესვლა და მიზნის მისაღწევად პოლიციის კორდონის გარღვევასაც არ მოერიდა. როცა პოლიციელებმა ეგზალტირებული ბრბოს შეჩერება ველარ შეძლეს, მთავრობა იძულებული გახდა, ჯარისკაცების ორი ასეულისთვის ეხმო, რომლებსაც უკვე ქვებით დახვდნენ.

— ბატონო გაუ, — მიმართა ეჭვმიტანილს სხდომის თავმჯდომარემ, საადგილმამულო სასამართლოს პრეზიდენტმა დოქტორმა ელერმა, — ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ თავაშვებული ცხოვრება ჯერ კიდევ სტუდენტობისას



დაინყეთ და მოგვიანებით ფრაი-ბურგსა და ბერლინში ქალებთან მუდმივი კავშირებიც გქონდათ.

— ამას არც უარყოფ, ბატონო თავმჯდომარე. — მშვიდად დაეთანხმა ელერს გაუ.

— ჩვენთვის ასევე ცნობილია,



რომ ლინა მოლიტორი აიაჩოში გაიცანით და მისი საყვარელიც იქვე გახდით.

— დიას, ბატონო თავმჯდომარე.

— როცა ბანკიდან ორი ათასი მარკის გამოტანაზე დაიყოლიეთ, იმ ფულით თავიდანვე მასთან ერთად გაქცევას გეგმავდით?

— დიას, ბატონო თავმჯდომარე.

— ბატონო გაუ, სამხილების განხილვის დაწყებამდე კიდევ ერთხელ გეკითხებით, ყოზეფინა მოლიტორი თქვენ მოკალით?

— არა.

— იქნებ, დანაშაულის ჩადენის დროს ბადენ-ბადენში ყოფნასაც უარყოფთ?

— არა, ამას არ უარყოფ.

— ქალბატონ მოლიტორს მტრები ჰყავდა?

— არ ვიცი. მაგრამ რომც ვიცოდე, ამ კითხვაზე მაინც არ გიპასუხებდით.

— გავიგეთ, რომ ბადენ-ბადენში პარიკითა და მიწებებული ნვერ-ულვაშით ჩახვედით. მონმეთა ჩვენებებიდან ჩვენთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ სიდედრს შეცვლილი ხმით დაურეკეთ და

სახლიდან გამოიტყუეთ. თავადვე აღიარეთ, რომ მკვლელობის მომენტში გადაცმული და რევოლვერით შეიარაღებული სწორედ იმ ქუჩაზე იმყოფებოდით, სადაც ფრაუ მოლიტორი მოკლეს. იქნებ, ბოლოს და ბოლოს, აგვიხსნათ, ასე უცნაურად ჩაცმა და მოქცევა რამ გაიძულათ?

— აქამდე ნათქვამს ველარაფერს დავუმატებ.

— მაშინ ვენის ბანკში წარდგინილ საბანკო ჩეკთან დაკავშირებულ შემთხვევაზე გადავიდეთ. მაინც ვისი მოტყუება გინდოდათ?

— ვინმეს მოტყუება თავში აზრდაც კი არ მომსვლია. ვენიდან გამოსვლისთანავე აღმოვაჩინე, რომ ვილაცას ჩემთვის იმ ჩეკით აღებული ფული მოეპარა და ბადენ-ბადენში, ცოლთან და სიდედრთან ჩასულს, ჯიბეში გროშიც კი აღარ მედო. ამიტომ მათ ყველაფერი მოვუყევი. სიდედრმა ამის შესახებ ბანკს ტელეგრაფით აცნობა, ბანკის თანამშრომლებმა კი დეპეშის ტექსტი არასწორად გაიგეს.

— კარგი იქნებოდა, ეჭვმიტანილს სასამართლოსთვის აეხსნათ თუ მისი ცოლი ამერიკიდან ევროპაში რატომ ჩამოვიდა. — ჩაერია დაკითხვაში სახელმწიფო მბრალდებელი.

— ჩემს ცოლს მშობიარობის შემდეგ ექიმებმა მუცლის ღრუს სერიოზული დაავადება აღმოუჩინეს და ისიც დაადგინეს, რომ უთუოდ ქირურგიული ჩარევა დასჭირდებოდა. ოპერაცია მიუნხენში გაუკეთეს. რადგანაც იმ დროს მე თურქეთში ვიმყოფებოდი, ჩემმა ცოლმა ოპერაციის შემდგომი პერიოდ ბადენ-ბადენში, დედასთან გაატარა, სადაც მოგვიანებით მეც ჩავედი.

— ბადენ-ბადენის ვილაში თქვენ და თქვენი ცოლ-შვილის გარდა, კიდევ ვინ ცხოვრობდა?

— სიდედრი და, რა თქმა უნდა, მსახურებიც.

— მეტი არავინ?

— ა, სულ დამავინწყდა, რომ კიდევ ჩემი ცოლისდაც ცხოვრობდა.

— თქვენი ცოლისდა ოლგა დაგავინწყდათ? — ღვარძლიანად ჩაეძია ეჭვმიტანილს სახელმწიფო მბრალდებელი, სასამართლოს თავმჯდომარემ კი დასძინა:

— როცა კორსიკაზე ყოფნისას მოლიტორების ოჯახი გაიცანით,

თავიდან ვის დაუახლოვდით, მომავალ ცოლს თუ მის და ოლგას?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარს ვაცხადებ.

— როცა ბოლოს და ბოლოს გასული წლის ოქტომბერში ცოლ-შვილთან და ცოლისდასთან ერთად პარიზში გაემგზავრეთ, გზაში ანდა პარიზში ყოფნისას თქვენსა და თქვენს ცოლისდას შორის რამე მოხდა?

— პასუხის გაცემაზე უარს ვაცხადებ.

— თქვენი მეუღლე თავის დაზე ხომ არ ეჭვიანოდა?

— არ ვიცი.

— პარიზიდან სიდედრს დეპეშა თქვენ გამოუგზავნეთ?

— ამ კითხვაზე არ გიპასუხებთ.

— მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ან თქვენ გააკეთეთ, ან — თქვენმა ცოლმა. უფრო ალბათ, ცოლმა, რადგან პირველ რიგში სწორედ მას უნდა ნდომებოდა ოლგას თავიდან მოშორება. ეს მართლა თქვენი ცოლის ხრიკი იყო, ხომ?

— პასუხს არ ვცემ.

— მართალია, რომ პარიზში ყოფნისას თქვენ და თქვენი ცოლისდა ძალიან ხშირად და ძალიან ხანგრძლივად სეირნობდით ხოლმე?

— ვისთანაც მიწოდდა, იმასთან და იმდენ ხანს ვისეირნებდი. თუ უკვე ესეც აკრძალულია?

— რა თქმა უნდა, არა.

ამის შემდეგ სიტყვა კარლ გაუს ადვოკატმა აიღო და სასამართლოს ლინა გაუსთან მის გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე საუბრის შინაარსი გააცნო.

— ფრაუ ლინას თქმით, პარიზიდან ბადენ-ბადენში დეპეშა მისმა ქმარმა გაგზავნა, რადგან იგრძნო, რომ ცოლისდასთან მისი ურთიერთობა ყველა დასაშვებულ ნორმას გასცდა. — განაცხადა ადვოკატმა. — ამის გამო ცოლ-ქმარმა სერიოზულადაც კი იჩხუბა და კარლმა სიდედრს ოლგას წაასყვანად უხმო.

— ესე იგი, სიდედრს დეპეშა თქვენ გაუგზავნეთ, ხომ? — მიუბრუნდა მოსამართლე კარლ გაუს.

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარს ვაცხადებ. — გაჯიუტდა გაუ.

— კარგი. მაშინ მეორე დეპეშაზე გადავიდეთ. როგორც ირკვევა, საკუთარ თავს ის თქვენვე გაუგზავნეთ, ცოლს კი მოგვიანებით არ-

ვენეთ და ყველაფრის საიდუმლოდ შენახვა სთხოვეთ, ხომ ასეა?

— დიახ. ფრიად საიდუმლო დავალევა მქონდა მიღებული, რომლის შესასრულებლად დიდი სიფრთხილის გამოჩენა მმართვედა. სხვათა შორის, ლა-მანშის გავლის შემდეგ ხელოვნური წვერ-ულვაში ზღვაში გადავყარე.

— რატომ?
— იმიტომ, რომ ცუდი ხარისხის იყო.

— ბერლინის ნაცვლად ფრანკფურტში რატომღა გაემგზავრეთ?

— იმიტომ, რომ მნიშვნელოვანი შეხვედრა მქონდა. იმედია, არ გენყინებათ თუ იმ პირების ვინაობას ვერ დაგისახელებთ, ვისაც ფრანკფურტში შევხვდი.

— მაშინ იქნებ, ის მაინც გაგვიმხილოთ, თქვენი საიდუმლო მოგზაურობისა და ცოლთან მიმონერის შესახებ თქვენმა ცოლისდა ოლგამ თუ იცოდა?

— ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ.

— ბადენ-ბადენში ჩასვლამდე კარლსრუეში რისთვისღა შეჩერდით და ბარგი შემნახველ საკანში რატომ დატოვეთ?

— ვერ გიპასუხებთ.

— ბოლოს და ბოლოს, ის მაინც აგვიხსენით, ბადენ-ბადენში ჩასვლა და სიდედრის მოკვლა რაში დაგჭირდათ?

— სიდედრი არ მომიკლავს, ბადენ-ბადენში ჩასვლის მიზეზის გამხელის უფლება კი არ მაქვს.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, კარლ გაუს სასამართლო პროცესი, მისი სიჯიუტისა და აგდებული პასუხების წყალობით, თანდათან კუკუმალულობას დაემსგავსა, მაგრამ ამის გამო მის მიმართ ინტერესი ოდნავაც კი არ განელებულა. მეტიც, ეს პროცესი თანდათან მთელი ევროპის ყურნალისტების ყურადღების მთავარ საგნადაც კი იქცა, რადგან ევროპის უმაღლესი საზოგადოების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის მკვლელობაში ეჭვმიტანილი უბრალოდ ადვოკატი კი არა, უმაღლესი საზოგადოების ელიტის ინტერესების დამცველიც გახლდათ.

— ბატონო გაუ, — მიმართა ეჭვმიტანილს სხდომის თავმჯდომარემ. — სანამ თქვენი ცოლისდის დაკითხვაზე გადავალთ, კიდევ ერთხელ უნდა გკითხოთ, თქვენ მოკალით თქვენი სიდედრი?

— არა.
— მაშინ იქნებ, ის მაინც იცით თუ ეს ვინ გააკეთა?

— არა.
— მკვლელი თქვენი ცოლისდა ოლგა ხომ არ არის?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარს ვაცხადებ.

— ესე იგი, არ გამოორიცხავთ, რომ ოლგას ამის გაკეთება მართლაც შეეძლო?

— ოლგას? — წამით ჩაფიქრდა გაუ. — არა, ეს სრულიად გამორიცხებულია.

— მაშ, ვინ არის მკვლელი, ვინ? — სიმშვიდე ველარაფრით შეინარჩუნა თავმჯდომარემ.

— არ ვიცი.

— სიდედრი იმიტომ მოკალით, რომ ცოლისდასთან სასურველი ურთიერთობისთვის ხელ-ფეხი ბოლომდე გაგხსნოდით?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემაზე უარს ვაცხადებ.

— თქვენმა ცოლმა წერილი დატოვა, სადაც თავისი, თქვენი

მელთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ საქმეში ოდნავი სიცხადეც კი ვერ შეიტანა. სამაგიეროდ, ერთმა მათგანმა კინალამ მთელი პროცესი თავდაყირააც კი დააყენა. კერძოდ, მოლიტორების მეზობელმა, ფრაუ ფონ რაიცენშტაინმა სხდომაზე შემდეგი განაცხადა:

— მკვლელობის სალამოს სახლიდან წერილის გასაგზავნად გამოვედი და ფოსტისკენ მიმავალ გზაზე წვერულვაშიანი მამაკაცი შემხვდა, რომელსაც სადღაც ძალიან მიეჩქარებოდა. როცა ფოსტიდან უკან ვბრუნდებოდი, უკვე დედა-შვილი მოლიტორები შემხვდნენ, რომელთაც უკან, ძალიან ფრთხილი ნაბიჯებით, მამაკაცი მოსდევდათ.

— იგივე მამაკაცი? — დაზუსტება სცადა სასამართლოს თავმჯდომარემ.

— არა. ის სხვა, პირველზე უფრო დაბალი და ასაკითაც უფროსი მამაკაცი იყო, თუმცა წვერ-ულვაში მასაც ჰქონდა.

— ქალბატონო მონმეც, — მი-



ერთადერთი შვილის სხვა გვარზე გადასვლა ისურვა. გამოდის, რომ მას თქვენი უდანაშაულობის არ სჯეროდა.

— იმიტომ არ სჯეროდა, რომ მისთვის სიმართლის თქმის, მასთან მარტო დარჩენის ერთი საშუალებაც კი არ მომეცით. მიუხედავად ამისა, მაინც ხაზგასმით ვაცხადებ, რომ ჩემი სიდედრი არ მომიკლავს.

ამის შემდეგ სამოცდათორმეტი მოწმის მოსმენის დრო დადგა, რო-

მართა ფრაუ ფონ რაიცენშტაინს თავმჯდომარემ. — ყურადღებით დააკვირდით განსასჯელს და ისე გვიპასუხეთ, იცანით იგი? ეს ის მამაკაცია, რომელიც მკვლელობის სალამოს ქალებს მოსდევდა?

— არა. ის სხვა მამაკაცი იყო.

— დარწმუნებული ხართ, რომ იმ სალამოს ორი სხვადასხვა მამაკაცი ნახეთ?

— აბსოლუტურად.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჰოროსკოპი

19-25 აპრილი

ვეჩო



ხუთშაბათს ახალი საქმეები წამოიწყეთ. ეცადეთ, ყურადღების ცენტრში იყოთ. გამოავლინეთ ინიციატივა. უქმეები შვილებთან ერთად გაატარეთ. მოანესრიგეთ ბინა, აგარაკი.

კუჩო



ხუთშაბათს ერთ წუთს ვერ მოისვენებთ. უქმეებზე პასიურად დაისვენეთ. სასიამოვნო ნაცნობობა გელით, მათ შორის, მგზავრობისას. ახლობლების მიმართ მეტი ტაქტი და მოთმინება გმართებთ.

ტყუპი



პარასკევს ნუ მიიღებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. დაელოდეთ მოვლენების განვითარებას. იოლად მოაგვარებთ მატერიალურ საკითხებს. ოთხშაბათს შეიძინეთ ძვირადღირებული ნივთები.

კირჩხიბი



ოჯახის წევრებთან გააუმჯობესეთ დამოკიდებულება. უქმეებზე დასვენებას მუშაობაც უნდა შეუთავსოთ. ორშაბათს სამსახურის საქმეების პარალელურად, არ მოაკლოთ ყურადღება საყვარელ ადამიანს.

ლომი



პარასკევი კარგი დღეა საქმიანი შეხვედრებისთვის. მოერიდეთ ურთიერთობის დაძაბვას ნათესავებთან. უმეტესწილად დაისვენეთ. სამშაბათს არ გადაიღალოთ არც ფიზიკურად და არც გონებრივად.

ქაფიშვი



პარასკევი პირადი ცხოვრების გაუმჯობესებას დაუთმეთ. მაქსიმალურად მოერიდეთ თქვენთვის უსიამოვნო ადამიანებთან ურთიერთობას. ახალი გასართობი, ჰობი გამოგიჩინდება. ოთხშაბათს შეეხმიანეთ მეგობრებს.

სასწიწი



კვირის ბოლოს მშვიდ გარემოში დასვენების საშუალება მოგეცემათ. გავლენიანი ადამიანები სამსახურის მოძებნაში დაგეხმარებიან. მეტად გამოავლინეთ თქვენი ნიჭი და შესაძლებლობა.

მორიფი



ხუთშაბათს სტუმრებს უმასპინძლეთ. უქმეები შვილებთან ერთად ქალაქგარეთ გაატარეთ. ორშაბათს ფილოსოფიურ-რელიგიური თემები გაგიტაცებთ. ოთხშაბათი კარგი დღეა ცოდნის გასაღრმავებლად.

მშვიდღოსხენი



პარასკევი სტაბილური და რომანტიკული დღეა. უქმეებზე უარს ნუ ეტყვიან ნათესავებს დახმარებაზე. მხიარულებისა და გართობის სურვილი მოგეძალებათ. ორშაბათს მარტოხელეებს რომანტიკული ნაცნობობა გელით.

ოხრი



ხუთშაბათს იოლად ნუ გაღიზიანდებით. უქმეები მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ გაატარეთ. ორშაბათს ნუ გაართულებთ ურთიერთობას გარშემო მყოფებთან. ოთხშაბათს დაასრულეთ დანყოფილი საქმეები.

მეჩუდი



მოთოკეთ ემოციები. უქმეები ოჯახის წევრებთან ერთად ქალაქგარეთ გაატარეთ. ორშაბათს გააუმჯობესეთ ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან. ოთხშაბათს ენციეთ სილამაზის სალონს.

თევზები



ენერჯის მოზღვავეებას იგრძნობთ და უქმეებზეც შეძლებთ მუშაობას, საოჯახო საქმეებსაც მოაგვარებთ. სამშაბათს ახალი პროექტების დაწყება არ გაგიჭირდებათ. გააუმჯობესეთ პარტნიორული ურთიერთობები.

გოდიაქოს რომელი ნიშნით დაბადებული ქალის ქმრები მდიდრებიან ყველაზე ხშირად

კირჩხიბი ქალები „ჭეშმარიტი“ ცოლები და დედები არიან ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ქალი კირჩხიბი წინდახედული და ფრთხილია. მისთვის ყოველთვის პრიორიტეტულია ოჯახის ინტერესები, თუნდაც ამის გამო საკუთარს გვერდზე გადადებდეს მოუხდეს. კირჩხიბ ქალებს უყვართ ყველაფრის შეგროვება, მათ შორის ფულის. ის კაპიტალს უმისამართოდ არ გაანიავენ, პირიქით, შეეცდებიან, დაბანდებული თანხით სამომავლოდ ისევ თქვენ მოგიმართოთ ხელი რაიმე, უფრო გრანდიოზული ბიზნესის დასაწყებად.
სასწორი დიპლომატი, მომხიბვ-

ლელი და ჭკვიანი ქალია. მან ზუსტად იცის, როგორ უნდა მართოს ყველაზე რთული მამაკაციც კი. ამასთან, ყველაფერს ჰაეროვნად, ყოველგვარი ძალდატანებისა და სკანდალების გარეშე აკეთებს. ქალი სასწორი შესანიშნავი მეუღლე და მეგობარია, ყოველთვის მზადაა იყოს იდეალური დასაყრდენი მამაკაცისთვის და არასოდეს წავა მის წინააღმდეგ. იგი შესანიშნავი მსმენელი და კარგი მრჩეველია. მამაკაცები მის რჩევებს მუდამ ითვალისწინებენ და მოგებულნიც რჩებიან.
თხის რქა ამბიციური და ძლიერი ქალია. იგი ვერ იტანს სუსტ მამა-

კაცებს. თუმცა, შესაძლოა, ჭკუაში დაუფდეს ნიჭიერ მამაკაცთან ურთიერთობა, რომელსაც „შეფუთავს“ და სათავისოდ გამოიყენებს. ქალი თხის რქები ხშირად ხდებიან ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, მწერლების ან პოეტების ცხოვრების მეგობრები. განა იმიტომ, რომ ხმაური და ხელოვნება უყვართ, ამ საქციელით საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად გაცილებით ნოყიერ ნიადაგს ქმნიან. ხშირად ისინი პოლიტიკოსებსაც უმშვენებენ გვერდს. ისევ და ისევ იმის გამო, რომ საკუთარი შესაძლებლობები ქმრის თანამდებობის მეშვეობით კარგად გამოიყენონ.

„ბიბლუსი შენს სკოლაში“

ნიგნის მალაზიათა ქსელმა „ბიბლუსმა“, 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით მორიგი გრანდიოზული პროექტი დაიწყო, რომლის მთავარი სამიზნე ჯგუფი კითხვისა და ლიტერატურის მოყვარული სკოლის მოსწავლეები არიან. პროექტი „ბიბლუსი შენს სკოლაში“, რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. პროექტის ფარგლებში, „ბიბლუსის“ წარმომადგენლები თავად მიდიან სკოლებში, სადაც პროექტის პრეზენტაცია და ლიტერატურული მინიოლიმპიადა იმართება და ბავშვებს, რომლებიც საუკეთესო შედეგებს აჩვენებენ, შესაძლებლობა ექნებათ, „ბიბლუსის“ წიგნის კლუბის წევრები გახდნენ და მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა ღონისძიებაში, მათ შორის — პერიოდულად შეხვდნენ ქართველ მწერლებს, დაესწრონ ნიგნის განხილვის საღამოებს, კინორჩვენებებსა და არაერთ საინტერესო აქტივობას. პროექტის ფარგლებში, ოლიმპიადაში საუკეთესო შედეგების მქონე მოსწავლეების პირველი დაჯილდოება უკვე გაიმართა კანდელაკის №7-ში მდებარე „ბიბლუსი გალერეაში“. დეტალებზე პროექტის მენეჯერს, ანი ამირანაშვილს ვესაუბრეთ.



დებში ნიგნის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. 11 აპრილს, დაჯილდოების ცერემონიაზე მოსწავლეების შერჩევაც დაიწყო „ბიბლუსის წიგნის კლუბისთვის“ და ძიებას მომავალშიც აქტიურად გავაგრძელებთ. კლუბში ნიგნის მოყვარული, აქტიური მოსწავლეები განვერდებიან, რაც ვფიქრობ, მათ მოტივაციასაც აამაღლებს, მეტი წიგნი იკითხონ და მეტად ჩაერთონ თანატოლებს შორის ნიგნის პოპულარიზაციაში.

როგორც 151-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, რუსუდან მენაბდიშვილმა განაცხადა, „ბიბლუსი შენს სკოლაში“ ხელს უწყობს ნიგნის კითხვის პოპულარიზაციას, ბავშვებს კი ნიგნის კითხვის განსაკუთრებულ სტიმულს აძლევს:

— „ბიბლუსი შენს სკოლაში“ არაჩვეულებრივი წამოწყებაა, რასაც მივესალმებით. სკოლას ესტუმრნენ „ბიბლუსის“ წარმომადგენლები. ბავშვებისთვის სპეციალური ტესტირება ჩაატარეს, ისინიც აქტიურად ჩაერთვნენ ამ პროექტში. დღეს კი გაიმართა დაჯილდოების ცერემონია. ბავშვებისთვის ეს არა მხოლოდ სასიხარულოა, არამედ დიდი სტიმულიც არის. მე, როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, მივესალმები მსგავსი ტიპის პროექტებს. მომავალშიც სიამოვნებით ჩავერთვებით და მონაწილეობასაც მივიღებთ.

თუ გურამ დოჩანაშვილს დავესესხებით, ეს ბავშვები ჯერ კიდევ „მისალოცები“ არიან. რაც უფრო მეტ წიგნს წაიკითხავენ, უკეთესია მათთვის და ჩვენი საზოგადოებისთვის. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ნიგნის მალაზიათა ქსელ „ბიბლუსს“, ასეთი არაჩვეულებრივი წამოწყებისთვის.“

პროექტის ფარგლებში პირველი დაჯილდოების ცერემონია გაიმართა

— 2018 წელი ნიგნის მალაზიათა ქსელ „ბიბლუსისთვის“ საიუბილეო წელია, 10 წლის ვხდებით და ამ მნიშვნელოვან თარიღს მკითხველებთან ერთად ახალი პროექტებით აღვნიშნავთ. ერთ-ერთი ასეთი პროექტია „ბიბლუსი შენს სკოლაში“, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვან სეგმენტს, სკოლის მოსწავლეებს მოიცავს. ის ემსახურება სკოლის მოსწავლეებში ნიგნის კითხვის პოპულარიზაციასა და თავისუფალი აზროვნების განვითარებას. ჩვენი პროექტი ორი მნიშვნელოვანი ნაწილისგან შედგება: სკოლებში ვიზიტი პრეზენტაციებითა და ლიტერატურული მინიოლიმპიადით და ნიგნის კლუბი, რომელშიც სწორედ ოლიმპია-

დაში საუკეთესო ქულების მქონე ბავშვები განვერდებიან. მათთვის „ბიბლუსი“ არაერთ საინტერესო აქტივობას დაგეგმავს და რაც მთავარია, ამ ბავშვებს თავად ექნებათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ მსგავსი აქტივობების მოფიქრებასა და ორგანიზებაში, რაშიც „ბიბლუსი“ სრულად დაეხმარება. 11 აპრილს, პირველ ლიტერატურულ ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეები „ბიბლუსი გალერეაში“ დაჯილდოეთ, გადავეცით სერტიფიკატები და გამომცემლობა „პალიტრა L“-ის ერთ-ერთი წარმატებული პროექტის — „ლიბერტიდის“ სერიის წიგნები. გარდა ამისა, მადლობის სიგელი გადავეცით სკოლებს, ახალგაზრ-



ქვასაყდარა – ტურისტის არჩევანი

უმდიდრეს კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობასთან ერთად, საქართველოში მრავლადაა ხელთუქმნელი ძეგლები, რომელთა არსებობა აქაურებისთვისაც უცნობია. მათ შორისაა — ქვასაყდარა, — ვულკანური წარმოშობის ძეგლი, იმერეთში. ბუნების ეს მართლაც საოცარი ქმნილება, ბოლო დრომდე არც ერთ ტურისტულ გზამკვლევაში არ იყო დაფიქსირებული. მის შესახებ ინფორმაციულ წყაროებშიც ძალზე მწირ ინფორმაციას თუ მოიძიებ.

ვულკანური წარმოშობის ქვასაყდარები, რომელიც სახტად დაგტოვებს

შორენა მერაპვილაძე

სამიოდე წლის წინ, ვულკანური წარმოშობის ქვასაყდარებს გეოგრაფმა, მოგზაურმა გიორგი დვალაშვილმა მიაკვლია. მას მერე აქტიურად ცდილობს, ამ მართლაც

ებში კიდევ არაერთი მცირე ზომის ქვასაყდარი გვხვდება, რომლებიც რუკებზე აღნიშნულია როგორც საინტერესო, გამორჩეული ობიექტი. ქვასაყდარა არსადაა ნახსენები.

2015 წელს, უნივერსიტეტმა სამეცნიერო პროექტების დაფინან-

სადაც ობიექტი. ქვასაყდარას ცნობადობა თანდათან გაიზარდა. შეიძლება უკვე ხმამაღლა ითქვას, რომ ქვასაყდარა ტურისტის არჩევანი გახდა. მაისიდან, როდესაც უღელტეხილზე გადასასვლელი გზა გაიხსნება, ამ ადგილზე ნებისმიერი მანქანით შეიძლება მიმოსვლა.



დღეს ქვასაყდარაზე რკინის ჯვრის კონსტრუქციას აღმართული

წითელი მინდორი და ქვასაყდარები

— ვიდრე ქვასაყდარასთან მოხვდები, ჯერ წითელი მინდორი უნდა გაიარო. საზოგადოებისთვის ეს ადგილი იყო უფრო ცნობილი. ზეკარის უღელტეხილი, ზეკარის ხეობა ანუ ქერშავეთის წყლის ხეობა და მეორე — ნაზლარა წყლის ხეობა საირმის მიმართულებით, მთავარი არტერია, მთავარი გამოსასვლელი გახლდათ მტერ-მოყვრის მიმოსასვლელად. პომპეუსის პერიოდიდან, როდესაც დასავლეთ საქართველოს აოხრებდნენ, მტერი ძირითადად ამ მხრიდან შემოდიოდა. ხანისწყლის ხეობაში გვხვდება სოფელი კაკასხიდი. მტერი ამ ტერიტორიას თავისი ნადავლით გაივლიდა ხოლმე. არსებობს გამოთქმა — „ჩაილურის წყალი დალია“, იქ იტყოდნენ — „კაკასხიდი დალია“ ანუ კაკასხიდა გადააბიჯაო. რაც იმას ნიშნავდა, რომ უკან დაბრუნება ნაკლებად იყო მოსალოდნელი. სოლომონ მეფის დროს, მესხეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე, ახლანდელი წითელი მინდორის მიდამოებში გაიმართა ერთ-ერთი ბრძოლა. მინდორი მთლიანად მტრის დაღვრილი სისხლით განთლებულა. სწორედ აქედან მიიღო სახელწოდებაც. ბაღდათის ზონაში, მესხეთის ქედი გეოგრაფიული მდებარეობითა და ბუნებრივი პირობებით, მართლაც ერთ-ერთი გამორჩეული ადგილია. საძოვრებია ზღვის დონიდან 2500-2600 მეტრზე. მაისის დასაწყისიდან, ადგილობრივები ამ ალპურ საძოვრებზე მიერეკებიან საქონელს და მთელ ზაფხულს იქ ატარებენ.

ულამაზესი ადგილის შესახებ ბევრმა გაიგოს...

ქვასაყდარას მოსანახულებლად ბუნებისა და ექსტრიმის მოყვარულთ, ჯერ ბაღდათის მუნიციპალიტეტში მოუნვეთ ჩასვლა, ბაღდათიდან კი ორმოციოდე კილომეტრის გავლის შემდეგ, ალპურ ზონაში, ზღვის დონიდან 2222 მეტრზე, იმ მინდორს მიაღდები, სადაც ვულკანური წარმოშობის ქვასაყდარები მიმოფანტული. ადგილი, რომელიც მართლაც სახტად გტოვებს...

გიორგი დვალაშვილი:

— საირმე-აბასთუმნის გზის შორიანხლოს, მესხეთის ქედის სამხრეთ ფერდობზე რამდენიმე ქვის სვეტი იპყრობს ყურადღებას, რომელსაც ადგილობრივები „ქვასაყდარას“ უწოდებენ. წლების მანძილზე მესხეთის ქედის ეს მონაკვეთი არაერთ მეცნიერსა და მკვლევარს შეუსწავლია, თუმცა არც ტოპოგრაფიულ და არც ტურისტულ რუკაზე დატანილი არ იყო. ამ მიდამო-

სება დაიწყო. ჩვენ მდინარე რიონის აუზის ღირსშესანიშნავი ადგილები შევაფასეთ და ექსპედიციაში ბაღდათში წავედით. აღმოჩნდა, რომ ეს რეგიონი კარგად არ გვცოდნია. არაერთ უჩვეულო და საოცარ ბუნებრივ ღირსშესანიშნაობას ნავაწყდით, რომელთა შესახებ ცნობები არ მოიპოვებოდა. იმ პერიოდიდან მოყოლებული, ინტენსიურად ვანარმოებთ კვლევებს. ობიექტი ჩემს სამნიგნშიც შევიტანე, რამდენიმე სიუჟეტიც გაკეთდა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენი ჩატარებული კვლევების შემდეგ, 2015 წლის 9 აგვისტოს, ქვასაყდარას ტერიტორიაზე ფესტივალი ჩატარდა და გაფორმდა ადიგენისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტების ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში. აგვისტოს თვეში ფესტივალი ტრადიციულად, ყოველწლიურად იმართება. ბოლო პერიოდში „მთის ფესტივალსაც“ უწოდებენ. შეიქმნა კემპინგი. ადგილზე მოეწყო ვიზიტორთა მოსასვენებელი ადგილები და კვების

ბევრი მისდევს მესაქონლეობას. ამ ტერიტორიაზე დამზადებული ყველი განსაკუთრებით გემრიელია. საქართველოში კონკურენტი არ ჰყავს.

ქვასახტარა თუ ქვასაყდარა?

— ვულკანური წარმოშობის ბუნებრივი ქვასვეტების არსებობის შესახებ მწყემსებისგან შევიტყვევით. ქვასვეტები ორი სახელითაა ცნობილი. ერთ-ერთი ვერსიით, ქვასახტარა ეწოდება: ქვებს თუ დააკვირდები, მისტიკურ ცხოველებსა და ნაგებობებს მოგაგონებს და მართლაც, სახტად შეიძლება დატოვოს მნახველი. ერთ-ერთ ქვას მწყემსები მძინარე კაცის ქვას ეძახიან. ერთი ქვასვეტი სფინქსს მოგაგონებთ... მეორე ვერსია ამბობს, რომ აქ ანდრია პირველწოდებულის დროინდელი ქვის საყდარი უნდა ყოფილიყო და ქვასაყდარაც ამის გავლენით ეწოდა. მართალია, ისტორიულად დადასტურებული და აღიარებული არ არის, თუმცა მე მაინც მეორე ვერსიას ვემხრობი. ცნობილია, რომ ანდრია პირველწოდებულმა მესხეთის ქედზე იმოგზაურა და სწორედ იმ პერი-

ოდს უკავშირებენ ამ მიდამოებში ქვის საყდრის აგებას. ქვასვეტები მართლაც წააგავს ქვის საყდარს. როგორც აღვნიშნეთ, ეს მონაკვეთი ტრანზიტული გზა იყო. შესაძლოა, აქ საუკუნეების მანძილზე ყოფილიყო ქვის საყდარიც. დღეს ქვასაყდარაზე რკინის ჯვრის კონსტრუქციაა აღმართული.

როდის ვენფიოთ ქვასაყდარას

— ტურისტული სეზონი მაისში იწყება და ოქტომბერში მთავრდება. ამ პერიოდში ნებისმიერი სახის ტრანსპორტითაა შესაძლებელი გადაადგილება. სხვათა შორის, ზეკარის უღელტეხილთან გაივლის, ქუთაისი-აბასთუმნის ახალი საავტომობილო გზაც. ქვასაყდარას ტერიტორიაზე ყველაზე მაღალი წერტილი 2222 მეტრზე მდებარეობს. ზამთრის პირობებში, ვიზიტორებისთვის ჯერჯერობით დასაინტერესებელი არააფერია, თუმცა ზამთრის ტურიზმის განვითარების პერსპექტივა ნამდვილად არსებობს. ფინანსურად რამდენად მოხერხდება, ეს სხვა თემაა. ზეკარის მიმდებარე ტერიტორიაზე და

უღელტეხილზე თუნდაც მცირე სათხილამურო ტრასების შექმნა, ტურისტებსაც მიიზიდავს. ნოემბრიდან შესაძლებელია სათხილამურო სეზონიც გაიხსნას. ალბათ ამ მიმართულებითაც იქნება მუშაობა დაწყებული.

წლევანდელმა ზამთრის სათხილამურო სეზონმა გვიჩვენა, რომ სათხილამურო კურორტები — გუდაური, ბაკურიანი, სვანეთი, გოდერძის უღელტეხილი, ვერაკმაყოფილებდნენ ტურისტების მოჭარბებულ რაოდენობას. პირადად მეც მომიხდა რამდენიმე საათი რიგში დგომა. კიდევ ერთი სათხილამურო კურორტის შექმნა, მართლაც საშური საქმე იქნება. პოტენციურად ამ კურორტის განვითარების შემთხვევაში, ზეკარის უღელტეხილი, სათხილამურო კურორტებს შორის ყველაზე ახლოს იქნება აეროპორტთან. ქუთაისის, კოპიტნარის აეროპორტიდან ქვასაყდარამდე, დაახლოებით ასი კილომეტრია. სურვილის შემთხვევაში, სამთო კურორტის მოყვარულები, მათ შორის მიმდებარე ტერიტორიებიდანაც, ერთი დღითაც შეძლებენ ასვლა-ჩამოსვლას. ყველა ხომ ვერ

სერია „ჩემი რჩული მსოფლიო“ გთავაზობთ ახალწველი მწერლის მიგველ დე უნამუნოს

სამ საუკეთესო რომანსა და მოთხრობების კრებულს



**ბურუსი
სიყვარული და
პედაგოგიკა**

წიგნის
საპენიალური ფასი
5.50 ლ
შურნალთან ერთად
7 ლ



60660 1

26 აპრილიდან-3 მაისამდე

იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში ან დარეკეთ ნომრებზე:
0(32)2382673; 0(32)2382674 და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ

ახერხებს ერთი დღით, თუნდაც მესტიაში ასვლას. ეს კურორტი კი არც კონკურენტი იქნება, დანარჩენი ოთხი სამთო კურორტის და არც კონკურენციაში ჩამორჩება. ამის რესურსი და განვითარების პერსპექტივა ნამდვილად აქვს.

ადგილი კიდევ დაემატება, სადაც ტურისტებს ყველა აუცილებელი პირობა ექნებათ დასასვენებლად. არიან გამვლელი ტურისტები. ბევრი საირმოდან ადის იქ დროის გასატარებლად. მარტო კურორტ საირმეში ორმოცდაათიათასი ტუ-



ადგილობრივები ამ ალპურ საძოვრებზე მიერეკებიან საქონელს და მთელ ზაფხულს იქ ატარებენ

გოჩა სორაშა:

— ქვასაყდარა თავისი ადგილმდებარეობით და დანიშნულებით, მართლაც გამორჩეული ადგილია და ბევრი ტურისტია მისით დაინტერესებული. იდეალური ადგილია — ალპური ზონა, უმშვენიერესი ბუნება და უნიკალური ჰაერი ერთმანეთშია შერწყმული. სეზონზე ხშირად ადინან ადგილობრივებიც და საირმის ვიზიტორებიც. ხშირად წაანყდებით მოლაშქრეებსაც. ეწყობა ჯიპტურები... დაინტერესება მართლაც თანდათან იზრდება. ჩვენი სამსახური კი, აქტიურად მუშაობს ქვასაყდარას ტურისტული განვითარებისთვის. ბალდათის მერის — არჩილ გოგსაძის მხრიდან ძალიან დიდი თანადგომა გვაქვს. ტურიზმის განვითარებისთვის არაერთი პროექტი განხორციელდა. ამ მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ. რამდენიმე დღის წინ, მოვიგეთ მსოფლიო ბანკის „ეკლანას გრანტი“. ზეკარის უღელტეხილის მონაკვეთზე დიდი ტურისტული მოძრაობაა. მართალია, გვაქვს ერთი ტურისტული კემპინგი, „ქვასაყდარა“, მაგრამ მერის გადანიშნულებით, ორი საპიკნიკე

რისტი დაფიქსირდა (საირმოდან ქვასაყდარამდე 18 კილომეტრია). ბლოგერებისთვისაც უმნიშვნელოვანესი ადგილია. როგორც მითხრეს, რამდენიმე წელია, სისტემატურად ჩამოდინან გერმანელი პროფესორები და რომელიღაცა სახეობის სამკურნალო მცენარეს ეძებენ, ამბობენ, ეს მცენარე, რომელიც შვიდ-რვა წელიწადში ერთხელ ყვავილობს, ძალიან ძვირად ფასობსო, თუმცა ჯერჯერობით ზუსტად ვერ დავადგინეთ, რომელი მცენარეა. ამ მიდამოებში ასევე გვხვდება მარადმწვანე წიწვოვანი ბუჩქოვანი მცენარე — ღვია. ახლომახლო მწყემსებისთვის განკუთვნილი საზაფხულო ბინებია. ადგილობრივი მესაქონლეები მთელ ზაფხულს იქ ატარებენ. მათი დამზადებული ყველი და სულგუნი გამორჩეულად გემრიელია. შემიძლია ხმამაღლა ვთქვა, მსგავსი არომატის ყველი და სულგუნი, სხვაგან არსად გვხვდება, რაშიც ალბათ ნვლილი კლიმატსა და მდებარეობას მიუძღვის, ალბათ ყუათიანობით გამორჩეული ბალახიც აძლევს ასეთ გემოს. ეკოლოგიურად სუფთა ბიოპროდუქტია.


ქვასაყდარას სამომავლო პერსპექტივა

საცხენოსნო და სამთო, სათხილამურო ტურიზმის განვითარებისთვისაც მნიშვნელოვანი და ხელსაყრელი ადგილია. ბალდათის მერის ერთ-ერთი პირველი, მნიშვნელოვანი დავალება, სწორედ ზამთრის კურორტის მოსაწყობად, შესაბამის ადგილმდებარეობის და რესურსების მოძიება და შესწავლა იყო. მისი ხელმძღვანელობით ვიპოვეთ პიროვნება, სამთო კურორტების განვითარების სააგენტოს თანამშრომელი, ბატონი გიზო გრძელიძე, რომელიც თავის დროზე, გუდაურისა და ბაკურიანის მშენებლობებზე მუშაობდა. შარშან რამდენიმე ექსპედიცია მოეწყო. სათხილამურო ტრასების მოსაწყობად, სავარაუდოდ ადგილიც შევარჩიეთ — ზეკარის ხეობის ბოლოს, სოფელ ივლტაში, ფუნდუკის მთა. წელს დაგეგმილი იყო თხილამურებით საცდელი დაშვება, სპეციალისტებს თოვლი უნდა გაესინჯათ. სამწუხაროდ ვერ მოხერხდა, თუმცა სამომავლო პერსპექტივაში ნამდვილად გვაქვს.

შარშან, ბალდათობაზე, გავიცანი ფრანგი პიროვნება, სამუელ დეფორი, რომელიც ერთ-ერთი ტურისტული კომპანიის თანამშრომელი აღმოჩნდა. დავმეგობრდით და სოციალური ქსელით ერთმანეთს ინფორმაციებს ვუცვლიდით. ევროპაში ძალიან მიღებულია ზამთრის ტურები, იმდენად დაინტერესდა, რომ რამდენიმე ჯგუფიც ჩამოიყვანა და დალაშქრეს ბალდათის მთიანი ზონა. როგორც მითხრა, გადანიშნულება სისტემატურად მოაწყოს ასეთი ტურები...


P.S. თუკი საქართველოს კუთხეებთან დაკავშირებით რაიმე მნიშვნელოვანი ინფორმაციას ფლობთ: ისტორიული წარსულიდან; მნიშვნელოვანი თუ უცნობი ადგილების, წეს-ჩვეულების, ტრადიციების, სამკურნალო წყლებისა თუ სხვა სახის საინტერესო ფაქტებისა და მოვლენების შესახებ; ან იცნობთ ადამიანს, რომელიც თავისი ცხოვრებით გამორჩეულია, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ რუბრიკის ავტორს ნომერზე: 557-56-91-96; ან 599-26-83-41; ერთად ვიმოგზაუროთ და აღმოვაჩინოთ უცნობი საქართველო.

გიორგი III | ქართველი მეფეები პატრიარქი და მსახური ქვეყნისანი



24 თოთაე 


**სპეციალური
ფასი 5.50 ლ**
გაზეთთან
ერთად 7 ლ



ტომი 5

**გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად
ისტორია, რომელიც ქვირფასია!** **23**
პალიტრა

იკითხეთ წიგნის მალაზიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში ან დარეკეთ ნომრებზე:
0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ.

 Palitra.L.Publishing www.palitra.ge

ტრანჟვილი – №1 მცენარეული დამამშვიდებელი საშუალება დიდ ბრიტანეთში

უძილობა — გვიან ჩაძინება, ადრე გაღვიძება, ღამის ძილის წყვეტა, მისი სიღრმის შემცირება — არცთუ იშვიათია თანამედროვე ტექნოგენურ სამყაროში, სადაც ცხოვრების ტემპი ადრინდელთან შედარებით დაჩქარებულია, სადაც ადამიანები დაძაბულად მუშაობენ, სადაც მეტია სტრესული სიტუაცია და ა.შ.



უძილობის გამოვლენა

უძილობა ძილის ნაწილობრივი ან სრული დარღვევით ვლინდება. მან შესაძლოა, ჯანმრთელი ადამიანიც კი შეანუხოს ფსიქიკური ალგუნების ან გადაღლილობის დროს. თუ უძილობა რომელიმე თანმხლები დაავადებით არის გამოწვეული, აუცილებელია ექიმთან მისვლა, ძილის დარღვევის მიზეზის აღმოსაფხვრელად, ხოლო თუ ძილის პრობლემები უბრალოდ ნერვულ ალგუნებასთანაა დაკავშირებული, შეიძლება ხალხური ან არატრადიციული მედიცინის საშუალებები გამოვიყენოთ.

უძილობა ყველაზე ხშირად იმით გამოიხატება, რომ ადამიანი დიდხანს ვერ ახერხებს ჩაძინებას ან ჩვეულებრივზე ადრე ეღვიძება, ხოლო ღამით რამდენჯერმე ფხიზლდება ან საკმაოდ დიდხანს სძინავს, მაგრამ არასაკმარისად ღრმად.

როგორ ვუმკურნალოთ უძილობას

ძილი ძალ-ღონის აღდგენასა და დამლელი დღის შემდეგ დასვენებას ემსახურება, მაგრამ ყველა როდი დაიკვეხნის ჯანმრთელი ძილით. სადღეისოდ უძილობა ერთ-ერთ ყველაზე მწვავე სამედიცინო პრობლემად მიიჩნევა, რომელზეც მთელი მსოფლიოს ექიმები მუშაობენ. საქმეს ის ართულებს, რომ არ არსებობს უძილობის ერთი მიზეზი. ცხოვრების დაძაბული რიტმი, მუდ-

მივი ნერვული სტრესი, არასრულფასოვანი დასვენება — ამ ყველაფერს ადამიანის ფსიქოფიზიკური მდგომარეობის დარღვევამდე და ქრონიკულ დაღლილობამდე მივყავართ.

ჯანმრთელი, მაგრამ იოლად ალგუნებადი ადამიანებისთვის უძილობის მკურნალობის საშუალებაა, უპირველეს ყოვლისა, ძილის მართებული რეჟიმის დაცვა და მარტივი დამამშვიდებელი პროცედურები ძილის წინ. ხანგრძლივი უძილობისას, ექიმის მიერ დანიშნულ პრეპარატებთან ერთად გარკვეული ხნის განმავლობაში საჭიროა უბრალო, ხალხური, ნატურალური საშუალებების რეგულარული მიღებაც.

უძილობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, ერთსა და

იმავე დროს ადგომა და დანოლა, ორგანიზმისთვის ბუნებრივი ბიოლოგიური რიტმის დაცვა. ყველაზე უკეთესია, ადრე დანოლა და ადრე ადგომა.


თუ ხანმოკლე უძილობა განუხებთ, მაგალითად, სტრესის დროს, ნორმალური ძილის აღდგენაში რაციონის ცვლილება და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მიღება დაგეხმარებათ.

სწორად შედგენილი რაციონი თანდათანობით დაარეგულირებს თქვენს წონასა და ორგანიზმში ცხიმის რაოდენობას და შედეგად, ძილიც მოგინესრიგდებათ.

ნუ დანვებით და ნუ ეცდებით დაძინებას, თუ არ გეძინებათ. ეცადეთ, არ დაიძინოთ დღისით. არ დანვით დასაძინებლად მეტისმეტად ადრე. დაიცავით კვების რეჟიმი. ნუ შეჭამთ ძილის წინ, 18:00 საათის შემდეგ ნუ მიიღებთ მატონიზებელ სასმელებს (ცხელ შოკოლადს, ყავას, ჩაის). კვირაში 2-3-ჯერ გამონახეთ დრო სპორტისთვის ან ყოველდღე ივარჯიშეთ. თავი აარიდეთ ძილის წინ ინტენსიურ დატვირთვას. ძილის წინ ფეხით ან ველოსიპედით გასეირნება ორგანიზმზე მომადუნებელ ფეფქტს ახდენს.

დასაძინებლად ნუ დანვებით

უძილობის რისკები



გალიზიანებული. ეცადეთ, ღამით მოეშვათ. ამისთვის კარგია წყლის პროცედურები, მსუბუქი მასაჟი, საინტერესო (არააღმგზნები) წიგნი.

გამოიმუშავეთ ძილისთვის მოსამზადებელი რიტუალი და მისდით მას. მიეჩვიეთ ყოველთვის ერთსა და იმავე დროს დაწოლას. თუ ვერ იძინებთ, მოუსმინეთ წყნარ მუსიკას, წაიკითხეთ წიგნი. ძილის წინ გაანიავეთ ოთახი, გამორთეთ ყველა ელექტროხელსაწყო (სხვათა შორის, საძინებელში რეკომენდებული არ არის ტელევიზორის დადგმა), თუ ოთახში ჰაერი მშრალია, დაამონტაჟეთ დამატენიანებელი მონწყობილობა.

ნუ გამოიყენებთ ალკოჰოლს ძილის მომგვრელ საშუალებად, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გირჩევთ. დიახ, ზოგჯერ ალკოჰოლის მცირე დოზა მართლაც ჰგვრის ძილს, მაგრამ ეს მოჩვენებითი ეფექტია: ძილი ზედაპირული ხდება, ფრაგმენტული, ხშირად — ხანმოკლე. ამასთან, ალკოჰოლი დილით თავის ტკივილსა და მოთენილობას იწვევს, დღის განმავლობაში აქვეითებს შრომისუნარიანობას, რაც, თავის მხრივ, უფრო მეტად აღრმავებს უძილობას.

თუ ხანმოკლე უძილობა განუხებთ, მაგალითად, სტრესის დროს, ნორმალური ძილის აღდგენაში რაციონის ცვლილება და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მიღება დაგეხმარებათ.

დიდ ბრიტანეთში №1 მცენარეულ დამამშვიდებელ საშუალებად არის მიჩნეული ტრანქვილი.

ტრანქვილი უნიკალური მცენარეული ნაკრებია, რომელიც ამშვიდებს ორგანიზმს, ძილს აწესრიგებს. იგი არ იწვევს მიჩვევას, მისაღებად კომფორტულია, მიიღება ძილის წინ (1 აბი დღეში).

შეიცავს კუნელის ზეთის ნაყენსა და ფხვნილის ექსტრაქტს, კატაბალახას, ძახველს, კრაზანას, პასიფლორას, მაგნოლიას.

როცა შფოთვა ხელს გვიშლის ყოველდღიურ საქმიანობაში, ტრანქვილის მიღება შეიძლება 1 თვის განმავლობაში, კურსის სახით.

ტრანქვილს იღებენ ასევე სიმპტომურად, შფოთვის ან უძილობის გამოვლინების დროს, პრემენსტრუალური სინდრომისას, აგრეთვე ხასიათის ცვლილებისას.

ვისთვის არის განკუთვნილი ტრანქვილი:

* ქალები, რომელთაც აწუხებთ პრემენსტრუალური სინდრომი — კრიტიკული დღეების დანყებად და მენზის პერიოდში ტრანქვილი ეხმარება მათ ზედმეტი შფოთვის შემცირებაში, ხსნის სპაზმს და ამსუბუქებს პმს-ს.

* სტუდენტები, თინეიჯერები, აბიტურიენტები, რომლებიც სტრესს განიცდიან, დღე-ღამე არეული აქვთ — ტრანქვილი მათზე დამამშვიდებლად მოქმედებს, აწესრიგებს ძილს, ნერვულ სისტემას და ბუნებრივად ხდება ორგანიზმის გაჯანსაღება.

* წნევიან პაციენტებში — ჰიპოტენზიული სამკურნალო საშუ-

ალებების მიღებისას, ტრანქვილი აძლიერებს მათ მოქმედებას, რადგან შფოთვა პირდაპირ კავშირშია წნევის მატებასთან.

წნევის ცვლილების ადრეულ ეტაპზე, ზოგადად ინიშნება დამამშვიდებელი საშუალება, რომელიც მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, რადგანაც წნევის ცვალებადობაზე მას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს.

* მამაკაცები, რომლებსაც სტრესულ სამუშაო გარემოში უწევთ ყოფნა.

თუ ხართ 16 წელზე მეტი ასაკის, გინევთ სტრესულ მდგომარეობაში ყოფნა, განუხებთ უძილობა, შფოთვა, პერიოდულად გაქვთ წნევის მაღალი ციფრები, მიიღეთ ტრანქვილი, ერთი აბი, ერთხელ დღეში.

ტრანქვილი

№1 მცენარეული დამამშვიდებელი საშუალება დიდ ბრიტანეთში



20%-იანი ფასდაკლებით

- რაკომენდირებულია უძლობის, სტრესისა და შფოთვის დროს
- ხსნის პრემენსტრუალური სინდრომით გამოწვეულ დამაბულობასა და გაღიზიანებას
- ხელს უწყობს ზანსადი ნერვული სისტემის შენარჩუნებას



ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში

ამოჭარით ვაუჩერი და მოიტანეთ სახალხო აფთიაქში

ვაუჩერის ვადა - 19 მაისი

პროდუქტზე დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 597 12 59 59

საჭადრაკო ოლიმპიადა – ბათუმი-2018

წლებადღებულ შემოდგომაზე ჩვენი შავი ზღვისპირა კურორტი ბათუმი მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადას უმასპინძლებს. ეს ტურნირი ყველაზე მასშტაბური გუნდური ასპარეზობაა მსოფლიოს საჭადრაკო სამყაროში და იგი როგორც ქალთა, ასევე ვაჟთა შორის ყველაზე პრესტიჟულ შეჯიბრებად ითვლება. ქართველი დიდოსტატები მსოფლიოს ამ საჭადრაკო ფორუმებში 1963 წლიდან მონაწილეობენ და შეიძლება ითქვას, ყველაზე წარმატებულადაც. ლეგენდარულმა ნონა გაფრინდაშვილმა პირველად სწორედ 1963 წლის ქალაქ სპლიტის ფესტივალზე ითამაშა და ფენომენალური შედეგით მოიპოვა თავისი პირველი ოქროს მედალი. 12 პარტიიდან მან 11 მოიგო და მხოლოდ ბოლო ტურში დაუზავდა მეტოქეს. მას შემდეგ ქალბატონმა ნონამ კიდევ ათ ტურნირში იმარჯვა და საბოლოო ჯამში ოლიმპიური ჩემპიონის თერთმეტი ტიტულით აბსოლუტურად საუკეთესო შედეგის მფლობელი გახდა. 9-ჯერ გაიმარჯვა ოლიმპიადებში მაია ჩიბურდანიძემ. საზეიმო დაჯილდოების დროს ექვსჯერ იდგა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ნანა ალექსანდრია, ხოლო ნანა იოსელიანის პირად კოლექციაში ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს 5 ჯილდო ინახება.



გია გიორგაძე

ბობი ფრანგიშვილი

საინტერესოა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს გუნდებმა საჭადრაკო ოლიმპიადებში პირველად 1992 წელს მანილაში იასპარეზეს. იმ პერიოდისათვის ჩვენ ქვეყანას ოფიციალურად ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული საერთაშორისო აღიარება და წესით, არც ჰქონდა ფილიპინების დედაქალაქში თამაშის უფლება, მაგრამ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ გაითვალისწინა ქართველ დიდოსტატ ქალთა მიღწევები და ტურნირში მონაწილეობის უფლება დართო. არც შემცდარა, ჩვენმა დელეგაციამ თბილისში პირველად ჩამოიტანა გამარჯვებული გუნდისათვის დანესებული სპეციალური პრიზი, „ვერამენჩიკის“ სახელობის გარდამავალი თასი. შემდგომში საქართველოს ქალთა ნაკრები ზედიზედ კიდევ ორჯერ დაეუფლა ამ პრესტიჟულ პრიზს, ბოლოს კი თასი უკვე ახალმა თაობამ, ჩვენმა ახალგაზრდა დიდოსტატებმა 2008 წლის დრეზდენის ოლიმპიადიდან ჩამოიტანეს.

წელს ჩვენს მანდილოსნებს კვლავ აქვთ ოქროს მედალების დაუფლების შანსიც და იმედიც, მით უმეტეს, რომ ტურნირი ბათუმში გაიმართება. თუმცა, ვიდრე მათი გეგმებისა და პერსპექტივების შესახებ ვკითხავდი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტს, **ბიბი ბიორბაძეს**, ოლიმპიადის მოსამზადებლად საჭირო საორგანიზაციო საკითხების შესახებ ვესაუბრე.

— **ბატონო გია, მართალია საქართველო დიდი ტრადიციების მქონე საჭადრაკო ქვეყანაა და თბილისსაც და ბათუმსაც ბევრი სოლიდური საერთაშორისო ტურნირისათვის უმასპინძლია, მაგრამ საჭადრაკო ოლიმპიადა, თავისი მასშტაბებითა და მონაწილეთა სიმრავლით, მეტისმეტად გრანდიოზული ფორუმი. ამ დონის ასპარეზობის ჩასატარებლად საჭიროა შესაბამისი ინფრასტრუქტურა, კეთილმოწყობილი სასტუმროები, მონაწილეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა, სამედიცინო მომსახურება, სასადილოები თურესტორნები, მოჭადრაკეთა უსაფრთხოება, აეროპორტის გამართული მუშაობა და კიდევ უამრავი მომენტია გასათვალისწინებელი. რაც მთავარია, საჭიროა სოლიდური მასშტაბების სათამაშო დარბაზი, დაახლოებით თბილისის სპორტის სასახლის არენისხელა მაინც, სადაც ერთდროულად ასობით დაფაზე გაიმართება პარტიები.**

— მართალი ბრძანდებით, ჩვენი მთავარი პრობლემა სწორედ მასშტაბური სპორტის სასახლე, სათამაშო სივრცეა, სადაც ერთდროულად მოიყრიან თავს ოლიმპიადის მონაწილეები, როგორც ქალთა, ასევე ვაჟთა გუნდები. ამ რამდენიმე წლის წინ, როდესაც საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ჭადრა-

კის საერთაშორისო ფედერაციის (FIDE) პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი და საქართველოს იმჟამინდელ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს შესთავაზა საჭადრაკო ოლიმპიადის მასპინძლობა, მაშინ ბათუმში არ არსებობდა შესაფერისი დარბაზი. თუმცა ოლიმპიადის ჩატარება იმდენად პრესტიჟული და საპატიო შემოთავაზება იყო, რომ რალაც დეტალების დაზუსტების შემდეგ, ბატონი ბიძინა ამ წინადადებას დათანხმდა. სხვათა შორის, ჩვენ გარდა FIDE-ს 2014 წლის კონგრესზე ოლიმპიადის მიღებაზე თავისი კანდიდატურა წამოაყენა სამხრეთაფრიკულმა ქალაქმა დურბანმაც, რომელსაც მოგეხსენებათ ჩვენზე მეტად განვითარებული ინფრასტრუქტურა და 10-მილიარდიანი წლიური ბიუჯეტი აქვს. მაგრამ ქართველი დიდოსტატების საერთაშორისო ავტორიტეტმა კენჭისყრის დროს სოლიდური უპირატესობით, 93 ხმა 58-ის წინააღმდეგ, მაინც აჯობა სამხრეთაფრიკელთა მილიარდებს და საჭადრაკო ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება ბათუმს მიანიჭეს.

— **ბატონო გია, სათამაშო დარბაზის საქმე როგორღა არის?**

— მოგახსენებთ. იმ პერიოდისათვის აჭარაში ისედაც იგეგმებოდა ექსპო-ცენტრის მშენებლობა და თავიდან ეს საკითხი თითქოს იოლად უნდა მოგვარებულიყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ეს პროექტი ჩაიშალა. სამაგიეროდ, აშენდა სპორტის სასახლე, ორი დარბაზით, თუმცა ოლიმპიადისათვის მისი სათამაშო სივრცე არ არის საკმარისი. საბოლოოდ გამოსავალი მაინც გამოიძებნა და ახლა ბათუმში სპორტის დიდი სასახლე შენდება, რომელიც იმედია, სექტემბრის ბოლოსათვის, ანუ ოლიმპიადისათვის მზად იქნება.

— თქვენი ვარაუდით დაახლოებით რამდენი გუნდი მიიღებს მონაწილეობას ამ ფორუმში?

— ბოლო წლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ვაჟთა დაახლოებით 180 და ქალთა 140-150 გუნდი უნდა ჩამოვიდეს. თითოეულ მათგანში 4 ძირითადი მოჭადრაკეა, ერთი სათადარიგო, გუნდის კაპიტანი და დელეგაციის ხელმძღვანელი. რა თქმა უნდა, ჩამოვლენ მსაჯები, საპატიო სტუმრები, FIDE-ს ხელმძღვანელები, ჟურნალისტები და ა.შ. ბათუმშივე გაიმართება FIDE-ს მორიგი კონგრესი. ასე რომ, საბოლოოდ დაახლოებით 4 ათასამდე სტუმარს ველით. თუ გავიხსენებთ საქართველოში გამართულ სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირს, ადვილი მისახვედრია, რომ ამ მასშტაბის ასპარეზობა ჩვენს ქვეყანაში არასდროს ჩატარებულა. საორგანიზაციო საკითხებიდან ჯერ კიდევ ბევრი რამ მოსაგვარებელია. ამიტომ შექმნილია ოლიმპიადის მხარდამჭერი სამთავრობო კომისია, რომელსაც საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ გიორგაძე ხელმძღვანელობს და ვფიქრობ არავის წინაშე თავს არ შევირცხვენთ.

— ბატონო გია, მოდი ახლა ჩვენი დიდოსტატების მეტოქეებზე და შანსებზე ვისაუბროთ.

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არცთუ ისე ადვილია. მოგეხსენებათ სპორტში პროგნოზები ხშირად არ მართლდება. მით უმეტეს, რომ მთავარი კონკურენტები, ჩინეთის, რუსეთისა და უკრაინის გუნდები, ძლიერი მეტოქეები არიან. თუმცა იმედი მაქვს ტურნირის ბოლოს დადებითი პასუხის მოცემა შემეძლება. ყოველ შემთხვევაში ჩვენი მანდილოსნები მედლებისათვის იბრძობებენ. თუ გავიხსენებთ ბოლო წლების შედეგებს, შარშან ჩვენი მანდილოსნები ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ, ხოლო ჩვენი ნაკრების ლიდერმა ნანა ძაგნიძემ პირად ტურნირში, ქართველ ქალთა შორის, პირველმა მოიპოვა კონტინენტის ჩემპიონის ტიტული. გარდა ამისა, წლის ბოლოს ნანა მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა ელვისებურ ჭადრაკში. ისიც გახსოვთ ალბათ, რომ 2015 წელს ქალთა ნაკრებმა მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი მოიგო. აღსანიშნავია, რომ მაშინაც

და ახლაც გუნდს ელიზბარ უბილაჯა წვრთნის. თავის დროზე იგი მსოფლიოს ჩემპიონის, ინდოელი ვიშვანატან ანანდის მწვრთნელი იყო და ძალიან დიდი გამოცდილება აქვს. გუნდმა უკვე გაიარა ერთი საწვრთნელი შეკრება და ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატის შემდეგ კიდევ ორი შეკრება ექნებათ.

რაც შეეხებათ ვაჟებს, აქ მცირე სიუჟრიზს ვამზადებთ. ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება

ზაურობას მთელ საქართველოში. ჭადრაკის პოპულარიზაციის მიზნით გვინდა მოვატაროთ ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონში და სექტემბრის შუა რიცხვებში ჩავიტანთ ბათუმში. ეს ოლიმპიადა გვინდა ჭადრაკის განვითარების ახალ იმპულსად იქცეს. გვინდა ოლიმპიადისთვის ჩამოტანილი ინვენტარი საქართველოში დარჩეს და ისინი რეგიონებში დავარიგოთ, ვინაიდან ნიჭიერი თაობა ტრადიციულად სწორედ რეგიონებიდან მოდიოდა.



ნიჭიერი თაობა ტრადიციულად სწორედ რეგიონებიდან მოდიოდა

ახალგაზრდა ბულგარელ დიდოსტატ ივან ჩეპარინოვთან, რომელსაც საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს (2702). იგი ჩვენს ლიდერს, ბაადურ ჯობავას პირველ-მეორე დაფაზე შეეხიდება, ამით გაძლიერდება გუნდი და იმედი მაქვს ათეულისათვის იბრძობებენ.

— 1997 წელს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მაშინდელი პრეზიდენტის, ვაჟა შუბლაძის ინიციატივით დანესდა მეტად პრესტიჟული, „ნონა გაფრინდაშვილის“ სახელობის გარდამავალი თასი, რომელიც საჭადრაკო ოლიმპიადაზე ქალთა და ვაჟთა გუნდების ერთობლივ, ჯამურ ჩათვლაში გამარჯვებულ გუნდს გადაეცემა. ვინ ფლობს ამჟამად ამ თასს და როდის შეძლებენ ჩვენი დიდოსტატები მის მოპოვებას?

— „ნონა გაფრინდაშვილის“ სახელობის თასს ბოლოს უკრაინელები დაეუფლნენ. რაც შეეხებათ ჩვენ დიდოსტატებს, თუ მისი მოპოვება გვინდა, ამისათვის ვაჟებმა უნდა ითამაშონ უკეთ. სხვათა შორის, ეს საპატიო თასი უკვე თბილისშია და 31 მაისიდან დავინიჭებთ მის მოგ-

— ბატონო გია, ბოლოს ისიც მინდა გკითხოთ, დაახლოებით, უხეშად მაინც ხომ არ დაგითვლიათ, ამ ოლიმპიადის მასშინძლობა, ჩვენი ქვეყნისათვის, ფინანსურად რამდენად მომგებიანია?

— ფინანსების დათვლა, ეს ეკონომისტების საქმეა. ამიტომ მე ასე გიპასუხებთ. აჭარის ტელევიზიამ საინტერესო გამოკითხვა მოაწყო ტელემაყურებლებზე. კითხვა ასეთი იყო, უჭერთ თუ არა მხარს ოლიმპიადის ბათუმში ჩატარებას? ყველამ დადებითად უპასუხა, ჩვენ მხარს ვუჭერთ. როგორც უკვე ვთქვი სექტემბერში, როდესაც შავიზღვისპირეთში პრაქტიკულად ხელახლა იწყება საკურორტო სეზონი, ბათუმს 4 ათასამდე სტუმარი ეწვევა, რაც ქვეყნის ცნობადობის კუთხით ძალზე მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, საჭადრაკო ოლიმპიადის პარტიები პირდაპირ გადაიცემა ინტერნეტში და ამ ღონისძიებას დაახლოებით 15 მილიონი ინტერნეტმხმარებელი ეყოლება. მე მგონი ყველასათვის გასაგებია თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს ტურნირი ჩვენთვის.


„ერთი ადამიანი, ერთი ბედისწერა, საერთო ისტორია“

ახლახან საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიამ სლოგანი — „ერთი ადამიანი, ერთი ბედისწერა, საერთო ისტორია“ — ფართო საზოგადოებას საშუალება მისცა ქიზიყელი გლეხის, მიხეილ ნატროშვილის მოგონებებს გასცნობოდა. ზემომაჩხანელი მიხეილ ნატროშვილი 1941-42 წლებში წითელი არმიის მსროლელთა დივიზიის პოლკში მსახურობდა, როცა ტყვედ ჩავარდა და ქალაქების — პიატიგორსკისა და გეორგიევსკის გერმანელების ტყვეთა ბანაკებში, აგრეთვე პოლონეთის სოფელ ზელენოვკაში იმყოფებოდა.

„მოწყდებოდა ლავა, ჩაიტანდა 20-30 კაცს ერთად, ცხედრების გამოძიანის არავინ იყო...“

შორენა ლაბაძე

მოგვიანებით მიხეილმა ვერმახტის ლეგიონში დაიწყო სამსახური. სწორედ ამის გამო, ანუ დიდი სამამულო ომის წლებში ტყვედ



დაავადებამ, ნეფრიტმა, დამატებითი ტყვეობისგან იხსნა

ჩავარდნის შემდეგ გერმანელთა არმიის ფორმირებაში სამსახურისთვის 1945 წელს სახლში მომავალი რუმინეთის საზღვართან ჩამოსვებს და შორეულ აღმოსავლეთში გადასახლეს. მაგადანის ოლქის შრომა-გასწორების კოლონიაში, სადაც „წელიწადები ზღაზვნით მიდიოდნენ“, 7 უმძიმესი წელი გაატარა. გათავისუფლებულს კიდევ ორ წელს უმატებდნენ, თუმცა, საკუთარმა დაავადებამ, ნეფრიტმა, დამატებითი ტყვეობისგან იხსნა და ბედკრულ ქართველს სამშობლოში დაბრუნების საშუალება მიეცა...

მემუარებში მიხეილ ნატროშვილი დეტალურად აღწერს საბჭოთა ჯა-

რის ყოფას, დისციპლინას, კვებას, მისი შენაერთების გადაადგილებას, ბრძოლებში მიღებულ დანაკარგებს, ეკიპირების ხარისხს, საბჭოთა არმიაში ნაციონალური დივიზიების შექმნის მიზეზებს... გარდა ამისა, საინტერესოდ გადმოცემს ქართული სოფლის ყოფა-ცხოვრებას გარდამტეხ 1920-30-იან წლებში. მოგონებებში არა მხოლოდ ერთი ადამიანის მესხიერებაში შემონახული მის თვალწინ მომხდარი პოლიტიკური და სოციალური მოვლენებია დაცული, არამედ ის უნიკალური ენობრივი მასალაცაა მოცემული, რაც ძვირფასი წყარო იქნება ქიზიყური დიალექტის შემსწავლელთათვის.

დავით ჯიჟარიანი, საბჭოთა კავშირის კვლევის ლაბორატორიის მკვლევარი:

— მემუარების წერა ხშირად სახელმწიფო იდეოლოგიით იყო ხოლმე წახალისებული, მაგალითად, ყოფილი „იმელის“ (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის) არქივში არსებობს ცალკე მემუარების ფონდიც, სადაც დაცულია რევოლუციონერების მოგონებები, რომლებიც 30-იანი წლებიდან მოყოლებული საბჭოთა სახელმწიფოს დაკვეთით იქმნებოდა. მემუარებს, როგორც წესი, მაღალი სოციალური სტატუსის მქონე პირები წერდნენ: უნივერსიტეტის პროფესორები, პოეტები, მწერლები, მსახიობები. გლეხის მიერ დაწერილი მემუარები საკმაოდ იშვიათია. მიხეილ ნატროშვილის მოგონებები, რომელმაც ელემენტარული განათლება „წერკუმსზე“ (წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კურსებზე) მიიღო და ომინანობის გამო საბუღალტრო კურსიც ვერ დაასრულა, საოჯახო არქივმა შემოინახა („ჯერ არ დაგვემთავრებინა კურსი, რომ

დაიწყო მეორე მსოფლიო ომი და თუ ბიჭი ხარ, ნუ წახვალ. 1941 წლის სექტემბერში წავედი“).

— გარდა ომისა და გადასახლების წლებისა, მიხეილ ნატროშვილი საინტერესოდ აღწერს ქართული სოფლის ყოფას გარდამტეხ, 1920-30-იან წლებში...

— მიხეილის დაბადება რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ მეორის მმართველობის უკანასკნელ წლებს დაემთხვა. მას ბავშვობა, პრაქტიკულად არ ჰქონია. მოჯამაგირებაში გალუული ბავშვობის შემდეგ მისი დარჩენილი ცხოვრება საბჭოთა დიდი ექსპერიმენტების ჭრილში განვითარდა. 1941 წელს მიხეილი მეორე მსოფლიო ომში მუშათა და გლეხთა წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს. ორ „დიდ ომს“ შორის მომხდარმა ცვლილებებმა ნატროშვილების ოჯახისა და მთლიანად საზოგადოების სტრუქტურა სრულებით შეცვალა. სახელმწიფოები სოკოებივით იქმნებოდნენ იმპერიების ნანგრევებზე და მალევე ქრებოდნენ. მიხეილსაც რამდენიმე სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ერთეულში მოუხდა ცხოვრება: დაიბადა რუსეთის იმპერიაში, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, 1918-დან 1921 წლამდე დამოუკიდებელ საქართველოში იზრდებოდა, ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ კი საბჭოთა საქართველოში განაგრძო ცხოვრება. 1922 წელს ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც სამი სუბიექტის — საქართველოს სსრ-ს, სომხეთის სსრ-სა და აზერბაიჯანის სსრ-საგან შედგებოდა და ამ სახით შედიოდა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში. 1936 წელს ეს ფედერაციაც დაიშალა სამ „მომხე“ რესპუბ-

ლიკად. ეს ცვლილებები თავიდან ქიზიყამდე ნელ-ნელა აღწევდა, მოგვიანებით ტემპი დაჩქარდა და გარდაქმნები გლეხების ყოველდღიურ ცხოვრებასაც შეეხო. საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული გლეხების მეურნეობისა და ცხოვრების ჩვეული სტილი საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ რადიკალურად შეიცვალა. ქიზიყელ და საქართველოს სხვა კუთხეების გლეხობას შედარებით გაუმართლა — საბჭოთა რეჟიმი ლენინის ნებთან („ახალ ეკონომიკურ პოლიტიკასთან“) ერთად მოვიდა: ხელისუფლებამ სოფლად გლეხების კერძო საკუთრებას მაშინ ვერ ნათანა ხელი. ხალხმა 1918-21 წლებიდან დასაკუთრებულ მიწებზე მცირე მეურნეობების გამართვა-განვითარება განაგრძო. რაც შეეხება მიხეილ ნატროშვილს, ის სიყრმიდანვე ჩაერთო მძიმე შრომაში. წლების მანძილზე სხვადასხვა სოფელში მოჯამაგირედ იღვა.

— 1920-იანი წლების ბოლოს სოფლების ცხოვრება უცებ დამძიმდა — საბჭოთა ხელისუფლებამ „დიდი რეფორმის“ გატარება, კერძოდ, მცირე კერძო მეურნეობების იძულებით გაერთიანება და კოლ-

მეურნეობების (კოლექტიური მეურნეობები) შექმნა გააძვციტა...

— კოლექტივიზაციის პირველ ეტაპს სოფლებში სასტიკი პროტესტი და დაპირისპირება მოჰყვა. ხელისუფლება იძულებული გახდა ცოტა ხნით უკან დაეხია. მოგონებებში მიხეილი დეტალურად იხსენებს, როგორ აირია სოფელი იმ დროს და როგორ გამოეცხადა მათ უხუცესი ბოლშევიკი ფილიპე მახარაძე, რომელიც კულაკების ყოფილი სახლის აივნიდან ცდილობდა საზოგადოების დამშვიდებას... 1941 წელს ნაცისტური გერმანიის ჯარებმა საბჭოთა კავშირის საზღვრები გადმოლახეს. სსრკ ოფიციალურად ჩაება გერმანიასთან ომში. ქვეყანაში დაიწყო მასობრივი მობილიზაცია. მიხეილი ჯარში გაიწვიეს...

— სწორედ აქედან იწყება მისი მძიმე თავგადასავალი...

— ჩრდილოეთ კავკასიაში საბრძოლო მოქმედებებისას მიხეილი ტყვედ ჩავარდა. სხვა ჯარისკაცების უზარმაზარ მასასთან ერთად გერმანელებს ის ერთი ბანაკიდან მეორეში გადაჰყავდათ. გეორგიევსკის ბანაკებში ნაცისტების მხარეს გადაიბირეს. სამხედრო



გეორგიევსკის ბანაკებში ნაცისტების მხარეს გადაიბირეს

სამსახური გერმანიის არმიაში შემავალ ქართულ ბატალიონში განაგრძო, რომელიც ძირითადად, ეთნიკური ქართველებისგან იყო დაკომპლექტებული. თავდაპირველად გერმანულმა ჯარებმა თავბრუდამხვევ წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ სტალინგრადის ბრძოლაში განცდილი მარცხის შემდეგ 1943 წელს გერმანელების უკან დახვევა დაიწყო. მიხეილმა მათთან ერთად

სტიკერების ალბომი

მთავარი პრიზი
სკორბული
ჩანთა

**მსოფლიო
ჩემპიონატი
2018**

შეაგროვე სტიკერები
და შეავსე ალბომი

32 გზდი ■ სავალი ფურცლები ■ 276 სტიკერი

ალბომის სავალი ფასი **3 ლ**

სტიკერების კაპიტის ფასი **1 ლ**

32 გზდი და 276 სტიკერი

იკითხეთ წიგნის მალაზიებში, პრესის გავრცელების ვიზუბრებსა და სუპერმარკეტებში. ინფორმაციისთვის დარეკეთ: 0(32) 238 38 71
www.palitra.ge | Palitra.L.Publishing

დატოვა ჯერ კავკასია, შემდეგ ყირიმის ნახევარკუნძული, ბოლოს კი საბჭოთა კავშირის საზღვრები. ის სხვა ქართველ ჯარისკაცებთან ერთად გადაიყვანეს საფრანგეთში, სადაც გერმანული არმიის მომარაგების სამსახურში გაანაწილეს. ომის მსვლელობისას ორჯერ დაიჭრა. მეორედ მიღებული მძიმე ჭრი-



არ სურდა ოჯახის წევრებისთვის საფრთხე შეექმნა

ლობის გამო ჰოსპიტალში ყოფნა კარგა ხანს მოუხდა. ომის დასრულების შემდეგ ჯარისკაცების უმრავლესობა შინ დაბრუნდა. თუმცა, მიხეილს მსგავსი შვება ჯერ კიდევ არ ელოდა. საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებით, „სამშობლოს ღალატი“ და მტრის არმიის სამსახური ყოფილ ტყვეებს მძიმე შრომით შორეულ აღმოსავლეთში უნდა გამოეყვანათ. 1945 წელს სახლში მომავალი მიხეილი რუმინეთის საზღვარზე გადმოსვებს და იაპონიისკენ წაიყვანეს. სახალინი მატერიკიდან საკმაოდ მოშორებულია, ამიტომ ტყვეებს, რომლებიც შრომა-გასწორებით კოლონიებში მუშაობდნენ, თითქმის არ ჰქონდათ საკვები და ცხოვრების ელემენტარული პირობები („საქართველომ ბევრი დაუტირებელი შვილი დაკარგა მეორე მსოფლიო ომში, მაგრამ გეგონებოდა, ეს სავალდებულო იყო. მაგრამ დამთავრდა ომი და მსოფლიო ხალხებმა იზიემეს ომის დამთავრება და ყველა ცოცხლად გადარჩენილი, ჩვენ გარდა, დაუბრუნდა თავის ოჯახს“). მიხეილი

სხვა სამხედრო ტყვეებთან ერთად კუნძულ სახალინზე გადაასახლეს, სადაც ოქროს მომპოვებელ მალაროებში მუშაობდა. ზამთრის განმავლობაში ამ ადგილებში ტემპერატურა -45 გრადუსამდე ეცემა, ზაფხულში კი აუტანელი სიცხეა და უამრავი კოლო. საბადოებში არაა დამიანურ პირობებში მუშაობდნენ. ეს პერიოდი მიხეილმა „ძველ“ ანუ 1937-38 წლების ტერორის მსხვერპლ და ახალ ანუ ტყვედნამყოფ პატიმრებთან ერთად საკუთარ თავზე გამოცადა („შინ ჯერ წერილს არა ვწერდი, ვამბობდი: იქნებ დამეცეს რამე და მოვკვდე, მაინც ჩემი ამბავი არ იციან და რალა მეორედ ავაფორიაქო ხალხი-მეთქი. 45 წლის ივლისის თვეში ავსტრიიდან გამოვატანე იტალიაში გადაღებული პატარა სურათი არბოიკელ კაცს, სეხნიაშვილ გიგას. 46 წლის აგვისტოში დაბრუნებულიყო ის კაცი შინ. არ დაეჯერებინათ, ის უკვე ცოცხალი აღარ არის, სურათი ადრინდელი მიცემული იქნებოდაო... მივიღე ოჯახიდან წერილი, ჩემი და მწერს: ფულს და ტანისამოსს გიგ ზავნიო. მე მივწერე: არც ფული მინდა და არც ტანისამოსი. თუ შეგიძლიათ, ამანათი გამომიგზავნეთ-მეთქი. 48 წლის ოქტომბერში მივიღე ამანათი. შიგ იყო „სალა“, თაფლი, არაყი, ჩაი და თამბაქო. მე პაპიროსს არ ვწვნიოდი და ჩეფირს არა ვსვამდი. ჩაი და თამბაქო გავყიდე და ფული გამოვგზავნე სახლში... მაღაზიაში მოდიოდა 4-5-კილოგრამიანი თევზი და შიგნით ხვრები მარილი ეყარა ხოლმე. გავრეცხავდი, ჩავყრიდი პატარა ქვაბში, ვადულებდი, სანამ წყალი სულ არ აორთქლდებოდა, გავაშრობდი და გამოდიოდა ექსტრამარილი... რუსი ბიჭები ადულებულ წყალში მარილს ყრიდნენ და სვამდნენ, თითქოს ამით შიმშილს იკლავდნენ...)

— როგორ მოხდა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მიხეილი მაინც „ილბლიანი“ აღმოჩნდა და სიცოცხლე გადასახლებაში არ დაასრულა...

— შეიძლება ითქვას, ის ისევე თავისმა დაავადებამ, ნეფრიტმა გადაარჩინა — სამედიცინო პერსონალმა მიიჩნია, რომ არ შეიძლებოდა მისი სახალინზე ყოფნა („1952 წელს ჩვენც, 6-წლიანებმა შევასრულეთ ჩვენი ხელმოწერა, ექვსის მაგივრად 7 წელი შეგვისრულდა. მაგრამ გვითხრეს, ახლა 2 წელი იაკუდს-

ტროში უნდა იმუშაოთო. მაგრამ გამოჩნდა ხსნა. ავადმყოფობის მონობა უნდა გქონდეს, რომ შენი შორეულ ჩრდილოეთში ყოფნა არ შეიძლება... საექიმო კომისია შეამოწმებდა შენს ჯანმრთელობას და თუ სინამდვილეში იყავი ავადმყოფი, მოგცემდნენ ცნობას. მომცეს ცნობა, მაგრამ არც ამ კომისიამ გაჭრა. უნდა გამეველო კიდევ „კონტროლნი კომისია“, რომელიც იმართებოდა სამმართველოში, რომელიც 50 კილომეტრზე იყო დაშორებული ჩვენი დასახლებიდან...“) გადასახლებიდან 7 წლის შემდეგ დაბრუნებულს კიდევ ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა დასჭირდა, რომ ოჯახი კვლავ ფეხზე დაეყენებინა...

გოზი ნატროშვილი, მიხეილ ნატროშვილის ვაჟი:

— მამის განვლილი ცხოვრების ტრაგიკული გზა არ იყო მხოლოდ ერთი ადამიანის ისტორია. ეს 1921 წლიდან 1990 წლამდე ერის ტრაგედია გახლდათ. მის ნაწერში არაერთი ისტორიული სიახლეა წარმოჩენილი, რითიც უკვე ინტერესდებიან სპეციალისტები. მოგონებების წერა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო. მანამდე ჩვენთანაც კი ერთი სიტყვაც არ უთქვამს... სპეციალური სამსახურები ყოფილ ტყვეებს ამ მიმართულებით მკაცრად აკონტროლებდნენ. მას კი არ სურდა ოჯახის წევრებისთვის საფრთხე შეექმნა. მასსოვს, როგორ წერდა ლამპის შუქზე უკვე 86 წლის ჯანმრთელობადაკარგული ადამიანი. წარმოიდგინეთ, როგორ შეიძლება იცხოვრო და გადარჩე -50 გრადუს ყინვაში სახლში, რომელსაც სახურავი არა აქვს... ბევრი გარდაიცვალა, მაგრამ ზოგმა გაუძლო. ამბობდა ხოლმე, ფრონტზე არ დამისაფლავებია იმდენი ქართველი, რამდენიც სახალინზეო. ოქროს მომპოვებელ საბადოზე 10 მეტრის სიღრმეზე სრულ სიბნელებაში მუშაობდნენ... მოწყებოდა ლავა, ჩაიტანდა 20-30 კაცს ერთად, ცხედრის გამომტანიც არავინ იყო... მოიყვანდნენ ისევე ახალ ბრიგადას და მეორედებოდა ასე უსასრულოდ... („როგორც იქნა, დამთავრდა ომი. მაგრამ მე და ჩემისთანებისთვის რა შედეგი გამოიღო. თითქმის 25% დაიღუპა უკიდურეს ჩრდილოეთში და მუდმივ ყინულოვან მინას მიაბარეს ისინი...“).

დასაწყისი იხ. გვ. 18

ბატონებო, ნახეთ, რა დამართეთ მოციქულთა სწორის, ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს სახელს: ნინი, ნინაკა, ნინია. უარეს დღეშია მრავალმონამე წმინდა ქართველი დედოფლის სახელი ქეთევანი: საიდან მოიტანეთ ეს ქეთათო?!


საქართველო მართლმადიდებელი ქვეყანაა და ლამის ყოველ მეორე

გვანტერესებს მიწვეული სტუმრის, როგორც საკუთარი საქმის სპეციალისტის, პროფესიონალის კომპეტენტური მოსაზრება-შეფასებანი და არა დილეტანტური მსჯელობები.

ეს მაცდუნებელი თვისება რომ მოვიშოროთ, ყველამ დავიცვათ მიწვეულ სტუმართან ურთიერთობის ეტიკეტი — ვაცადოთ საუბარი! აქვე მინდა მიწვეულ სტუმართა გასაგონად ხაზგასმით აღვნიშნო: ისინი ხშირად არასწორად ამბობენ

ნის ერისკაცებს, რომელთა მხრებზე გადაიარეს ეროვნული მოძრაობის ქართველებმა: ჩვენს პირველ ეროვნულ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდის (დღემდე რომ არ ვიცით, რომელი გარენრის ტყვიამ იმსხვერპლა!), ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ზვარაკად შეწირულებს — ჩვენს ეროვნულ გმირს მერაბ კოსტავას და ჭავჭავაძიანთ სახელოვანი გვარის ღირსეულ შვილს — ზურაბ ჭავჭავაძეს, დიდ ქართველსა და მრავალმხრივ მოღვაწეს რეზო თაბუკაშვილს, ეპოქალური „დათა თუთაშხიას“ ავტორს, კაც-ლეგენდას — ჭაბუა ამირეჯიბს, ჩვენი დროის „დიდ განმანათლებელს“ (ქალბატონ ნინო ხოფერიას დავესესხებო) ბაჩანა ბრეგვაძეს და სხვა რჩეულ ქართველებს; თავდაუზოგავად ზიდეთ ქვეყნის გადარჩენისათვის ბრძოლის მთელი სიმძიმე, რომ არ დარჩეთ უსამშობლონი.

შეისმინეთ ჩვენი სულიერი ცხოვრების მოძღვართ მოძღვრის, ქვეყნის „სვეტი ნათელი“ პატრიარქ ილია მეორის შეგონება-მუდარა: „დაიცავით თქვენი წილი საქართველო



გიორგი შენგელაია არასდროს ყოფილა: გიო, გოგა, გოგი...

თქვენს გულში და თქვენ გარშემო, ახლა ეს არის თქვენი დიდგორი და ბასიანი“.

აქვე არ შემოიძლია არ გავიხსენო პოეტ რეზო ამაშუკელის ამალეღვებელი სიტყვები: „ჩვენს პატრიარქს თოთო ბავშვივით ჰყავს ჩახუტებული საქართველო“.

P.S. შემოგვიერთდით და გავგიზიარეთ თქვენი მოსაზრებები. ჩვენთვის თითოეული თქვენგანის სიტყვა მნიშვნელოვანია. დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 5(58) 25.60.81

თავდაუზოგავად ზიდეთ ქვეყნის გადარჩენისათვის ბრძოლის მთელი სიმძიმე, რომ არ დარჩეთ უსამშობლონი

ქართველს წმინდანის სახელი ჰქვია. თქვე კაი დედამამიშვილებო, თუ არ მოგწონთ, გადაირქვით, თუ არადა, კრძალვითა და რიდით ატარეთ სათაყვანებელ წმინდანთა სახელები: ანა, ნინო, ნანა, თამარი, ქეთევანი, თეკლა, ეკატერინე, დავითი, გიორგი, ვახტანგი, არჩილი, დიმიტრი...

თუ მაინცდამაინც არ გეთმობათ ტრადიცია, შინაურობასა და დაქალობა-ძმაკაცობაში უწოდეთ ერთმანეთს: ეკუნა, თეკუნა, ანკა, ნანკა, ნინია, ნინაკა, ქეთათო, არიკო, ვახო, დიმა, კოკა, გოგა, ნოდუკო, მაგრამ საჯარო თავყრილობებსა და ოფიციალურ შეხვედრებზე იყავით: ნანა ხაზარაძე, ნინო გელაშვილი, თამარ ჩარკვიანი, ვახტანგ სანაია, დიმიტრი ობოლაძე, ნოდარ ტატიშვილი...

ჩვენი გულალალი, გულნათელი, ნაღდი ქართველი ღვთიანიჭირი რეჟისორი გიორგი შენგელაია არასდროს ყოფილა: გიო, გოგა, გოგი, იყო და არის (ღმერთმა გვიდღეგრძელოს) მხოლოდ გიორგი, ქართველი ერის მფარველის, ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი უკიდევანო სიყვარულით „გაქართველებული“ წმინდანის — გიორგის ერთგული და ღირსეული მოსახელი!

უნდა შევეხო სატელევიზიო გადაცემათა წამყვანებსაც: ჩვენი სატელევიზიო გადაცემათა წამყვანები (მცირე გამონაკლისის გარდა), კითხვის დასმისთანავე იწყებენ „ფართოდ“ განიხილავენ დასმულ საკითხებს, რომ მიწვეულ სტუმარს ისლა დარჩენია, მორჩილ მსმენელად იქცეს. ჩვენ, მაყურებლებს კი,

დაგვაბატიყესო, დაპატიჟება კი ითქმის წვეულებებზე, ქორწილში, დაბადების დღეზე, საჯარო შეკრებებზე, კონფერენციებზე თუ გადაცემებში კი უნდა ითქვას მიგვიწვიეს.

ქართველო ახალგაზრდებო და ასაკოვანნო, თქვენ, ყველანი, ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვათა და სხვათა დიდ ქართველ მოღვაწეთა სულიერი შვილები ხართ, ისინი მუდამ ჟამს იყვნენ, არიან და იქნებიან ჩვენი ქვეყნის „თანამდევნი უკვდავი სულები“, თუ ისწავლეთ, მათგან ისწავლეთ ქვეყნისა და ხალხის სიყვარული. მოდი, ნუ ჩაკლავთ ამ სათუთ, მაცხოვრებელ გრძნობას! მერწმუნეთ, ეს არ არის ე.წ. ურაპატრიოტიზმის გამოვლინება, ეს გახლავთ ჩვენი ერის, ქვეყნის, ძველთაძველ ქართულ ფასეულობათა გადარჩენის ერთ-ერთი გზა. ყველამ ერთად „ხელიხელ საგომანებო ბოლ მარგალიტად“ აქციეთ „ჩვენი ენა ქართული“, თვალისჩინივით გაუფრთხილდით თქვენს სიძველეებს, ძეგლებს, თამამად გაუხსნორეთ თვალი მსოფლიოს, რადგან უძველესი ცივილიზაციის ქვეყნის შვილები ხართ, იამაყეთ თქვენი დიდი წინაპრებით, რომლებმაც თავიანთი გონით, ღვანლითა და სისხლით შეგვიწარჩუნეს ეს ღვთიკურთხეული საქართველო!

ადამიანის რწმენა მისი მსოფლხედვის შედეგია, მაგრამ ქართველებს არ უნდა დაგვაგინცდეს, რომ ისტორიულად ქრისტეს რწმენამ გადაგვარჩინა; გაიხსენეთ წმინდა ვახტანგ გორგასლის მონოღება: „ეძიებდეთ ქრისტესათვის სიკვდილსა!“

ღირსეულ პატივს მიაგებდეთ ქვეყ-

ბონების საპარტიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები
ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა
დროს გამოქვეყნებული მასა-
ლების მიხედვით არის შედგენი-
ლი. შეეცადეთ, პასუხი გასცეთ
ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგაქცეთ თვალი

1. გამოიცანით, რომელ ქართველ კლასიკოს მწერალს ეკუთვნის ეს სიტყვები: „ყოველი დროის ცილისმნამებლებს კარგად სცოდნიათ, რომ ადამიანის უსასტიკესი დასჯა მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მას სწორედ იმაში დასდებენ ბრალს, რის წინააღმდეგაც თავად იბრძვის იგი... თუ გსურს ღირსეულს მიაყენო ჩრდილი, უღირსის ქებას უნდა მიჰყო ხელი“.

2. რას ნიშნავს პერისელენი?

3. დაასრულეთ მუხრან მაჭავარიანის სტროფი: „ყველამ გამწირა, — მეგობრისა ვინც იყო მსგავსი: /მინაზე ყოფნას ზოგმა ყოფნა არჩია ცაში./ ...“

4. სანთური ანუ ...

5. რომელი ცნობილი მხედართმთავარი ეძახდა საკუთარ თავს „ბედნიერების ქმარსა და ძალაუფლების საყვარელს“?

6. რა ნარწერა ამშვენებდა ბენჯამინ ფრანკლინის დიზაინით, 1787 წელს შექმნილ აშშ-ის პირველ ოფიციალურ ცენტრს?

7. ვინ იყო ვალპურგია?

8. ვის მიანერენ გამონათქვამს: „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება კიდევ უფრო დიდი მეგობარია“?

ანეკდოტები

* * *

მეზობელი მეზობელს შეხვდა. ერთს თვალი აქვს დაღურჯებული.

— თვალზე რა დაგემართა?

— გუშინ წყლიდან ერთი გოგო ამოვიყვანე, ცოლმა მომისწრო და თვალი ჩამიღურჯა.

— რას ამბობ?! საიდან ამოიყვანე — მტკვრიდან თუ აუზიდან?

— ჩვენი აბაზანიდან...

* * *

— როგორი გრაციოზული და მოხდენილი გარეგნობის გახდით. ამას როგორ ახერხებთ?

— ხალხური ცეკვებით ვარ დაკავებული.

— რა საინტერესოა! კერძოდ, რომელი ხალხური ცეკვებით?

— სტრიპტიზით.

— განა ეგ ხალხური ცეკვაა?..

— რა ვიცი, ხალხს ძალიან მოსწონს...

* * *

— სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ბევრი რამ კარგად შევიმეცნე და ვისწავლე.

— მაგალითად, რა?

— ჩამოგივლი:

1. ხელების ხშირი ბანა;

2. ვიცი, რომ ადრე თუ გვიან, მოვკვდები და ამას ვერ შევცვლი;

3. დანვრილებით ვიცი, როგორ იბადებიან ბავშვები;

4. პრაქტიკულად არ არსებობს ისეთი რამ, რაც მადას წამიხდენს;

5. მე ძალიან მეშინია ექიმების განსაკუთრებით — ჩემი თანაკურსელების!

* * *

სასამართლოში:

— ბრალდებულო, რამ გიბიძგათ, რომ ბანკი გაგეძარცვათ?

— თქვენო ღირსებავ, მან პირველმა დაიწყო!

* * *

— ცოლით კმაყოფილი ხარ?

— კი. ერთადერთი, რაც შემიძლია ვისურვო, ის არის, რომ შემდეგი მაგაზე უარესი არ იყოს.

* * *

— ექიმო, მეჩვენება, რომ მუდმივად ვილაც დამდევს!

— ჰოოო... ეგ პარანოიას ჰგავს.

დიდი ხანია, რაც ასე ხართ?

— რაც ციხიდან გამოვიქეცი...

* * *

მეგობრების საუბარი:

— ქალში რაღაც საიდუმლო აუცილებლად უნდა იყოს!

— ჰო, აი, მაგალითად, დღეს დილით გავიღვიძე, ვუყურებ... ვინ არის?! წარმოდგენა არ მაქვს...

* * *

— როგორც იქნა, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ზრდასრული და დამოუკიდებელი ადამიანი ვარ!

— რამ დაგარწმუნა?

— რაც კი სახლში მქონდა, ყველა კანფეტი შევჭამე და არ შემშინებია, რომ ბებია დამსჯიდა...

* * *

— მიტო, ცურვა იცი?

— მა.

— სად ისწავლე?

— წყალში.

* * *

— გუშინ ჩემი ძაღლის გენეტიკას ვიკვლევდი: 300 წლის მანძილზე მისი ყველა წინაპრის შესახებ იყო მოთხრობილი!..

— მერე?

— რა, მერე?! ვიფიქრე, კიდევ კარგი, მას არ უნახავს, თორემ დილაობით მისთვის გაზეთის და ფლოსტების მიტანა მე მომიწევდა!

* * *

— გეფიცები, მე ცეზარივით ვარ!

— რატომ? რამდენიმე საქმის ერთად კეთება შეგიძლია?

— ჰო. შემიძლია: ცუდად ვიყო, საშინლად გამოვიყურებოდე და თან მეძინებოდე.

* * *

ტელეჯგუფი გადაღებაზე ეწვია ერთ ოლიგარქს. ჯერ სახლი დაათვალიერეს, შემდეგ კი, ინტერვიუს დროს ჟურნალისტმა ჰკითხა:

— თქვენ ძალიან მდიდრული სახლი გაქვთ: ავტოფარეხი 30 მანქანით; აუზი; ოქროს უნიტაზი... მაგრამ ტუალეტის ქალაქის ნაცვლად რატომღაც გაზეთები გილაგიათ. რატომ?
— ნოსტალგია...

* * *

საკანში შესულ ზედამხედველს პაციმრები შესჩივიან:
— გურული სხვა საკანში გადაიყვანეთ, რა! ანეკდოტებს ჰყვება და ღამე არ გვაძინებს.
— ღამლამობით ჰყვება? — დაეკითხა ზედამხედველი.
— არა, მაგრამ რაჭველი ღამით იცინის!

* * *

— არა უშავს, როგორც ხალხში იტყვიან ხოლმე, დრო მკურნალია.
— თქვენ ერთი ის მითხარით, ამ საავადმყოფოში სხვა ექიმები თუ გყავთ?

* * *

რადიოგადაცემა:
— ბევრ რადიომსმენელ მამაკაცს აღელვებს საკითხი — ღირს თუ არა, გამოუტყდე ცოლს, რომ ღალატობ? — დღეს პირდაპირ ეთერში ამ თემაზე თავის პროფესიონალურ გამოცდილებას გაგვიზიარებენ ჩვენი ქალაქის გამოცდილი სპეციალისტები: ტრავმატოლოგი და პათოლოგოანატომი.

* * *

— მე მათ ოცჯერ რაღაცას ვუმეორებ, ეს იდიოტები კი შუშის თვალეებით სხედან. ვიცი, რომ არაფერი არ ესმით და არც ცდილობენ, რამე გაიგონ!
— ჩემს სამსახურშიც იგივე ხდება...
— თქვენც პედაგოგი ხართ?
— არა, ბარმენი.

* * *

— გუშინ, როგორც იქნა, ჩემი ქმარი ძლივძლივობით შევათრიე ბაზრობაზე.
— ჰოდა, რა ქენი, ბოლოს და ბოლოს, გაყიდე?..

* * *

— ეს თქვენი ვირთხა დარბოდა აქ?
— ვირთხა კი არა, ჯუჯა ტაქსაა!
— რადგან კატამ შეჭამა, ე.ი.

ვირთხა ყოფილა!

* * *

— დღეს ვცდილობდი, ჩემი თუთიყუშისთვის ღამბაღის ცეკვა მესწავლებინა, მაგრამ მგონი, დებილია.
— დარწმუნებული ხარ, რომ ის არის?!.

* * *

კლინიკაში:
— ექიმო, მადლობისთვის მოვედი.
— მემკვიდრე ხართ თუ პაციენტი?

* * *

— ჩემი გოგო ამ ბოლო დროს სულ მუჟავებს ჭამს. ალბათ ორგანიზმში რაღაც აკლია...
— კი, კი, აკლია, აბა, რა... მაგას ტვინი აკლია!!! მაგაზე ადრე უნდა ეფიქრა!

* * *

ფსიქიატრიულში ექიმი კროსვორდს ავებს:
— კუნძული, სადაც ნაპოლეონი დაიბადა... — და პაციენტს მიუბრუნდება: — ეეე, რეგვენო, სად დაიბადე?

ბონების სავარჯიშო

„გზის“ ერთობლივი მკითხველისათვის (პასუხები)

1. კონსტანტინე გამსახურდიას.
2. (ბერძნულიდან) მთვარის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტის წერტილს, რომელიც ყველაზე ახლოსაა მთვარესთან.
3. „... ზოგი მათგანი ქვეყნის დამტყვევს ჩაუჯდა ნავში:/ ტყე აიჩეხა, — ტყის ადგილას ერთი ხე დავრჩი“.
4. სიმებიანი საკრავი — ებანი, ქნარი, ჩანგი.
5. ნაპოლეონ ბონაპარტი.
6. „დაკავდით თქვენი საქმით“.
7. წმინდა ვალპურგია დევონშირში, 710 წელს დაიბადა, დასაველეთ საქსონიის ერთ-ერთი მეფის — რიჩარდისა და გერმანიის მოციქულად ნოდებული წმინდა ბონიფაციის დის — ვინას ოჯახში. 11 წლის ასაკში გოგონა მონასტერში მიაბარეს, სადაც 26 წელი დაჰყო. 748 წელს, ბიძა ბონიფაციმ გერმანიაში მიიწვია. ვალპურგია ბავარიის ჰაიდენჰაიმში მონასტრის აბატისა გახდა. ბიძის გარდაცვალების შემდეგ კი, საკუთარ თავზე მამათა მონასტრის ხელმძღვანელობაც აიღო. იგი 777 წელს გარდაიცვალა.
8. არისტოტელეს (ძვ. წ. აღ-ით 384-322 წწ.).

ჩვენი ფოტობაღიარება



რუბრიკა მოამზადა ირინა ჰანდიერმა



ნიშნები: 1. ფრანგი პოლიციელი; 2. ყვავილი; 3. რკინის ავტომატ. ადამიანი; 4. ერთგვარი ხელი; 5. მატრიარქთან დაკავშირებული; 6. წყლის ფრინველი; 7. ავტომეჯიბრება; 8. წერილი უკურკო ქიშიში; 9. ზევის დედა; 10. თევზის სახეობა; 11. მსახ. კეტრინ ... ჯონსი; 12. ტაბლეთი; 13. პრილობა; 14. მხარე საქართველოსი; 15. ცირკის მოედანი; 16. მომთაბარე არაბი; 17. გესტაპოს შეფი; 18. პუშკინი „... სტუპარი“; 19. დევაგბრფი მხსნელი; 20. რამანოვის ოპერა; 21. გამოკიდება; 22. დევაგბრა ინდუიზმი; 23. „ოტელი“ პერსონაჟი; 24. ლ. ქიანელი „ტარიელ ...“; 25. მართული აეროსტატი; 26. სამედიკალური სასამართლო; 27. გიტარის მკეთელი; 28. დიდი ჩაქუჩი; 29. სტანდარტული; 30. ამონ ...; 31. ... ტი-მოშენკო; 32. რაც ყველაზე ბოლოს კვდება; 33. დაკვირვება პუნ. პირობებში; 34. მხეცი; 35. შწერალი ... იოსელიანი; 36. ნაიფი; 37. ელფერი; 38. ტბა უნგრეთში; 39. პრიტანელი მსახ. ვიფინ ...; 40. „გაზაფხული შემოსულა, ...“; 41. ო. თავთაქიშვილის ოპერა; 42. მდინარე იტალიაში.

ნიშნების სანგარიშის პასუხები 1. ნაგასაკი; 2. გრანელი; 3. მიჩინა; 4. მირეი; 5. რვალი; 6. კლეობატრა; 7. ლაპი; 8. დონინა; 9. ლოსი; 10. ლეილა; 11. ილი; 12. აგავა; 13. ვია; 14. პერო; 15. ნიკულინი; 16. მონე; 17. სიტი; 18. კოკო; 19. ალბომი; 20. ძეძვი; 21. გოლდენი; 22. ბათა; 23. მარათ; 24. რაცია; 25. კოლი; 26. სკოლი; 27. დუელი; 28. ნაბადი; 29. ილო; 30. კეფა; 31. სკალპი; 32. ალაო; 33. ბუ; 34. ლიკინა; 35. ათენი; 36. მიჩინა; 37. ნიკოლოზ; 38. გიდი; 39. იო; 40. კატო; 41. აბანო; 42. ანცი; 43. „არგო“; 44. ლიანდაგი.

სურათებზე: ნინო სურგულაძე; ლადო ათანელი.

ქაღაღი

საშენადო რაემი



 იყიდეთ მატარებელი
გაასრულით ამიყვანს

ქაღაღი
საუბრე
100% კაპტონი
8000560
უპირატესი ხარისხის ბუნებრივი

ქაღაღი
აგინდენი
100% კაპტონი
33333
1
საბავშვო ხარისხის ბუნებრივი

ქაღაღი
საუბრე
100% კაპტონი
33333
1
საბავშვო ხარისხის ბუნებრივი

ქაღაღი
აგინდენი
100% კაპტონი
50 27 33x33
საბავშვო ხარისხის ბუნებრივი



ქაღაღი
აგინდენი
100% კაპტონი
03000000
საბავშვო ხარისხის ბუნებრივი

ქაღაღი
აგინდენი
100% კაპტონი
2
4
საბავშვო ხარისხის ბუნებრივი

ქაღაღი
აგინდენი
100% კაპტონი
საბავშვო ხარისხის ბუნებრივი

დიდი ენციკლოპედია დედაიენა

5 ნიბნად



პირველი ნიბნი „დაბადება“ მოგიტხრობთ:

- დიდ აფეთქებაზე
- მზის სისტემაზე
- სიცოცხლის წარმოშობაზე



ნიბნის სპეციალური ფასი **18.50 ლ**
გაზათთან ერთად **20 ლ**

ნიბნი 1

- დედაიენის ულაგაგასი ლანდშაფტების ფოტოები
- 1000-ზე მეტი შთაბეჭდავი ილუსტრაცია
- რუკები, დიაგრამები და გრაფიკები

16 აკრილიდან

„კვირის კალიტრასთან“ ერთად
ორ კვირაში ერთხელ

შემდეგი ნიბნები:



ხელოვნება

ნიბნი 2



ჰეირი

ნიბნი 3



წყალი

ნიბნი 4



ადამიანები

ნიბნი 5

დაბადება – დედაიენის ადგილი სამყაროში

იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32)2382673; 0(32)2382674 და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ

